

ჭოროსი

გამოცემის 57-ე ნომერი

მედიის-ინფორმაციის

№3

2015 წელი

საინფორმაციო-სამედიისო და საზოგადოებრივი ურთიერთობების

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
დავით თაყაიშვილი

სარედაქციო საბჭო

ცისანა ანთაძე

როინ აბუსაძე

გიორგი (იური) ბიბილაძე

ბენი დოლიძე

ანა დუნდუა

რამაზ სურგულაძე

ბელა ქავთარია

ვანტანა ლომიძე

თინა შიოშვილი

მალხაზ ჩოხრაძე

ამირან ხაბაზი

ნანა ხახუთაძე

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე

რედაქტორი

ლალი კონცელიძე

პროზისა და პოეზიის

განყოფილების გამგე

ანზორ კუდაბა

კრიტიკის, თარგმანისა და
პუბლიცისტიკის განყოფილების გამგე

ბენიამინ ქუთათიაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღაძე

გამომცემელი

საქართველოს მწერალთა

კავშირის აჭარის ორგანიზაცია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროსი“, ბათუმი, 2015

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

შურნალი გამოდის
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

შურნალი დაიბეჭდა
ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“
პოლიგრაფიულ ცენტრში,
ბათუმი, კლდიაშვილის, 27

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაშრომები ანუ ანონიმური უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)).
ამასთან, რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

შინაარსი

ჯეოგრაფია, ჰოლოცენი

ჯეოგრაფია (სარგის) ჯეოგრაფია – იმხანად (გაგრძელება)	3
ბენრიტა ქუთათელაძე – ლექსები	20
თამარ გუპია – მოთხრობები	25
მანანა ჩიტიშვილი – ლექსები	37
ჯეოგრაფია ინფორმაცია – ლექსები	43
იზა ოსეფიშვილი – ლექსები	46

ქართული, ქალაქისტიკა

ანანია ბროველი – აკაკი ბაქრაძის „ტარიგი ღმრთისაის“ გამო	49
ანდრო ბუაჩიძე – უამი სიტყვისა (თამაზ ბაძალუას გახსენება)	68
ზურაბ ხაბაძე – უმისამართოდ და უსათაუროდ (გაგრძელება)	74

ქართული ტოპონიმი და კათოლიკოსის ისტორია

ტარიელ ფუტყაძე – ტიბარენი, სასპერები, იბერები, ქუთები, ჰალიძონები, ხალიბები, დიძერები, ძიდრიტები, მაკრონები, ფასიანები, ეკექეძეები	80
---	----

ჟურნალი

თინა შიოშვილი – სხვათა ომში მონაწილეობის ტრაგედია ქართული ხალხური პოეზიის მიხედვით	88
---	----

წიგნი

შალვა აბაშიძე – სამშობლოს ერთიანობის აქტიური დამცველი, სასულიერო მოღვაწე	96
ურს მძროპირიძე – ქართველი მღვდელმთავრები და აჭარა	101
ნაზი მიქელაძე – ენის სახელმწიფო პროგრამა – ჩვენი თვითმყოფლობის საფუძველი	105
ნანი გუგუშაძე – ჩემი დედა	107



ჭამად (სარბის) ჭაქალი

იმხანად*

იმხანად მემედ აბაშიძის საიუბილეო დღეები ტარდებოდა. ბათუმიდან თბილისში ჩავედით. შეხვედრები ჩატარდა სკოლებში, მისივე ძეგლთან. მასწავლებლებს და მოსწავლეებს ვესაუბრეთ მემედ აბაშიძის ღვანლზე და დამსახურებაზე ქვეყნის წინაშე. ბოლო დღეს გაიმართა ბანკეტი. ბანკეტს ესწრებოდნენ თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ესწრებოდა აგრეთვე მაშინდელი პრემიერი ბატონი ნიკო ლეკიშვილი. მე ვიჯექი მიდგმულ მაგიდასთან პირველი. ბატონმა ნიკომ ცოტა ხანს დაჰყო, ბოლოში მოიხადა და წავიდა. ჩემთან რომ ჩამოიარა, გამესაუბრა, გადაამკოცნა. ორივეს პენსნე-სათვალეები გვეკეთა, მოხდა ისე, რომ სათვალეები ერთმანეთს წამოედო... ბატონ ნიკოს სათვალეები ჩამოუვარდა და სწორედ ჩემს წინ, თეფშთან ახლოს დაეცა. ავფუსფუსდი, ავიღე სათვალეები და ვუთხარი, – გადავრჩით, ბატონო ნიკო, სათვალეები არ გატყდა მეთქი. მან დინჯად და მშვიდად თქვა, – მერე რა, ერთი კიდევ მაქვსო. მე ბოლოში მოვუხადე ბატონ ნიკოს და ასეთი ანეკდოტი ვუთხარი: – ერთმა კაცმა ნახა ბომბი, დაინტერესდა, როგორ ფეთქდებაო, დაინყო მისი დაშლა, რომ გაეგო, თუ როგორ ფეთქდება. ვერაფერი მოუხერხა, ვერ დაშალა და დაინყო

მისი გახერხვა. ჩამოიარა მისმა მეზობელმა და გაოცებულმა იკითხა:

– რას შვრები ბიჭო?!

– ვხერხავ და...

– გასკდება, აფეთქდება შე ოხერო, დაანებე თავი.

– მერე რა, აფეთქდეს, ერთი კიდევ მაქვს.

ეს რომ მოისმინა ბატონმა ნიკომ, ბევრი იცინა. ძალიან კარგ ხასიათზე დადგა, მერე წაბრძანდა.

კარგი კაცი იყო ბატონი ნიკო და კარგი პრემიერიც.

* * *

იმხანად ჯაყელები და ბაგრატიონები ერთმანეთს კარგი თვალთ უყურებდნენ. ჩვენი ჯგუფი ღამის გასათევად კრწანისის სამთავრობო სასტუმროში მიიწვიეს. მე მეორე სართული მომიწია. მითხრეს, რომ სწორედ თქვენი აპარტამენტის ზემოთ ბაგრატიონის ქალბატონი ისვენებსო. რატომღაც ეს ხუმრობის ნიშნის მოგება იყო, მე ვუპასუხე:

– ოღონდ ბაგრატიონის ქალი იყოს და ჩემს ზემოთ დაწვება თუ ჩემს ქვემოთ, მაგას მნიშვნელობა არა აქვს მეთქი. თავაზიანობის გამო მე მაინც ჩემს ზემოთ დაწოლას შევთავაზებდი-მეთქი.

* * *

იმხანად ვიცოდი, რომ მოსკოველმა კინორეჟისორმა, რომელმაც ცნობილი მსახიობი შუკინი მოიწვია ვ.ი. ლენინის როლის შემსრულებლად, ქუჩაში სრულიად შემთხვევით შეხვდა პიროვნებას, რომელიც ნვერ-ულვაშით, კომპლექტით და მელოტიტ ძალიან ჰგავდა ლენინს.

* დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №6, 2014.

რეჟისორმა ბოდიშის მოხდით გაიცნო ეს უცხო კაცი და მიიწვია კინოსტუდიაში სინჯების გადასაღებად. ეს პიროვნება იყო მიხეილ ლუკიანოვიჩ კონონენკო, ცნობილი ინჟინერი, რომლის ხელის მონერაც საჭირო იყო (სხვებთან ერთად) კოსმოსში რაკეტის გაშვებისათვის.

მიხეილ კონონენკო მეორე დღეს მივიდა კინოსტუდიაში. რეჟისორმა დაუყოვნებლივ აიყვანა იგი ლენინის როლის შესასრულებლად.

იმხანად მე მანქანა არ მყავდა და სახლიდან სამსახურში (და პირიქით) დავდიოდი ავტობუსით.

ავედი მახინჯაურის ავტობუსში და თვალებს არ დავუჯერე, – უცებ გამომეცხადა „ვ.ი. ლენინი“. ეს იყო მ. ლ. კონონენკო, წინა დღით მახინჯაურში ჩამოსულიყო დასასვენებლად.

გაიმართა ჩვენს შორის ძალიან თბილი საუბარი. მე ხშირად ვიყავი მასთან, ის კი – ჩემთან. მოსკოვში რომ ჩავიდოდი აუცილებლად დავურეკავდი. ის მაშინვე მიმიპატიჟებდა თავისთან, მაგრამ მე სასტუმრო მერჩია. ძალიან მიყვარდა სასტუმრო „რასია“, წითელ მოედანთან იყო. მივედი „რასიაში“, მითხრეს, ადგილები აღარ გვაქვსო. სასწრაფოდ დავურეკე მიხეილ ლუკიანოვიჩს. მოვიდა. ფოიეში ვიჯექი, სალამ-ქალამის შემდეგ მითხრა, რა პრობლემააო. ვუთხარი, მგონი მატყუებენ, ამხელა სასტუმროში ერთი ადგილი როგორ არ ექნებათ მეთქი. მივიდა ადმინისტრატორთან, ადმინისტრატორმა დაინახა თუ არა, წამოხტა და დაასწრო: რითი გემსახუროთო.

ბატონმა მიხეილმა უთხრა, ჩემი მეგობარი მწერალი ჩამოვიდა და აქ უნდა მოვანყოთო.

ადმინისტრატორმა უფერულად გაიღიმა, შემომხედა და მითხრა, – მომეცით თქვენი პასპორტი...

არასოდეს არ დამავინყდება და, იქნებ დაუჯერებელიც არის, ერთი შემთხვევა იყო, მივედი მასთან, ბინაში. ძალიან გაცივებული ვიყავი, წყალი გააცხელა, ტაშტში ჩაასხა და მითხრა, ნუ გეხათრება... ნასკები გამხადა და ფეხები ტაშტში ჩამანყობინა, „Попарить надо“.



ჯეშალ (სარგის) ჯაყელი და ვ. ი. ლენინის როლის შემსრულებელი მ. ლ. კონონენკო

ძალიან ხშირად თავის შემოქმედებაზე მიყვებოდა. დიდი მსახიობის, ლენინის როლის შემსრულებლის შუკინის შესახებ მითხრა, – შენი ზოგიერთი მოძრაობა ძალიან გავს ლენინის მოუსვენარ მოძრაობას, შენ შუკინზე უკეთესად დგამ ფეხს მიმოხვრის დროსო.

მიხეილ კონონენკო ძალიან განათლებული ინჟინერი იყო. საკმარისია ითქვას, რომ რაკეტის კოსმოსში გაშვებისათვის გარკვეულ პარამეტრებში ნებართვაზე ხელს თვითონ აწერდა. დიდი პროვნება იყო, მაგრამ მასში მხოლოდ ლენინს ხედავდნენ. ერთხელ გულისტკივილით მითხრა: ვწუხვარ, რომ ჩემი პროფესიის დამფასებელი არიან ცოტა, მაგრამ ლენინისადმი ჩემი მსგავსების გამო ყველა მიცნობს... ასე რომ, მე ვცხოვრობ სხვისი ცხოვრებით. ჩემი პიროვნული თავმომწონეობა არა მაქვსო.

მე ვუთხარი:

არაფერია, მიხეილ ლუკიანოვიჩ, მეც გაორებული ვარ, როგორც პოეტი და პროზაიკოსი...

იმ დღეს ორმაგი ანუ გაორებული ცხოვრების სადღეგრძელო დავლიეთ. სხვა დროს დალევის სხვა მიზეზებიც გვქონდა.

* * *

იმხანად ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ რედაქტორი იყო აკაკი შონია. განათლებული კაცი იყო, მაგრამ მწერლებში თავის გამოჩენა უყვარდა და ზოგჯერ დაიწყებდა

ბული. ჩვენთან კაცი ორმოცდაათი წლის რომ გახდება, შეიკრიბება რამდენიმე გამორჩეული კაცი და იმსჯელებენ, – ამას რა დამსახურება აქვს ისეთი, რომ დღეობის გადახდა შეიძლებოდეს. იმსჯელებდნენ. თუ დაადგენდნენ დღეობის გადახდას, გაიმართება პურის ჭამა და ბოლოს გამოაცხადებენ, რომ ამა და ამ „იმენინიკს“ ათ წელიწადში ჩამოენეროს ათი წელი, ოც წელიწადში ოცი წელი და ასე შემდეგ. როცა სამოცი წლის გახდება, ყველას ეცოდინება რომ ის ორმოცი წლისაა, სამოცდაათი წლისა, ოცდაათ წელად ჩაეთვლება... და ა.შ.

– რატომ, რა აზრი აქვს მაგას-მეთქი, – ვკითხე.

– ის აზრი აქვს, რომ გახალისდება, სიცოცხლის იმედი მიეცემა... რაც ძალიან საჭიროა ასაკიანი კაცისათვის. ოთხმოცი წლისას აღიარებენ ოცი წლისად... აბა, ერთი წლის ბავშვს რა დამსახურება აქვს, დღეობას რომ უხდიან... ალბათ მშობლები თავიანთი სიხარულის დღეს იხდიან ბავშვის დაბადების გამო“.

– ვინ-როგორ.

* * *

იმხანად ჩემი თანაკურსელი იყო ყალმუხელი ტიმოფეი ბემბეევი.

ერთ მშვენიერ დღეს აუდიტორიაში შემოაფრიალა გაზეთი „პრავდა“ და სიხარულით ამბობს: – მომილოცეთ, მომილოცეთ. ჩემს ყალმუხეთში უნივერსიტეტი გაიხსნა. ამიერიდან დიდი ნაბიჯით წინ წავიდა ჩემი მშობლიური მხარე... „კალმიცსკი უნივერსიტეტი – გორდო ზვუჩიტ, პრავდა?!“

ყველა მიაცვივდა, აფრიალებდნენ გაზეთს, კოცნიან ტიმოფეის და ულოცავენ. მე კი ფანჯარასთან ვდგავარ და მათ აჟიოტაჟზე მელიმება. ეს შენიშნა ტიმოფეი ბემბეევმა და გაუკვირდა. მოვიდა ჩემთან და მეუბნება:

– ყველა მილოცავს, შენ რატომ არ გიკვირს ეს და არ მილოცავ. ხედავ, როგორ გახალისდნენ ამხანაგები.

მე ვუთხარი:

– დარაგოი ტიმოფეი, იმიტომ არ მიკვირს, რომ მე ვარ იმ ქვეყნის შვილი, სადაც წელს კი არა, რვაასი წლის წინ ფუნქციონირებდა არა თუ უნივერსიტეტი, არამედ – აკადემია, თანაც არა თუ ერთი, არამედ – სამი. ეს იყო გელათის, გრემის და იყალთოს აკადემიები. გარდა ამისა, საზღვარგარეთის ქრისტიანულ ქართულ ცენტრებში იქმნებოდა, ინერებოდა და ითარგმნებოდა როგორც სასულიერო, ასევე საერო და სამეცნიერო ნიმუშები. მარტო ეფრემ მცირეს ფილოსოფიური ტრაქტატები ღირდა ერთ რამედ. რა თქმა უნდა, მოგილოცავ ყალმუხეთში უნივერსიტეტის დაარსებას, მაგრამ არაფერი არ მიკვირს.

– მართლა?

– დიახ, მართლა.

– პუშკინმა რომ ყალმუხეთი მოიხსენია თავის ლექსში... არც ეს მოგნონს?

– დიახ, მოიხსენია, „დიკი კალმიკ...“ ასე მოიხსენია.

ტიმოფეი ბემბეევი ერთ კვირას აღარ დამლაპარაკებია.

* * *

იმხანად ძალიან მოდაში იყო გამოთქმა „На троих“. რუს მამაკაცს დღეში ცოლი აძლევდა ერთ მანეთს. ეს მას უნდა დაეხარჯა ნებისმიერად. საჭმელს, რა თქმა უნდა, სახლში მიირთმევდა. მისთვის ასი გრამი არაყი იყო დიდი ბედნიერება. მაღაზიაში ერთი ბოთლი არაყი ღირდა სამი მანეთი და შვიდი კაპიკი. ერთი მანეთით ვერაფერს იყიდდა. ამიტომ დადგებოდა მაღაზიის კარებში და პირველ შემომსვლელს თვალის ჩაკვრით ეტყოდა: „ნა ტრაიხ“. ზოგი დათანხმდებოდა, ზოგი – არა. ვინც დათანხმდებოდა, ის მის გვერდით დადგებოდა. უკვე ორი კაცი, – ორი მანეთი. არის, საჭირო იყო კიდევ ერთი მანეთი. ნებისმიერ შემომსვლელს ეტყოდნენ „ნა ტრაიხ“ და უკვე სამი კაცი ანუ სამი მანეთი მზადაა. კაპიკებსაც შეკრებდნენ და სამ მანეთად და შვიდ კაპიკად ყიდულობდნენ ერთ ბოთლ არაყს. ეს სა-

მივე არიან ერთმანეთისათვის უცხო, არავინ არავის არ იცნობს. ისინი გააერთიანა არაყმა.

შევდივარ მაღაზიაში და ერთი ლოთობაში ცხვირგანითლებული კაცი მეუბნება, – ნა ტრაიხ. ორნი არიან. მე – მესამე. ამოიღეს თითო მანეთი, დავუმატე მეც ერთი მანეთი და შვიდი კაპიკი და ვიყიდე არაყი.

მაღაზიას ერქვა „ზაბეგალოვკა“ ანუ მაღაზიაში ყველაფერი იყო, გვერდით კი იდგა მაღალი მაგიდები. მხოლოდ ფეხზე დგომით უნდა ეჭამათ და ესვათ. თუ გეჩქარებოდა, შეირბენდი, იქვე იყიდდი ბუტერბროდს და მაღალ მაგიდასთან მიირთმევდი.

მოვიტანე და შუა ადგილზე დავდგი ბოთლი. მაინტერესებს შემდეგ ამას რანაირი გაგრძელება ექნება.

ერთმა მათგანმა გახსნა ბოთლი და სამ გათლილ ჭიქაში ჩამოასხა. გამჭოლი მზერით ორ-სამჯერ გაუხედა შუშას. არაყი თანაბრად ჩამოსხმული არის თუ არაო.

აიღეს ჭიქები, ერთმანეთს შეხედეს (არავინ არავის არ იცნობს) და დიდი სიამოვნებით მიიტანეს პირთან.

ცხვირგანითლებულს ხელი უკანკალებდა. მოხდა საოცრება, პირთან მიტანილი ჭიქა დაუფარდა, დაეცა მის წინ, მარმარილოს მაგიდას და გაუტყდა. არაყი დაიღვარა.

პირველად დავინახე ლოთი კაცის გაუბედურებული სახე.

ძალიან გაუკვირდა, რომ მე ჩემი ჭიქა დაუუდგი და ვუთხარი დალიე მეთქი. ახლა დავინახე ლოთი კაცის გაკვირებული და სიხარულით გაბრწყინებული სახე.

ეს ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, იყო აღმოჩენა. ერთი წუთის განმავლობაში ადამიანს სახე ორჯერ რომ შეეცვალოს, ვერ წარმოვიდგენდი.

* * *

იმხანად ხშირად გვინვევდნენ შეხვედრებზე ქარხნებში, ფაბრიკებში, სასწავლებლებში... აფიშები წინასწარ იბეჭდებოდა.

მიგვიწვიეს BTO – „ვსესაიუნაია ტეატრალნაია ობშესტვას“ კლუბში. კლუბი გაჭედული იყო სტუდენტებით. აქ იყვნენ მომავალი მსახიობები, რეჟისორები, სცენარისტები, თეატრალური მხატვრები და სხვა. ვიყავით რამოდენიმე კურსელი. ძალიან ენაწყლიანმა წამყვანმა დაამთავრა შესავალი სიტყვა და პირველს მომცა სიტყვა. პოეტებს შორის ალფაბეტით მე მეკუთვნოდა სიტყვა, რადგან გვარი იწყება „დ“ – Джакели.

წავიკითხე რამოდენიმე რუსულად თარგმნილი ლექსი, მათ შორის იყო ლექსი „კვაშტიქედი“ (კვაშტა ჩემი სოფელია).

ტაში რომ მიწყნარდა, წამყვანმა მიმართა დარბაზს:

– აბა, შეკითხვა ვის გაქვთ, არ მოგერიდოთ.

დარბაზის ბოლოს, უკანა რიგიდან წამოდგა ერთი ცქიფურია გოგო, ტანდაბალი და ლამაზი, და დამისვა რამდენიმე შეკითხვა: 1. რა ასაკს ცნობთ ქალისას? 2. რა არის ბედნიერება? 3. რას უსურვებთ ამ შეკითხვების ავტორს?

პირველ კითხვაზე იქვე გაჩნდა სტრიქონები და ის ვუთარგმნე, „ლამაზი ქალი მაინც ჩემია, ყველა დროის და ყველა ასაკის. ლამაზი ქალი თავს მირჩევნია, რაც თავისთავი მახსოვს მას აქით.“

2. ბედნიერება არის ძიება და იმის შეგნება, რომ ყოველი საქმე ფასდება შედეგით.

3. შეკითხვის ავტორს ანუ თქვენ გისურვებთ: გიყვარდეთ, გახსოვდეთ, გჯეროდეთ, ელოდეთ...

ტაშის ინტენსივობაზე მივხვდი, რომ პასუხები მოეწონათ.

მეორე დღეს გამოვიდა მათი საუნწყებო ორგვერდიანი გაზეთი.

იქ, დარბაზში თურმე იჯდა მხატვარი. ყველა გამომსვლელის მეგობრული შარჟი დაეხატათ და დაებეჭდათ გაზეთში. მეტად სასაცილო იყო ჩემი შარჟი: ცხვირი დიდი, თავი მთლიანად თეთრი, ვარცხნილობის მიხედვით ერთი ხაზი ჩამომდიოდა გვერდით, მეორე ხაზი გადადიოდა განზე და, რაც მთავარია, ტან-

ზე მეცვა ჩოხა-ახალუხი. რადგან არა თუ ქართველი, არამედ კავკასიელი მარტო მე ვიყავი. სურათის ბოლოს კი მიწერილი იყო ჩემი ლექსის სტრიქონები.

„Ах кваштикеди, кваштикеди

Лебязи облака пливут

Мне побродившему по свету

Вы вновь дарите приют“.

გამოსვლების ყველა აფიშა ინახება ჩემთან.

* * *

იმხანად ბათუმის პედინსტიტუტში (ასე იწოდებოდა ადრე) მუშაობდა ბატონი ართილაცვა ზაბილო. ლექციებს კითხულობდა მარქსიზმში. პარტიული სკოლა ქონდა დამთავრებული. მისი თანაკურსელი იყო მალენკოვი, რომელიც სტალინმა დაასახელა მის მემკვიდრედ ორ დიდ თანამდებობაზე ერთად. ზაბილო გაფრთხილებული იყო და ამაზე არ ლაპარაკობდა.

ნამეტანი გასუქდა ბატონი ზაბილო. ექიმებმა ურჩიეს, წასულიყო კისლოვოდსკში, სანატორიუმში. იქ სამკურნალო ფიზიკულურულ ვარჯიშებს ატარებდნენ და დამსვენებლები წონაში იკლებდნენ.

წავიდა ბატონი ზაბილო კისლოვოდსკში.

სანატორიუმის ექიმმა დაუნიშნა სპეციალური ვარჯიშები. მასში შედიოდა დილით, 7 საათზე ადგომა, მრავალსაფეხურიანი კიბის ავლა, ასვლა გორაკის პატარა მინდორზე... თან ერთი პირობით, – ერთი წუთიც რომ დაეგვიანებია, არ მიიღებდნენ პროცედურაზე.

– რა უნდა ვქნა მე იქ? – კითხა სანატორიუმის ექიმს.

– იქ არის ლამაზი ზეგანი, მრგვალი მწვანე მინდორი, თავის დოზე უნდა ახვიდე, ინსტრუქტორი დაგხვდება და ის გეტყვის თუ რა უნდა ქნა. უპირველესად, – ბრძანებას უნდა დაემორჩილო.

მთელი ღამე იმაზე ფიქრობდა, რომ არ დაეგვიანებია. ამ ფიქრმა, ცხადია მოსვენება დაუკარგა. მეორე დღეს, ზუსტად შვიდ საათზე

ადგა და გულის ფანცქალით შეუყვია აღმართს ქვის კიბეებით. ავიდა დანიშნულ ადგილას. მიმოიხედა, ძალიან მოეწონა მწვანე მინდორი, ირგვლივ შემოჯარული მარადმწვანე ხეებით. მიმოიხედა. არავინ არ ჩანდა. გაიფიქრა, ალბათ მომატყუესო და დაბრუნება დააპირა. ამ დროს მოესმა მეტად მომხიბლავი, თითქმის ალერსიანი ხმა. მიიხედა და დაინახა ულამაზესი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ბიკინები ეცვა და მთელი ქვედა ტანი თითქმის შიშველი იყო.

ზაბილომ მოულოდნელობისგან თვალები დახუჭა, შერცხვა და შებრუნდა.

ქალი მივიდა ახლოს და უთხრა, ნუ გეხატრება, მე ფიზიკულურული მკურნალობის სპეციალისტი ვარ.

– ახლა რა უნდა მიქნა თქვენ მე? – და გაბედულად შეხედა. ისე მოეწონა ეს გოგო ზაბილოს, ლამის რეტი დაესხა.

ქალმა ჯოხით ჩამოხაზა მინა, ზაბილო დააყენა სწორედ ამ ხაზთან, თვითონ დადგა ერთი ნაბიჯით წინ და უთხრა: სამამდე დავითვლი და გავიქცეთ. შემოვუვლით მწვანე მინდორს, თუ დამენევი, შენი ვიქნები, რაც გინდა, ის მიქენი.

ზაბილომ ცეცხლი ჩაიყენა მუხლებში. სამის დათვლაზე ორივე მოწყდნენ ადგილს და გაიქცნენ. მისდევს ზაბილო უდიდესი სურვილით, რომ დაენიოს. ქალი სპეციალურად იმ დისტანციას იცავს, რომ ზაბილოს ეგონოს, ჰა და ჰა დავენევი. ამაოდ. მოვიდნენ დანიშნულ ადგილას. ზაბილოს სულ მცირე მანძილი დააკლდა, რომ დაწეოდა...

– დღეს ბედი არ გწყალობს, ხვალ მოსინჯეთ ბედი, სწორედ დანიშნულ დროს ამოდით...

როგორც იქნა გათენდა ის „ხვალ“. ავიდა დანიშნულ მინდორზე, მიიხედ-მოიხედა და ვერავინ დაინახა. იფიქრა იმ გოგომ მომატყუაო და გული ეტკინა. წამოსვლა დააპირა და სწორედ ამ დროს შემოესმა ბოხი, მამაკაცური ხმა. დაინახა შიშველი, ქონწასმული, გაზიმზიმებული კუნთებიანი კაცი ტრუსებში. გაკვირვებულმა ზაბილომ იკითხა, მე აქ მელოდებოდა სპორტული ექიმი ქალი.

– დღეს მე ვარ აქ და რასაც გეტყვი, უსიტყვოდ შეასრულებთ.

მინაზე ჩამოუსვა ხაზი. ზაბილო დააყენა წინ, თვითონ დადგა უკან და უთხრა, სამის დათვლაზე გაიქცევით, თუ დაგენიე, რაც მინდა, იმას გიზამ...

სამის დათვლაზე მოწყდნენ ადგილს. ზაბილო გარბის იმის შიშით, რომ არ დაენიოს ეს მზით გარუჯული, ტანზე ქონნასმული კაცი. უკან მდგომს შეეძლო ნებისმიერ დროს დაწეოდა ზაბილოს, თითქოს ჰა და ჰა, ეწევა... ამასობაში მოვიდნენ დანიშნულ ადგილას.

კაცმა უთხრა, – ბედი გქონია, რომ ვერ დაგენიე, ხვალ ამოდი.

– ისევ თქვენ იქნებით, – იკითხა იჭვიანად.

– დიახ, ის ქალი შვებულებაშია დღეიდან!

„შვებულებაშიო“ ამ სიტყვამ გული მოუკლა ზაბილოს, მაგრამ რა უნდა ექნა.

* * *

იმხანად გაიმართა ძალიან უხერხული თამაშები „ათეულთან“ დაკავშირებით. ამ ე.წ. ათეულში შედიან დავით აღმაშენებლით დაწყებული სახელოვანი მეფეები, მწერლები, ასე გასინჯეთ, წმინდანებიც.

ამ თამაშის შინაარსია შემდეგი: მთელი საქართველოს მასშტაბით ადამიანები, დიდები, პატარები ავ ზავნიან მესიჯს თუ რომელი მოსწონთ, რომელი მეფე, მწერალი ან წმინდანი. მესიჯების რაოდენობის მიხედვით ეწერებათ ქულები ისეთ პიროვნებებს, როგორებიცაა დავით აღმაშენებელი, რუსთაველი, გიორგი ბრწყინვალე, ვაჟა ფშაველა და სხვები.

ერის ისტორიამ, ერის მახსოვრობამ, ტრადიციამ შემოგვინახა განუმეორებელი ეპითეტები, მაგ: აღმაშენებელი, პირიმზე თამარი, თავდადებული, ბრწყინვალე და სხვა. ისინი ქართულმა ზეპირსიტყვიერებამაც განადიდა. მაგ. „იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“, „ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს, გაჰკრა ხელი და გახია“.

ასეთ პიროვნებებს მესიჯების რაოდენობის მიხედვით უწერდნენ ქულებს. მაგ. უიღბლო

აბიტურიენტივით ვაჟა ფშაველამ მიიღო ექვსი ქულა, სხვებმა კიდეც – სხვა.

ეს სისულელე მოიგონეს იმის გამო, რომ ბევრი მესიჯი მიეღოთ და აქედან კიდეც ფინანსური წარმატება მოეპოვებინათ. იმას კი აღარ უყურებდნენ, ამ მესიჯის ავტორები ვინ არიან, რა განათლება აქვთ, ცხოვრების რომელ სფეროს განეკუთვნებიან.

ვინც ამ ადამიანებს საზოგადოების წინაშე წარადგენს დამსახურებისა და ღვანლის მიხედვით, ქულა იმას უნდა ეწერებოდეს ამ დიდი ადამიანების მიმართ გამოვლენილი ცოდნის მიხედვით და არა თვით დიდ ადამიანებს. ე.წ. მესიჯების მიხედვით წმინდანებსაც დაეწერათ „ნიშნები“. ეს მკრეხელობაა.

მე როგორც კი ეს მოვისმინე, ამ ტელელონისძიების ორგანიზატორებს და ტელენამყვანს ელექტრონული ფოსტით მივწერე ძალიან პრინციპული წერილი. მასში მოვითხოვედი შეენწყვიტათ ასეთი უხერხული ტელეგადაცემა და მესიჯების რაოდენობის მიხედვით კი არ დაეწერათ ქულები, არამედ დაეწეროთ ქულები იმათ, ვინც გამოავლენს ღრმა ცოდნას ჩვენი დიდი ადამიანების მიმართ.

ჩემი წერილის მიღების შემდეგ ეს გადაცემა ეთერში არ გასულა. ამის შემომწმება შეიძლება ჩემი წერილის თარიღით და ტელეგადაცემის შეჩერებით.

* * *

იმხანად, ესენინოლოგმა (მეცნიერებათა კანდიდატმა) სერგეი კოშოჩკინმა კერძო საუბარში თქვა: ესენინს ძალიან უყვარდა ალ. პუშკინი. დადგებოდა ხოლმე პუშკინის ძეგლთან, ორივე ხელს აიშვერდა მაღლა და ხმამაღლა იტყოდა: შენ ალექსანდრ სერგეევინი ხარ, მე – სერგეი ალექსანდროვიჩი... მიყვარხარ.

მაიაკოვსკის ხშირად გამოაჯავრებდა ხოლმე, – მე შენზე უფრო ახლოს ვარ პუშკინთანო. ერთხელაც მაიაკოვსკი არ დარჩა ვალში და ესენინს უთხრა: შენი გვარი იწყება „ე“-თი (ესენინი), ჩემი გვარი იწყება „მ“-თი (მაიაკოვსკი).

„ე“-დან „პ“-მდე (ანუ პუშკინამდე) ათი ასობ-გერააო, „მ“-დან „პ“-მდე – პუშკინამდე სულ რაღაც ორი. შენ ათი ასობგერით შორსა ხარ პუშკინიდან, მე კი – ორი ასობგერით. „მ“-ს შემდეგ „ნო“ და იწყება „პუშკინი“.

ესენინს რაიმე უნდა ელონა და ეს მტკიცება გაებათილებინა. ამიტომ მაიაკოვსკის უთხრა: „Зато между вами есть НО“ ე.ი. ასობგერებით ახლოს ხარ მასთან, მაგრამ თქვენს შორის არის სიტყვა „მაგრამ...“ პოეზიით კი ახლოს მე ვარო.

აქ დამთავრდა მათი ხუმრობა-კამათი.

P.S. მაიაკოვსკი პაოლო იაშვილის დედიტ ძმა იყო.

მაიაკოვსკის მამა მეტყევე იყო. ახლანდელ ბალდადში მდინარის მარჯვენა სანაპიროსთან ახლოს ქონდა პატარა ფიცრული სახლი, ნანახი მაქვს. პაოლოს მამას ეცოდებოდა ვალოდიას დედა, მთელი დღე მარტოობაში რომ იყო. ამიტომ ხშირად მასთან მიდიოდა, „ეხმარებოდა“ ... მაიაკოვსკი წერდა: „როცა დავადგი ფეხი კავკასიას, მყისვე გამახსენდა, რომ მე ქართველი ვარ“.

სამწუხაროა, რომ მამით ორივე ძმამ ვლადიმერ იაშვილმა (მაიაკოვსკიმ) და პაოლო იაშვილმა კომუნისტური რეჟიმის აუტანლობის გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს. ერთმა მოსკოვში, მეორემ თბილისში.


* * *

იმხანად გავიცანი ქალბატონი ანა ჩაჩუა-ლაპა სტარჟენენცკაია. იგი საკმაოდ ასაკში იყო. თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ ახლოს იცნობდა სერგეი ესენინს. უფრო მეტიც, დაბეჯითებით ამბობდა, რომ ესენინმა თავისი მეტად პოპულარული ლექსი „შაგანე“ მიუძღვნა იმ დროისათვის მშვენიერ ანა ჩაჩუას.

მართალია, ამაზე რაიმე წერილობითი ცნობა არ გააჩნდა, იმდენად კეთილშობილი იყო, რომ მის სიტყვას ყოვლად ურწმუნოც დაიჯერებდა.

მისი და ცნობილი მხატვარი ოლგა ჩაჩუა-სელეზნეივა პატარ-პატარა საბავშვო მოთხრობებს წერდა და მე მთხოვდა მის ნაკითხვა-შემომნებას.

ორივემ, დებმა, საკმაოდ ხანდაზმულებმა დაბადების 50 წელი მომილოცეს 1978 წელს. გთავაზობთ ამ წერილს:



* * *

იმხანად მოწამე ვარ მაგისა, აზერბაიჯანელი ჩავიდა მოსკოვში. ხედავს, ქუჩებში ბევრი ლამაზი ქალია. დააპირა ვინმეს გაცნობა და მასთან ინტიმური ურთიერთობა.

იფიქრა, სკვერებში და ბაღებში უკეთესი საამისო პირობებია, რადგან აქ სკამეიკებზე სხედან, აქ ქუჩაში კი დადიან.

კინოთეატრ „რასიას“ მიმდებარე სკვერში იჯდა ერთი სიმპათიური ქალი. აზერბაიჯანელმა იფიქრა, იმ სკამეიკაზე ჩამოვჯდები და ამ გოგოს გავიცნობო.

გოგო თავჩალუნული, მონყენილი იჯდა. აზერბაიჯანელი ახლოს მიუჩორდა და ეკითხება: – დევუშკა, ფაჩემუ ტი მალჩიმ? გოგომ ხმა არ გასცა.

– მაინც მალჩიმ?

– მალჩიუ.

– ფაჩემუ მალჩიმ?

გოგომ შემოუძახა:

– ხაჩუ ი მალჩიუ. რა შენი საქმეაო.

ახერბაჯანელს ეგონა, სიყვარული უნდაო. გაეხარდა, გუნებაში იფიქრა – სიყვარული თუ უნდა, აგერ არა ვარ! და გოგოს ნიშნის მოგებით შეეკითხა:

– დევუშკა, ტი ხოჩემ და მალჩიმ, ხოჩემ?... ნუ ხოჩემ?

გვერდით სკამეიკაზე ვიჯექი და დავინახე, როგორ გაბრაზდა გოგო, ნამოხტა და მიაძახა:

– ტი მალახოლნი დურაკ!

ნავიდა.

* * *

იმხანად ავტოსარემონტო სადგურში მივედი საქმეზე. იქ ასეთ ლაპარაკს მოგვარი ყური:

კაცმა ვირი მოიყვანა, უფრო სწორად, თითქმის მოათრევს იმ ვირს, ჯიუტობდა.

მოხელემ შეხედა კაცს და კითხა, – რა გინდათ?

– ამ ვირის საქმეა ცუდად, ბატონო – უპასუხა კაცმა.

– მერე? აქ რატომ მოიყვანე?

– სამატორმაჟენია აქვს, ბატონო. ხანდახან ისე გაჯიუტდება, რომ ადგილიდან ფეხს არ დაძრავს. თვითდამუხრუჭება დაემართა.

მოხელეს გაეცინა და კითხა:

– ფული გაქვს, რომ გადამიხადო?

– ცოტა მაქვს, ბატონო. გადაგიხდი.

მოხელემ ათესლებული, ძალიან მწვავე ჭინჭარი ვირს უკანა ფეხებს შუა სუსტ ადგილებში ამოუსვა და გაიღიმა.

მასე არ უნდაო და... ვირი მოწყდა ადგილს, და გაიქცა, თითქოს ცეცხლი ეკიდა.

პატრონმა დაიჩივლა, – მაგას სად უნდა დავენიო, დამეკარგება ეგ ოხერიო.

– მოდი აქ, – უთხრა მოხელემ. მივიდა.

ვირის პატრონსაც ამოუსვა იგივე ჭინჭარი ლაჯებშუა და უთხრა: ახლა დაენვიო.

კაცი გაიქცა. მაგრამ რა გაიქცა, გრიგალი ვერ დაენვოდა.

მოხელეს ცეხის გამგემ კითხა, – ფული გამოართვი?

– ვერ მოვასწარი, ბატონო.

ცეხის გამგემ მოხელესაც ისევე ამოუსვა ჭინჭარი და უთხრა, – დაენიე და ფული გამოართვიო.

მოხელეც ცეცხლნაკიდებულებით გაიქცა.

ვირი, ვირის პატრონი და მოხელე დღესაც გარბიან.

ცოტა ხანში სახელოსნოში ობობას მარკის ავტომანქანის მძლოლი მოვიდა და დაიჩივლა, მანქანაში საიდუმლო მოსასმენი აპარატი გამოიფუჭდა და რაიმე მიშველეთო. გიშველიო, – უთხრა ცეხის გამგემ და სასქესო ორგანოზე დაიდო ხელი, – აგერ მაქვს, ბატონო, აპარატი, ნაილე და იხმარე, ცოლსაც ახმარე...

ეტყობა, ისე მოენონა ეს „აპარატი“, რომ კედლებზე პენისის ხატვა დაიწყო.

* * *

იმხანად დიდი თანამდებობის პირებს ისეთი დაცვა არ ჰყავდათ, როგორც ახლა ყავთ დიდ და პატარა თანამდებობის პირებს. მიკვირს, რაოდენ დიდი თანხები იხარჯება პირადი დაცვისათვის. ამაზე რატომღაც არავინ არ ფიქრობს.

დაცვასთან დაკავშირებით ორი ფაქტი მინდა გავიხსენო, იქნებ დაიზოგოს ასიათასობით ბიუჯეტის თანხები...

მოსკოვში ვარ და თითქმის დიდი და მცირე „კალცევიას“ სადგურები მოვიარე. ამჯერად დავინტერესდი „ლენინის გორების“ (Ленинские горы) ნახვით. კარგი სანახავია...

შევუდექი აღმართს. იქ მანქანები იშვიათად გამოჩნდებიან. გავიხედე, დაღმართზე, ეტყობა გასასეირნებლად, დასვენების მიზნით, მოდის საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოსიგინი. დაახლოებით ორმოცდაათ მეტრში ერთი ჩვეულებრივად ჩაცმული კაცი, დაღმართზე იმავე სიღინჯით მოდის,

როგორც კოსიგინი. არაფრით არ განსხვავდებოდა ჩაცმულობით, არც რაიმე იარაღი არ შეინიშნებოდა. ალბათ ეს იყო იმხელა იმპერიაში მეორე კაცის კოსიგინის სიმბოლური დაცვა.

დაცვა სჭირდება დამნაშავეს!..

* * *

მეორე შემთხვევაც ანალოგიური იყო. ერთგან ვთქვი და გავიმეორებ, იმხანად პოლიეთილენის პარკები არ იყო, საბაზროდ და სამალაზიოდ ატარებდნენ პატარა, მოქსოვილი ბადურების ჩანთას.

გორკის ქუჩაზე, დაახლოებით მაიაკოვსკის მოედანთან, ვხედავ, მოდის... კალინინი. ბადურის ჩანთა მკლავზე აქვს ჩამოკიდებული, ბადურაში ამკარად ჩანს ერთი ცალი ბატონი (პური) და გაზეთი „პრავდა“. მიდის დინჯად, ჩვეულებრივად, სიმპათიურად, აუჩქარებლად, ყოველგვარი შიშის გარეშე.

მე მისი დაცვა არ შემინიშნავს.

პენსიონერი კალინინი თავისუფლად მიდიოდა ქუჩაში. ეტყობა ყოველგვარი დაცვის გარეშე.

* * *

იმხანად, კერძოდ, გასული საუკუნის 70-იან წლებში, მოსკოვში გაჩნდა პოლიტიკური, გაბედული ხუმრობა. მიდის მოქალაქე კიოსკში, სადაც გაზეთები იყიდება და გამყიდველს ეკითხება:

– „Правда“ есть?

– Продана...

– „Известия“?

– Нету.

– А что есть?

– Остался только „Труд“. Хочешь не хочешь „Труд“!

მობრუნდა და მის უკან მდგომს სიცილით და ნიშნის მოგებით ეუბნება – „პრავდა“ გაყიდულია, „იზვესტია“ არ არის, დარჩა მხოლოდ „ტრუდ“ – შრომა. განყოფილება არ განყოფილება, ესაა, უნდა შეეგუო მდგომარეობას...

* * *

იმხანად ანეკდოტი ვ.ი. ლენინზე საერთოდ არ იყო. ცოტა მოგვიანებით გაჩნდა ასეთი ანეკდოტი...

ლენინს ეუბნებიან:

– ვლადიმერ ილიჩ, გეყოფათ ამდენი მუშაობა, გავისეირნოთ, ცოტა დავისვენოთ და კარგია, ნუ გეფიქრებათ, ეგ თქვენი „მატერი-ალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ არსად არ გაგასწრებთ, გასეირნებიდან დაბრუნდებით და ისევ დაინწყებთ წერას, უფრო უკეთესად გაიაზრებთ, გავისეირნოთ.

– მაშ დავისვენოთ, გავისეირნოთ?

– დიახ, ბატონო.

– გავისეირნოთ, მაგრამ არა ისეთ შლიუხებთან (მეძავეების) ერთად, როგორცაა ზინოვიევი, კამენევი...

* * *

იმხანად ძალიან ხშირად ეწყობოდა მოსკოვის ლიტინსტიტუტის პოეზიის საღამოები, შეხვედრები. მოგვცეს ერთთვისანი შემოქმედებითი მივლინება ქალაქ ლენინგრადში. ახლანდელ პეტერბურგში. დაინიშნა წასვლის დღე. როგორც იტყვიან, как назло, სწორედ წასვლის დღეს მომინია კბილის ამოღება. ვიფიქრე, რალა ჩამოვრჩე, საღამომდე, – მატარებლის გასვლამდე მომიშუშდებოდა ტრავმირებული ნუნი. ასეც მოხდა, მაგრამ კუპეში მაინც მომინია კონიაკის დაღვევა. პოეტესა სვეტლანა კუზნეცოვას სადღეგრძელო იყო და როგორ არ შევხმიანებოდი. მითუმეტეს, აუდიტორიაში სწორედ ჩემს უკანა მერხზე იჯდა და მუხლები ჩემკენ ქონდა მობჯენილი... კონიაკის გამო ახლად მოშუშებული ნუნი ისევ მოიშალა. ამ პრობლემამ თითქმის მთელი ღამე მაბოროიალა.

* * *

ახლადდანიშნული იყო ჩქარი მატარებლის რეისები. მატარებელი ისე ჩქარა მიმოდიოდა,

რომ ამ რკინიგზის მატარებლებს პოეტურად უწოდეს: *Лайнер стальных дорог*.

როცა იგეგმებოდა მოსკოვი-ლენინგრადის რკინიგზა, მოვიდნენ თურმე პეტრე პირველთან და კითხეს, რომელ სადგურებში უნდა ყოფილიყო გაჩერება, რა მიმართულება უნდა გაეთვალისწინებინათ და რამდენი მოსახვევი უნდა ყოფილიყო.

იმპერატორმა მარცხენა ხელის იდაყვი დადო მაგიდაზე. ხელი დაიჭირა ვერტიკალურად. ცერი გაიშვირა განზე და ხელის მტევანს სახაზავი ცერისაკენ ჩამოუსვა. სახაზავმა მხოლოდ ერთი კუთხე უჩვენა ცერზე გასმით. ამით უსიტყვოდ ანიშნა იმპერატორმა, რომ მხოლოდ ერთი ბლაგვი კუთხით უნდა გაემართათ რკინიგზა.

ასეც მოიქცნენ. მხოლოდ ამ ერთ კუთხეში უკლებს სიჩქარეს მატარებელი და მერე მთელი ენერგიით მიისწრაფვის...

ლენინგრადში თეთრი ლამეები დაგვხვდა. ეს თეთრი ლამეები ისეთივეა, როგორც სამხრეთში, თუნდაც ჩვენთან ადრე სალამოები.

ჩავედით.

ერთ-ერთ სასტუმროში, რომელიც მე მომიწია, ადმინისტრატორმა, ლენინგრადში დაბადებულმა და გაზრდილმა და გარუსებულმა სომეხმა გოგომ, მისი საყვარელი ნომერი შემირჩია, უარი არც მას უთქვამს რამეზე და არც მე...

თეთრი ლამეების დროს საათი აწესრიგებს ქალაქის დაძინება-გაღვიძებას. მეც დავუჯერე საათს, დავწექი სათანადოდ მიღებულ დროს, მაგრამ... გავიხედავ ფანჯარაში – დღის სინათლეა. არა და არ დამეძინა. მიჩვევამდე, 9-10 დღე უძინარი დავდიოდი.

* * *

რადგან ზემოთ იმპერატორზე გვქონდა ლაპარაკი, გავიხსენებ ერთ გადმოცემას – ერთმა უბრალო მუშამ იმოძენა ალლო გამოიჩინა, რომ იმპერატორის დავალება დროზე და კარგად შეასრულა. იმპერატორს ძალიან ესიამოვნა ეს ამბავი და მუდმივად დაუნიშნა დღეში ერთი რიუმკა არაყი უფასოდ. საამისო ქალაქადი

მისცა. რამდენიმე ხანში ეს ქალაქი დაეხია. მივიდა იმპერატორთან და შესჩივლა – შენი მოცემული ქალაქი დამეხაო.

მაშინ იმპერატორმა ბრძანა ამ კაცისათვის ყელზე გაეკეთებინათ პატარა ნიშანი, სვირინგი. ეს მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში ექნებოდა. ისიც შევიდოდა დუქანში, ნკიპურტს ყელზე მიირტყამდა და ამით ანიშნებდა, რომ ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფულის გადაუხდელად დალევს არაყს. ასე დარჩა ეს ტრადიცია აქამდე. ყელს მოიღერენ, ნკიპურტს მიირტყამენ და ამით ანიშნებენ მეტუფეტეს, რომ ასი გრამი არყის დალევა სურთ. ეს ასე დამკვიდრდა. თუმცა არ იციან, თუ მიანიშნება როდის დაწესდა და რატომ.

* * *

იმხანად, ორჯერ მქონდა შემოქმედებითი სიხარულის განცდა. ერთი, რომ „ამერიკის ხმამ“ ორ ნაწილად გადმოსცა რომან „მუჰაჯირის“ მიმოხილვა, ანოტაცია და ზოგადი შთაბეჭდილებები. მეორეჯერ, გამახარა პატარა, ღია ბარათმა, რომელიც მივიღე ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკიდან. მწერენ, „გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი 1958 წელს გამოცემული რჩეული ლექსების ნიგნი 2 ეგზემპლარი. „На это издание поступила заявка из США“ ე.ი. ამერიკის შეერთებული შტატებიდან თხოვეს, გაეგზავნათ ჩემი დასახელებული ნიგნი. ვიგრძენი შემოქმედებითი სიხარული. ყველას ვუსურვებ ასეთ სიხარულს. ეს ღია ბარათი ინახება არქივში.

* * *

აქვე შეიძლება ითქვას, რომ ახალციხის სამხარეო მუზეუმის ბიბლიოთეკას ჩემი სხვადასხვა დასახელების ნიგნის ოთხმოცი ეგზემპლარი გავუგზავნე: პოეზიის რჩეულები, პოეზიის ერთტომეული, პროზის მეორე და მესამე ტომები, რომანები „გიორგი ბრწყინვალე“, „ქართული დიადემა“, „კაეშის ღამის სანთელი“, „აღმართი მარადიული მშვენიერების“,

ლექსების ცალკეული კრებულები, საინტერესო საარქივო მასალები და სხვა.

ამასწინათ, წიგნების რამდენიმე ეგზემპლარი გადავეცი აგერთვე ბათუმის ა. წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას.

* * *

იმხანად, გიორგი (ჟორჟიკა) ციციშვილი, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორი იყო. გიორგის ძალიან უყვარდა რუსეთი. როგორც მისი უფროსი თაობა, წინაპრებიანად ლაპარაკობდნენ რუსულად. ისინი ძალიან ხშირად მოიხსენიებოდნენ, როგორც ციციანოვები, – რუსული გვარების დაბოლოების შესაბამისად.

გიორგი ციციშვილი იყო ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის (ასე იწოდებოდა მაშინ) სამეცნიერო საბჭოს წევრი. დისერტაციის დაცვის საბჭოში ის იყო საკმაოდ

მიჩნეული, მეტადრე მათთვის, ვისაც მის ჟურნალში დაბეჭდვა სჭირდებოდათ.

იმხანად, ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობდი. ჩემი სადისერტაციო თემა დაამტკიცა თბილისის დასახელებლი ინსტიტუტის ხალხური შემოქმედების განყოფილებამ და შესაბამისად ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ. ჩემი თემა მოიცავდა მიხეილ ლერმონტოვისა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას, მის ხალხურ საწყისებს, ხალხურ პოეტურ ტრადიციებს... აქ მუშაობის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი აღმოსავლურ მოარულ სიუჟეტებს.



ერთ-ერთი სამეცნიერო ექსპედიციის დროს მოვიპოვე არაბული დამწერლობით გამოცემული თურქულენოვანი „აშიკ ყერიბი“, – პატარა წიგნი.

მაშინ ჩემთვის ცნობილი იყო მ.ი. ლერმონტოვის წიგნი „Ашик Кериб“.

უცხოენოვანი წიგნი ვათარგმნინე და შევადარე მ. ლერმონტოვის დასახელებულ წიგნს. მათ შორის იყო უდიდესი მსგავსება. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააძლიერა კვლევისადმი ინტერესი. გამოირკვა, რომ თბილისში სტუმრად მყოფი ლერმონტოვი გაიცნო იმ დროს თბილისში მცხოვრებმა აზერბაიჯანელმა პოეტმა მირზა ფათალი ახუნდოვმა და მოუყვა აღმოსავლური ხალხური თქმულება „აშიკ ყერიბი“.

აღმოჩნდა, რომ პირველი მოსმენით რაც დაიმახსოვრა ლერმონტოვმა, მოეწონა და გადაიტანა ქალაღზე. ლერმონტოვის სიკვდილის შემდეგ მის გამომცემლებს ეს მისი ორიგინალური ნაწარმოები ეგონათ და საბავშვო ეგიდით გამოსცეს იგი მილიონი ეგზემპლარი.

დაცვის დროს, ჩემს შესავალ სიტყვაში, სხვა სიახლეებთან ერთად, ეს ფაქტიც ვახსენე. დაცვას ესწრებოდა ორმოცი დოქტორი, პროფესორი და აკადემიკოსი. მათ წინაშე ხაზგასმით ვთქვი, რომ „აშიკ ყერიბი“ არ არის მიხეილ ლერმონტოვის ორიგინალური ნაწარმოები და მისი შემოქმედებიდან იგი უნდა გამოირიცხოს-მეთქი.



დარბაზში გაჩნდა იჭვიანი გადალაპარაკებები, ყველას გაუკვირდა. ამ დროს ადგა „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთვარი რედაქტორი და თქვა: „ჩვენ ამ ფაქტით რუსებს ვერ გავაღზიანებთ და ვერ ვანყენინებთ, იგი უდიდესი ტირაჟით გამოიცა. მთელი ქვეყანა დარწმუნებულია, რომ ეს ნაწარმოები ეკუთვნის მიხეილ ლერმონტოვს. მტკიცებულება დისერტანტისა გვაქვს, მაგრამ კონკრეტული ფაქტი სახეზე არ არისო.“

მე მაშინ ამოვიღე ჩანთიდან არაბული შრიფტით თურქულ ენაზე გამოცემული წიგნი „ამიკ ყერიბი“ და ვთქვი, კონკრეტული ფაქტი აგერაა-მეთქი და მთელ დარბაზს ვაჩვენე.

დარბაზი ინტერესმა მოიცვა. მე ეს წიგნი გადავანოდე სხდომის ხელმძღვანელს აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს და მისმა თანხმობის დუმილმა ყველა განანყო დადებითად. ამ პატარა წიგნმა ცოტა ხანში მთელი დარბაზი მოიარა. მე ისლა დამრჩა, რომ ციციშვილისათვის შემეხსენებია მეტად საინტერესო ლათინური სიბრძნე: „Amikus plato sed magia amika veritas“, რაც იკითხება ასე: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია!“

გ. ციციშვილს ხმა აღარ ამოუღია, დასასრულ კენჭის ყრის დროს მომცა დადებითი შეფასება.

მოარულ სიუჟეტზე შექმნილი ეს პატარა წიგნი ჩემს არქივში ინახება. თუ ვინმე დაინტერესდება, დიდი სიამოვნებით ვაჩვენებ.

* * *

იმხანად ბათუმში, თამარის დასახლებაში, ახლად გახსნილი იყო ჭადრაკის სასახლე. იგი მალე პრესტიჟულ სასახლედ იქცა. იქ ტარდებოდა შეჯიბრებები, საჭადრაკო ტურნირები, შეხვედრები, ხოლო დიდ საბანკეტო დარბაზში ტარდებოდა ნიშნობები, ქორწილები, ცეკვები... (ახლაც ასეა).

ჭადრაკის სასახლე არქიტექტურულად საკმაოდ საინტერესოა თავისი დარბაზებით.

პირველ სართულზე, დაახლოებით კიბეებთან ახლოს, იატაკზე დახატულია ჭადრაკის

დაფის უჯრედები, მასზე განლაგებულია ჭადრაკის მეტად დიდი სიმბოლური ფიგურები. მათი გადაადგილება ცალი ხელით ზოგჯერ ჭირს.

ბათუმს ეწვია ფიდეს პრეზიდენტი. შეხვედრა მოეწყო ჭადრაკის სასახლეში, იქ მსურველებმა სიმბოლურად გაითამაშეს თითო პარტია. მე მომინია თამაში მოჭადრაკე გურამ ჭანტურიასთან.

ფოიეში მე და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი გვერდიგვერდ აღმოვჩნდით. ისე ავიარეთ სართულები. ნონა ძალიან ნიჭიერი ქალბატონი და ძალიან კარგი მოსაუბრეა. მე უცებ ხუმრობის ხასიათზე დავდექი და ვუთხარი:

– ნონა, ჭადრაკი უნდა გეთამაშო, რას იტყვი?

ნონა მცირე ხნით ჩაფიქრდა, მერე გაიღიმა და მითხრა:

– ყაიმი განყოფთ?

მე განგებ დაბეჯითებით ვუთხარი:

– ძვირფასო ნონა, მე ქალებთან ყაიმი არ მანყოფს. მათთან ყოველთვის ვიგებ...




ნონამ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და თქვა:

– მე კაცებთანაც მითამაშია...

* * *

იმხანად მოგზაურობით ვიყავი გატაცებული. ამ სურვილით შემოვიარე კავკასიონის ირგვლივ (ნიშანდობლივია, რომ „კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის“ ნამდვილი ნევრის, აკადემიკოსის ტიტული მომანიჭეს დიპლომით „Gold right hand“ (ოქროს მარჯვენა) და დიდი ოქროს მედალი). აგრეთვე იმავე ხანებში მომანიჭეს ერევნის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ნოდება სათანადო დიპლომით.

კავკასიონის შემდეგ იყო კარპატები, ტატრები, დასავლეთი უკრაინა ჟიტომირიდან ოდესამდე, დასავლეთი ყირიმი აღმოსავლეთთან ერთად, საზღვარგარეთ, რუმინეთი, ბულგარეთი... ამ მოგზაურობის დროს გემზე გამოცხადდა კონკურსი ევროპულ ცეკვებში. მივიღე



მონაწილეობა, გავიმარჯვე, დამაჯილდოვეს ზღვათა მპყრობელის ნეპტუნის დიპლომით.

ყოველ ადამიანს აქვს სამი ძირითადი და ძლიერი ცნება: სამყაროს შეცნობა, სიყვარული და მოგზაურობა. არ მეგულება ადამიანი, რომელსაც მეტნაკლები სიძლიერით ეს ვნებები არ ქონდეს. მართალია, ყველაზე ძლიერი ვნება არის შიშმილით აღსრულების შიში, მაგრამ დასახელებული სამივე ვნება ყველა ადამიანში არის კოდირებული.

იმას ვამბობდი, მოგზაურობით ვიყავი გატაცებული. ამ მხრივ საქართველოს მთიანეთიც თავის სიტყვას ამბობს, მეტადრე ყაზბეგის რაიონი, სვანეთი და სხვა.

გემი „აჭარა“ კრუიზს ასრულებდა „ბათუმი-ოდესა“. ერთხელ ბათუმში ლუზარაშკებულ „აჭარას“ „ვესტუმრე“. კრუიზის ხელმძღვანელი იყო ულამაზესი თეთრი გოგო, სახელად ლიუდა. წარმატებით გავიცანი. მასაც სიამოვნებდა ჩემი გაცნობა. რამდენჯერმე ჩამოვიდა.

მაცნობებდა როდის მოადგებოდა გემი ბათუმის „პრიჩალს“ და მელოდა.

არაჩვეულებრივი კაიუტა-კაბინეტი ჰქონდა... განშორება ყოველთვის იყო მტკივნეული. ერთხელ განშორებისას იტირა. ტირილიც შევწინოდა ლიუდას. გემმა ამოიღო ლუზა და ნელ-ნელა მოსცილდა ნაპირს.

რატომღაც გული დამწყდა, რომ წავიდა. ის იყო 1970 წელი. გულმა აღარ მომიტმინა, ან-ზორ ზამბახიძეს „ნამოვავლე“ ხელი, ჩავსვი მანქანაში და „გავფრინდი“ სოხუმისკენ, რომ გემისთვის ჩამესწრო და ერთხელ კიდევ მენახა ლიუდა.

დროზე ადრე ჩავედით სოხუმში. ხაშის ქა-
მაც მოვასწარით და გავედით „პრიჩალზე“. გე-
მი ცხრა საათზე მოადგება ნაპირს.

გემის გაჩერებისთანავე მგზავრები გამო-
ეფინენ გემბანზე. გამოვიდა ლიუდაც. რომ და-
მინახა, ძალიან გაუკვირდა. ასეთი განცვიფ-
რებული სახე იშვიათად თუ მინახავს. მე წაუ-
კითხე სერგეი ესენინის ლექსის ერთი სტროფი:

„До свидания, друг мой, до свидания,
Милый мой, ты у меня в груди,
Предназначенное расставание
Обещает встречу впереди“.

* * *

იმხანად, 1958 წელს, გამოიცა ჩემი პირვე-
ლი პროზაული ნაწარმოები „განცდილი დღეე-
ბი“, ამავე წელს პირველი იანვრიდან დაარსდა
ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „ლი-
ტერატურული აჭარა“. დაარსების პირველი
დღიდან, იანვრის პირველი რიცხვებიდან, მე
დავინიშნე ამ ჟურნალის თანამშრომლად.

როგორც გაზეთის რედაქციაში, ასევე გა-
მომცემლობაში, მოდაში იყო მხატვარ-რედაქ-
ტორის მიერ წიგნში დასაბუჭდი სურათის რე-
ტუშირება.

ჩემი ტრაგიკული სიყვარულის გამო იმდე-
ნად შევწუხდი და ვინერვიულე, რომ ერთ ღა-
მეზე გამითეთრდა თმები. „განცდილ დღეე-
ბში“ დაიბეჭდა ჩემი სურათი, რომელშიც მხატ-
ვარ-რეტუშორის მიერ თეთრი თმები მთლიან-
ად გაშავებული იყო.

სამსახურში, ერთ მშვენიერ დღეს შემოვი-
და ერთი ლამაზი გოგო. რომლისთვისაც მი-
ესწავლე ბინათ რედაქცია, სადაც ვმუშაობდი.
რედაქციაში მუშაობსო, მარტო ზის კაბინეტ-
შიო – უთქვამთ და რაკი იქ სხვა არავინ იყო,
იფიქრა, ალაბთ ეს არააო ჯემალ ჯაყელი.

– მობრძანდით, – ვთქვი მე.

– არა, ბატონო, მე ჯემალ ჯაყელი მინდაო.

რაკი დავინახე, ხელში ეჭირა ჩემი წიგ-
ნი „განცდილი დღეები“, რაკი ერთი-ორჯერ

გადაშალა გარეკანი, დახედა სურათს და შე-
მომხედა მე, მივხვდი, მეტად გაუკვირდა ჩემი
თეთრი თმები. მე დამამშვიდებლად, ოდნავ
ლიმილით ვუთხარი, – გასულია, შემოიარეთ
ნახევარ საათში და დაგხვდებათ-მეთქი.

წავიდა იმ იმედით, რომ ნახევარ საათში მო-
ვიდოდა და იქ დახვდებოდა „ჯემალ ჯაყელი“.

ვიფიქრე, ჩემი კოლეგებიდან მანამდე ვინმე
მოვა, აქ დავაჯენ და ვეტყვი – ესაა, მოვიდა-
მეთქი.

მობილური ტელეფონები მაშინ არ იყო,
რომ დამერეკა ვინმესთვის, ვერც გავიდოდი
– რედაქტორის დავალებას ვაკეთებდი. ამას-
ობაში ის გოგო მოვიდა. რაკი დაინახა, რომ
იქ ისევ მე ვიყავი, დანანებით თქვა, – აფსუსს,
თქვენ ყოფილხართ ჯემალ ჯაყელიო... ისევ იმ
„შავთმიანს“ დახედა და წავიდა.

მერე გავიგე – სტუდენტი ყოფილა. სადაც
შემხვდებოდა ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდა.

ბოლოს მაინც „დავიჭირე“ და მოუწყვევი ერთ
დღელამეში ჩემი თმის გათეთრების მიზეზი.

უდიდესი თანაგრძნობა გამოხატა და ბო-
ლიში მომიხადა. მერე აღარ „შევეუშინებია“
ქალარა თმებით. მოდიოდა ხანდახან. წასცადა,
რომ ისიც ლექსებს წერს. ამ აღმოჩენამ გაალო
ყველა კარი...

* * *

იმხანად ანალოგი არ მოექმნებოდა ევრ-
ოპულად გამოწყობილ, ქათქათა პერანგზე შა-
ვი, ლამაზი ბაფთით დმშვენებულ... მონადირეს.

პირდაპირ გეტყვით, მონადირეთა კავშირის
წევრად მიმიღეს და მითხრეს, წიგნაკში ჩასაკ-
რავად პატარა სურათი მოიტანეო. სანადი-
რო თოფის ყიდვა მაღაზიის დაკეტვამდე უნ-
და მომესწრო და სურათის გადაღებისათვის
დროს ვერ დავკარგავდი. ავირბინე სახლში,
გადმოვანყე სურათები ალბომებში, ვერა და
ვერ ვნახე პატარა სურათი, ისეთი, როგორიც
გამოდგებოდა მონადირეთა კავშირის წევრო-
ბის ბილეთში ჩასაკარვად, ვნახე ერთადერთი
საჭირო ზომის სურათი, ისიც... ბაფთით!

სასწრაფოდ მივიტანე მონადირეთა კავშირში. ცოტა ეუხერხულათ ასეთი სურათის ჩაკვრა წიგნაკში, მაგრამ ხათრი აღარ გამიტეხეს. შეავსეს და მომცეს წიგნაკი – მონადირე ევროპულად ჩაცმული, ბაფთიანი.

იმ დღეს შევიძინე პატრა 30 კალიბრიანი სანადირო, უფრო სწორად, საჩიტე თოფი. ალბათ იკითხავთ, რა ცეცხლი ეკიდებოდა სიჩქარისა, რომ ერთ დღეს ვეღარ მოითმინა სურათის გადაღებისთვის.

გაგიმხელთ. რომანზე ვმუშაობდი, ვწერდი მოზღვავებული ენერგიით, ძალიან ვიღლებოდი, ფეხზე ძლივს ვდგებოდი, მაბრუებდა საათობით ჯდომა და წერა. ექიმმა ადრევე მირჩია, შენთვის საჭიროა ყოველდღიური მძაფრი შეგრძნება, რომ გამოგიყვანოს მაგ მდგომარეობიდანო, კარგი იქნება, ნადირობას თუ დაიწყებო.

ჩიტს როცა ვუმინებდი, გული მიკანკალებდა, არიქა, არ დავაცილო ან არ გაფრინდეს, მოვასწრო გასროლა მეთქი. ხოლო როცა ჩიტი ვარდებოდა, მისი საცოდაობით ვივსებოდი.

ნადირობის პროცესი და მისი შედეგი, ორივე ერთად ჩემთვის იყო განტვირთვის უებარი საშუალება. სწორედ ის მანიჭებდა ე.წ. მძაფრ შეგრძნებას, „острые ощущения“-ს რომ ეძახიან რუსულად.

ის პატარა თოფი ახლაც მაქვს.
ეს იყო 1958 წელს...

* * *

იმხანად ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, გამგზავნეს ქედის საშუალო სკოლაში ლიტერატურის მასწავლებლად. ვასწავლიდი მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე კლასებს. მეათე კლასში სწავლობდა ქედის რაიკომის პირველი მდივნის ვლადიმერ კიკვაძის ქალიშვილი – ციური კიკვაძე. ამ გოგოს ყველა მასწავლებელი თავზე ევლებოდა რაიკომის პირველი მდივნის ხათრით და შიშით.

...იმ დღეს შეიძლებოდა ციურისათვის ფრიადის დანერა, მაგრამ მაინც არ დაუწერე. მასწავლებლები პირდაღებული მიყურებდნენ.

ეს რა ქნა, როგორ გაბედაო. მე გუნებაში მეცინებოდა.

ციური ფრიადოსანი იყო და ოთხიანის დანერამ ძალზე ცუდად იმოქმედა მასზე. სახლში ატირებული მივიდა. მამამისი ეკითხება, – რა მოგივიდა, რა გატირებსო. გოგომ უთხრა, რომ ფრიადს ველოდი, მაგრამ ოთხიანი მივიღეო.

მამამისი გაბრაზდა და სკოლის დირექტორს სამსონ საჯაიას დაურეკა, – ჯეშალ ჯაყელი მოვიდესო. დირექტორმა მითხრა, – ვლადიმერ კიკვაძე, გიბარებსო. გავხალისდი, მაინტერესებდა, რას მეტყოდა, კანონით მასწავლებლის გადაწყვეტილებას მოსწავლის ცოდნის შეფასებაში, ვერავინ ჩაერევა.

მივედი რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტის კარებთან, პირად მდივანს ვუთხარი – მიბარებს-მეთქი.

შევედი. კარებთან დავდექი და ველოდები ბრძანებას.

– დაჯექი, – თქვა და გაჩუმდა.

მეც დავჯექი მის მაგიდასთან ახლოს.

ის მე მიყურებს, მე მას ვუყურებ. ასე გაგრძელდა ლამის ხუთი-ექვსი წუთი.

– შეიძლება წავიდე? – ვთქვი მე.

მცირე ღუმილის შემდეგ თქვა:

– წადი.

წავედი. იმ დღეს იქ სიტყვა არ თქმულა.

* * *

ჩვენი ღუმილის შეფერილობის მიხედვით თითქმის ანალოგიური რამ მოხდა გაზეთის რედაქტორ ვახტანგ წულუკიძესა და ჩემს შორის.

მივედი რედაქციაში. კარებზე დავაკაკუნე, ხმა არავინ გამცა, შევალე კარები და გავჩერდი. რალაცას კითხულობდა. იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა მისი დიდკაცობა და მოუცლელობა, კითხვას თავი არ დაანება, ერთი შემომხედა და კითხვა გააგრძელა.

არაფრად არ ჩავადგე მისი „პომპეზურობა“. მივედი მაგიდასთან, ავიღე გაზეთები და ვკითხულობ. ცოტა ხნის შედეგ გაკვირვებით

შემომხედა, რატომ ხმას არ ვიღებ ან რატომ მივედი.

მე ფეხი ფეხზე გადავიდე და ვაგრძელებ გაზეთის კითხვას. დაახლოებით თხუთმეტ წუთამდე არცერთს ხმა არ ამოგვიღია. მე გაზეთი დავკეცი, ავდექი, ღიმილით შევხედე და წამოვედი.

მერე მითხრეს, – ასე თქვა ვახტანგ წულუკიძემ, ჯემალ ჯაყელი მოვიდა, თითქოს ჩემი კაბინეტი ქოხსამკითხველო იყოს, გაზეთები წაიკითხა და ისე, ხმის ამოუღებლად წავიდა, მასხრად აგვიგდო.

– თქვენ რა უთხარით, – ეკითხება მოადგილე.

– ხმა არ ამომიღია...

– სამაგიერო გადაგიხადათ, მანაც ხმა არ ამოიღო და ღიმილით წავიდა.

* * *

იმხანად კინომსახიბ ბათო კრავეიშვილს მადარებდნენ. მეც ჩავიცვი და გამოვიპრანჭე ისე, როგორც ფილმში ბათოს ეცვა და ფანჯარაში გადმომდგარი შეყვარებულ გოგოს სერენადას უმღეროდა. სიმღერისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სარკის წინ დავდექი და თავის თავს დავაკვირდი, ვთქვი, რითი ვგავარ კინომსახიბ ბათოს. თავის თავი დავარწმუნე, არავითარი მსგავსება, მე ვგავარ ჯემალ ჯაყელს. მორჩა და გათავდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გააქტიურდა ახალი კომპლიმენტები, – თქვენ ჩვენი ალენ დელონი ხართო. ჩემმა ექიმმა ნ.თ.-მ მითხრა, – ნამდვილი ალენ დელონი ხართო. ეს ხუმრობა-კომპლიმენტი გაძლიერდა მეტადრე მაშინ, როცა ეს დიდი პიროვნება ალენ დელონი ჩამოვიდა თბილისში.

– რა მაინცდამაინც მსახიობებს მადარებთ-მეთქი...

– მხედველობაში გვაქვს თქვენი გარეგნობა, ის რომ ხართ *сблазнительный* ქალების მაცუთუნებელი. რაც დაადასტურა თქვენმა ბოლოდროინდელმა ლექსების წიგნმა „მაცუთუნე, ევა“. გამახსენდა მოსკოვური გამორჩე-

ული კომპლიმენტი: თქვენ ხართ პოეტი ვნების მაჟორით.

მხოლოდ ერთმა პოეტმა მითხრა განსხვავებული სიმართლე: „ჩვენს შორის ყველაზე მეტად შენ გავხარ მწერალსო.“

* * *

იმხანად მწერალთა კავშირში ვმუშაობდი. კარებთან მოვიდა ერთი მალალი, ლამაზი გოგო და ჩემს პირად მდივანს ეკითხება:

– თავმჯდომარე აქ არის?

მდივანმა შემოალო კარები და მითხრა:

– სტუმარია თქვენთან.

– შემოვიდეს!...

შემოვიდა ერთი გოგო. ისეთი მიმზიდველი იყო, ერთი კიდევ შევხედო, – გაიფიქრებდი.

სახელი და გვარი მითხრა. აქ მხოლოდ მის სახელს გეტყვით, – ხათუნა! მითხრა, აღსარება მინდა ჩაგაბაროთ, იქნებ გულზე მომეშვასო.

ეს გოგო ვილაცას შეეცდინა, ახლა თავისი გარეგნობით აღფრთოვანებული სხვა თხოვს ცოლობას. ამას კი ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. რამდენიმე შემთხვევა იყო, გათხოვილი გოგო მეორე დღეს რომ მიატოვეს. ეს მომაკვდინებელი სირცხვილიაო, – თქვა. არ მინდა მეორეჯერ გავუბედურდეო.

მე მას დავუყვავე, მოვეფერე, ვესაუბრე, დავარწმუნე და... ახლა ის გოგო ბედნიერად ცხოვრობს. გათხოვდა, ბავშვები შეეძინა.

სხვათა შორის, აღსარება ამის შემდეგ სამმა ადამიანმა ჩამაბარა. ერთმა ისიც მითხრა, – ქმარს გავშორდი, სასამართლომ ალიმენტის გადახდა მიუსაჯა და ის მე არ მიხდისო.

ეს საქმე ღვთის წყალობით მოვუგვარე...

ამბობენ, თურმე ჩემთან მოსვლა და აღსარების ჩაბარება უნდა ობობას მარკის ავტომანქანის მძღოლს. მაგას ხომ არ გონია, მამაოსავით თავზე ხელს გადავუსვამ და ვეტყვი, – სხვა დროს აღარ ჩაიდინო მასეთი მამაძალღობა და ღმერთი გაპატიებს-მეთქი.

არა, ბატონო, არამც და არამც. მან ღმერთისა და კაცის წინაშე პასუხი უნდა აგოს.



ბუნრიაცა ქუთათალაძე

მე ისევ ამ პარ

თავს იწონებდა მეფურ იერით
დიდი მთის ძირას
უცხო ყვავილი,
ის ლალი იყო და დიდებული,
თუმც არამქვეყნიურ მის სილამაზეს
თავს დასდგომოდა სიკვდილის ჩრდილი...
– მალე ვულკანი ამოიფრქვევა, აქაურობას
სჯობს გაეცალო!
მეძახდა ვილაც სასომიხდილი.

სად, სად წავიდე,
სად ვეძებო მყუდრო სავანე,
როგორ დავტოვო სიზმარეთის ჩემი საუფლო,
ანდა ფიქრები – ჩემი სიზმრები
ვით გავიყოლო უცხო მხარეში,
რომ დამეკარგონ, ან არ ისურვონ ჩემთან
დარჩენა?
მაცხოვარმაც რომ ჩამიაროს გულგრილად
კარზე,
გულის კარები რომ დამეხშოს,
ან გადამეკრას თვალებზე ლიბრი,
ერთი ყარიბის დაპურებაც რომ ვერ შევიძლო,
მაშინ რაღა ვქნა?
არა, არა, აქაურობას ვერ მივატოვებ,
განსაცდელს მაინც ვერ გავექცევი,
როგორც წინილა თავს ვერ დააღწევს
მტაცებლის კლანჭებს,
ვერც მე სანუთროს...
ჰო, გადარჩენის იმედი მაქვს ძალიან მცირე...
ჩემს სიკვდილამდე იქნებ სიკვდილმა
თვითონ მოიკლას თავი...

ბედისწერამ ჩვენ გვარგუნა ცხოვრება

მკაცრი,
ბასრი სიცივე ისადგურებს სხეულში, სულში,
რომელსაც ხშირად უყალბესი ღიმილით
ვფარავთ;
დიახ, ღიმილით,
ღიმილი ჩვენი ავგაროზია,
მეხამრიდია, მაგრამ დროებით,
რადგან სიღრმეში ვინც ჩახედა ყოფიერებას,
ვერ წაიყარა თავზე ნაცარი და დასვა
კითხვები:
მაინც რა არის ამ მიწის იქით,
ან ამ მიწაზე ყოფნა რა არის,
ან არყოფნა სად მიგვაქანებს, რომელ
ნაპირზე,
დიდ დასაბამში? იქ, იმ საწყისში,
სადაც აფეთქდა და დაიბადა მთელი
სამყარო?
იქნებ უსასრულო სივრცეთა მიღმა,
პარალელურ თუ სულ სხვა განზომილებაში,
სად ზენაარს გაუმლია აზრის კარავი
და დიდხანია ატარქსიული სიმშვიდე
სუფევს...
დალივლივებენ ლეპტონები,
დაცურავენ და მბრძანებლობენ
და ჩემს გულს, სიტყვის მალამოთი
ძლივს მოშუშებულს
ისევ დასჩემდა ტკივილის შიში –
ვაითუ სამყარო ენტროპიას დაუბრუნდეს!
დრო დამეკარგა? დროს დავეკარგე –
უსასრულობას ვერ შევვნივთე, ცად ვერ
ავმაღლდი!

მალე, სულ მალე ამოხეთქავს ვიცი, ვულკანი,
ბუდეებს მალე დატოვებენ, ალბათ, ჩიტებიც,
მე არსად წავალ, მე ისევ აქ ვარ
და აქ ვიქნები,
დაუსაბამო და ხელთუქმნელი.

* * *

მომკვდარიყავი, ჰო, ალბათ სჯობდა,
მყუდროდ და მშვიდად განვისვენებდი

და ჩემს საფლავზე ამოზრდილ იებს
 იქნება ეთქვათ ჩემი სათქმელი...
 რომ მე ვარსკვლავი ვიყავი ერთი,
 შორეული და უცხოდ მბრწყინავი
 ნისლოვანებში ამონთებული,
 მედროვეთაგან შეუნიშნავი...
 რომ მე ვილაცამ დამნომრა ცაზე,
 თვითნებურად და სუბიექტურად,
 ვერ გავექეცი შურს და სიძულვილს,
 გზას მილობავდნენ სიცილ-სიცილით,
 განზრახ დუმდნენ და არად მაგდებდნენ,
 სამაგიეროდ, მბუფტავ ვარსკვლავებს
 ოდებს უძღვნიდნენ და უგალობდნენ,
 მათთან ნამდვილად არ იყო ღმერთი,
 კვდება სატანა, ჩუმი ხითხითით –
 განა არ იცი?
 მე გავიმარჯვე,
 მე ვარ ძლიერი!
 – შენ ხარ ძლიერი? თუ პირიქით,
 სუსტი ხარ, სუსტი,
 მედროვე და უტიფარი, მართლაც სატანა!
 დადგება დრო და შეიცვლება აქ ყველაფერი,
 სიმართლე უძღვევლია, ისე ვით ღმერთი!

ოლონდ ინამე

გულის კარები რომ დაგმანე
 და ცხრაკლიტულით გადარაზე,
 მითხარი ერთი, ვით ჩავალწიო შენს გულგრილ
 გულში,
 როგორ დაგიხსნა სიკვდილისაგან,
 და ჯოჯოხეთის საუფლოსგან როგორ დაგიხსნა,
 ვით დაგანახო რომ დღეები მოგელის მძიმე,
 თუ არ მინამე...
 მე არჩევანის გიბოძე ნება,
 შენ შეგიძლია აირჩიო რაიც გულით გსურს –
 სიკეთე და სიყვარული,
 ანდა პირიქით, მხარი აქციო ამას ყველაფერს,
 შეუდგე ბილიკს ამპარტავნების,
 ააყვავილო ცოდვები შენში
 და მინიერი სიამით მთვრალმა
 სულ მიმივიწყო თავდადრეკილი,
 გოლგოთის შარას რომ მივყვები ეს რა ხანია,
 და შენზე ვფიქრობ...
 მზვობარის ბილიკია მუდამ საშიში,

სად მხეცი ბუდობს მარადიული,
 უფრთხილდი ამ გზას, მაცდურია ძალზე
 სატანა,
 გადაგიბირებს ლამაზი სიტყვით...
 ძღვენი კი ჩემი – მაღლიანი და მთლად ციური
 თვალთ არა ჩანს –
 წყარო სიცოცხლის მუდამ არის საძიებელი,
 თუკი მოძებნი, დარწყულდები კიდეც
 მწყურვალე,
 ოლონდ ინამე,
 გაულე რწმენას დახშული კარი და
 მოეფერე სასურველ სტუმარს.

* * *

მგზავრი ვარ, მგზავრი,
 ყარიბი და მიუსაფარი,
 უმისამართო გზებს დავდგომივარ,
 რადგან მისამართს არ მიმხელებ
 ფარისეველები...
 სამაგიეროდ, რჩევებს მაძღვევენ:
 – სჯობს ჩვენებური წესით იცხოვრო,
 ნეტავ რას ეძებ,
 აუტკივარ თავს რას იტკივებ, არ გვეპუები,
 საით ისწრაფვი, რა გრჯის, რა გინდა,
 სურვილებს მაინც ვერ გაექცევი,
 საკუთარი სხეულის ტყვე ხარ, იცოდე!

ფარისეველებო, ყურს არ გიგდებთ დიდიხანია,
 მივდივარ გზაზე,
 უცნობ გზაზე უმისამართოდ,
 დამენყრილია ირგვლივ ყველა და
 ყველაფერი,
 სასიამოვნოს ვერ დავარქმევ ჩემს ამ
 მგზავრობას.
 სადღაც შორს მოსჩანს ჩემნაირი ვილაც
 ეული,
 ვეძახი, მაგრამ ამაოდ, ძახილი ვერა, ვერ
 გავაგონე.

ჰოდა, მარტო ვარ ისევ ისე საკუთარ თავთან,
 მცირე ხნითაც რომ ველარ ვრჩებოდი!
 აღარ გავურბი ჩემს ალტერ-ეგოს,
 საკუთარ ფიქრებს
 და ვიძირები საკუთარ „მეში“...
 მე დავინახე ჩემი პორტრეტი,

სიმართლე გითხრათ, არ მომეწონა –
 უსამართლო და სასტიკი ცხოვრების
 შედეგრი...
 შიშისგან გული გადამიქანდა,
 ქვეცნობიერი საგანგაშო სიგნალს
 გამოსცემს,
 რაღა ვქნა ახლა, რა ვიღონო, რა გზას
 დავადგე...
 სჯობს რომ გავიქცე!
 და მეც გავრბივარ,
 უცებ რიყეზე დამიცდა ფეხი,
 ნავიბორძიკე,
 მაგრამ დაცემას ამარიდა რაღაცა ძალამ
 (მფარველმა ანგელოზმა?!)
 გზა განაგრძეო, მომწვდა ჩურჩული,
 ვინაც დაეძებს, პოულობს კიდეც,
 დააკაკუნე და გაგელეზა,
 მოითხოვე და მოგეცემა,
 ნუ სწუხარ,
 მისამართები არ სჭირდებათ უფლის რჩეულებს.

* * *

ეს სამსჯავროა, მოსამართლეა დიახ, თვით
 ღმერთი;
 ვინ ხარო, მკითხა, რას საქმიანობ,
 ეს შენ ნავარდობ ოცნების ფრთებით?
 – ვინ ვარ?
 ია ვარ, ია, დედაენაში გაღმერთებული,
 ხანაც კი ვაზი, დახუნძლული და მსხმოიარე,
 ხან მერცხალი ვარ, ხანაც ნიბლია,
 ქართული ლექსის სავსე ვარ მთვარე.
 ზეცა და მიწა, ჰაერი, წყალი,
 ელვა და მეხი, ღრუბელი, წვიმა,
 ჩემი ფიქრების იყო სათავე,
 და ყველაფერი ამქვეყნიური
 ჩემში ხარობდა და იზრდებოდა როგორც
 მცენარე.
 დღეს ნათელი ვარ,
 გამოვიდარე, გამოვნათდი, მზედ ამოვენთე,
 ზეცის თავანზე ვერ იხილავ ჩემზე უკეთესს
 და ნუ გამრიყავ, შენ გენაცვალე!
 ბუნებისაგან მოვლენილო მწედ და მეოხედ,
 ეს შენი სული ამოენთო ჩემს არსებაში,
 გალობს ბუღბული, ამოფრინდა ჩემი გულიდან;
 ამ წყალობისთვის გმადლობთ, უფალო!

* * *

დღეს მე ევტერპემ დამიმარტოვა
 და ჩურჩულით მითხრა,
 მე ვარო შენი პოეზიის ანი და ბანი,
 სული და გული, ტკივილი, დარდი,
 სევდა, რომელიც მუდამ თან გდევდა,
 და სიხარულიც... როს აღმაფრენის გრეჟნიდი
 ნუთებს;
 მერე კი, მერე, განშორების დაგვიდგა ჟამი,
 ახლა კი ვნანობ, რომ მიგატოვე.
 ნაადრევად ჩასულო მთვარეც,
 შენი ავსების ვარ მოლოდინში,
 მე დღეს დავბრუნდი,
 იმედია, მაპატიებ და შემეყვარებ.
 ჩამჭიდე ხელი,
 ზეცისკენ ჩქარა!
 იქ, ჩემს დობილებს გაუშლიათ სხივთა კარავი,
 გვირგვინი მზისა დაგამშვენებს, იცოდე,
 მალე!

* * *

რა ხანია დავტოვე ჩემი თავშესაფარი,
 ჩემი მყუდრო სავანე, ჰაერი და წყალი,
 მიმატოვა სუყველამ, მივატოვე სუყველა,
 ახლა ჩემი ერთგულია მხოლოდ ზენა ქარი.
 დავრჩი დარდის ამარა, ფიქრმა შეკრა კამარა,
 გზა-გზა მივიჩქარი...
 ეკალი და ბარდები, ხან ორმოში ვვარდები,
 ხან ვარდების სურნელებით ვთვრები,
 კორდზე ვხედავ კესანეს,
 თავდახრილს და მკენესარეს,
 ეჰ, პეპელამ აარიდა თავი,
 – არ გენყინოს, გენაცვალე, სხვა მომწონსო,
 ლაღად მომზირალი!

* * *

ღრუბლებო, ჰეი, ღრუბლებო,
 საით გაგინევიათ, საით მიიჩქარით,
 ცხრა მთის იქით რა გესაქმებათ,
 რა, პირი შეიკარით?
 მალე ქარი შემოგიტევთ,
 გაგფანტავთ და შეგაშინებთ,
 ვერ დაემალებით მზეს – თაკარასა და მწველს,

გიჯობთ უაზრო ხეტიალს შეეშვათ,
 მოიხსნათ ნისლის ქათქათა თავშალი,
 და ჩემს ეზოში ჩამოიხედოთ –
 საავდროდ კი არა, საკეთილოდ;
 გადახრუკული მინდორი ხომ დაინახეთ,
 გული არ დაგენვათ, ტირილი არ მოგერიათ?
 ჰოდა, ატირდით, ატირდით, ჩამოიღვარეთ
 ცრემლებად,
 განვიმდით...
 აქ, ჩემს ეზოში, მასხურეთ უფლის ნაკურთხი
 წყალი,
 მაჩუქეთ იმედის ავგაროზი (ავი თვალისაგან
 დამიცავს),
 იქნება აღვდგე მკვდრეთით!
 იქნება სამყარომ დამიგდოს ყური,
 ჩემი ხმა მისწვდეს უშორეს გალაქტიკებს –
 SOS, გადაარჩინეთ დედამინა – ჩვენი პლანეტა!

წუხელის, გვიან

წუხელის გვიან, აჩრდილი ღამის
 ლამობდა სახლში შემოპარვას,
 ღია ფანჯრიდან გალუული მოჩანდა მთვარე,
 უკანასკნელი მეოთხედის წამებს ითვლიდა...
 სადღაც ძაღლები ისე ყეფდნენ,
 ტანში მზარავდა,
 ასე მეგონა, უბედურება ახლოვდებოდა;
 უბედურება ყმუის? – მკენწლავდა ფიქრი,
 რა ეშველება ჩვენს ცივილიზაციას,
 ზეტექნიკურს, მაგრამ უგულოს,
 აპოკალიფსის მომლოდინეს,
 სხვა პლანეტაზე სიცოცხლის მაძიებელს,
 ომებითა და კატასტროფებით შეწუხებულს,
 იქნებ, წარსულში დაბრუნება სჯობს?
 იმ სამასი მილიონი წლის წინ,
 როცა პირველად ავიდგით ფეხი და
 ცაში ავიხედეთ:
 სამყარო ამოივსო ჩვენით,
 მენამულად აკაშკაშდნენ ვარსკვლავები,
 ამოენტო მთვარე,
 მისი ახლოს დანახვა მოგვინდა,
 მაგრამ... ცას ვერ შევწვდით და ყვირილი
 დავიწყეთ,
 გონების თვალმა იწყო ახელა...
 მთვარეს მგლებიც შეეშოოდნენ

და ძაღლებიც უყეფდნენ,
 დიახ, მაშინაც,
 მაგრამ ჩვენს ყვირილს სხვა ძალა ჰქონდა,
 სულ სხვა ნადილი...
 უცებ გამიწყდა ფიქრის გორგალი,
 რა დამემართა?
 დავლანდე, სიკვდილი დაიძურნებოდა
 ოთახში ქურდივით,
 გავბრაზდი და ის გარეთ გავაგდე.

* * *

კეთილო სამარიელო,
 ჰო, მე შენ კეთილი სამარიელი გინოდე,
 მერე რა, რომ მუდამ ჩრდილში ხარ და
 მძიმე უღელს ეზიდები,
 ისე ჩუმად ხარ, რომ ანგელოზები
 ფეხაკრეფით დადიან შენს გარშემო,
 შენ ღარიბ ტაბლას ამბროზიის ასდის
 სურნელი;
 მადლობა უფალს,
 არ დაემსგავსე უგუნურ მდიდარს,
 თავისთვის რომ აგროვებდა განძს და
 ღმერთი არ ახსოვდა,
 ღმერთი დაივიწყა;
 შენ კი ბედნიერი ხარ –
 ყველა სტუმარი ღმერთთა შენთვის,
 მათხოვარისთვისაც გაქვს საგზალი
 გადანახული,
 მზად ხარ, თუ უჭირს, მტერსაც ხელი
 გამოუწოდო,
 შენს გულში ფეთქავს მთელი სამყარო,
 ბობოქრობს, კივის და მირაჟებს ამრავლებს...
 უამთცვენა, ქაოსი, ომი და სტიქია
 შენ ვერ გაშინებს...
 ფსალმუნებს მზისას ეწაფები ყოველი
 დილით,
 ღამით ვარსკვლავებს ვით ყვავილებს
 აწყობ ღარნაკში და ფიქრის ღამპრით გზას
 მიუყვები,
 ებრძვი დევებს –
 ხანაც ხილულს,
 ხანაც უხილავს.
 გავიგე, მივხვდი, რა გაძლევს ძალას –
 ღმერთში ხარ მდიდარი,
 ღმერთით ხარ სავსე!

ნუბაში

ცას რომ ცრემლები ჩამოსდის,
 ცა რომ მწუხარეა და მტირალი,
 გული მენურება –
 ვაითუ ღვთისმშობელი ტირის...
 ქარი ფანჯარას ერკინება,
 ჰაერში ცახცახებს შუქი,
 წვიმა მიკაკუნებს ფანჯრებზე –
 სახლში შემომიშვი...
 სტუმარი ღვთისაა,
 მაგრამ სად თქმულა სტუმრობა წვიმის,
 რომ შემოვუშვა,
 ვაითუ სველი თითები
 ობობას მოქსოვილი კედლები დამინგრიოს
 და წყალმა წაილოს ეს ჩემი კერია,
 მაშინ?!

ვით მივატოვო ეს ჩემი სახლი,
 ლოკოკინას გამბედაობაც რომ სანატრელი
 მაქვს;
 ჰო, შევეზარდე ამ სამყაროს ჩუმი მოთმენით
 და სულის ხუნდებს დამიმძიმებს
 წვიმა ნამდვილად...
 ამიტომ წვიმავ, ვერ იქნები ჩემი სტუმარი!

მგონი გამიგო წვიმამ,
 ისე შეანელა ტემპი,
 მალე გადაიღებს ალბათ,
 მესმის ჩურჩული გრძნეული წვეთის:
 – მშვიდად იყავი,
 ორფეოსმა დაკვრა შეწყვიტა,
 სიკვდილის სიმებს ააჟღერებს
 ახლა ვერავინ,
 უფალმა დაგიცვა
 და აგაცილა წარღვნა და მეხი.

შეხედე ზეცას
 თავზე გადიკრავს ის ცისარტყელას,
 ეს ნიშანია და ზეციური დიდი ნუგეში!

* * *

სამოცდაექვსი საკრალური წიგნი – ბიბლია –
 შემოქმედის ინსპირირებული სიტყვა,
 პლანეტის ნამდვილი განძი და საუნჯე,
 ხელთუქმნელი და უკვდავი,
 საუკუნენი გადალახა და ჩვენამდე მოვიდა
 ღრმადსაკოვანი;
 3500 წელია ნირი არ შეცვლია
 სამანგამოლწეულს,
 ორმოცი განდობილი და ნათელღებულის
 დანერილს,
 სიბრძნის უშრეტ წყაროს,
 მძივებივით ასხმულ სტრიქონების
 კრიალოსანს,
 მსოფლიოს ქრისტიანული ქვეყნების პინ-
 კოდს,
 შესაქმის ჭეშმარიტ ისტორიას...
 პირველი მწერალი – მოსე,
 ბოლო მწერალი – იოანე,
 პირველი შემოქმედი – ღმერთი,
 პირველი ადამიანი – ადამი,
 პირველი მეამბოხე – სატანა,
 პირველი ქალი – ევა,
 პირველი ცოდვილი – კაენი,
 პირველი მსხვერპლი – აბელი,
 ბოლო მსხვერპლი – ბოლო არ უჩანს...
 ნანატრი მესია – ქრისტე,
 ახალი მესია – ჯერ არ დაბადებულა;
 ახალი ბიბლია – ჯერ არ დანერილა,
 მაგრამ ვიცი დანერს ეს საუკუნე!



თანადრ კუკია

სტუმრად აფხაზეთში

„მისი ქვეყანა – აფხაზეთი –
გამოხრულ ხეზე ჩამოჰკიდეს
ვაზის ლერწებით...“

რობერტ მესხი

1981 წელი იყო.

მე და ჩემი ორი მეგობარი, – ქეთი და ნათია აფხაზეთში წავედით, დრანდაში, სადაც ქეთის მამას, ბ-ნ ზურაბს პატარა, ოროთახიანი სახლი ედგა მანდარინის ბაღში. ეს გურჯაანელი კაცი წელიწადში ექვს თვეს დრანდაში ატარებდა, თავისი ხელით უვლიდა მანდარინის ბაღს და ამ პატარ-პატარა აფხაზური „მზეებით“ უთბობდა გულს თავის ოჯახსა და ახლობლებს.

ბ-ნმა ზურაბმა რომ გაიგო, აფხაზეთში ვაპირებდით წასვლას, თავად გურჯაანში დაბრუნდა და მთელი კვირით დაგვითმო სახლი.

არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ.

დრანდიდან კელასურისკენ სასეირნო იახტას დავყვებოდით – ხოლმე.

გაგრაც მოვინახულეთ და ბიჭვინთაც, ახალი ათონის მღვიმეც და რინის ტბაც...

იმ დილას ქეთი სახლში დარჩა, – მისი უმცროსი დაიკო ჩამოდიოდა და მას უნდა დახვედროდა. კელასურში მე და ნათია წამოვედით. საღამოს ხუთზე კელასურში, გზაჯვარედინთან უნდა შევხვედროდით ქეთის და მაიკოს და საღამოს ერთად გავატარებდით.

დილიდან ჯერ ზღვაში ვიბანავეთ, მერე სოხუმში ვისეირნეთ.

არა და არ გადიოდა დრო. ჯერ დღის პირველი საათი იყო. შეხვედრამდე ოთხი საათი გვექონდა.

ნათიას ვუთხარი, „მოდი, რომელიმე ავტობუსში დავსხდეთ და ბოლომდე გავყვეთ, იქიდანაც დავბრუნდებით და შეხვედრის დროც მოვა-მეთქი“.

დამიჯერა და ისეთ ავტობუსში დავსხედით, კელასურის მიმართულებით რომ მიდიოდა და მერე სოფლებში უნდა ასულიყო.

სულ რაღაც ნახევარ საათში კელასურის ზემოხსენებულ გზაჯვარედინთან გადავუხვიეთ და ავტობუსი ტაატით გაუდგა სოფლის გზას. სადღაც ერთი საათის მგზავრობის შემდეგ საპირისპირო მიმართულებით მომავალი ავტობუსი შემოგვხვდა. აზრადაც არ გაგვივლია იმ ავტობუსში გადმოვჯდომა და უკან დაბრუნება, – ჯერ ხომ უამრავი დრო გვექონდა?!

ულამაზესი სოფლები გავიარეთ, გზა თანდათან დავიწროვდა და მთას შეუყვავა. ჩვენი პაზიკიც ქშენით მიუყვებოდა აღმართს.

– თამი, ეს ავტობუსი უკან დაბრუნებას არ აპირებს-მგონია... ოთხის ნახევარია და... მოდი, ჩამოვიდეთ და უკან მიმავალში გადავსხედეთ, – მითხრა ნათიამ და გზას გახედა.

– მოიცადე, ამ უკაცრიელ ადგილას რომ არ ჩამოვიდეთ, სოფლამდე მაინც მივიდეთ-მეთქი... – მერე ჩემს უკან მჯდომ თოვლის ქულასავით თეთრწვერა მოხუცს მივუბრუნდი, – უკაცრავად, ბაბუ, სოფლამდე შორია კიდევ?

– ვისი სტუმრები ბრძანდებით, შვილებო?

– არავისი, ბაბუ... ავტობუსს გამოვყევით, ამ ადგილების დასათვალიერებლად... 5-ზე კელასურში უნდა ვიყოთ და... თუ ეს ავტობუსი არ დაბრუნდა, მაშინ უკან მიმავალ რომელიმე

სხვა ავტობუსში გადავსხდებით.

– ოოოო, ეს რთული საქმეა...

– რატომ?

– რატომ და... ეს ავტობუსი ბოლო სოფლამდე სადამოს რვა საათისთვის ავა... უკან კი მხოლოდ ხვალ დილას დაბრუნდება.

– არაფერია, მაშინ სხვა ავტობუსს გავყვებით. იმედია, რაღაც მაინც დადის...

– კი, დადის, გუშინ წამოსული – დღეს დაბრუნდებოდა. ამ ერთი საათის წინ რომ შეგვხვდა, ის იყო...

– აბა, რა ვქნათ? – შენუხდა ნათია.

– უახლოეს სოფელში ნახევარ საათში ვიქნებით... ნუ გეშინიათ, იქაც ხალხი ვცხოვრობთ. ქუჩაში უპატრონოდ არ დაგტოვებთ!

– რას ამბობთ, ბაბუ, ხუთზე რომ ჩვენს მეგობრებს არ შევხვდეთ, გული გაუსკდებათ შიშით, – ისე შევიცხადე, თითქოს რამის შეცვლა შემეძლო.

– სად უნდა შეხვედროდით?

– კელასურის გზაჯვარედინთან...

– მოვიფიქრებთ რამეს!... – შემდეგ მძლოლს გასდახა, – ემზარ, ეს გოგონები ჩემი სტუმრები არიან... სოფელში ფოსტასთან გაგვიჩერე.

– დიახ, ბატონო ელდარ!...

მალე ავტობუსმა გაივარა და სირქარეს მოუმატა. ცოტაც და სოფლის ცენტრში შევედით. საათს დავხედე, – 16:10...

– ნათი, ქეთი გაგიჟდება! რა ვქნათ?

– რა ჯანდაბამ წამოგვიყვანა აქეთ? აქ რა გვინდოდა?!

– აბა? იქვე მაინც გვეკითხა?!

– კარგი იქნებოდა...

– ხო... თუმცა რას მოვიფიქრებდით, რომ დღეში ერთი ავტობუსი დადის მხოლოდ?! – ლამის ტირილი დამენყო, ისეთ ხასიათზე ვიყავი.

– აი, აქ გაგვიჩერე, ემზარ... ჩაბრძანდით, გოგონებო... – გვითხრა ელდარ-ბატონმა და ფეხზე წამოდგა.

ზაფხულის მზე ჯერ ისევ მთელი ძალით აჭ-

ერდა სხივებს დედამინას, მაგრამ მთის გრილი ჰაერი ამ სიცხეს ანეიტრალებდა და სუნთქვას აადვილებდა.

ბატონი ელდარი წინ გავუშვით და ჩვენ უკან გავყევით.

მალალი, ტანხმელი მოხუცი იყო, მაგრამ სიბერეს ოდნავადაც ვერ მოეხარა წელში. ისეთი სუფთა და გახამებული თეთრი პერანგი ეცვა, თითქოს მას ჩვენთან ერთად არ უმგზავრია სამი საათის განმავლობაში. ასეთი თეთრი თმა-წვერი მხოლოდ თოვლის ბაბუას თუ ექნებოდა. მზის სხივები ამ სითეთრეზე ირეკლებოდა და საოცრად ნათელ აურას ქმნიდა.

ჩვენი აღტაცებული მზერა მიაცილებდა ჩვენ წინ მიმავალ ბატონ ელდარს.

ერთ შენობასთან შეჩერდა და მოგვხედა:

– ეს ფოსტაა. ჩემი რძალი კელასურის ფოსტაში მუშაობს. მას დაუუკავშირდებით და მოგინახვენ თქვენს მეგობრებს.... – ბატონი ელდარი შენობაში შევიდა და ერთ-ერთ სარკმელთან მივიდა. – ლენა, ზაირას დამაკავშირე...

– ახლავე, ბატონო ელდარ!... აი, ინებეთ....

– ზაირა, მე ვარ... მანდ, კელასურის გადასახვევთან ხუთ საათზე ორი გოგონა უნდა მოვიდეს ჩემს სტუმრებს ელიან... ესენი კი... გოგნებო, თქვენი სახელები მითხარით, – მოგვიბრუნდა ბატონი ელდარი.

– თამრიკო და ნათია... და იქ იქნებიან ქეთინო და მაიკო...

– ზაირა, იქ იდგებიან ქეთინო და მაიკო... ელიან თამრიკოს და ნათიას. უთხარი, შვილო, საიმედო ოჯახში არიან და ნუ ინერვიულებთ-თქო...

ელდარმა ყურმილი დაკიდა და ფოსტიდან გამოვედით.

– წამოდით, შვილებო... არაფერზე ინერვიულოთ, მშვიდად მოისვენეთ... თქვენი კბილა შვილიშვილი მყავს და... სულ დაგათვალთვლებინებთ აქაურობას. ხვალ დილას კი – ავტობუსით გაგამგზავრებთ სოხუმისკენ.

– დიდი მადლობა, ბატონო ელდარ...

– აკი წელან „ბაბუს“ მეძახდი? – კეთილად

გამილიმა ბატონმა ელდარმა, – ახლაც „ბაბუ“ დამიძახე, შვილო...

– სიამოვნებით, ბაბუა ელდარ...

მალე მივედი კოხტა აფხაზურ ოდასთან. ეზოში კოინდარი ბიბინებდა, ჭიშკრიდან სახლამდე მოკირწყლული გზა მიდიოდა. გზის ორივე მხარეს ყვავილების გაზონი მიუყვებოდა. ყველაფერს ეტყობოდა მზრუნველი ხელი.

– ელდარ, – გასძახა ბატონმა ელდარმა სახლის მიმართულებით, – ძალღი დააბი, შვილო, სტუმრები არ შეგვიშინოს...

– ახლავე, ბაბუ... – გავიგეთ სასიამოვნო დაბალი ხმა და დავინახეთ კიდეც...

– ელდარ? – გაოცებული ხმა აღმოჩნდა.

სახლიდან გამოსული მალალი, წარმოსადეგი, ძალიან სიმპატიური ყმანვილი ჩემს ხმაზე ჩვენსკენ შემობრუნდა და...

– თამრი?!... შენ?... მართლა შენ ხარ? – სირბილით წამოვიდა ჩემსკენ, გახარებული გადამეხვია, ხელში ამიტაცა და დამაბზრიალა, – არა, ნამდვილად თვალი მატყუებს!

– მე ვარ, ელდარ, მე... – გამეცინა და მეგობარი გადავკოცნე, – დამსვი, გიჟო!...

ბაბუა ელდარი ხან თავის შვილიშვილს გახედავდა, რომელსაც უცნაური ჭინკები ჩაუსახლდნენ ულამაზეს ცეცხლოვან შავ თვალებში და ხან – ჩვენ... მერე თეთრ წვერზე ჩამოისვა ხელი და ჩაეცინა:

– ოოო, მეგონა უცხო სტუმრები მომყავდა და... ჩემი შვილიშვილის ახლობლები გამოდექით. საიდან იცნობთ ერთმანეთს?

– უნივერსიტეტიდან, ბაბუ! მე და ნათია ერთი კურსით წინ ვსწავლობდით, თუმცა ასაკით – ტოლები ვართ.

– ბაბუა ელდარ, თამრიკოს იმდენი მეგობარი ჰყავს, ამ სოფელში ვინმე არ ცნობებოდა, ის უფრო გამიკვირდებოდა, ვიდრე ამათი შეხვედრა. ნეტა ან ყველას სახელსა და გვარს როგორ იმახსოვრებს? – გაეცინა ნათიას.

– მე ყველა ვარ?... თამრი, „ყველას“ კატე-

გორიაში გავდივარ? – თვალები მოჭყუტა ელდარმა.

– არა, ელდარ... შენ ერთადერთი და განუმეორებელი ემხვარი ხარ ჩემს ნაცნობ-მეგობართა შორის!

– ზეინაბ, სტუმრებს გამოხედე, ადამიანო... – ხმამალლა გასძახა ვილაცას ბატონმა ელდარმა, – ნამოდით, შვილებო, სახლში შევიდით.

სახლიდან სათნო მოხუცი ქალბატონი გამოვიდა და შემოგვეგება.

– ბები, ჩემი მეგობრები არიან... ბაბუს შეხვედრიან ავტობუსში...

– იცოდი, ჩემო ბატონო, ამათი ჩამოსვლის შესახებ? თუ სად შეხვდი ამ გოგონებს? – იკითხა ქალბატონმა ზეინაბმა.

– არა, ზეინაბ... შემთხვევით მოხვდნენ ამ სოფელში და... ქუჩაში ხომ არ დავტოვებდი ბავშვებს?

– ჰოოო, მობრძანდით, შვილებო, სტუმარი ღვთისაა...

იქვე ეზოში დავსხედით, დიდი კაკლის ძირში გაკეთებულ სკამებზე.

დიდხანს გაგრძელდა ჩვენი მონატრებული მოკითხვები...

ძალღის დაბმა ყველას დაავინწყდა და ახლა დიდი, ბომბორა თაფლისფერი ნაგაზი გაოცებული თვალებით შემოგვეცქეროდა. ვერც დაყეფება გადაენწყვიტა, – მისი პატრონები შინაურებივით გვღებულობდნენ და... მისი რა მიდიოდა?!

მერე ბობის (ასე ერქვა ძალღს) მობეზრდა ლოდინი, ერთი კი დაიყეფა, რომ ყურადღება მიგვექცია მისთვის და... კუდის ქიციანით გაიქცა თავისი სახლისკენ.

ბაბუა ელდარმა სახლში შეგვიპატიჟა.

ეზო იმდენად ლამაზი იყო, სახლში შესვლაზე ფეხს ვითრევდით.

ერთ საათში უკვე აივანზე გაშლილ სუფრასთან ვისხედით.

უგემრიელესი შებოლილი სულგუნი ისე ჩაღნა ცხელ ღომში, უგრძეს ძაფებად გამოჭი-

მავდი... მალე ზეინაბ ბებიაშ ცხელი ხაჭაპური შემოიტანა, – მისი სურნელიც კი წაგაქცევდა! ელდარმა ერთი შემწვარი ვარიკა პირდაპირ შუაზე გახლიჩა და ნახევარ-ნახევარი დაგვიდო თეფშზე მე და ნათიას, თან ტყემალი გამოგვანოდა, „ბებიას ნახელავიაო“...

– ელდარ, რა ამბავია?! – გამეცინა მე და ჩანგალს წამოვავლე ხელი.

– ჭამეთ, ჭამეთ... აპა-პა-პა, წინილა ხელით უნდა ჭამოთ! დანა-ჩანგალს არც მოჰკიდოთ ხელი! თქვენ აფხაზეთში ხართ, ძირძველ აფხაზურ ოჯახში!

– სულ არ გეტყობათ აფხაზობა... როგორ სუფთად ლაპარაკობთ ქართულად...

– რას ამბობ, თამარი?! აფხაზი და ქართველი რამ გაყო ერთმანეთისგან?

– რა ვიცი, აბა? სხვა ენა გაქვთ...

– მასე სხვა ენა აქვთ მეგრელებსაც და სვანებსაც... და არ არიან ქართველები?

– კი, ქართველები ვართ... – ჩაერია ნათია, – მაგრამ ჩვენ არ ვეუბნებით ქართველებს, „რუსულად ილაპარაკეთ“.

– და აქ ვინ გითხრა, „ჩაგვირუსულეო“?

– აქ არავინ, მაგრამ... აი, სოხუმში...

– კარგი... ვჭამოთ საჭმელი და გავიდეთ სოფელში. თან დაგათვალერებინებთ და თან აქაურ, წამდვილ აფხაზებს გაგაცნობთ! სოხუმში კი აფხაზები კი არა, ძირითადად აფსუები ცხოვრობენ!

– ეს სხვადასხვაა?

– აბსოლუტურად! აფსუები ქართველები არ არიან!

ეზოდან ბაბუა ელდარი ამოვიდა დაცვარული დოქით ხელში.

– ელდარ, შენ მიხედე გოგონებს... თუ რამე დაგჭირდეთ, დაგვიძახეთ. მე და ზეინაბი სამზადში ვიქნებით, – თქვა ეს და დინჯად ჩაუყვავა კიბეებს.

შევწუხდი. ფეხზე წამოვდექი და სუფრასთან მოვიპატიჟე ბაბუა, მაგრამ მხოლოდ კეთილი ღიმილით შემომხედა და ისევ დაბლა დაეშვა.

– ბაბუა ელდარი რატომ არ დაჯდა ჩვენთან

ერთად? – ჩუმად ვკითხე ელდარს.

– ამ სახლში თამადად სულ ბაბუა არის ხოლმე... მაგრამ აფხაზი კაცი სადღეგრძელოს არ იტყვის, თუ თანამეინახე არ ჰყავს სუფრაზე... და არც მარტოკა დალევს სასმელს.

– კარგი, ჩვენ არ ვსვამთ, მაგრამ... შენ აქ არ ხარ? თუ არც შენ სვამ?

– ეს სადაური წესია, მასპინძელი დათვრეს და სტუმარმა ფხიზელი თვალთ უყუროს? ამაზე მეტი სირცხვილი რაა ოჯახის უფროსისთვის, და მითუმეტეს, აფხაზისთვის?! არც მე დავლევდი თქვენზე მეტს და ბაბუა ხომ სულ არ დალევდა... სტუმარს მასპინძლობაც შესაბამისი უნდა... ასე არაა, თამარი? ჭამეთ, გაცივდა ყველაფერი!

ბევრი პატიჟი არ გვჭირდებოდა, – ისე ვიყავით მოშიებულები, რომ მაღიანად შევექეციით იმ შემწვარ ვარიკასაც, იმ აფხაზურ ხაჭაპურსაც, ცხელი ყველის სურნელი რომ გვიღიბინებდა ცხვირში... იმ ცხელ ღომსა და ნიგვზიან ბაყესაც... უგემრიელეს კუპატსა და აფხაზურ რასაც... გებჟალიასაც და სამზადის შუაც-ეცხლზე შემწვარ სიმინდის ტაროებსაც...

მასპინძლის ხელით დაწურულ-დაყენებულ, ცრემლივით კამკამა ღვინოც მოვნრუპეთ ცოტა და...

სიცილი ამიტყდა.

– რა გაცივებს? – გაოცებულმა შემომხედა ელდარმა და თავადაც გაეცინა.

– ელდარ, არ გაგიკვირდეს, – უთხრა ნათიამ, – ეს რომ დალევს ერთ ჭიქას, ასე იცინის-ხოლმე...

– ოოო, ეს ცოტა რთული ამბავია... ასე „მთვრალი“ როგორ გაგიყვანო გარეთ? იტყვიან, ელდარ ემხვარმა ქალი დაათროო...

– ელდარ, მთვრალი კი არ ვარ? უბრალოდ, ყველაფერზე მეცინება-ხოლმე... – და უფრო ხმამაღლა გამეცინა.

– სხვა გზა არაა, სოფელში რომ გაგიყვანთ, სულ ანეკდოტები უნდა მოგიყვეთ, ამის სიცილი რომ გავამართლო... – თავადაც ხმამაღლა გაეცინა ელდარს. – თამარი, რა საყვარელი ხარ,

ასე რომ იცინი, ვერც კი წარმოიდგენ! შენს ადგილზე ჯიბით ვატარებდი რამდენიმე პორცია სასმელს...

– პორციას? – ვერ ვჩერდებოდი, – და რამდენია ეს „პორცია“?

– ნუუ, კატაბალახას წვეთების ბოთლის ხელა, ან ოდნავ მეტი!... ყოველ შემთხვევაში ორი ბოთლი ერთად ბევრი მოგივა!

– კარგი, რაა... რა საძაგელი ხარ?! – უკვე ვხარხარებდი... თვალებიდან ცრემლები წამომივიდა.

არადა, რა გადამდებია ასეთი სიცილი? ჯერ ხომ ელდარი ახარხარდა, მერე ნათიაც აგვყვავდა...

ვინმეს რომ ეკითხა იმ წუთას, რაზე იცინითო, აღარცერთი ვიყავით აზრზე, რაზე ვიცინოდით. მთავარი იყო, ერთად ყოფნა გვიხაროდა...

ჩვენს სიცილზე სამზადიდან ბაბუა ელდარი გამოვიდა და ისეთი კეთილი ღიმილით ამოგვხედა, თითქოს გვეუბნებოდა, – „ახლა მქნა თქვენი ასაკისაო“...

ეზოში ბობიც დავინახე, – აივნისკენ იყურებოდა და კუდს აქიციანებდა... ეტყობოდა, კარგ ხასიათზე იყო.

– ქათმის ძვლები არ გადაუყარო, – გამაფრთხილა ელდარმა, როცა ნახა, რომ ძვლები წამოვკრიფე თეფშიდან, – არ შეიძლება ასეთი ძაღლისთვის ქათმის ძვლის მიცემა...

– რატომ?

– მერე ოჯახის ქათმებს დაერევა, მათზე დაიწყებს ნადირობას. პური გადაუგდე... ან კუპატის ნაჭერი...

ფეხზე წამოვხტი, პურზე კუპატის ნაჭერი დავადე და დაბლა ჩავიბინე.

– ბობი... – დავიძახე თუ არა, ძაღლი ჩემთან მოვიდა და ფრთხილად დამყნოსა ფეხზე.

– ფრთხილად, თამრი... – ფეხზე წამოდგა ელდარიც.

– არაფერს მერჩის ეს ძაღლი! აი, ნახე... – პურიან-კუპატიანი ხელი წინ გავიწვინე და...

ძაღლმა ჯერ უკან გადადგა ნაბიჯი, მერე ისევ წინ წამოვიდა და ხელზე დამსუნა... ბო-

ლოს კი ისე ფრთხილად აიღო ჩემი ხელიდან ის პურის ნაჭერი თავისი კუპატიანად, თითქოს მიფრთხილდებოდა, „შემთხვევით კბილი არ გავკრაო“.

– თამრი, ბობიმ ძალიან შინაურად მიგილო... მასე მეც კი ვერ გავრისკავდი მისთვის ხელის განვდენას, – გაცუებას ვერ მაღავდა ელდარი.

– ძაღლი მშვენივრად არჩევს სამოყვროდ ხარ მოსული თუ სამტროდ... შინაური ვარ, აბა რაა?! – გამეცინა ისევ და ბობის ყურებს შორის გადავუსვი ხელი. მერე კი ბედნიერი სახით ავირბინე კიბეზე და სუფრასთან დავბრუნდი.

* * *

მაღე ჩემს ყურს სამზადის კარიდან ასეთი ლაპარაკი მოსწვდა. ალბათ არც ბაბუა ელდარს ეგონა, რომ ამდენად მახვილი სმენა მექნებოდა და არც ბებია ზეინაბს.

– ზეინაბ, გამოხედე ერთი ამ გოგოს...

– რომელს, ჩემო ბატონო?

– აი, იმას, რომ კისკისებს... გრძელთმიანს... ჩვენი ელდარის მეგობარი რომ ყოფილა...

– მერე?

– მერე ის, რომ... შეხედე ელდარს თვალეში, ეს გოგო რომ ჩვენს ეზოში დაინახა?

– თამარი?

– ჰო... თამარი... ასეთი ცეცხლი სხვა დროს არასოდეს შემიმჩნევია მის თვალეში... უნდა მოსწონდეს თამარი...

– უმცროს ელდარს არ ვიცი და... მგონი უფროს ელდარსაც მოეწონა ეს გოგო... – ჩაიღიმებოდა ზეინაბმა.

– მართლაც რომ... არ დავინუნებდი სარძლოდ... ელდარ, ერთ წუთს ჩამოდი აქეთ, – ამოსძახა შვილიშვილს.

– ახლავე... – ელდარმა ბოდიში მოგვიხადა და დაბლა ჩავიდა.

ორივე ელდარი ეზოს ბოლოსკენ წავიდა და ისე ჩუმად დაიწყეს საუბარი, აღარაფერი მესმოდა...

გონების თვალი გადავაავლე ჩემი და ელ-

დარის ურთიერთობას და... ვერაფერი ვიპოვე ისეთი, ეჭვი რომ შემპარვოდა მაინც, „ხომ არ ვუყვარვარ-მეთქი?!“...

არა!

ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვიყავით, გული-თადი მეგობრები!

ელდარი მალევე დაბრუნდა.

– რას ვშვებით, მივდივართ სოფლის და-სათვალისწინებლად? – იკითხა ნათიამ.

– რა თქმა უნდა?! ოღონდ ჯერ ავაღაგოთ სუფრა... – ფეხზე წამოვდექი.

– რას ამბობ, თამარი? შენ ვინ ავაღაგებინებს ახლა აქ სუფრას? – გაეცინა ელდარს.

– კაი, ბატონო... მოხმარება მინდოდა და... თუ არ შეიძლება? – მხრები ავიჩიჩე და კიბისკენ წავედი.

– ოჯახში პირველად მოსულ სტუმარს სუფრა ავაღაგებინოთ? აი, თუ მეორედაც მოგინევს აქეთ მოსვლა, მაშინ სხვა საქმეა!

– ჩვენ რომ შემთხვევით არ წამოვბოდიან-ებულისყავით ასე გაუკითხავ-უპატრონოდ, აქ პირველადაც ვერ მოვხვდებოდით! – გამეცინა მე, – ცოდოა ბებია ზეინაბი... ვითომ მეორედ ვართ, რა მოხდა მერე? შენ დაბლა ჩადი, ვითომ არაფერი იცი და... მერე შეიცხადე, „უი, ჩემს არყოფნაში სუფრა აულაგებიათო...“

– მართალი ხარ, თამი... – მაშინვე დამეთანხმა ნათია და საქმეს შევუდექით.

როცა თეფშებით ხელში ბებია ზეინაბს დავადექით თავზე სამზადში, ერთი კი შეიცხადა, – „ღმერთო, მომკალი, თქვენ აალაგეთ სუფრაო?“ და მაშინვე თავლად დაიღვარა... აღარ იცოდა, როგორ მოგვეფერებოდა.

გაბადრული სახით იჯდა ბაბუა ელდარიც... მერე მოვიდა და ორივეს, მეც და ნათიასაც შუბლზე გვაკოცა... ცრემლი მოადგა თვალზე. პირი იბრუნა, რომ ეს ცრემლი შემთხვევით არ მოსწვევტოდა წამწამებს და ჩვენს თვალწინ არ დაგორებულისყო სხივნათელ სახეზე. სამზადიდან გავიდა და ელდარს გასძახა, – გოგო-

ნებს სოფელი დაათვალისწინებინეო. ელდარ-მაც არ დააყოვნა და ჭიშკრისკენ გაგვიძღვა.

– თამარ, ესენი წაიღეთ, შვილო, აქ მალე აცივდება... – გზაში დაგვეწია ბებია ზეინაბი და თხელი ჟაკეტები მომანოდა.

– უი, არ ცივა, გმადლობ, ბებია ზეინაბ... – დავაპირე მათი უკან დაბრუნება.

– გამოართვი, გამოართვი... შენ არ იცი, აქ რა სწრაფად შიძლება აცივდეს...

– არ შეგეზაროთ, სუფთებია... – დაბნეულობა შევატყვე ბებია ზეინაბს.

– არა, ბები... ეს არც გვიფიქრია... არ ცივა-მეთქი და ამიტომ... – ჟაკეტები გამოვართვი და ერთი ნათიას გავუწოდე.

– ფრთხილად იარეთ, ელდარ... მდინარესთან თუ ჩახვალთ, ხიდზე მარტოებს ნუ გადაუშვებ... – ახლა ბაბუა ელდარმა დაარია შვილიშვილი.

– რა ხდია ასეთი? – გამეცინა მე.

– ნახავ...

ეზოდან გასულები არ ვიყავით, რომ ბობი გამოგვეკიდა და გვერდით გამომყვა.

– თამი, ამ ძალს ჩემზე მეტად შენ მოეწონე... – გამოგვხედა ნათიამ, – ისე უხდებით ერთმანეთს...

– მე და ძალი?

– არა... შენ და სოფელი!...

– მაშაყირებ, ხომ? დიდი ამბავი, მე თუ სოფელში არ დავბადებულვარ... – ბობის ხელი გადავხვიე და ისე გავიყოლე.

– დღეს გადამრია ბობიმ... ასეთი თვინიერი კი არაა? სხვას ფეხს მოჭამდა ამდენ ხანში!

– ელდარ, მე „სხვა“ ვარ?

– ნუ, ახლა, ჩემთვის არა, მაგრამ... ამისთვის ხომ ხარ სხვა? პირველად გხედავს... ან იქნებ მეც პირველად გხედავ, რა ვიცი, აბა? – გაეცინა...

– ელდარ... ?????????? – (სხვა ვერაფერი გავიგე) დაუძახა ვიღაც ბიჭმა და რაღაც უთხრა აფხაზურად. ალბათ ჰკითხა, „ესენი ვინ

არიანო“?

– ჩემი მეგობრები არიან, თემურ... თამრიკო და ნათია... წამო ჩვენთან ერთად. სოფელი მინდა ვაჩვენო.

თემური მოგვიახლოვდა, ხელი ჩამოგვართვა და თან გამოგვყვდა.

ფეხდაფეხ შემოვიარეთ მთელი სოფელი.

საოცრად ლამაზი სოფელი იყო... კოპონია სახლები პატარა სათამაშოებს ჰგავდნენ ამ ბუბერაზი მთების ფონზე... ლამის ყოველ სახლთან მთის უგემრიელესი ცივი წყარო გადმოსჩქეფდა.

ბიჭებმა რაღაც ბილიკთან მიგვიყვანეს, რომელიც თავქვე ეშვებოდა მდინარის ხეობისკენ.

– ხომ არ გეშინიათ? – გვკითხეს...

– რა არის საშიში? – გაგვეცინა მე და ნათიას და ბილიკს გაგვევით.

ერთგან ბილიკი ციცაბოდ დაეშვა. ელდარმა მე შემაშველა ხელი, თემურმა კი – ნათიას. ხეობაში საკმაოდ ციოდა და ვინ იცის, გონებაში რამდენჯერ გადავუხადეთ მადლობა ბებია ზეინაბს ამ ჟაკეტების გამოტანებისთვის.

– აქეთ წამოდით, გოგონებო, – გვითხრა ელდარმა და ორად გაყოფილ ბილიკს კვლავ ზევით შეუყვდა.

– მდინარესთან არ ჩავალთ?

– არა, ძნელი ჩასასვლელია... აქედან გადავხედოთ...

სულ მალე გავიგეთ მდინარის ხმაც. მაგრამ, ხმაც არის და ხმაც... ეს იყო დამწყვედი ული ლომის ღრიალი. კიდევ ერთი მოსახვევი და... სუნთქვა შემეკრა მოულოდნელობისგან, – კლდეებს შორის ბენვის ხიდი იყო გაჭიმული.

ასეთი რამ მხოლოდ ჰოლივუდის ფილმებში მენახა!

– გადახვალ? – მკითხა ელდარმა.

– მარტო?...

– ჰო...

– მარტო ვერა! მოაჯირი მაინც ჰქონდეს უფრო შეკრული?!...

– და ჩემთან ერთად? – თვალბში ჩამხედა. აინტერესებდა, მეშინოდა თუ არა. შემამჩნია ყოყმანი და მაგრად ჩამკიდა ხელი, – ნაველით... თემურ, თქვენ ჯერ აქ იყავით.

– „ჯერ“ კი არა, სულაც აქ ვიქნები... – ძლივს ამოიღო ხმა ნათიამ, – მე თამისნაირი უშიშარი კი არ ვარ?!

– ჩემთან ერთადაც შეგეშინდება? – ახლა თემური მიუბრუნდა ნათიას.

– შენ დამიჭერ ამ ხიდზე რომ ფეხი ამიცდეს? არა, ბატონო... არსად წამსვლელი ვარ მე. და თქვენც მალე დაბრუნდით უკან. კიდევ უკეთესი იქნება, თუ არც თქვენ გადახვალთ იქით მხარეს.

– ნათია, იქით მხარესაც ეს სოფელია და ხალხი ამ ხიდით დღემდე სარგებლობს. ნუ გეშინია, თამრიკოს არაფერი დაემართება!

ხიდზე დავდექით. არასდროს გადავსულვარ მანამდე ასეთ ბენვის ხიდზე. ფეხქვეშ ხიდი აქანავდა და გულმა ბაგაბუგს უმატა. ელდარი მისვდა, რომ მეშინოდა და ხელზე ხელი მომიჭირა.

– ნუ გეშინია... აქ ვარ... შენს გვერდით!

– და ხელი რომ გაგეშვას? – ვცადე გაცინება, თუმცა არ გამომივიდა.

– არ გამეშვება, იმიტომ რომ...

– რატომ?...

– სარა ბარა ბზია ბზბოი... აი, რატომ...

– რაო, რა თქვი?

– სარა ბარა ბზია ბზბოი...

– ეს რას ნიშნავს? მოიცა... სარა ბარა ბზია ბზბოი?

– არა... თქვი, აბა: სარა უარა ბზია იზბოთ...

– სარა უარა ბზია იზბოთ... მაგრამ შენ რომ სხვანაირად თქვი?

– მე კაცი ვარ და შენ – ქალი... და თავისთავად სხვადასხვანაირად ვიტყვით...

– კი, მაგრამ რა ვთქვით ასეთი?

– კაი რამე თქვი, ნუ გეშინია... წინ წავიდეთ თუ უკან დავბრუნდეთ?

– მართალია, ცოტა საშიშია, მაგრამ... შუ-

ამდე მაინც მივიდეთ, კარგი, ელდარ?

– მაშინ ბოლომდე გადავიდეთ. ნავედით...

ნაბიჯ-ნაბიჯ მივინევდით წინ. შუა ხიდიდან დაბლა გადავიხედე და...

არც კი ვიცი, რომელი ფილმის გმირს შევადარო თავი, – უძირო ხეობაში ვინრო ზოლად მიიკლაკნებოდა მდინარე კელასურის ვერცხლისფერი ზოლი. მე კი ამ ხეობის თავზე უწვრილეს ბონდის ხიდზე ვიდექი, რომელიც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ციებიანივით ცახცახებდა და ქანაობდა. მაგრამ ეს არ იყო მთავარი, – ხმა ამოდიოდა ხეობიდან ისეთი, რომ... შიშით თმა ყალყზე დამიდგა. შევბრუნდი და ისევ წინ ნავედი! უკვე საკუთარი თავისთვის მინდოდა დამემტკიცებინა, რომ მეც შემოძლია ასეთ გზავინროებსა და ბენვის ხიდებზე სიარული... ის კი არა, ელდარს ხელიც კი გავუშვი და მარტომ განვაგრძე გზა.

ელდარი გვერდით მომდევდა და ყოველ წამს მზად იყო დასახმარებლად, თუმცა კი ახლაც ვერ მოვდივარ აზრზე, რა უნდა გაეკეთებინა, მე რომ ფეხი დამსხლტომოდა.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და... მყარი მიწა ვიგრძენი ფეხქვეშ. სულის მოსათქმელად ნავედი და იქვე დიდ ქვაზე დავჯექი. ელდარმა ხელი შემაშველა, რომ უკეთ მოვწყობილიყავი ჩემს ქვის სავარძელზე...

უკვე იმას ვფიქრობდი, „უკან რა დაბრუნდება-მეთქი?!“... ელდარი მიმიხვდა ფიქრს და ცოტა ფეხით გავლა შემომთავაზა.

– გავიაროთ ცოტა... მუხლებში კანკალიც გადაგივლის...

– შენ რა იცი, მუხლები რომ მიკანკალებს? – გამიკვირდა...

– მხოლოდ მუხლები კი არა, ერთიანად კანკალებ, ვერხვის ფოთოლივით...

– მემჩნევა? – შემრცხვა.

– ადე, ადე... ნავიდეო... გავიაროთ ცოტა. – ელდარმა ხელი გამომწოდა და ისეთი ძალით მომქაჩა, რომ ბურთივით წამოვხტი და მის

მკლავებში აღმოვჩნდი.

– გადაირიე? კინალამ ორივე გადავცვივდით.

– ორივეს გადავარდნა არაა საშიში... მაინც მხიარულად ვიქნებოდით.

– სად, ელდარ?

– აქ!... დაბლა, მიწაზე... ან იქ, მაღლა, ღრუბლებში... მაგრამ ერთად და მხიარულად!

– გარეკე?

– ალბათ... შუადღის მერე... თამრი, სულ სხვანაირად დაგინახე... ნულარ ნახვალ, რა?

– სად?

– თბილისში... აქ დარჩი, ჩემთან!

– გადაირიე, ელდარ? შენ... ჩვენ... მე...

– ხო, კიდევ ის, თქვენ და ისინი...

– რა?

– იმდენი ვინმე ჩამოთვალე, რომ... მე, შენ, ჩვენო და... – ხმამაღლა გაეცინა და გულზე მიმისუტა.

– მითხარი ახლა, რომ ხუმრობ!..

– და თუ არ ვხუმრობ?

– ახლა და აქ უნდა მეუბნებოდე ამას?

– რატომ? წელანაც გითხარი და მიპასუხე კიდევ...

– რა მითხარი?

– სარა ბარა ბზია ბზბოი-მეთქი... და შენც მიპასუხე, „სარა უარა ბზია იზბოთ“... ხომ მითხარი?

– და ეს რას ნიშნავს? – თვალეზგაფართოებული მივჩერებოდი ელდარს.

– მე აფხაზურად გითხარი, „მე შენ მიყვარხარ-მეთქი“ და... შენ მიპასუხე, „მეც მიყვარხარო...“

– ეს შეუძლებელია, ელდარ... მე სხვა მიყვარს...

– ნუ მეტყვი უარს, თამრი...

– არა, ელდარ... აქ რომ შემთხვევით არ მოვხვედრილიყავი, შენ ამას არ მეტყოდ. შენ არასდროს გითქვამს კი არა, არც კი მიგრძენია შენგან ასეთი რამ... მაპატიე, სახლში დავბრუნდეთ!

ელდარს ხელი გავაშვებინე და სირბილით გადმოვედი ხიდზე. ამ სიჩქარეში სულ აღარ ვფიქრობდი ხიდზე გადასვლის საშიშროებაზე და... სული რომ მოვითქვი, ნათიას გვერდით ვიდექი უკვე და ბობი მილოკავდა ხელის თითებს.

ალბათ ნოდარ დუმბაძეს უნდა დავესესხო, – „იმ ღამეს არ მეძინა მე... იმ ღამეს არ ეძინა ელდარს... ეძინა მხოლოდ ნათიას, მშვიდი და უშფოთველი ძილით“ და ალბათ სიზმარში ხედავდა, როგორ გადმოვრბოდი ღამის უმოაჯირო ბონდის ხიდზე და აღარაფრის მეშინოდა.

მეორე დილას თერთმეტ საათზე ჩამოიარა სოფლის ავტობუსმა და სოხუმში გამოვემგზავრეთ.

სად ხართ ახლა, ჩემო აფხაზო მასპინძლებო?!...

სად ხარ, ჩემი სტუდენტობის მეგობარო, ელდარ?...

ნუთუ ენგურის მღვრიე ტალღებს გაჰყვა და შავი ზღვის ტალღებში ჩაიკარგა ჩვენი მეგობრობა?!

ნუთუ ის ბონდის ხიდიც ჩანყდა, აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის რომ იყო გადებული?

ჩვენ ხომ ერთად და ბედნიერად ვაპირებდით ცხოვრებას, ქართველებიც და აფხაზებიც, ან აქ, დაბლა, მიწაზე და ან იქ, მაღლა, ღრუბლებში, მაგრამ ერთად და მხიარულად?

ლომა

(მოთხრობას საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი)

სტუდენტები ავტობუსთან ირევიან. თითქმის ყველა ადგილზეა, – ორ მეგობარს ელიან მხოლოდ, რომლებიც გიტარის წამოსაღებად შეყოვნდნენ. დავით-გარეჯის მონასტრისკენ აქვთ გეზი აღებული.

სტუდენტებიდან ძლივს თუ გამოარჩევ მათ ახალგაზრდა ლექტორს. სულ რამდენიმე წლით არის მათზე უფროსი და მათ მასწავლებლად კი არა, უფროს მეგობრად მიაჩნია თავი. ზოგი სტუდენტი – მისი ასაკისაცაა. მათთან მართლა მეგობრობს თეონა.

აი, დაგვიანებული სტუდენტებიც მოვიდნენ და ავტობუსი დაიძრა. სიმღერ-სიმღერით ჩავიდნენ დავით-გარეჯის მონასტრამდე. ავტობუსი გაჩერდა თუ არა, უცებ დასერიოზულდა ყველა.

თეონა ავტობუსის კართან იდგა და ამიტომ პირველი ჩავიდა ავტობუსიდან... პირველი და... უკანასკნელი! მის უკან ჯახუნით დაიკეტა ავტობუსის კარი და გაისმა კიდეც ვიღაცის შეკვივლება:

– ვაიმე, შეჭამს!.....

მაგრამ ეს შეკვივლება თეონას აღარ გაუგია, – მონუსხულივით მიდიოდა იქით, საიდანაც მისკენ ხბოს სიმაღლე მოყავისფრო-მოოქროსფრო ფერის კავკასიური ნაგაზი მორბოდა.

თეონასა და ძაღლს შორის მანძილი კატასტროფული სისწრაფით მცირდებოდა.

თეონას ძალიან უყვარდა ძაღლები და ამიტომ არ შეშინებია მისკენ წასვლა, მაგრამ რომ მიუახლოვდა, ღიმილი სახეზე შეეყინა: ამ ძაღლს ერთი დიდი ძაღლისხელა მხოლოდ თავი ჰქონდა, ტანზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

გაახსენდა თეონას მამის ნათქვამი:

– ძაღლს არასოდეს გაექცე, უჯოხო ხელები დაანახე და ჩაჯექი, ხელს არ გახლებსო...

ასეც მოიქცა, – მიწაზე ჩაიჩოქა და „ცუგა, ცუგაო“ – ნირნამხდარმა ჩაიბუტბუტა.

„ცუგამ“ სირბილს უკლო, დინჯად მიუახლოვდა თეონას და ყურადღებით დაყნოსა. თეონამ შინაგანი კანკალი მოთოკა, ფრთხილად ასწია ხელი და ძაღლს თავზე გადაუსვა. ძაღლმა დრუნჩი სახესთან ახლოს მიუტანა თეონას და გაიყურსა.

მიხვდა თეონა, რომ ძაღლს მოეწონა და გაუთამამდა, – ფეხზე წამოიმართა და... მხო-

ლოდ მაშინ დააფიქსირა მისი რეალური ზომა: ძალღი მკერდამდე სწვდებოდა.

დაიბნა თეონა... აღარ იცოდა, რა მოემოქმედებინა, ფეხის გადადგმის ემინოდა!... ემინოდა, არ გაებრაზებინა ეს უზარმაზარი ძალღი, რომლის მსგავსიც არასოდეს ენახა!!!

– თეონა მასწ, გიშველოთ? – მოისმა ავტობუსიდან ერთ-ერთი სტუდენტი ვაჟის ხმა და იქვე გაიგონა კიდეც ძალღის ღრენა.

თეონამ ავტობუსისკენ მიაბრუნა თავი, „ჩამოსვლა არ გაბედოთ“ – მიაძახა და კვლავ ძალღს მიუბრუნდა:

– რამხელა ხარ?! და რა ლამაზი!!!... ნამდვილ ლომს ჰგავხარ! რა საინტერესოა, რა გქვია?!... მოდი, „ლომას“ დაგიძახებ, ვიდრე აქ ვიქნები, კარგი?... რაო, ლომა, ვიდრე ასე უაზროდ? მე ჩემს სტუდენტებთან უნდა დავბრუნდე! თუ გინდა, შენც წამოდი...

და თეონამ დაინახა, როგორ დინჯად დაიძრა ძალღი ავტობუსის მიმართულებით. თეონა წამით შეყოვნდა და შემდეგ ისიც ძალღს გაჰყვა. ავტობუსთან ძალღი შეჩერდა, თეონას მოხედა და კუდი ააქიციანა. თეონა ძალღს მიუახლოვდა, ჯერ თავზე გადაუსვა ხელი, შემდეგ კისერზე მოეხვია...

ავტობუსის კარი გაიღო, თუმცა გადმოსვლას ვერავინ ბედავდა.

– ლომა, ესენი ჩემი უმცროსი მეგობრები არიან, მე ისინი ძალიან მიყვარს... იმედია, მათ არაფერს დაუშავებ, – თითქმის ყურში ჩასჩურჩულა თეონამ ძალღს.

ძალღმა ისეთი ჭკვიანი თვალებით შეხედა, რომ თეონას შერცხვა კიდეც ამ „გაფრთხილების“ გამო.

– ბავშვებო, ჩამოდით, მხოლოდ ძალიან ახლოს ნუ მოხვალთ, – ასძახა თეონამ შეშინებულ სტუდენტებს.

ავტობუსიდან პირველი გიო ჩამოვიდა. მას ნელ-ნელა ჩამოყვინენ სხვა სტუდენტებიც.

გიო ყველაზე ახლოს იყო თეონასთან, მასზე ერთი წლით უფროსიც კი იყო და ძალზე უხერხულად გრძნობდა თავს, თეონა რომ მარტო

აღმოჩნდა ამ ”მონსტრთან”.

გიომ თეონასთან მიახლოება გადანწყვიტა, მაგრამ ძალღმა ისე ავად შეუღრინა, რომ გიომ მომენტალურად დაიხია უკან. თეონამ მაგრად მოხვია ხელი ძალღს.

შორიდან ძალღების ყეფის ხმა მოისმა. ხმა თანდათან ახლოვდებოდა. სულ უფრო და უფრო გარკვევით ისმოდა, რომ 4-5 ან თუნდაც 15-20 კი არა, გაცილებით მეტი ძალღი ყეფდა ერთდროულად...

უცებ ლომა თეონას ხელიდან გაუსხლტა და ყეფით გაქანდა იქით, საიდანაც ძალღების ყეფის ხმა ისმოდა.

გიომ დრო იხელთა, თეონას მიუახლოვდა და მოუბოდიშა. თეონამ თავი დაუქნია და ძალღს გააყოლა თვალი.

– რას უყურებ?! ძალღები დაინახა და მათკენ გაიქცა!... ნავიდეთ, მონასტრის ეზოში შევიდეთ... – მაგრამ თეონას გაცეცხულ თვალებს რომ შეხედა, გიომაც ძალღის მიმართულებით გაიხედა.

გაიხედა და... გაოგნდა, – ლომა „მოლაპარაკებას“ აწარმოებდა, ალბათ, იმ რაიონის საძალღეთთან: ის იდგა უამრავი ძალღის წინ და სხვადასხვა ხმაზე ყეფდა, თითქოს რაღაცას ყვებო. როგორც კი ჩუმდებოდა ლომა, ყეფას იწყებდა რომელიმე სხვა ძალღი და მას აუცილებლად ისევ ლომა ეპასუხებოდა.

ცოტა ხანში „ძალღების კრება“ დაიშალა, ლომა კი კვლავ ავტობუსისკენ წამოვიდა და თეონას ამოუდგა გვერდით.

ლომამ მათთან ერთად მოიარა ლავრის მთელი ტერიტორია.

ერთ ადგილას თეონამ დიდი და ფართო ხვრელი შენიშნა. ახლოს მივიდა, ჯიბის ფანარი შეანათა, – ხვრელი საკმაოდ ღრმა იყო, მის ბოლოს ფანრის შუქი ვერ სწვდებოდა. მიხვდა, რომ მასში თავისუფლად შეეძლო შეძვრომა. და ის იყო, ამ გადანწყვეტილების განხორციელება დააპირა, რომ ლომა შარვლის ტოტში სწვდა პირით და მთელი ძალით გამოქაჩა.

– ლომა, გამიშვი, შარვალს დამიხვე!... გეს-

მის, რას გეუბნები? – მუდარით უთხრა თეონამ.

სულ ამოდ! ლომამ ისეთი ძალით გამოქაჩა, რომ თეონას ფეხი აუცდა და წაიქცა.

– გაგიჟდი? რას აკეთებ?! – თეონას წყენა შეეპარა ხმაში.

ლომამ თავი დალუნა და შეპარვით ახედა თეონას, შემდეგ ხვრელთან მივარდა და მთელი ძალით დაიწყო ყეფა. თეონა მანამ ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, სანამ ხვრელიდან სისინით არ გამოყო თავი უზარმაზარმა გველგესლამ.

თეონა კი არ წამოხტა, – წამოფრინდა მიწიდან და ლომას ამოეფარა. მაგრამ გველგესლას თავადაც შეეშინდა ლომასი და სწრაფად მიიმალა ხვრელში.

– ლომა, შენ მე ახლა სიკვდილს გადამარჩინე!... რა ჭკვიანი ხარ, ლომა! – მიეფერა აკანკალებული თეონა.

ლავრის დათვალეერების შემდეგ სტუდენტებმა სუფრის გაშლა გადაწყვიტეს. ლომაც მათთან იყო. ერთი კია, ვერცერთი სტუდენტი ვერ ბედავდა თეონასთან მიახლოებას.

ბიჭებმა მწვადის შეწვა დაიწყეს. ჰაერში შემწვარი ხორცის სურნელი დატრიალდა. ამ სურნელმა სხვა ძაღლებამდეც მიაღწია და ისევ დაიძრა მათკენ ძაღლების ხროვა. სტუდენტებმა შიშით გადახედეს ერთმანეთს და ლომას შეაჩერდნენ. სიტყვის უთქმელად მიხვდა ლომა, რომ სტუდენტებს მისი თანამოძმეებისა ეშინოდათ. მაშინვე მოსწყდა ადგილს და იმ ძაღლების მიმართულებით გაიქცა. დიდხანს უყეფდნენ ერთმანეთს ძაღლები, მაგრამ ლომამ „გაიმარჯვა“ და ძაღლებმაც პირი იბრუნეს.

გამარჯვებული იერით, ამაყად წამოვიდა ლომა სტუდენტებისკენ და კვლავ თეონას ამოუდგა გვერდით.

– ლომა, შენ რომ არ მყავდე, რა გვეშველებოდა აქ, ჰა? – თავზე ხელი გადაუსვა თეონამ და თვალეებში ჩახედა.

უსაზღვროდ ჭკვიანი, სევდიანი და მშვიდი თვალეები ჰქონდა ლომას.

ნიავემა პირდაპირ მათთან მოიტანა მწვადის სურნელი და სასიამოვნოდ შეუღიღინათ

ცხვირში.

ხედავდა თეონა, როგორ ყლაპავდა ნერწყვს ლომა, მაგრამ ერთხელაც კი არ დაუყეფავს საჭმლის მოლოდინში.

გიომ ერთი დიდი ძვლიანი ნაჭერი სპეცი-ალურად შეუწვა ლომას, გაუგრილა და ერთჯერადი თეფშით მიწაზე დაუდო. ლომამ დაყნოსა, მაგრამ პირი არ დააკარა მირთმეულ ნობათს.

– შენ, რა, არ კადრულობ ჩვენთან ერთად ჭამას თუ რა არის? – საყვედურით იკითხა გიომ.

ლომამ თეონას შეხედა. თეონა ხორცს მიუახლოვდა, ცოტა მოაგლიჯა, გაშლილ ხელისგულზე დაიდო და ლომასკენ გაიწვინა.

ფრთხილად, თითქოს-და „არაფერი ვატყინო“, ისე დასწვდა ლომა ხელისგულზე დადებულ ხორცის ნაჭერს და გადაყლაპა.

– ნუ გეშინია, ლომა, ჭამე!... – უთხრა თეონამ და ხორციანი თეფში ახლოს მიუწია.

ლომამ ხორცს გემრიელად მოუღებინა და რადგან მისი ულუფა გიოს მიერ გახლდათ შემწვარი, მისი სიმპატია დაიმსახურა. ლომამ გიოს მასთან მიახლოების უფლება მისცა, მაგრამ... თეონასთან მიახლოებაზე – ბოდიში!

თბილისში დაბრუნების დრო მოვიდა. თეონამ ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა, ჭკვიან თვალეებში ჩახედა, მიეფერა, „აბა, კარგად იყავი, ლომო“, – უთხრა და ავტობუსში ავიდა.

კარის დაკეტვამდე ჩუმად იდგა ძაღლი, მაგრამ შემდეგ?!...

ავტობუსის კარის დაკეტვის შემდეგ „აინყვიტა“ ძაღლმა, ისეთი ყეფა დაიწყო, რომ სტუდენტებს გული გადაუცივდათ. და როდესაც დაძრულ ავტობუსს ძაღლი წინ გადაუხტა, თეონამ „გააჩერეო!“ – იყვირა.

ლომა ერთი ნახტომით გაჩნდა ავტობუსიდან ჩასული თეონას გვერდით, ყალყზე შედგა და მხრებზე შემოაწყო ტორები. თეონას შიშით გული გაეყინა, თუმცა არ შეიმჩნია... მაგრამ როცა ძაღლმა ლოყაზე აუსვა ენა, – ფერი დაკარგა.

– ლომა, მე უნდა წავიდე! გესმის?.. უნდა წავიდე!!!... მე ვერ დავრჩები შენთან!...

ძალღმა ერთხელ შეჰყეფა და გაჩუმდა, შემდეგ თეონას მხრებიდან ჩამოიღო ტორები, თავით თეონას მიეკრა და გაირინდა.

თეონამ თავზე მოხვია ხელები ლომას, მიეფერა და სწრაფად ავიდა ავტობუსში.

ავტობუსი დაიძრა.

ლომა ადგილზე დარჩა, თუმცა – დროებით.

ორასიოდე მეტრი თუ ექნებოდათ გავლილი, რომ ძალღი ადგილს მოსწყდა და საშინელი ყეფით გამოეკიდა ავტობუსს.

თეონამ მძღოლს გასძახა: „არ გააჩერო, სწრაფად წადიო“ და ყურებზე აიფარა ხელები.

სტუდენტები უკანა ფანჯრებს მიანყდნენ, – ლომა ფეხდაფეხ მისდევდა მთელი სისწრაფით მიმავალ ავტობუსს. ხმას ვერავინ იღებდა. უცნაურ სიჩუმეს მხოლოდ ძრავის ხმაური და ძალღის ყეფა არღვევდა.

კარგა ხანს იარეს ასე...

– ხალხი არა ხართ?! ათი კილომეტრია მოგვდევს!... მე ვაჩერებ ავტობუსს და თქვენი არ ვიცი!... ცოდოა ძალღი! სული მაინც მოითქვას!... – შესძახა მძღოლმა და მთელი ძალით დაამუხრუჭა.

ლომა დაკეტილ კარებს მიანყდა და აიყალყა.

თეონას მხრები უცახცახებდა, უხმოდ ტიროდა თვალდახუჭული, ყურებზე ხელებაფარებული...

როგორც კი კარი გაიღო, თეონა ადგილს მოსწყდა და დაბლა ჩახტა. ნაიფორხილა და მუხლებზე დაეცა. ლომა მაშინვე მასთან მიიჭრა, აქოშინებული თავი თავზე მიადო და გაიტრუნა.

თეონას ღაპა-ღუპით სდიოდა ცრემლები. ძალღი თეონას წინ ჩაცუცქდა და ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი აულოკა.

– ვახ, კაცო, ამ ხნისა მოვიყარე და ასეთი

რამ ამბადაც არსად გამიგონია!!! გოგო, შენი ხო არ არის ეს ძალღი და ხო არ გვიმალავ, ჰა?! – იკითხა მძღოლმა და, პასუხი რომ ვერ მიიღო, ავტობუსს მოსცილდა.

თეონამ ძალიან მაგრად მოხვია ძალღს ხელები, მიეხუტა და შუბლზე რამდენჯერმე აკოცა... უეცრად იგრძნო, როგორ დაეცა ხელზე ცხელი ცრემლი, მაგრამ ეს ცრემლი თავისი არ იყო, – ძალღი ტიროდა!!!...

– მაპატიე, ლომა! მე უნდა წავიდე!... ხომ გითხარი, მე შენთან ვერ დავრჩები და ვერც შენ წავიყვან თან!... გთხოვ, გვედრები, გამიშვი!... გამიშვი, თორემ გასკდა გული!... არ გეცოდები?! აღარ წამომყვე!... სახლში დაბრუნდი, გთხოვ!!! – უკვე ხმამაღლა ტიროდა თეონა.

სტუდენტები ფანჯრებიდან იყურებოდნენ, მაგრამ დაბლა არცერთი არ ჩასულა, გიოს გარდა.

გიო ლომას მიუახლოვდა, ხელი ძმაკაცურად გადახვია და ჩაილაპარაკა:

– ყოჩაღ, მეგობარო!... სამი წელია თეონა მიყვარს და თქმა ვერ გამებედა... მერე რა, რომ ძალღი ხარ?! შენგან ერთგულეცა შემიძლია ვისწავლო და სიყვარულის გამოხატვაც... კაცურად გთხოვ, დამითმე თეონა!... ის ხომ ადამიანია და არა ძალღი?!... მე ძალიან მიყვარს თეონა! დამიჯერე... მას არასოდეს ვანყენინებ!...

გიომ თეონას ხელი შეაშველა, წამოდგომაში მიეხმარა და გვერდით დაუდგა... თან მაგრად ეჭირა თეონას ხელი.

ძალღმა ცრემლიანი თვლებით მოხედა გიოს, ერთხელ კიდევ მიეხუტა თავით თეონას და... წავიდა!... წავიდა ისე, რომ ერთხელაც აღარ მოუხედავს უკან, ავტობუსი კი მხოლოდ მაშინ დაიძრა ადგილიდან, როდესაც ლომა საბოლოოდ მიეფარა თვალს.



მანანა ჩიციშვილი

ამ სასტიკ ქარში
სული ჩემი მარტოდ ვალალებს,
არ ჩანს მშველელი,
საიმედო თუნდაც დროებით
და ჩემს მშვენიერ,
სინათლისგან დახლეჩილ თვალებს
კვლავ ენატრებათ
მყუდროება საღამოების.

აკვანძი

(მიტოვებული სოფლის სურათიდან)

ფერფლი ნაჰყვრია კერაზე ნახშირს,
გზად გადუვლიათ მაღალ ანწლებს და
უკარფანჯრებო შენეულ სახლში
ქარი ცარიელ აკვანს არწევდა.

ჯარაზე თეთრი ობობას ქსელი
და წვიმა მივსებს ფერად ჭინჭილებს,
და ვეფერები მთრთოლვარე ხელით
აკვანზე შებმულ მიძის და ღინჭილებს.

ჩამქრალ ერდოებს ჭოტი უკივის
და კარს ჯვრის სახედ აკრავს ფიცარი,
და მოძალადე თურქ-სელჯუკივით
გრძელ კიბეებზე არბის ჭინჭარი.

ვისაც ვუყვარდი

ვინ აკაკუნებს ჩემს სარკმელზე
ამ დილა სისხამს?
ქარია, ალბათ,
გზა აებნა იქნებ მათხოვარს..
მშვიდობა ყველას,
შორ წარსულში ვუყვარდით ვისაც,
ვისაც ვუყვარდით,
მაგრამ ახლა აღარ ვახსოვართ.

ჩამოდის თქემად
უგუნურთა ცოფი და რისხვა,
განმსჯელი არ ჩანს,
მივაგინყდით იქნებ მაცხოვარს..
მშვიდობა ყველას,
შორ წარსულში ვუყვარდით ვისაც,
ვისაც ვუყვარდით,
მაგრამ ახლა აღარ ვახსოვართ.

ლექსებს ვკითხულობ

ღმერთო, მომმადლე მოთმენის ნიჭი,
დამბადე მწყემსად ანდა – ქვითხუროდ,
გთხოვ, მაპატიო, მე როცა მიჭირს,
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.

იდგა დარი თუ გრიგალს მივქონდი,
სულ მწამდა, უცხო ნაპირს ვნახავდი,
ვერ დავიურვე მაინც სტრიქონი,
ვერ მოვიხადე ლექსის სახადი.

ნურვინ ჩამითვლის სურვილს აუგად,
მუდამ მლოცველი ვიყავ ამ მიწის,
რა ვქნა, თუ იის ეშხმა დამბუგა,
ბროწეულების ცეცხლში დავინვი.

ქარი რომ ნისლის ბაირალს გაშლის,
გულო, დარდით ნუ დამეხურები,

შორს ვარსკვლავები ბრწყინავენ ცაში,
როგორც იესოს ნაფეხურები.

ღმერთო, მომმადლე მოთმენის ნიჭი,
დამბადე მწყემსად ანდა – ქვითხუროდ,
გთხოვ, მაპატიო, რომ როცა მიჭირს,
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.

**სიყრმის მეგობარს დავით თედორაძეს
ნახევრად ხუმრობით,
მისი რჩეულის ნაკითხვის შემდეგ**

თუ სიყვარულზე მოვიდა
ლექსი, ვაჟღერეთ ქნარი,
რას გეუბნება ცოლი და
ჩემი რას ფიქრობს ქმარი.

დაფრინავს ციციანათელა,
ნათობს კარიდან კარად,
იციან, ლექსის სანერად
ხან რომ ოცნებაც კმარა?

ალბათ იციან, ჩქარობენ,
ღიმით ხვდებიან სტუმარს,
ლექსზე თუმც ეჭვიანობენ,
მაინც ამაყად სდუმან.

ბევრჯერ ამაოდ ვილოცეთ,
სიმნი გამწყდარნიც ჟღერენ...
იმდენ სიყვარულს ვინ მოგვცემს,
ჩვენ რომ ლექსებში ვწერეთ.

რაღა ცრემლებმა გაგვწუნონ,
ვიდრე ჩვენი მზე ჩავა,
ვწერთ, ვილამაზებთ სანუთროს,
ვითომ ვუყვარდით მავანს.

ვიცხოვრეთ სხვაზე მეტობით,
ვეყმეთ კახეთს და მუცოს,
უფრო შორეულს ვეტრფოდით,
მიუწვდომელს და უცხოს.

თავს არც იოლად ვუყადრით
ღრო-ჟამს, მივყვებით კიბეს...
იქნება კიდევ ვუყვარდით,
იქნებ გვიყვარდა კიდევ.

წარსული ჯერაც აქვია,
ლექსით ვაბრუნებთ ხურდას...
ანდა ვისი რა საქმეა,
ვინ გვიყვარდა და გვძულდა.

მზე აფრინდება გორიდან,
გულივით გვიძგერს ქნარი...
რას გეუბნება ცოლი და
ჩემი რას ფიქრობს ქმარი.

სამშობლოს ვეძებ

არის ჟამი, რომ
ხმალმა უნდა თამამად იხმლოს,
შენ კი ქარიშხლებს
ღრონი მუდამ ავად გახლიდნენ,
მიტხარი მაინც,
ღვიძლო ჩემო
და ჩემო სისხლო,
ამ გოლგოთაზე
მერამდენედ უნდა ახვიდე.

ალარ დასრულდა
მტრის ბოღმა და ავი ქადილი?
როდემდე უნდა მოითიბოს
ტყვიებით ლელი...
მცხეთის მთებიდან
ნისლი, როგორც ნინოს მანდილი,
ზეცისკენ მიდის
ფერმკრთალი და ცრემლებით სველი.

ყველა სიავე
გარდიხდება ოდესმე მისხლით,
ასე ყოფილა,
ძველ დროთაგან ასე ითქმევა,

დღეს თუ არ, ხვალე –
ძმათა ჩვენთა უმანკო სისხლი
წითელი ვარდის შადრევნებად
ამოიფრქვევა.

არ დადრკე ოღონდ!
არც თავდახრით მიდგე ჩეროში,
უფლის იმედით იოცნებე
უკეთეს ბედზე...
ტირილით დადის
დამარცხებულ საქართველოში
სული ჩემი და
გამარჯვებულ სამშობლოს ეძებს.

არაგველების მონოლოგი

ხმლებით ატეხილ
ქარით ვშრებოდით,
წყლულს ცხელი სისხლი
გვბანდა,
ერთი მტრის ჩეხვას
ვერა ვრჩებოდით,
ზღურბლთან
მეორე ჩანდა.

მუხლთ მაინც
არვის არ ვექნებოდით
ღვთის და
მამულის გარდა,
ჩვენ სიკვდილითაც
ისე ვკვდებოდით,
რომ
უკვდავებას ჰგავდა.

ალარს ის საქართველოა

მთები რომ ჯანღმა მინისლა,
მტერმა სავალი დაღახა,
„ვაჟკაცსო გული რკინისა“ –
შენ ის ვაჟკაცი არა ხარ.

მკლავი, ცხენ-კაცის მკვეთელი,
მუხრანს სძრავს ქვიშას ნამიანს,
მახვილი, რკინის მკვნეტელი,
დრო და ჟამს შეუჭამია.

თუმც ჯიხვთ ხორონი კმა იყო,
ვეფხვს შეუღუნა ნაწოლი,
იმ მოყმის გული სხვა იყო,
სხვა ძუძუ ჰქონდა ნაწოვი.

ცად ქართველთ სისხლი აშხეფდა,
წინამურს მოსკდა ბალახად,
წაგებულ ომში არ შეხვალ,
შენ ის ქართველი არა ხარ.

თითქოს კვლავ ის მთა-ველია,
წყლის პირს იგივე ლელები,
ალარც ის საქართველოა,
ალარც ის არაგველები.

შენ ჩემი ლოცვა გიშვალის

რას ნაღვლობს ორი გიშერი,
ღანვზე რა დარდის მოლი წევს...
შენ ჩემი ლოცვა გიშველის,
მე შენი წყევლა მომიწევს.

სხვას დარჩა ჩემი ნალკოტი,
სხვა სცემს დაფსა და ფანფარებს,
წარსულს, წლებისგან დაკორტნილს,
თავს ველარსაით ვაფარებ.

მზემ მთხოვა სული, ვერ მივე,
ვერც – ზღვას, შემომდგარს პირამდი,
ხან ცრემლი მწვავდა ჩემივე,
ხან გულგრილობით მყინავდი.

გზა ალარ ჩანდა უკან და
ვფანტე ბროლი და ბადახში,
მე სიყვარული მღუპავდა,
შენ სიძულვილით გადარჩი.

და ჟამს, გრიგალს რომ მომირწევს,
შევრჩი, ვით ალვა შიშველი...
მე შენი წყევლა მომიწევს,
შენ ჩემი ლოცვა გიშველის.

ჰინა ნახა

ამ უხდინარ სანუთროში
დავალ, როგორც მწირი გლახა,
ხან თუ მზის შუქს ვეფერები,
ხანაც კუპრის ტბასა ვლახავ.
ცრუ მგონია ეს სოფელი,
ერთხელ მილაღატა რახან,
სხვათ აჭმია დოლის პური,
არც ხმიადი შემინახა.
ჩითის პერანგს მანატრულა
ზოგს არგუნა დიბა, ქამხა,
ბედს ვსდიე და ვერ ვენიე,
ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადალახა,
ნეტა, ჩემმა დამკარგავმა
უმჯობესი ვინა ნახა.

შენ მეკითხები

ცხოვრება ჩვენი, არცთუ მარტივი,
ჰგავს მატარებლის მსრბოლავ ვაგონებს,
შენ მეკითხები – „რატომ არ სტირი?“
მე ვტირი, მაგრამ შენ ვერ გაგონებ.

თოვს, ამინდია ისეთი კუშტი,
ყველა დარაბა ერთად მივხურე...
შენ მეკითხები – „არა გჭირს გულში?“
მე კი მჭირს, მაგრამ შენ არ მიყურებ.

ქარი მთებისკენ წაიღებს ნისლებს
არევ-დარევით, ისე, ნებისად,
შენ მეკითხები – „გახსოვარ ისევ?“
არც არასოდეს დამვიწყებხარ.

გული ვილაცამ გადამიყავრა,
ამ მთებს დარდით ნისლი უხდება...
შენ მეკითხები – „ისევ გიყვარვარ?“
და მხოლოდ ცრემლი გეპასუხება.

ცხოვრება ჩვენი, არცთუ მარტივი,
ჰგავს მატარებლის მსრბოლავ ვაგონებს,
შენ მეკითხები – „რატომ არ სტირი?“
მე ვტირი, მაგრამ შენ ვერ გაგონებ.

ისევ მოვა მალე მარტი

უამური, ცივზე ცივი ქარი ქროდა,
გამშვიდებდი – ისევ მოვა მალე მარტი
და იების დაგშვენდება ლურჯი ქობა,
ვით შუშანიკს სადედოფლო პალეკარტი.

არ ვიცოდი, ვინ იყავი, სადაური,
არ მიკითხავს სალოცავი ანდა რჯული,
გიხდებოდა პენჯაბური ხატაური
და თვალები, ვეფხვის მზერით დახანჯლული.

მთვარის გზებით მოდიოდა მთებში ღამე,
ძლივს მოგაგენ, შემეცვალა ალბათ მხარი,
აღსარების ცრემლით კალთა დაგინამე
და შენ მაინც ერთი სიტყვაც არ მითხარი.

დრო გავიდა. ყანა უკვე სამკელია,
ზოგჯერ მაკრთობს მოლოდინი ავი სეტყვის,
ნუთუ ჩემთვის საამბობი დაგელია,
ნუთუ დღესაც აღარაფერს აღარ მეტყვი.

შენთან მოსვლა არ მქონია განზრახული,
იცის ღმერთმა, უნებურად მოვყევ ბადეს,
დამინოდე დროის რტოდან გაზაფხული,
რომ მწყურვალი იმედები ამიყვავდეს.

გახსოვს ის დრო, როცა ცივი ქარი ქროდა,
გამშვიდებდი – ისევ მოვა მალე მარტი
და იების დაგშვენდება ლურჯი ქობა,
ვით შუშანიკს სადედოფლო პალეკარტი.

კაი ყმის ხელით ვკვდებოდ

ლომისით ბინდი ჩამოდის,
 ლემზე ხარობენ აფთრები,
 არ ჩამოჰყვები ბნელ ღამეს,
 მალვით არ ჩამისაფრდები.

და როცა მუხრანის ველზე
 მთვარე შავ ჩრდილებს დამაყრის,
 გულდაგულ გადამიდგები
 მოყმე პირბადრი, ამაყი.

ორნივ ლალნი და უკადრნი
 სახელით, ციხე-ქავითა,
 ცა წითდა ჩემი ფრანგულით,
 შენ დამასწარი წამითა.

მთვარე გორს უკან ჩავიდა,
 მეც ვილეოდი, ვდნებოდი,
 გულს მაინც მადგა ნათელი –
 კაი ყმის ხელით ვკვდებოდი.

და ბოლო ამოქმენამდი
 სული გათენდა, ამხეცდა,
 ავინიე და... გაკოცე
 ჩემგან გაჩეხილ მხარზედა.

ეპას მონოლოგი

ტყისპირს, გათიბულ ღიღილოებში ვწევარ,
 მთვარე უცნაურ და უცხო ჩრდილებს ლანდავს...
 ცხელი ჩურჩული: „მოხვალ, ძვირფასო ევა?“
 და უფრო ცხელი: „უკვე შენთან ვარ, ადამ!“

ბაგეა სველი და სურვილისგან ბრწყინავს,
 ეს სარეცელი მინდვრის ბალახით ვკერე...
 ოღონდ ნუ მეტყვი, რომ არ გიყვარდი წინათ, –
 არც შეხვედრამდე და არც შეხვედრის მერე.

მკვდარ გვირილებზე გასრიალდება გველი
 და თივის ზვინზე ჭრელი ლენტვივით ცოცავს, –

შენ არ მიბოძე ეს ნეტარება მწველი?!
 შენ არ მასწავლე ასე მხურვალე კოცნა?!

თმები ჩაშლილი, როგორც შრიალა ლელი,
 მსხვილი ბაგე და მკერდი მარმართ თლილი...
 ღამე – იმ პირველ ცოდვისნაირად ბნელი,
 ღამე – იმ პირველ ცოდვისნაირად ტკბილი.

რა დამავინწყებს მრისხანე ქუხილს –
 „ევა!“

ზეციურ ბალებს, იმათ ხიბლსა და ჯადოს...
 ახლა ქალი ვარ...

ახლა დედა ვარ...

„მე“ ვარ

და ამ მშვენიერ სიყვარულისთვის გმადლობთ!

ბადაძახილი

ალარ ვიცი,
 ვინ ან როგორ შევაჩვენო,
 ქსანს და არაგვს
 უცხო მუმლი მისეგია,
 ქართლი,
 როგორც გაროზგილი დედაჩემი,
 გადატყაულ მუხლისთავზე
 მისვენია.

გვერდით მიდევს
 ვერცხლისფერი ამულეტი,
 თვალს ვარიდებ გადამტვრეულ,
 პირბლაგვ მახვილს,
 „რა უყავით,
 რა უყავით მამულეები?!“ –
 ტირილის ხმით
 ვილაც გაღმით გამომძახის.

ეს ხმა
 ათას ჩემისთანა გულთან დაობს,
 ხან მრისხანებს,
 ხანაც გლოვის ისმის ზარი –

„ვის მიეცით
ეს წყალ-ჭალა საიგავო,
უფლისაგან
სასოებით ნაბოძვარი?!“

ამობრწყინდი, მზეო,
ლამის გამთენებო,
ჩვენ თუ არა,
სხვა ვინ შეცვლის ამგვარ ამინდს...
გაიღვიძეთ,
გაიღვიძეთ, ქართველებო! –
დამდგარია
ტანზე თაფლის წასმის ჟამი.


ალარ ვიცი,
ვინ ან როგორ შევაჩვენო,
ქსანს და არაგვს
უცხო მუმლი მისევია,
ქართლი,
როგორც გაროზგილი დედაჩემი,
გადატყაულ მუხლისთავზე
მისვენია.

მაინც საქართველო ერქვა

ვინ აცლიდა
ლექსს და მღერას,
ზედ აკლავდნენ
კავს და ერქვანს,
სისხლის ბევრი
ნაკადული
ზღვამ და ხმელმა
დაილექა.

ვეფხის წიგნით
ანცვიფრებდა
თურმე
მედინას და მექას,
ლმერთი
მარჯვენს უკურთხებდა
მალლით
ბეშქენსა და ბექას.

ურიცხვ მტრისგან
გათელილი,
როგორც
ალვანური თექა,
მაინც
პირჯვარს ისახავდა,
მაინც
საქართველო ერქვა!



ჯამალ ინჯია

სოფელი პრბე

დავით თედორაძეს

ბათუმელი ქებურია თუ ჰიმნს უძღვნის
გერგეტს,
მე გორიდან გაგისხენებ, გულმაგარო ერგე.
აჭარელი ძმის ადგილის დედა ხარ და ვიცი –
წინაპრების გვარზე რომ შენ ახტუნავე კვიცი.

საქართველოს სიყვარული ისე ჩაუნერგე,
რომ გადასცეს შვილ-მომავალს, თუ რას
ნიშნავს „ერგე“.
შემიძლია ამაყად ვთქვა (იქნებ ცოტა
კვებნით),
შენი ტაძრის ხარაჩოზე რომ შემიდგამს ფეხი.

შუა ქართლში წარმოვიდგენ, შენს ბალებში,
ერგე,
ნიავი რომ უნანავებს მანდარინის ნერგებს.
წარმოვიდგენ, რომ გვალვაში შინ იჩქარის
დათო –
ჩემს კალმასებს გუბურაში წყალი მოუნდათო.

წარმოვიდგენ, რომ მზეზე ჰფენთ ასკილ-
შინდის კერკებს,
ჯადო რატომ გამიკეთე, რას გიშლიდი, ერგე?!
ერგეაშვას ვერ გიმღერებ... წერა ვიცი
მხოლოდ,
გიდღეგრძელებ აჭარისწყალს, ჭოროხსა და
ჩოლოქს.

* * *

სათქმელს კი არ ვაზვიადებ,
მოკლედ ვჭრი მე, რადგან
ერთხელ ასეთ ხასიათზე
სიცოცხლეში ყველა დგას.

უცხო ჰაერს შევისრუტავ
დარდანელის სრუტიდან,
დღეს ნანატრი შემისრულდა –
სილა ვტკიცე ცრუ ტიტანს

მთიან მაკედონიაში
გავიტაცებ როზიტას
ან დავითრევ დუნიაშას
ბ. ოკუჯავას პროზიდან.

მართვე

ავ ბედთან მორკინალს
მინა მაქვს ბორკილად,
რადგანაც წამართვეს
საფრენი ცა მართვეს.

სინანული ბოდების კედელთან

სუნამოთი გაჟღენთილი
ცხვირსახოცი სალომე
ლოყიდან არ ჩაგიგდია,
არ გამხადე სალომედ.
შენ ისედაც ჩემი იყავ
ეთერივით, სალომე,
გასაჭირში მიგატოვე
და გიაბესალომე.

მაგ წყნარი ხმით რად არ მესმის
ტელეფონის „ალო“ მე?
სხვისგან მკვდარი რადამესი
აღმადგინე, სალომე.

ახსენა ბრძენი წინაპრები, გორის წარსული
და გაიხსენა ექსპანსია თურქულ-სპარსული.
მოკითხვას ლექსად გადასცემდა, წრფელს და
უთვალავს,
გონიოს ციხე გორის ციხემ რომ შეუთვალა.

ბორელების თრობა ანაკლიაში

*
ბროლის ჭიქების აზურმუხტებას
ვინყებთ და, აუჰ, რა საღვინეა! –
გორული მწვანე ისე უხდება
დოქს, როგორც შავი რასა – გვინეას.

*
სიცოცხლე ღირს ამ აურზაურად,
ვერ გაექცევი თუმცა სიმძიმის.
ჩვენამდე მოაქვს ზღვაურს აურა,
როგორც საყვარელ თვალთა ციმციმი.

*
მე პიტნა უფრო მეპიტნავება,
ჯერხნობით იქით მისდეთ ომბალო.
ნაპირს ნეპტუნის ნებით ნავებმა
ხომ არ მოგწყვიტეს, ზღვის დედოფალო?

*
დაისი განვა ზღვის ზედაპირზე,
სულ მალე მთვარეც გულმკერდს გადმოყრის.
პერანგს ვიხდი და ვისმევ თაფლისებრ
სისხლსავსეობას, შენგან გადმოღვრილს.

ჩაპიდა აჭარაში

ის აჭარაში არ ჩასულა მისთვის, რომ ლხინში
სუფრაზე სმის დროს ქართლელების ერჩია
ხინჯი,
რომ იქ ქედელ და ქობულეთელ ამქართან ექო
გაქსუებული საქმოსნების ქალაქის ექო.

ტომ-სონარი

სონარი – ერთგვარი საკრავი,
შედგება სტვირებისგან.
განმარტებითი ლექსიკონი

ავტორი გვიჩვენებს, ამხელა ტომმა
მკითხველი რომ არ გააბოროტოს,
პილპილმოყრილი მიირთვით ტოლმა
და „კენტი“ უნდა გააბოლოთო.

თან სისხლიანი „მერი“ დალიეთ,
ფილოსოფიას რომ ჩახვდეთ ჩემსას
და შემდეგ ისე მელიტანიეთ,
რომ განდიდების კვარცხლბეკზე შემსვათ.

...გახლავთ სტვირების მაკულატურა,
შე უპატრონო, წიგნი მაგსისქე,
გიჟის ხალათი აკურატულად
გაისწორე და წინ – კლიმაქსისკენ!

თავი და ბოლო

პირველს – ერთია – და ვერავინ ვერაფერს
უზამს –
იცისკრებდა და მოაქცევდა შენკენ თითო
სხვის.
ბოლოც ერთია – ლამაზ ქალად გადაცემულ
მუზას
გამობმული აქვს თითზე ძაფი შენი
სიცოცხლის.

ორ მეტაფორას გამოვიხმო ამ ორ მავანზე,
 დღე და მოსწრება ყურადღებით
 გარემოცულო:
 სიჭაბუკეში თუ უყვარდი ამომავალ მზეს,
 სიჭარმაგეში შენზე ბადრი მთვარე
 ლოცულობს.

შვილის კვიტაფია

როგორ აკლიხარ ბიჭი ერს,
 ვინც გინოდებდა დღემდე
 ყველა ზაზაზე ნიჭიერს
 ფანასკერტელის შემდეგ.

ავტობუსის მგზავრი

ყურზე საყურე უკეთია, ხელზე – ბეჭდები,
 თავზე ბერეტი მოუკოსავს ნახევარმთვარის.
 ნაცნობ მძღოლს ჩუმიად ვეუბნები: რალაც
 ვეჭვდები –
 ამ კაცს თუ გული აერია, ორსულად არის!

პირფარი

ამ ოჯახურ გარემოში კვლავ ამულავნებს
 უცვლელ ზნეს,
 შენს მოყვარედ თავს ასაღებს და ჩუმჩუმად
 კი გჭორავს,
 ჩვეულებრივ, მლიქვენურად ეფერება
 მუცელზე
 მხარეთეძოზე ნამონოლილ და ფეხმძიმე
 ტიკჭორას.

დიდი რიხით გადღეგრძელებს, მოძრავია,
 ციბრუტი,
 არ რცხვენია შექებაში ნამეტანი სიმლაშის.
 შენ ასეთებს ისვრი, როგორც ფერად კენჭებს
 ნკიპურტით
 აქეთ-იქით ყრიდი ხოლმე ქობულეთის
 სილაში.

* * *

ხელკეტი მაშინ გამომდგომია,
 როდესაც ძალღი გამომდგომია.



იზან ოსაფანიშვილი

ჩემი ბაღია

სარკმელთან სევდის მუზა მესტუმრა,
თვალის ჩინს აფრთხობს მისი აჩრდილი,
ვერ გამიგია საით მივდივარ,
ბოლოს სად არის ჩემი ადგილი.

ლამის ჭინკები თმებს მიწნუნავენ,
გულის საკინძქეს მგლეჯენ ყელიდან,
სულის ზმანება მძარცვავს ბოროტად
და კალამს მართმევს თითქოს ხელიდან.

ნუთუ მთავრდება, გაქრა ყოველი,
სისხლში ჩამონვა სენი ფარული,
ჩემს ოცნებებში შეიჭრა მტრულად
უიმედობა და სინანული.

არა, არ დავთმობ, არა და არა,
კვლავაც ვიბრძოლებ, რაც რომ მწაადია,
ხშირად ჩამძახის ჩემი მფარველი,
არ მიგატოვებს შენი გადია.

13.01.2014 წ.

მენატრები, თბილისო

ჩაგიხუტებ და ჩურჩულით გეტყვი,
ფიალა უკვე სევდით ამევსო,
ო, რარიგ მტკივა მე უშენობა,
თბილისო, ჩემო უსაყვარლესო.

შენ ჩემი სიყრმის ჟრუანტელი ხარ!
დედის რძესავით მათრობდი გუშინ,
დღეს მონატრების ჟინი მახელებს,
თითქოს ისარი ჩამარტყეს გულში.

დუხჭირ ცხოვრების ბედმა დამცინა,
შენს ცას მომწყვიტა, როგორც ვარსკვლავი,
თუ მონატრება გულს ასე მიღრნის
ნეტავ გამთხროდა ცივი საფლავი.

შენი ქუჩების ყველა მტკაველი
ფეხით მივლია დღისით თუ ღამით,
რა დამავინწყებს ბედნიერ წუთებს
რასაც ვხედავდი საკუთარ თვალით.

მომატებულ წლებს არად ვაგდებდი,
ახალგაზრდული მიჩქეფდა სისხლი.
ახლა ვინა ვარ? ვერაფერს გეტყვი,
ამნაირ ყოფას რა თავში ვიხლი.

21.05.2005

ანგორ კუდბას —

„დროის ნიგნის“ ავტორს

ახლა თქვენი დრო დამდგარა,
დრო ძვირფასი დიდებული,
სიჩუმეში დრო დაკარგეთ,
მეტის-მეტად ღირებული.

დრომ გატკინათ, დრომ გალხინათ,
დრომ დაგასვათ გულზე დალი,
დრომ მოგწმინდათ ცხელი ცრემლი,
დრომ გაგხადათ მხნე და ლალი.

დროში დამწვა დროის ნიგნმა
დრო წამართვა დროზე მეტი,

ვულკანივით იფეთქა და
თავში დამახვია რეტი.

დროის წიგნმა დამაფიქრა,
დროის წიგნით ვფრინავ ცაში,
მიკვირს დროის დიდი წიგნი,
როგორ ჩასვით მცირე ყდაში.

12.05.2013 წ.

ჩემო აჭარავ

შენს ზღვის ნაპირებს როცა გავსცქერი,
ტალღები თითქოს მიკეთებს ხელკლავს
და თოლიების დიდი ნაკადი
ჩემს ფიქრთან ერთად აჭარულს ცეკვავს.

ცხელი ძარღვები მოვგლიჯე სხეულს
და მოგიქსოვე ლექსით კალათა,
ვით ღამის შუქი თოვლით ნათელი
მაგიჟებ, მხიბლავ, თეთრო ქათქათა.

მთებზე შეფენილ კოპნია სახლებს,
ჰშვენის სამოსი მწვანე ბარხატი,
მნახველი ბევრჯერ გაკვირვებულან,
ნამდვილია თუ ხელით ნახატი.

საქებარ სიტყვებს რა გამომიღევს,
სახალხო გმირო, ჩემო აჭარავ,
ყველაზე ბრძენო, ყველაზე ტკბილო,
დიდთან დიდო და ბავშვთან პატარავ.

06.11.2010 წ.

ქართველ ნეფე-დედოფალს

ბედნიერების ვარსკვლავზე სხედხართ
მთვარემ გაგიხსნათ გულზე ღილები,
საქანელაზე დაგსვათ ზეცაში
და დაგაბედათ ბევრი შვილები.

ვაჟკაცს მზის სხივი მოგეაღერსა,
ამოგიკოცნა სამზერი თვალი,
გვერდზე კოკობი ვარდი მოგისვა,
ნაზი, ბროლივით ღამაზი ქალი.

მართლაც ნაზია, აღმასებრ ელავს,
მოუთმენელად მოელის ამბორს,
გულის ფეთქვას თუ მოუსმენ ვაჟო,
ნახე, რალაცას ჩურჩულით ამბობს.

ეს ლოცვა არის ქალის მკერდიდან,
რომ დიდხანს დიდხანს, უცქიროთ ერთურთს,
მჯერა, არასდროს არ უღალატებს,
ნანატრ სიყვარულს, მარადს და ერთგულს.

ამ ლექსს მშვიდობის სიმბოლოდ გჩუქნით,
ანგელოზების უფროსო წყვილებო!
ჯიში უმრავლეთ მზიურ ქვეყანას,
თქვენ შემოგველეთ, ჩემო შვილებო.

14.03.2002 წ.

სათაყვანებელ შვილებს — ხათუნასა და ნიპას

სიბერემ კარზე მომიკაკუნა
წარსულზე მითხრა ამბები ვრცელი,
ველარ აღვიქვამ ცხადსა და სიზმარს,
ისე გასულა სამოცი წელი.

სამოცი სანთლის აღზე ვინწები,
ცრემლები ნამავს შენირულ ცვილებს,
ცის კაბადონზე ბუდეს ვაკეთებ,
რომ აღმაფრენა ვასწავლო შვილებს.

დამძიმდა ფიქრი აუნონელი,
გულზე დაკრული ოქროს ღილებით,
უძილო ღამის ტკბილი სტუმრები,
ჩემი ცხოვრება, ჩემი შვილები.

გუშინ ვერაფრის ვარ მკეთებელი,
ღღესაც მოცარულ ხელით დავდივარ,

ხვალის რა გითხრათ, არ მაქვს იმედი,
აღბათ ისევე თქვენი დარდი ვარ.

კვლავაც გავივლი ეკლიან ბილიკს,
გოლგოთას მთაზე ავალ ჯვარცმული,
ჩოქვით აღვავლენ ლოცვის რიტუალს,
ოღონდ შვილები მყავდეს დაცული.

21.05.2006 წ.

ს. ბ.

ერთხელ ვიხილე შავ ზღვაზე კაცი,
ცოცხლად კოცონზე იფერფლებოდა
და ცეცხლის ალზე ძვლების ტკაცუნით
სიმწარის ნაცვლად შვევით ტკბებოდა.

რკინის ფირფიტა ეჭირა ხელში,
რკინისვე კალამს ცრემლი სდიოდა,
დაკარგულ სატრფოს უწერდა ლექსებს
რიტმა-რიტმაში გლოვით კიოდა.

ალი ზეცაში არღვევდა ღრუბლებს,
მხურვალე შანთი თვალეებს ჩიჩქნიდა,

აკიაფებულ ციმ-ციმ ნაპერწკლებს
სიამოვნებით გულზე იყრიდა.

ხელები მაღლა ავაპყარ წყრომით,
გონება შეკრთა დამენყო ბოდვა,
უფლის ძახილმა გამომაფხიზლა,
ამ კაცს ხომ არ აქვს რაიმე ცოდვა.

და როს ვისმინე შეკითხვა მკაცრი,
ვხედავ ადუღდა კოცონთან წყალი,
უმაღ ჩემს თვალწინ ამოტივტივდა
ჯოკონდას მსგავსი ლამაზი ქალი.

მწუხარებისთვის დამცინა მწარედ
და ჩაიძირა მდულარე ზღვაში,
თეთრი ვარდებიც ჩაიყოლია
საყვარლის ხელით ჩანწული თმაში.

მე დამორცხვებით შევხედე უფალს,
გამშრალ ენაზე გაქრა სათქმელი,
გვიანდა მივხვდი ლალატისათვის
ვერვის დაიხსნას წმინდა სანთელი.

08.03.2014 წ.

ანანიას პროვოკატი

აკაკი ბაქრაძის „ტარიგი ღმრთისაის“ ბამო

წინამდებარე წერილის უპირველეს მიზანს რომან „დათა თუთაშხიას“ დედაზრის, ასევე მისი სხვა ძირითადი საკითხების გააზრება წარმოადგენს ზემოაღნიშნული წერილის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

საანალიზოდ გამოყენებულია „ტარიგი ღმრთისაის“ ის რედაქცია, რომელიც აკაკი ბაქრაძის რვატომეულის მესამე ტომშია შესული და რომელიც 2004 წელს გამოიცა. თავად წერილი კი 1975 წელს გამოქვეყნდა.

ცნობილი პუბლიცისტის და კრიტიკოსის ამ წერილს აქვს პრეტენზია ასახოს რომანი „დათა თუთაშხია“ მთლიანობაში, დაანახოს მკითხველს ნაწარმოების მთავარი ხაზი და მისი უძირითადესი მომენტები. უფრო მეტიც, პატივცემული აკაკი ბაქრაძე ამ წერილში „დათა თუთაშხიას“ ავტორს ურჩევს ნაწარმოების ზოგიერთი, მისი გაგებით შეუსაბამო ნაწილების ამოღებას.

პატივცემულ მკითხველს თავიდანვე მსურს ვუთხრა, რომ რომან „დათა თუთაშხიას“ მთავარი გმირი (რომელსაც ეძღვნება აკაკი ბაქრაძის ზემოაღნიშნული წერილი) არ გახლდათ „ტარიგი ღმრთისაი“. ესაა ნონსენსი! აღნიშნულ წერილში ასევე უხვად გვხვდება აზრობრივი თუ სხვა სახის შეუსაბამობები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პატივცემული აკაკი ბაქრაძე ნაწარმოებს და მის ცალკეულ ნაწილებს (ტექსტებს) არ იცნობს.

ვიწყებ პირველი მცირე ზომის ამონარიდით:

„მერე სეთურის მონებმა იეჭვეს: ამათ სეთური არ უყვართო. მიესიენ დათას და მოსეს,

ჯერ სეთურის სადიდებელი ჰიმნები ამღერეს და მერე ქვებისა და კეტების ცემით კინაღამ სული ამოხადეს. ორივე სასწაულით გადაურჩა სიკვდილს“. გვ. 581.

პატივცემულ მკითხველს შეუძლია გადაამონ მოს: დათა თუთაშხიას და მოსე ზამთარაძეს სეთურის მონებმა მისევისას ჰიმნები არ ამღერეს. ჯერ მარგილი ჩაცხეს, მერე ძირს დააგდეს და მაგრად ურტყეს (ქვებსა და კეტებზე იქ საუბარი არ არის). გული რომ იჯერეს ცემით, ცხენები გამოიყვანეს თავლებიდან, ნაცემი აბრაგები კუდებზე მიაბეს მათ და სამას ნაბიჯზე ათრევიანეს ცხოველებს. არქიფოს სადიდებელი ჰიმნები კი წინააღმდეგ სეთურის მონების შვილებმა ამღერეს მოსეს და დათას. განსახილველ წერილში მსგავსი შემთხვევები ხშირია, თუმცა ყველა მათგანზე ყურადღების გამახვილებას მიზანშეწონილად არ ვთვლი, მათი უმნიშვნელობის თუ სხვა მოსაზრებების გამო.

პატივცემული აკაკი ბაქრაძე საანალიზო წერილის პირველ სამ გვერდს იმის მოყოლას უთმობს, თუ რა ისტორია გადახდა თავს ნაწარმოების მთავარ გმირს, დათა თუთაშხიას, ბუდარასა და ბუდარხასთან, შემდეგ ბაზრის თაღლით მარუდასთან, ბოლოს კი – არქიფო სეთურთან (მოსე ზამთარაძესთან ერთად) ურთიერთობისას. ამის შემდეგ მეოთხე გვერდზე იგი ასეთ დასკვნებს აკეთებს (მეტი სიცხადისთვის აქაც და ქვემოთაც მივმართავ ვრცელ ამონარიდებს):

„ცხოვრების ასეთი და ამდაგვარი სურათების ხილვამ დათა თუთაშხიას სულში სკეფსისი დაბადა – ადამიანი დახმარების, ზრუნვისა და პატივისცემის ღირსი არ არისო: „...ყველა კაცი ისე ცხოვრობს და ისე იქცევა, როგორც თვითონ მოსწონს და სხვა კაცი მის საქმეში არ უნდა ჩაერიოს... მგონია, არც ერთი კაცი არაა ქვეყანაზე მისთანა, სხვისი ჩარევისა და დახმარების ღირსი რომ იყოს“.

მძიმე და სასტიკი განაჩენი გამოიტანა დათა თუთაშხიამ. როცა ამ დასკვნამდე მიხვალ, ბუნებრივია, საზოგადოებას, ხალხს უნდა განეჩინო. ან მონასტერში უნდა წახვიდე ან ყაჩაღად გავარდე. დათას ტემპერამენტისა და სულიერი წყობის კაცი მონასტერს ვერ შეეწყობოდა. ისევ აბრაგად უნდა წასულიყო და წავიდა კიდევ. პორუჩიკი რომ შემოაკვდა, ეს უბრალო ბიძგი იყო. ამ საბედისწერო მკვლელობისათვის დათა სასჯელს მოიხდიდა. დათას ბუნების ადამიანებს სასჯელის არ ეშინიათ. არც გაურბიან. ისინი კანონიერების მომხრენი არიან და დანაშაულისთვის სასჯელს ნებაყოფლობით იხდიან. საქმე სხვაა. ყაჩაღობა დათასათვის საზოგადოებისაგან განდგომის ფორმაა.

დათა თუთაშხიამ ადამიანს უნდობლობა გამოუცხადა. საზოგადოებას, ხალხს განუდგა. მაგრამ დათას სკეპტიციზმი ბოროტების საფუძველი არ გამხდარა. სკეპტიციზმმა დათას სული ვერ დაშალა, ვერ გამოხრა. ეს არის დათა თუთაშხიას მხატვრული სახის მაღლი და ხიბლი. არც ერთხელ, არცერთ შემთხვევაში დათა თუთაშხიას არ უფიქრია ბოროტების წილ ბოროტებით მიეზღო“. გვ. 581.

ციტირებულ სამივე აბზაცში მოყვანილი დასკვნები იმის დასტურია, რომ აკაკი ბაქრაძე 20 და 40 წლის დათა თუთაშხიას შორის სხვაობას ვერ ამჩნევს. და საერთოდ, დათა თუთაშხია მისთვის დინამიკური (უპირველეს ყოვლისა, სულიერი და გონებრივი გაგებით) გმირი არ არის, რომელიც ცხოვრებაში სხვადასხვა ეტაპს გადის, არამედ უძრავი ფენომენია, ფრესკაა, ხატია. სამივე აბზაცი და იქ წარმოებული ანალიზი მთლიან ნაწარმოებზე ფრაგმენტული მიდგომის დასტურია.

განვიხილოთ თითოეული აბზაცი ცალ-ცალკე. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ პირველ აბზაცში ციტირებული თუთაშხიას მოსაზრება აბრაგამა მოსე ზამთარაძეს მაშინ გაუზიარა, როცა ორივე სეთურის ხალხისგან ახლად „დაბეგვილ-დალენილები“ (ზამთარაძის სიტყვებია) იყვნენ. ვფიქრობ, მკითხველს არ გაუჭირდება იმის გარკვევა, ახალგადახული ადამიანის რომელიღაც მოსაზრება გამოდგება თუ არა შორს მიმავალი დასკვნების გასაკეთებლად, მით უმეტეს, გამოდგება თუ

არა ასეთი რამ ვრცელი ნაწარმოების მთავარი გმირის ზოგადი დახასიათებისთვის.

მეორე, ახალგადახული თუთაშხიას ზემოაღნიშნული მოსაზრების გახმოვანების შემდეგ და მისგან გამომდინარე, იმაზე არ უფიქრია – მონასტერში წავიდე ან თუ აბრაგობა დავინყო. ამ დროისთვის (და აკაკი ბაქრაძის მიერ ზემოთ მოყვანილ სხვა შემთხვევებშიც) დათა თუთაშხია უკვე იყო აბრაგი, ამიტომ დასკვნა „ან მონასტერში უნდა წახვიდე ან ყაჩაღად გავარდე“ დაგვიანებულია, ნაწარმოების ლოგიკასაა ჩამორჩენილი.

მესამე, პატივცემული აკაკი ბაქრაძე ზემოაღნიშნულ წერილში არსად არ ამბობს, თუ რატომ ვერ შეეწყობოდა დათას ტემპერამენტისა და სულიერი წყობის კაცი მონასტერს? ვთვლი, რომ ეს მას უნდა ეთქვა. აბრაგი ხომ მისთვის „ტარიგი ღმრთისაი“ იყო. განა წერილი ამას არ ეძღვნება? ხოლო, მას რომ ეს ეთქვა, შესაძლოა, შინაარსობრივად სრულიად სხვა წერილი მიეღო, არა „ტარიგი ღმრთისაი“. მას ასევე უნდა ეთქვა, თუ რატომ უნდა წასულიყო თუთაშხია აბრაგად? ამის რა აუცილებლობა იყო? იქნებ სჯობდა, მიმალვაში ყოფნით დაკმაყოფილებულიყო. პორუჩიკის შემოკვდომა რატომ იყო უბრალო ბიძგი? იგი, ლოგიკის ძალით, შემოკვდომის გარეშეც წავიდოდა აბრაგად? შესაძლებელია, თუმცა ანალიზის დროს, უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოებში არსებული ფაქტებიდან უნდა ამოვიდეთ. ფაქტი კი ისაა, რომ პორუჩიკის შემოკვდომის შემდეგ (ასევე ანდრიევსკის საფლავზე პოლიციისთვის შეიარაღებული ნინააღმდეგობის განევის გამო) თუთაშხია იძულებული გახდა, სახელმწიფოსთან ურთიერთობა გაერკვია. მან ეს საკითხი ასე გადაჭრა: უარი თქვა არსებული (იმპერიული) კანონების მიხედვით პასუხისგებაზე, ასევე მიმალვაში ყოფნაზე და აირჩია აბრაგობა (აქტიური ფორმა). თუ რატომ, აქ ამაზე არ შევჩერდები. გარდა ამისა, აქ ჩამოთვლილი ან მათი მსგავსი სხვა კითხვები რომ გასჩენოდა პატივცემულ კრიტიკოსს, დიდი ალბათობით იგი „ტარიგი ერისაის“ მიიღებდა. რატომ დაინახა აკაკი ბაქრაძემ დათა თუთაშხიაში მხოლოდ ზნეობრივი გმირი? რატომ არ აღნიშნა მან ამ ნაწარმოების ღრმა

ეროვნულობა? ამ კითხვებზე ზუსტი პასუხების მიღება დამატებითი ინფორმაციის მოპოვებითა და მისი ანალიზითაა შესაძლებელი.

მეოთხე, თუთაშხიას ანდრიევსკი 1885 წელს შემოაკვდა, ხოლო ციხეში საკუთარი ფეხით, სავარაუდოდ, 1903 წელს უნდა მისულიყო. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, იგი იქ ზენოლის გარეშე არ მისულა. ამიტომ სრულიად გაუგებარია აკაკი ბაქრაძის აზრი: **„დათას ბუნების ადამიანებს სასჯელის არ ეშინიათ. არც გაურბიან“**.

მეხუთე, რთულია გაიგო, თუ რას გულისხმობს პატივცემული აკაკი ბაქრაძე, როცა წერს, რომ თუთაშხიასნაირი ადამიანები **„კანონიერების მომხრენი არიან და დანაშაულისათვის სასჯელს ნებაყოფლობით იხდიან“**. ცნობილია, რომ დათა თუთაშხიას მსოფლმხედველობა ეწინააღმდეგებოდა იმპერიული სახელმწიფოს კანონებს და კანონიერებას. იგი მთელი ცხოვრება ებრძოდა ძალმომრეობას, მათ შორის სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილსაც. აქ კი რომელ და სადაურ კანონიერებაზეა საუბარი? გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა, თუთაშხია ნებაყოფლობით კი მივიდა ციხეში, მაგრამ იმ ზენოლის დავიწყებაც არ შეიძლება, ექვსთვიანი მოსაფიქრებელი ვადით რომ განუსაზღვრეს (არა პირდაპირი გაგებით) მას.

მეექვსე, აკაკი ბაქრაძეს მიაჩნია: **„ყაჩაღობა დათასათვის საზოგადოებისაგან განდგომის ფორმაა“**. ასეა თუ არა ეს? სახელმწიფოსთან კონფლიქტამდე და აბრაგობის საკმაოდ გრძელ პერიოდშიც დათა თუთაშხია აქტიურად ერევა საზოგადოების ცხოვრებაში. პატივცემული აკაკი ბაქრაძის ზემოაღნიშნული ისტორიები თუთაშხიას ურთიერთობისა ბუდარა-ბუდარისასთან, მარუდასთან, არქიფო სეთურთან მისი აბრაგობის ერთ, საწყის პერიოდს ასახავს. ამდენად ეს და სხვა ისტორიები (აბრაგის მარცხის მიუხედავად) არ ადასტურებენ თუთაშხიას განდგომას ადამიანისგან და საზოგადოებისგან. ასეთი რამ მისი აბრაგობის მხოლოდ ერთ, შედარებით მცირე პერიოდზე შეიძლება ითქვას, რაც, ცხადია, ამგვარი, საერთო ხასიათის დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

მეშვიდე, მესამე აბზაცი და იქ წარმოდგენილი აზრები ნაწარმოების სტატიკური გაგების დასტურია. **„სკვპტიციზმმა დათას სული ვერ დაშალა, ვერ გამოხრა. ეს არის დათა თუთაშხიას მხატვრული სახის მადლი და ხიბლი“**. ესაა ხატობრივი (ფრესკული) წარმოდგენა ნაწარმოების მთავარ გმირზე. აკაკი ბაქრაძის აზრით, თუთაშხია თავიდანვე სიკეთის განსახიერება იყო და ბოლომდე ასეთად დარჩა. წერილის სათაური „ტარიგი ღმრთისაიც“ ამის დასტურია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აკაკი ბაქრაძის ლოგიკით, მწერალმა ნაწარმოებში დაგვიხატა ზნეობრივი გმირი, რომელსაც იგი სხვადასხვა სიტუაციაში აყენებს, ხოლო ეს უკანასკნელი ახერხებს, განერიდოს ბოროტებას, ებრძვის კიდევ მას და, მიუხედავად ხშირი წარუმატებლობისა, სულიერად მაინც არ ეცემა. აქ კი უფრო საინტერესო ფაქტზე მსურს გავამახვილო მკითხველის ყურადღება. ეს არის ის, რომ ნაწარმოების მთავარ გმირზე არსებულ ბაქრაძისეულ შეხედულებას მწერალიც იზიარებს. ამის დასტურია მისი თანხმობა ეკრანიზებისას ნაწარმოების სათაურის შეცვლისა სრულიად შეუსაბამო სათაურით – „ნაპირები“, რომელიც სწორედ იმას გულისხმობს, რომ ზნეობრივი გმირი ხან ერთ სიტუაციაშია, ხან – მეორეში (სხვადასხვა ნაპირი), მაგრამ მაინც მედგრად დგას და ასე თუ ისე უმკლავდება ცხოვრებისეულ გამოწვევებს, რაც რომანის, მისი დედააზრის არათუ არასწორი გაგებაა, არამედ რეალურად აზიანებს მას. ვთვლი, რომ დათა თუთაშხიას მხატვრული სახის მადლი და ხიბლი სრულიად სხვაგანაა. იგი, უპირველეს ყოვლისა, თუთაშხიას პიროვნულ ზრდაშია (არა მარტო ზნეობრივი თვალსაზრისით), რაზეც შედარებით ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ.

ვნახოთ კიდევ ერთი ვრცელი ამონარიდი:

„გავიდა წლები და უცნაური ამბავი მოხდა. ღურუ მედუქნის ვაჟიშვილი ძობა დავაჯკაცდა. ამოჩემებული ჰქონდა: ჩემი ოჯახიც და მეც დათა თუთაშხიამ დაგვღუპაო. იმ „დღეს დათას რომ ხმა ამოეღო, ყაჩაღები გაჩუმდებოდნენ, კიკუს ხელს არ ახლებდნენ და ყველაფერი მშვიდობით დამთავრდებოდაო. ვერავინ შეაცვლევინა აზრი ძობას. თავის დღე და მოსწრება

დათას დაეძებდა და მოვკლავო, იმუქრებოდა. არადა, შეუბრალებელი კაცი იყო დურუ ძიგუას ვაჟი: „მერედა, მე შენ გეტყვი, ხელი აუკანკალდებოდა ძობას. თავის დროზე კაცის მოვკლაში და ბატკნის დაკვლაში, ორთავეში ერთნაირი გული ჰქონდა — დაუნდობელი იყო“... ჰყავდა კიდევ ხალხი დახოცილი. ერთ დღეს საქულას დუქანში შეხვდა ძობა დათას. შურისძიების კანკალმა აიტანა ბიჭი. არც იარაღი ჰქონდა თან და არც დუქანში მოხერხდებოდა კაცის მოვკლა. არადა, დათას გაშვებაც არამც და არამც არ უნდოდა ძობას. უცბათ ყური მოკრა, რომ დათა ზახარ კარპოვიჩთან უნდა მისულიყო. ახლა კი მიეცა ძობას ანგარიშის გასწორების საშუალება. ზახარ კარპოვიჩის სახლში მიუვარდებოდა დათას და მოკლავდა კიდევ. უთხრეს ეს დათას, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა თუთაშიამ ზახარ კარპოვიჩის სახლიდან. პირიქით, მშვიდად დაელოდა მტერს, აქოშინებული მოვარდა ძობა ზახარ კარპოვიჩის ეზოში. ვასო გოდერძიშვილი მიეგება და უთხრა: დათამ ყველაფერი იცის, არსად წასულა და შენ გელოდებო. დათას ასეთმა სიმშვიდემ შეაკრთო ძობა და დააფიქრა. ამასობაში დათა გარეთ გამოვიდა. მთვარის შუქზე დადგა და ძობას გულხელდაკრეფილი მიაჩერდა. უყურა ერთხანს. ძობაც ჩუმად იდგა. მერე ძობამ რევოლვერი დააძრო და ორი ტყვია ზედიზედ გაისროლა... ჰაერში. დათა თუთაშია იდგა და ხმას არ იღებდა. ამის მერე სამი თუ ოთხი თვე გავიდა და ძობასთან ვანუა სოლოლაკელი მივიდა და სთხოვა — რევოლვერი მათხოვეო. ძობამ უარი უთხრა — არანაირი იარაღი არა მაქვსო. „ბოლომდის ძმაკაცებად დავრჩით, მაგრამ იმის ხელში იარაღი არც დამინახია და არც გამიგონია, რომ ჰქონოდა“ — ამთავრებს ამბავს ვასო გოდერძიშვილი.

უფრო ხშირად დათას სიკეთეს ბოროტებით პასუხობენ, ანდა მისი სიკეთე ნაყოფს არ იღებს, ამიტომ ამ ერთ შემთხვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს. აქ დათამ კეთილი დაამკვიდრა კეთილის შესაფერისი საშუალებებით. კაცისმკვლელს უარი ათქმევინა არა მარტო თავის შავ საქმიანობაზე, არამედ ხელი ააღებინა იარაღზე საერთოდ. ძობას გაბოროტება და სიძულვილი დაითრგუნა სიკეთით. ამ ურ-

თიერთობაში ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა რომანშივე აღსარებული მცნება — „არა ჰკლავთ კაცი ესა და აჰა, ნიჭი თქვენ გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა“. გვ. 584.

თუ წინა შემთხვევაში პატივცემული აკაკი ბაქრაძე ფრაგმენტულად მთელ ნაწარმოებს განიხილავს, ამ ამონარიდში საქმე გვაქვს ვასო გოდერძიშვილის მონაყოლის, როგორც მთლიანის ნაწილთან და მის ანალიზთან. ამ შემთხვევაში აკაკი ბაქრაძის მიერ მხოლოდ ისაა განხილული, თუ რა მოხდა ზახარ კარპოვიჩის ეზოში და არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მოხდა ჯერ დუქანში, ხოლო შემდეგ მის მახლობლად, სადაც თუთაშიას რამდენიმე ადამიანთან მოუხდა სრულიად განსხვავებული, ახლად შექმნილი ფასეულობის დემონსტრირება, ვიდრე ასეთი რამ ადრე ახასიათებდა მას. ცხადია, ასეთმა მიდგომამ პატივცემული კრიტიკოსი შეუსაბამო დასკვნებამდე მიიყვანა. თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობით.

პირველი, როცა აკაკი ბაქრაძე ამბობს, ძობა ძიგუა „თავის დღე და მოსწრება დათას დაეძებდა და მოვკლავო, იმუქრებოდა“, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ამის თაობაზე ნაწარმოებში არაფერია ნათქვამი. ვასო გოდერძიშვილი ასე გადმოგვცემს ძობას განწყობას: „განა ერთხელ და ორჯერ უთქვამს, — საცა შემხვდება, იქ მოვკლავო“. ცოტა ქვემოთ კი ისევ გვაგებინებს ძიგუას აზრს: „— ტყის კაცია, სად უნდა ვნახო!..“ შესაბამისად, ძობა ძიგუას თუთაშია არ უძებნია, იგი აბრაგთან ალაღბედზე შეხვედრის იმედად იყო.

მეორე, ციხიდან გამოსვლის მერე თუთაშიასთვის ძიგუას შემთხვევა არ იყო ერთადერთი, როგორც ამის შესახებ ზემოთ აცხადებს აკაკი ბაქრაძე, რომელმაც კეთილი ნაყოფი მოიღო. თუთაშიას კეთილმყოფელი გავლენა კიდევ რამდენიმე ადამიანმა განიცადა, მათ შორის ვასო გოდერძიშვილმა და მის მიერ გადმოცემული ამბის რამდენიმე სხვა მონაწილემაც. ამ საკითხს მსჯელობისას ისევ დავუბრუნდებით, ახლა კი მივყვეთ გოდერძიშვილის მონაყოლის მოკლე განხილვას.

ამ მონათხრობში დათა თუთაშია წარმოჩენილია მშვიდ, წყნარ, საკუთარ თავში მეტად დარწმუნებულ პიროვნებად. მართალია,

ისევ მაუზერით, მაგრამ მაინც სრულიად სხვა პიროვნებად. ვასო გოდერძიშვილის ეს მონაცოლი თამამად შეიძლება ჩაითვალოს დათა თუთაშხიას და ძობა ძიგუას შედარებით დახასიათებად, სადაც მწერალი, ერთი მხრივ, გვიჩვენებს იმ ზრდას, რომელიც განიცადა ციხიდან ახლადგამოსულმა და აქამომდე მოღწეულმა თუთაშხიამ და, მეორე მხრივ, იმ მდგომარეობას, რომელშიაც დარჩა (თუ ჩარჩა) გაბოროტებული ძობა ძიგუა (თუმცა აუცილებლად უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ძიგუას გაბოროტების აბსოლუტიზება საფრთხილო საქმეა). თხრობის მთელ მანძილზე ძობა აფორიაქებულია, დათა კი – მშვიდი. ასეთი მშვიდი, სიტუაციებზე ისევ ამალღებული თუთაშხია ციხიდან გაქცევის შემდეგ მოგვევლინა.

რა მოხდა დუქანში? დაინახა თუ არა ძობა ძიგუამ დათა თუთაშხია, მოსვენება დაკარგა. ეს შენიშნა ვასო გოდერძიშვილმა. შემდგომ განვითარებულ მოვლენებში ეს ორი პიროვნება ერთად მონაწილეობენ, ფიზიკურად ხედავენ თუთაშხიას ნამოქმედარს და უშუალოდ ესმით მისი საუბარი და კითხვა-პასუხი. პატივცემულ მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ ძიგუამ მოსვენება იმიტომაც დაკარგა, რომ ვერ გაარკვია, იყო თუ არა თუთაშხია ის, ვინც შენიშნა ერთ-ერთ მაგიდასთან. ამის მიზეზი კი, თავის მხრივ, ის იყო, რომ მას არ სურდა შეცდომა მოსვლოდა და ვინმე უცხო შემოჰკვდომოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის სისხლი ზოგადად მას აღარ სწყუროდა, როგორც ეს იყო მისი ცხოვრების ადრეულ პერიოდებში, როცა „ჭყავდა კიდევ ხალხი დახოცილი“, ანუ ამ ეტაპზე მისი გაბოროტების მთელი მუხტი თუთაშხიაზე იყო კონცენტრირებული. ვთვლი, რომ, ზოგადი გაგებით, ძობა ძიგუა თუთაშხიასთან დაპირისპირების შემდეგ იარაღს ასე იოლად, სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ შეეღია და არა იმის გამო, რომ ზახარ კარპოვიჩის ეზოში იგი თუთაშხიასაგან სიკეთით დაითრგუნა, როგორც ამას აცხადებს პატივცემული აკაკი ბაქრაძე. მით უმეტეს, რომ იგი მუდმივად შეიარაღებული უკვე აღარ დადიოდა. ძობა ძიგუა იმ პირს, იმ მკვლელს ჰგავს, რომელიც თავისი მომავალი მსხვერპლის მოკვლის ფიქრში გადაიღალა, გადაინვა. სავარაუდოდ,

სწორედ ამიტომ აღარ უნდა ევლო მას იარაღით და სწორედ ამიტომ „დასაჯა“ იგი განგებამ – მაშინ შეახვედრა სავარაუდო მსხვერპლს, როცა იარაღი თან არ ჰქონდა. ძობა ძიგუამ თავისდაუნებურად მაშინ დაიწყო ადამიანობისკენ შემობრუნება, როცა იარაღის მუდმივ ტარებას შეეშვა (ანგარიშსწორების მუხტის შესუსტება). ამიტომ თუთაშხიასთან მისი შეხვედრა-დაპირისპირება უნდა გავიგოთ არა როგორც მისი დათრგუნვა სიკეთით, არამედ ზემოაღნიშნული შემობრუნების დასასრული, რომელი შემობრუნებაც გაცილებით ადრე დაიწყო (ვინც გოდერძიშვილის მონაცოლს ყურადღებით წაიკითხავს, ამას კარგად დაინახავს) და, ფაქტობრივად, დასრულდა ზახარ კარპოვიჩის ეზოში.

ზაზგასმით უნდა ითქვას იმის თაობაზე, რომ გოდერძიშვილის მონაცოლის მიხედვით, დაითრგუნა არა ძობა ძიგუა, არამედ სხვა ვინმე – ერთ-ერთი ახვარი, რომელიც საქულას დუქნიდან გასულ თუთაშხიას ანგარიშსწორების მიზნით აედევნა. პატივცემულ მკითხველს ალბათ ასევე ახსოვს, რომ ზორბა აღნაგობის ამ ახვარს სახეში პირველი გარტყმა თუთაშხიამ გულმონყალებად აპატია (მანამდე – დუქანში გინება), შებრუნდა და გაუყვა თავის გზას, თუმცა გამოდევნებულს მეორედ გარტყმის სურვილმა სძლია, ისევ აედევნა თუთაშხიას და დადექო დაუყვირა. მიუახლოვდა თუ არა, თუთაშხია უსწრაფესად მიუტრიალდა, იარაღი მუცელზე მიადო, რასაც ახვრის მხრიდან ხელების მექანიკურად აწევა მოჰყვა. აბრაგმა მას ხელები ჩამოანეგინა და ის პაპიროსი მონაწევრისა, რომელიც მან და მისმა „მეგობრებმა“ ტაშიკოლას შესთავაზეს დუქანში. ამის შემდეგ ეს მყრალი პაპიროსი თუთაშხიამ ბრძანებით გააგდებინა. ერთი სიტყვით, აბრაგმა ძალის ზომიერი მოშველიებით მოძალადეს სიკეთე-ბოროტების უზადლო გაკვეთილი ჩაუტარა, შემდეგ კი წასვლა უბრძანა. იგი კი, ფიზიკურად უფრო ღონიერი, იდგა და რა ექნა, არ იცოდა, სანამ თუთაშხიამ არ დაუყვირა, რომ წასულიყო. აი, ეს გახლდათ დათრგუნვა. საინტერესოა ის, რომ ახვარი დუქნისკენ თავჩაქინდრული წალასლასდა, ანუ ძალადობის ხელახალი სურვილი ან შორეული მუქარა მისგან

აღარ წამოსულა. ასევე საინტერესოა ის, რომ დუქნის სხვა ახვრებსაც აღარ გასჩენიათ რაიმე სახის რეაქცია, თუნდაც ერთობლივად გასწორებოდნენ თუთაშხიას. ვფიქრობ, დუქანში დარჩენილ ახვრებს არ გამოეპარებოდათ ის, თუ როგორი ნირნამხდარი დაუბრუნდა მათ თავიანთი „მეგობარი“ და აუცილებლად გამოჰკითხავდნენ მას თავსგადამხდარ ამბავს.

ახლა მთავარი: ძობა ძიგუამ და ვასო გოდერძიშვილმა ერთად ნახეს ის, თუ როგორ ეპატრონა დათა თუთაშხია ტაშიკოლას – არ მისცა ახვრებს მისი აბუჩად აგდების უფლება (რამაც ალაფრთოვანა ამ ამბის მთხრობელი), როგორ აპატია მათვე გინება, როგორ შეარჩინა ერთ-ერთს განწული სილა, ხოლო იმავე ქმედების ხელმეორე მცდელობისას როგორ გამოიყენა ძალა მოზომილად, როგორ აუხსნა მას სიკეთე-ბოროტების არსი, როგორ დაარიგა იგი ისე, რომ ახვარი ფიზიკურად არ დაზარალებულა, მხოლოდ დაითრგუნა სიკეთით, რის შესახებაც ნათლად ყვება ძობას მეგობარი გოდერძიშვილი.

ძობა ძიგუას შემთხვევაში მთავარი იმის აღნიშვნა კი არ არის, თუთაშხიასთან შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ იარაღის ტარებას რომ დაანება თავი (მის შავ საქმიანობაზე აბსტრაქტული საუბარიც საფრთხილოა), არამედ ის, თუ რა უპასუხა მან ვასო გოდერძიშვილს, რომელმაც ჰკითხა, აბრაგის მისამართით არგასროლის მიზეზი: არ შეიძლებოდაო ასეთი კაცის მოკვლა! ესაა პირველადი. როგორი კაცი ჰყავდა ძობა ძიგუას მხედველობაში? როგორი კაცის მოკვლა არ შეიძლებოდა? ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, არა ისეთის, რომელიც სავარაუდო სიკვდილს ზახარ კარპოვიჩის ეზოში თვინიერად ელოდა, როგორც ამის შესახებ ცოტა ქვემოთ შევიტყობთ პატივცემული აკაკი ბაქრაძის მორიგი აბზაციდან, არამედ ისეთის, როგორიც ნახა ძობა ძიგუამ დუქანში და მის მახლობლად. პატივცემულ მკითხველს მოვავაგონებ, თუ როგორი ერთდროული რეაქცია (გაოცებულ-გაკვირვებულ) ჰქონდათ ძობა ძიგუას და ზორბა ახვარს, როცა ამ უკანასკნელმა თუთაშხიას სილა გაანწა:

„– რა გნებავთ, ბატონო!

ახვარმა სილა გაანწა და დააყოლა:

– ეს არის, სხვა არაფერი!

ის ახვარი კაი ვირი იყო და მაგარიცა სთხლიშა.

– კარგია, მეტი თუ არაფერი! – თქვა ძობას კაცმა, მიბრუნდა და წავიდა.

– ვაჰ! – ახვარმა და ძობამ ერთადა სთქვეს ესა“.

ცხადია, ახვარს და ძობას ერთნაირად გაუკვირდათ თუთაშხიას მშვიდი რეაქცია და დიდსულოვნება, თუმცა პირველი უკვე „დაქოქილი“ იყო და ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოისურვა გამოცდის მოწყობა აბრაგისთვის და საკუთარი თავისთვისაც. აქ ასევე უნდა მოვიგონოთ ის, თუ რა უთხრა ამ ამბის შემსწრე ვასო გოდერძიშვილმა ძობა ძიგუას: „– ნახე? – ვთქვი მე. – მაგაზე ცუდი კაცობის თქმა იქნება?“ მოყვანილ მაგალითებში ნათლად ჩანს, რომ თუთაშხიას კეთილმყოფელი გავლენა მხოლოდ ძიგუაზე არ მოუხდენია, როგორც ამას აცხადებს პატივცემული აკაკი ბაქრაძე.

მოვიყვან კიდევ ერთ ამონარიდს:

„ეფემია წინამძღვარმა დათას მძიმე ბრალდებები წაუყენა: ბოროტების გამრავლებას უწყობ ხელს და გვამში სატანა ჩაგვსვლიაო. კონკრეტული საბუთებიც კი წარუდგინა დათას. მართალი რომ ვთქვათ, დათამ ვერ იმართლა თავი ეფემია წინამძღვრის წინაშე. ქალს ყველაზე სტანდარტული პასუხი გასცა, რაც კი შეიძლებოდა მოგონებოდა კაცს: „მარტო ქადაგება ვეღარაფერი ხდება. ხედავთ ამას თქვენ. წაიბილწა ერი. ძალაა საჭირო. „შიში შეიქმს სიყვარულსა“. შიში! ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად მარტო სიკეთე არ კმაროდა არასდროს“... დათამაც იცის, რომ ეს პასუხი არ არის. ეფემია წინამძღვარი ვერ დაკმაყოფილდება ამით და არც მიიღებს მას. მაშინ რამ აიძულა დათა ეს ეთქვა? აქ თეორიული პასუხი არ არსებობს. ამის პასუხი ცხოვრებით უნდა გასცე ბრალმდებელს“. გვ. 585.

აკაკი ბაქრაძის აზრი, თითქოს თუთაშხიამ ვერ იმართლა თავი ეფემია წინამძღვრის წინაშე და ქალს (გაუგებარია, სიტყვა ქალი აქ რა მნიშვნელობითაა გამოყენებული) ყველაზე სტანდარტული პასუხი გასცაო, დამაჯერებლობას მოკლებულია. უფრო მეტიც, იგი მიუღ-

ებელია. პატივცემული აკაკი ბაქრაძე რატომ-ღაც ისევ ფრაგმენტულად მსჯელობს. მას არ აინტერესებს ის ფაქტი, თუ როგორ გაუწყდა ხმა ეფემია წინამძღვარს იმ მომენტში, როცა ბერად აღკვეცის იდეის გახმოვანებას აპირებდა დათასთვის და იქ დამსწრეთათვის, როგორ დაასწრო თუთაშხიამ მას და ეშმაკური ღიმილით ჰკითხა: „რას მირჩევ დედაო“? როგორ ჩაუვარდა ენა ამის გამგონე დედა ეფემიას და ერთხანს ძალიან დაბალი ხმით განაგრძობდა ლაპარაკს, როგორი გაოცებული დარჩა მისი მხევალი – სალომე ბაზიერაშვილი-ოდიშარი-ასი, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ ასეთი შემცბარი წინამძღვარი სხვა დროს არასდროს ენახა მას. ცოტა ხნის შემდეგ ეფემია წინამძღვარი ისევ დაეუფლება თავს და უფრო რიხიანად მოსთხოვს დათა თუთაშხიას პასუხს მის ნამოქმედარზე, მაგრამ ის, თუ როგორი სიმშვიდით აუხსნეს გაცხარებულ წინამძღვარს საქმის არსი თუთაშხიამ და განსაკუთრებით მაგალი ზარანდია, არც ამით ინტერესდება აკაკი ბაქრაძე. მას ასევე არ აინტერესებს, თუ როგორ უპასუხა წინამძღვარმა თავის მხევალს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, რომ მაშინდელი საუბარი მისი მხრიდან თურმე მხოლოდ ვალის მოხდის მცდელობა ყოფილა აბრაგის წინაშე და რომ მან მაშინაც იცოდა, თუთაშხია რომ არ აღიკვეცებოდა. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით მრავალი კითხვა ჩნდება: რატომ შეცბა დედა ეფემია? იმიტომ, რომ თუთაშხია წინდანინ მიხვდა რის შეთავაზებას უპირებდა, თუ იმიტომ, რომ თუთაშხია მიხვდა, სხვა ვინმე რომ ელაპარაკებოდა ეფემიას სახით? თუ წინდანინ იცოდა წინამძღვარმა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, ასე რიხიანად და მკაცრად რატომ ელაპარაკა აბრაგს? უფრო ადრე (აბრაგობის თვრამეტწლიანი პერიოდი) რატომ არ გააკეთა იგივე?

ახლა გავარკვიოთ, იყო თუ არა თუთაშხიას პასუხი ეფემია წინამძღვრისადმი სტანდარტული?

ვფიქრობ, აქ სრულიად სხვა ანალიზია საჭირო, ვიდრე ასეთი შესთავაზა მკითხველს პატივცემულმა აკაკი ბაქრაძემ. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, თუ რას წარმოადგენს თავისი ცხოვრების ამ ეტაპზე დათა თუთაშ-

ხია, რასაც აკაკი ბაქრაძე თავის წერილში არსად არ მიმართავს (ეტაპობრივ ანალიზს). ამგვარი ანალიზის გარეშე ყველაფერი ბინდით მოცული დარჩება. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე დათა თუთაშხია არის ძალაშენარჩუნებული, მაგრამ ხალხის თვალში ავტორიტეტშელახული და სახელგატყეხილი გმირი. ახლა ადამიანთაგან მისი ერთეულებს თუ სჯერათ. ამიტომ აბრაგის ყოველი ხელახალი შემართება ბოროტების წინააღმდეგ მარცხით სრულდება, მით უმეტეს, რომ ზარანდია და მის უკან მდგომი სახელმწიფო მანქანა თუთაშხიას ყოველ ახალ ნამოქმედარს სრულიად სხვა ელფერს სძენენ, სხვაგვარ ინტერპრეტაციას უკეთებენ ხალხის თვალში და მის გასაგონად.

ვინაიდან აბრაგი ძალაშენარჩუნებულია, მაგრამ მის განაკეთებ საქმეებს უკუ შედეგი მოაქვს, თანაც იცის, რატომ ხდება ასე (სახელმწიფოს აქტიური ჩარევა), იგი გამოსავალს უფრო მეტ ძალაში ხედავს, ისეთ ძალაში, რომელიც შიშს შეიქმს. ცხადია, ეს არასწორია. მაგრამ, ზოგადად, სწორია მისი აზრი ძალის საჭიროების შესახებ. რატომ? მას ეს ძალა გააჩნდა, ჰქონდა მისი ცხოვრების ადრეულ ეტაპზე, მაგრამ დაკარგა ზარანდიათი გაძლიერებული სახელმწიფოს „წყალობით“. მაინც რატომ უპასუხა თუთაშხიამ წინამძღვარს ერთგვარი ჯიბრით ძალის საჭიროების საკითხში? მეტი სიცხადისთვის მოვიყვან ერთ შედარებას: თუთაშხიას ფიქრი ძალის საჭიროებაზე და, საერთოდ, ძალაზე, მისთვის ისეთივე კეტია, როგორიც რეალურად ეჭირა ციხეში, ქურდებთან გამართული ჩხუბის დროს. როგორც შენიშნავს მწერალი ამ ჩხუბის აღწერისას, აქ თუთაშხია იმიტომ არ დაიჩაგრავ, რომ დაპირისპირების დროს გამოყენებული სხვა უნარების გარდა, კეტი ვერ წაართვა ვერავინო. ეფემია წინამძღვარი სწორედ ასეთი კეტის (ძალის) წართმევას ცდილობს თუთაშხიასთან სიტყვიერი დაპირისპირების დროს, აბრაგი კი იხტიბარს არ იტყვს და თითქმის ჯიბრით ეუბნება მას: „ძალაა საჭიროო“... (თუმცა მან ამ ეტაპზე არ იცის, ეს ძალა როგორ გამოიყენოს).

საოცარი კი ისაა, რომ აკაკი ბაქრაძე ზემოაღნიშნულ ამონარიდში მოყვანილ დათა თუ-

თაშხიას სიტყვებს ძალის საჭიროების და ერის ნაბილწვის შესახებ, კიდევ ერთხელ უბრუნდება თავისი წერილის დასასრულს და ახლა უკვე სრულიად საპირისპირო შეფასებას აძლევს თუთაშხიას მიერ ზემოთ გაუღერებულ აზრს: **„ხედავთ, ამას თქვენ, წაიბილწა ერი“ – ეუბნება დათა ეფემია წინამძღვარს. ეს არ არის ლიტონი ბრალდება“**. გვ. 600-601. ე. ი. თუთაშხიას ერთი და იგივე გამონათქვამი აკაკი ბაქრაძისთვის ერთ შემთხვევაში „...პასუხი არ არის“, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით – ეს აზრი „...არ არის ლიტონი ბრალდება“.

ახლა კი განსახილველი აბზაცის ქვემოთ ჩამოვინაცვლოთ და ვიკითხოთ: ნაწარმოებში სად წერია (ან იგულისხმება), რომ აბრაგმა იცოდა, ძალის საკითხში ეფემია წინამძღვარს სწორ პასუხს რომ ვერ აძლევდა? ასევე – რომანში სად წერია (ან იგულისხმება), რომ დათა თუთაშხია დედა ეფემიას მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ზრუნავდა ან იმით ინტერესდებოდა, მის ამა თუ იმ საქციელს მიიღებს თუ არა წინამძღვარი? ცხადია, არსად!

ძალის საკითხთან, მისი გამოყენების ზომიერებასთან დაკავშირებით ერთგვარი შეჯამების სახით ვიტყვი შემდეგს: ამ ძალის დაბრუნების, პიროვნულ დონეზე მისი შექენის რეალურ გზას დათა თუთაშხია ბოლოს და ბოლოს მიაგნებს და ეს გზა საქულას დუქანში ახვრებთან მისი შეხვედრით იწყება. ხოლო, რაც შეეხება ძობა ძიგუას შემთხვევის ერთადერთობას, როგორც ამის შესახებ უკვე ითქვა ზემოთ, იგი არასწორია. ძობა ძიგუას შემთხვევა მეოთხეა ასეთი შემთხვევების სანყის სიაში. ჯერ იყო გამოდევნებული ახვარი, მერე მათი სამკაციანი ჯგუფი, რომლებმაც აღარ მოისურვეს თუთაშხიასთან ძალისმიერი ურთიერთობის გაგრძელება, ბოლოს კი – ვასო გოდერძიშვილი, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე საკმარისად ითქვა.

მუშნი ზარანდიას, ცხადია, თუთაშხიაში განხორციელებული ეს სიახლე (პარადიგმული სახეცვლილება) არ გამოჰპარვია და მიხვდა, რომ აბრაგი ისევ იწყებს ხალხის რეალურ მიმხრობა-მიერთებას, დაბრუნებას, ოღონდ ამჟამად სრულიად სხვა დონეზე, რომლის ზემოთ ასვლა, მისი გადალახვა ჟანდარმს უკვე აღარ

ძალუძს. რა დონეზეა საუბარი? მოყვასის გულისათვის, მისი სულიერი თუ ფიზიკური გადარჩენისათვის მსხვერპლად მისვლის თეორიული იდეა (ამიტომ აკაკი ბაქრაძე არასწორია, როცა ამბობს, რომ **„აქ თეორიული პასუხი არ არსებობს“** და ბრალმდებელს ცხოვრებით უნდა გასცე სათანადო პასუხიო). სწორედ ამ თეორიულმა იდეამ და მისმა პრაქტიკულმა განხორციელებამ უნდა დაუბრუნოს დათა თუთაშხიას სახელი და ავტორიტეტი, ხოლო შენარჩუნებული ძალა მოზომილად სწორედ ამ საქმეს უნდა მოახმაროს მან. ზარანდია უნდა მიხვდარიყო უმთავრესს: თუთაშხია რეალურად წაართმედა მას ხალხს და ამ ახალ სიტუაციაში იგი ძველი გზით და ძველი მეთოდებით ველარაფერს გახდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ თუთაშხიას ახალი იდეა ძველის – გაცემაგალების – ახალ დონეზე აყვანა იყო. ზარანდიასთვის უცხო იყო პირველი დონე (თუმცა მან მოახერხა მისი გადალახვა) და, ცხადია, მეორე მით უფრო უცხო იქნებოდა. სწორედ ამიტომ უნდა მიეღო მას აბრაგის მოკვლის გადანყვტილება, ვინაიდან სხვა გზა მისთვის უკვე აღარ არსებობდა. მისი, როგორც აღზევებული ჟანდარმის მარცხი გარდაუვალი იყო. შეიძლება სხვგვარადაც ითქვას: მუშნი ზარანდია იღებს არა თუთაშხიას მოკვლის, არამედ პიროვნული მარცხის თავიდან აცილების გადანყვტილებას, ხალხისთვის დათა თუთაშხიას ხატად ქცევის გზით. მსჯელობის საერთო ხაზს მოკლე დროით გადაუფეხვევ და ასეთ კითხვას გავაუღერებ: მაინც რატომ მოკვდა მუშნი ზარანდია? ვფიქრობ, გაცნობიერების გამო. მას თუთაშხიას ნააზრევი (ზემოაღნიშნული) მოგვიანებით უნდა გაეცნობიერებინა, როცა მისი გონება ცივ მდგომარეობაში გადავიდოდა, ანუ ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ. იგი უნდა ჩამხვდარიყო საკუთარი მარცხის ლოგიკას. მუშნი ზარანდიამ დათა თუთაშხიას სახით ხელი აიღო მოყვასის (რომელშიც, პირველ რიგში, თავად ზარანდია იგულისხმება) სულიერი თუ ფიზიკური გადარჩენისათვის თავის გამწირავზე. ვინც გადამრჩენელზე აიღებს ხელს, ცხადია, მას ველარავინ უშველის.

გავაგრძელებ ამონარიდების მოყვანას. ზემოთ განხილულ ბოლო აბზაცს ასეთი გაგრძე-

ლება აქვს: „ყველა სიტუაციას შეუძლია დაურღვიოს ადამიანს წონასწორობა. ისეთი ნაბიჯის გადადგმა აიძულოს, რომელიც არ უნდოდა და არც აპირებდა. მაგრამ მისი განსჯა უნდა შეგეძლოს, დასკვნის გამოტანა და მეტე გამოსყიდვა. „ძალმომრეობა მხოლოდ მაშინ ჰპოვებს გამართლებას ხალხის გონებაში, თუ იგი მოწამებრივი სინანულით დაგვირგვინდება“, ეუბნება ეფემია დათას.

ამ მოწამებრივმა სინანულმა მისცა ძალა დათა თუთაშხიას მშვიდად შეეხედა ძობა ძიგუას რევოლვერის ლულისათვის და მის ტყვიას დალოდებოდა. დათამ იცოდა, თუ ძობა მოკლავდა, ეს იქნებოდა დანაშაულის მოწამებრივი გამოსყიდვა, რაც მტკიცედ ჰქონდა აღიარებული თუთაშხიას. თუ არ მოკლავდა, მაშინ თავად ძობას სულიერი აღორძინება მოხდებოდა. ორივე შემთხვევაში მოწამებრივი სინანული თავის როლს შეასრულებდა და სიკეთე გაიმარჯვებდა. ქვეშეცნეულად ამას ძობაც მიხვდა. დათას სულიერი განწყობილება მას მთლიანად გადაედო და დამორჩილდა. ამ დამორჩილების წყალობით ძობა ძიგუა ადამიანად იქცა ისევ“. გვ. 585.

ეს გახლავთ სრულიად უცხო ლოგიკა, ნაწარმოების არ ამსახველი, მისი კონკრეტული ტექსტებისგან აბსოლუტურად დამორებული მსჯელობა და დასკვნები. ისევ ვსვამ კითხვებს: ნაწარმოებში სად წერია (ან იგულისხმება), რომ დათა თუთაშხიას დანაშაულის ძლიერი განცდა ჰქონდა დურუ ძიგუას დუქანში დატრიალებული ამბის და მისი შედეგების გამო? რომანში სად წერია, რომ დათა თუთაშხიას დანაშაულის მოწამებრივი გამოსყიდვა მტკიცედ ჰქონდა აღიარებული (თვითონ თქვა, თუ რომელიმე მთხრობელი უსვამს ხაზს ასეთ ფაქტს)?

ხაზგასმით უნდა ითქვას: დათა თუთაშხიას არ ჰქონია დანაშაულის მოწამებრივი გამოსყიდვის გაგება, მით უმეტეს, ძობა ძიგუას შემთხვევაში. გავიხსენოთ ვასო გოდერძიშვილის და დათა თუთაშხიას საუბარი ზახარ კარპოვიჩის სახლში, სადაც პირველი ურჩევს მეორეს, – სასწრაფოდ გაეცალე აქაურობას, თორემ ძობა მოვა და მოგკლავსო. გაკვირვებული და გაოცებული თუთაშხია ეკითხება მას: „– ძობა ძიგუას ჩემი მოკვლა უნდა?... რატომ?“ დაე,

პატივცემულმა მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ სადაა აქ სიმართლე.

ამ ბოლო ამონარიდის მეორე აბზაცის მოკლე აზრი ასეთია: მოვარდა შეიარაღებული ძობა, გაიგო რომ დათა არ წასულა და არც აპირებდა ამას, ამ დროს თუთაშხიაც გამოვიდა ეზოში, დადგნენ ერთმანეთის პირისპირ, ძიგუას ქვეშეცნეულად გადაედო დათას მიერ საკუთარ არსებაში აღიარებული დანაშაულის მოწამებრივი გაგება, იგი მას დამორჩილდა და იქცა ადამიანად.

სხვა სახის დასკვნებისგან თავი რომ შევიკავო, იმას მაინც ვიტყვი, რომ რამდენიმე წუთში ბოროტმოქმედის ადამიანად ქცევა შეუძლებელია.

ძობა ძიგუას შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრე, თუმცა აქ მოკლედ ისევ გავიმეორებ იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ადამიანობისკენ მისი საბოლოო და სრული შემობრუნება. იმავდროულად, არაფერს ვიტყვი ძობას ხასიათის ზოგად ნიშნებზე, რომელთა შესახებაც ვასო გოდერძიშვილი უხვად მოუთხრობს მკითხველს. ძობა ძიგუამ თავისი მსხვერპლი (შეიარაღებული) რამდენიმე საათის განმავლობაში სხვადასხვა სიტუაციაში ნახა, რომელ სიტუაციებშიც, ლოგიკის ძალით (და ნაწარმოების მიხედვითაც) თვით იგი ძალას აუცილებლად გამოიყენებდა (შეგინება დუქანში და სილის განვნა დუქნის გარეთ), მაგრამ ეს ვილაც, მის მიერ მსხვერპლად გამეტებული, ნაცვლად ძალის უზომო გამოყენებისა და ანგარიშსწორებისა, პატრონობის, მიტევება-პატიების, სამართლიანობის მთელ წყებას უჩვენებს ძობას და მის მეგობარს. ყველაფერ ამას კი დაემატა ის ინფორმაცია თუთაშხიაზე, რომლის შესახებაც გოდერძიშვილმა სულმოუთქმელად მოუყვა ზახარ კარპოვიჩის ეზოში შემოვარდნილ, შეიარაღებულ ძობას და თვით ამ უკანასკნელის პირისპირ დადგომა აბრაგთან. ძობაზე ყველაფერმა ამან ერთობლივად იმოქმედა, რასაც კუმულაციური ზემოქმედების ეფექტი ჰქონდა.

როგორც ციტირებული აბზაცებიდან ჩანს, აკაკი ბაქრაძეს მიაჩნია, რომ ეს მოწამებრივი სინანული თუთაშხიამ დედა ეფემიასგან აიღო. ამასთან დაკავშირებით ისევ ჩნდება კითხვა: ნაწარმოებში სად ჩანს, რომ დათა თუ-

თაშხია იზიარებს დედა ეფემიას შეგონებებს? რომ იგი უშუალოდ სარგებლობს დედა ეფემიას ინტელექტით? ნაწარმოებში არაფერი წერია იმის თაობაზე, რომ თუთაშხია სულიერი შეჭირვების თუ აბრაგობისას წარმოქმნილი გართულებების გამო ეფემია წინამძღვართან მისულიყოს, თუმცა მათ ურთიერთობა რომ ჰქონდათ, ეს ცნობილია. ნაწარმოების მიხედვით, დედა ეფემიამ მოისურვა დათას ნახვა (არა პირიქით), ჯერ უმძიმესი საუბარი გაუმართა (ზენოლა), ხოლო ამ ფონზე, საუბრის დასასრულს, მონასტრის ვარიანტი გაუხმოვანა მას. ამ აზრის გახმოვანების შემდეგ წინამძღვარმა კიდევ უფრო დიდ იდეოლოგიურ წნეხს მიმართა აბრაგის დასაყოლიებლად, თუმცა თვით თუთაშხიას და მაგალი ზარანდიას წყალობით – უშედეგოდ. განა შეიძლება განზილებული დედა ეფემიას სიტყვების დავინწყება, როცა იგი ამბობს: „ვალი მოვიხადე ღმრთის წინაშე და თვით დათას წინაშე, მეშინოდა მოკლავდნენო“. განა ეს სიტყვები დედა ეფემიას მარცხს არ გამოხატავს თუთაშხიას სხვა გზაზე დაყენების საქმეში, ვიდრე ეს იყო ერისკაცობა?

აკაკი ბაქრაძემ თავიდანვე არასწორი გზა აირჩია, როცა წერილს აღნიშნული სათაური – „ტარიგი ღმრთისაი“ შეურჩია. სიტყვა „ტარიგი“ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ასე განიმარტება: 1. ბატკანი ერთ წლამდე. 2. გადატ. რაც მსხვერპლად უნდა შესწირონ, – შესწირავი. სულ ეს არის. ანუ საუბარია დათა თუთაშხიაზე, როგორც გმირზე-ზვარაკზე, რომელიც რაღაცისთვის უნდა შესწირონ ან თავად შეეწიროს, მსხვერპლად მივიდეს. მაგრამ ვინ უნდა შესწიროს (ან ვინ შესწირა) იგი? ან თავად როდის და როგორ შეეწირა? მოკვლის მიუხედავად, მუშნი ზარანდია ერთმნიშვნელოვნად არ არის თუთაშხიას შემწირავი, მით უმეტეს, უკანონოდ შობილი გუდუნა პერტია. მაშ ვინ? ლოგიკის ძალით და განსახილველი წერილის სათაურიდან გამომდინარე, აკაკი ბაქრაძეს მკითხველისთვის უნდა ეჩვენებინა თუთაშხიას ტარიგობა, რაც მან ვერ მოახერხა. ამის საჩვენებლად იგი მიმართავს უკანონო შვილისგან აბრაგის დაჭრის სცენას და ამბობს: „დათა სიკვდილითაც

კეთილს ემსახურება. ბოროტმოქმედის შველაზე და გადარჩენაზე ფიქრობს. კაცი მაშინ არის დაღუპული, თუ სულიერად გაიხრწნა. ამას უნდა ააცდინოს გუდუ პერტია დათამ. მოახერხა კიდევ. დათას გვამი არავის უნახავს“ (გვ. 595). აქ დამატებით უნდა ითქვას შემდეგი: თავისი გაუჩინარებით დათა თუთაშხია არა მარტო გუდუ პერტიას გადარჩენას ახერხებს, არამედ მისი სახით მომავალი თაობისა (ნაწილობრივ) ზოგადად. გარეგნულად იგი ასევე ახერხებს მუშნი ზარანდიას გადარჩენასაც. სწორედ რომ გარეგნულად, ვინაიდან შინაგანად ამ „გადარჩენამ“ ზარანდიაში მელანქოლიის უმძიმესი ფორმები გამოიწვია. მიუხედავად ჩამოთვლილი ფაქტებისა, მათი მეშვეობით თუთაშხიას ზვარაკობის ახსნა შეუძლებელია და მიუღებელი. გუდუ პერტიას შემთხვევა თუთაშხიასთვის უკიდურესი შემთხვევა იყო. გუდუმდე კი, აკაკი ბაქრაძე მხოლოდ ძობა ძიგუას ხედავს. იგი ვერ ხედავს ახვრებს და ვასო გოდერძიშვილს, მომაკვდავ ბოდლო ყვალთავას, რომელიც სიკვდილის წინ აღიარებს, რომ სჯეროდა თუთაშხიას უბოროტობისა, იალქანიძეს – რომელიც მეგობრის გადასარჩენად „კეთილ“ საქმეს დაატრიალებს დუქანში, რადგან „რამე ისეთი უნდა გააკეთოს“, როცა იგი თუთაშხიას ხედავს (მის გვერდითაა), ზარანდიას მიერ მოსყიდულ ბონია მენისქვილეს – რომელიც თუთაშხიასთან ნისქვილში შეხვედრის დასასრულს აბრაგის პოზიციაზე გადადის (ღალატობს საქმის შემკვეთს – ზარანდიას) და პირად სამსახურს სთავაზობს მას: „არ მინდა ფული, ისე გეტყვი იმ კაცებს, ვინც მოვა და მკითხავს...“ და რაც ყველაზე მთავარია, იგი ვერ ხედავს გრაფ სეგედის, რომელიც გარკვეულ ეტაპზე დათა თუთაშხიას დამცველად მოგვევლინება. თუმცა მთავარი ამ შემთხვევაში ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ დათა თუთაშხია არა უბრალოდ ზვარაკია (ზოგადი გაგებით), იგი მსხვერპლად მისვლის უნარის მქონეა (ცხიდან გამოსვლის მერე). ეს კი სრულიად სხვა რამაა. ეს უნარი მან კარგად გამოავლინა შემდეგ შეიარაღებულ ადამიანებთან – ძობა ძიგუასთან, ბოდლო ყვალთავასთან, ბონია მენისქვილესთან. გარდა ამისა, უმთავრესი ისიცაა, რომ მსხვერ-

პლად მისვლა აქ მაინცდამაინც სიკვდილს არ გულისხმობს; ესაა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მოყვასი დარწმუნდეს მისივე საქციელის მართებულობა-უმართებულობაში და სწორ გზას დაადგეს. ასე იყო ძობა ძიგუას, ბონია მეწისქვილის და სხვათა შემთხვევებში, როცა თუთაშხია მის მოსაკლავად შემართულ, შეიარაღებულ ადამიანებთან იწყებს სიარულს, მათთან კონტაქტში შესვლას განსჯა-განმარტებების მიზნით, მათივე სულების გადასარჩენად, ადამიანობისაკენ შემოსაბრუნებლად.

მოვიყვან კიდევ ერთ ამონარიდს:

„რაკი ერთხელ ირწმუნა დათა თუთაშხიამ – ადამიანთა მოდგმა თანაგძნობის ღირსი არ არისო – არც სიკეთის თესვა უცდია. იგი განდეგილივით ცხოვრობდა და მიუხედავად ამისა, დათა თუთაშხია მაინც სიკეთის განსახიერებაა. რატომ არის ასე, ეს რომ ავხსნათ, დათას ანტიპოლი მუშნი ზარანდია უნდა ვახსენოთ.

დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია სისხლით ნათესავები არიან. დათა მუშნის მამიდაშვილია. ისინი გარეგნულადაც ტყუპის ცალევივით გვანან ერთმანეთს. მაგრამ ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია. უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი ის არის, რომ ისინი თანაბარი გონებრივი ძალის პიროვნებები არიან. მრწამსიც ერთნაირი აქვთ. მუშნიც ისევე უნდოდ არის განწყობილი ადამიანთა მოდგმის მიმართ, როგორც დათა. და მიუხედავად ამდენი საერთოსი, ისინი ძირეულად სხვადასხვანი არიან. თუ დათა თუთაშხია სიკეთეა, მუშნი ზარანდია ბოროტებაა. ბოროტებაა არა იმიტომ, რომ მუშნი ჟანდარმერიაში მსახურობს. არა. ეს არაფერ შუაშია. როგორც აბრაგობაა დათასათვის საზოგადოებისაგან განდგომის, მისი განცალკევების საშუალება, ასევე ჟანდარმერიაა მუშნისთვის საზოგადოებისგან განდგომის, განცალკევების საშუალება. ჟანდარმერიაში სამსახურად მუშნი ავკაცობით არ წასულა. მუშნი ზარანდიამ კარგად იცის, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია წესრიგის დასამყარებლად გამართული ბრძოლაა. ადამიანთა საზოგადოება წესრიგის გარეშე ვერ იარსებებს. ვერც შემოქმედებითი ცხოვრება იარსებებს თვინიერ წესრიგისა. მუშნი ზარანდიას ამ წეს-

რიგის დამყარება სურს“. გვ. 586.

პატივცემულ მკითხველს ისევ შევახსენებ, რომ ა) დათა თუთაშხია დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში ცხოვრობდა განდეგილივით, სხვა დროს იგი აქტიურად ერეოდა საზოგადოების ცხოვრებაში, არკვევდა კეთილის და ბოროტის, სამართლიანობის და ა.შ. საკითხებს; ბ) განდეგილად მცხოვრებთ ზარანდიას მსგავსი მოხელეები და მათ უკან მდგომი სახელმწიფო არ ებრძოდა; გ) თუ თუთაშხია გალახვის (საირმე) შემდგომ პერიოდში, ვიდრე სიკვდილამდე, განდეგილივით ცხოვრობდა, მაშინ ძალიან უინტერესო ნაწარმოებთან ჰქონია პატივცემულ მკითხველს საქმე; დ) დათა თუთაშხიას სიკეთის დანახვა მუშნის ზარანდიას გარეშეც ადვილადაა შესაძლებელი.

შემდეგ. დათა თუთაშხია არ იყო მუშნი ზარანდიას მამიდაშვილი! ეს ნონსენსია! პირიქით, მუშნი იყო დათას მამიდაშვილი! მუშნის დედა – თამარი, დათა და ელე თუთაშხიების მამიდა იყო. ეს მომენტი შეიძლება მექანიკურ შეცდომად მიგველო, ჩაგვეთვალა, რომ არა მსგავსი შეუსაბამობის კიდევ ერთხელ გამოერება განსახილველ წერილში. 593-ე გვერდზე ვკითხულობთ: **„სუბიექტურად მუშნი ზარანდიას უყვარს ღვიძლი მამიდაშვილი“.**

ვიდრე ბოლო ამონარიდის ანალიზს დავასრულებდე, მკითხველს შევახსენებ აქ მოტანილ ერთ აზრს: **„როგორც აბრაგობაა დათასათვის საზოგადოებისაგან განდგომის, მისი განცალკევების საშუალება, ასევე ჟანდარმერიაა მუშნისთვის საზოგადოებისგან განდგომის, განცალკევების საშუალება“.**

ესაა გასაოცარი ლოგიკა – გამოდის, ზარანდია ადრეულ ასაკშიც (სავარაუდოდ 24-25 წელი) ვერ ეგუებოდა საზოგადოებას, გადანყვიტა განდგომოდა მას, შექმნა წერილი, ახვედრა სეგედის და გადაბარგდა ჟანდარმერიაში, რათა განდგომილ-განცალკევებულს იქიდან დაემყარებინა წესრიგი მისმიერვე განადგომ საზოგადოებაში. თუთაშხიას განდგომის მიზეზი (ზოგადად) გასაგებია – იგი თავიდანვე(!) მძიმე ცხოვრებისეულ პრობლემებს შეეჯახა, რაც ნაწარმოებში ნათლად და დანვრილებითაა მოთხრობილ-წარმოჩენილი, მაგრამ ამგვარი რამ ზარანდიას არ დამარ-

თნია (მით უმეტეს, ადრეულ ასაკში). ან კიდევ – საზოგადოებისგან განდგომილი ერთი ოჯახიშვილი ებრძვის ამავე საზოგადოებისგან განდგომილ მეორე ოჯახიშვილს. ასეთი ლოგიკა უმძიმეს კითხვებს აჩენს – ვინ არიან ისინი, საიდან მოდიან?

ახლა კი განსახილველი აბზაცის მთავარი საკითხი: სურდა თუ არა მუშნი ზარანდიას წესრიგის დამყარება?

აკაკი ბაქრაძის ზემოაღნიშნულ ლოგიკას თუ გავყვებით, მუშნი აქციზიდან ჟანდარმერიაში წესრიგის დასამყარებლად გადასულა, რათა დამპყრობელმა თუ დაპყრობილმა საზოგადოებებმა ამ წესრიგის საფუძველზე არსებობა და განვითარება შეძლონ. თუმცა შევეშვათ საკითხის იმპერიულ სიბრტყეზე გადატანას. აქ სხვა არგუმენტებიც საკმარისი იქნება.

ისმის კითხვა: რატომ შექმნა ზარანდიამ ყველასთვის კარგად ცნობილი წერილი და შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ ამ წერილის წესრიგთან დაკავშირებული ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, მუშნის შინაგან ბუნებას, მისწრაფებებს და სურვილებს გამოხატავს? ვფიქრობ, ზარანდიაზე ასეთი ფიქრი მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ იგი წერილის შექმნის შემდეგ გარდაიცვლებოდა ან მთელი ცხოვრება მსგავს წერილებს დაწერდა წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით, ან ამ ტიპის სხვა რამ შემთხვევა.

ნაწარმოების მიხედვით კი ცნობილია, რომ აქციზის მოხელე მუშნი ზარანდიამ შეიტყო რა, რომ მისი ნათლია თავადი გრიგოლ ფალავა ახლო ურთიერთობებშია გრაფ სეგედისთან (ამის თაობაზე სეგედი თავად გვამცნობს ნაწარმოებში), შექმნა წერილი, გადასცა ნათლიას, ხოლო ამ უკანასკნელმა – სეგედის. ამიტომ ჩნდება კითხვა: წერილი რატომ შექმნა ზარანდიამ? რალაცისთვის თუ ვილაცისთვის? საკუთარი სურვილების და მისწრაფებების (მსოფლმხედველობის) გამჟღავნებისთვის თუ გრაფი სეგედისთვის, რათა მას ის გადამყვებილება მიეღო, რაც ახალგაზრდა ზარანდიას ჰქონდა ჩაფიქრებული? ვფიქრობ, ამ წერილის მიხედვით იმის გარკვევაზე საუბარი, სურდა თუ არა ზარანდიას წესრიგის დამყარება, შეუძლებელია. ამ წერილში მან ჩამოაყალ-

ბა ზოგი შეხედულება, რომელიც გამიზნული იყო ვილაცისთვის, ამ შემთხვევაში (ამ მსჯელობისას) გრაფი სეგედისთვის. ნაწარმოების მიხედვით, მან დასახული ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა. სხვა სფეროდან მოტანილი სიტყვებით რომ ვთქვა, აქციზის მოხელის მარკეტინგული სვლა სწორი იყო. აკი სეგედიც ადასტურებს ამას, როცა ამბობს, რომ წერილის წაკითხვის შემდეგ მან ზარანდიაში ახალი ტიპის ერთგულქვეშევრდომი დაინახა, ანუ მუშნიმ მას თავი სწორად დაანახა, რაც ჟანდარმერიაში მისი გადაბარგებით დასრულდა. აქ კი ისევ ჩნდება კითხვა: რა იქნა, რა ბედი ეწია წესრიგს, რომლის დამყარების მოსურნედ აკაკი ბაქრაძეს ზარანდია მიუჩნევია? ვთვლი, რომ მუშნი ზარანდიას წესრიგი და მისი დამყარება არც აინტერესებდა. მას აინტერესებდა ძალა, პიროვნულ დონეზე მისი შექმნა. როგორც გვახსოვს, ძალა და მისი ხელახალი შექმნა თუთაშხიასაც აინტერესებდა და ამის თაობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მუშნი ზარანდია არ იყო თავისთავადი ძალა, როგორც თუთაშხია, ამიტომ იგი შეეცადა სახელმწიფოს, როგორც ორგანიზებულ (და მზამზარეულ, თუმცა იმ პერიოდში დასუსტებულ) ძალას მიერთებოდა. სახელმწიფოს გარეშე იგი ძალას არ წარმოადგენს, ვინაიდან მისი შინაგანი ბუნება გაცემა-გაღებას არ ემსახურება. დათა თუთაშხიამ კი ასეთი ძალა თავისი ცხოვრების საწყის ეტაპზე ხალხისგან მიიღო, გაცემა-გაღების, სხვაზე უანგაროდ დახმარების, სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების და ა.შ. საწინაცვლოდ. ახლა კი მთავარი კითხვა: რისთვის სჭირდებოდა მუშნი ზარანდიას ასეთი ძალა? ნაწარმოების მიხედვით, არა წესრიგის დასამყარებლად, ზოგადად, მთელი საზოგადოების მასშტაბით (მან მხოლოდ სახელმწიფოს ერთი სტრუქტურული ერთეული გააძლიერა და აქედან გამომდინარე ზოგადად იმპერიული სახელმწიფო), არამედ თუთაშხიასთან, როგორც ძალის მქონესთან დასაპირისპირებლად, ხალხის თვალში მისი ავტორიტეტის შესაღებად, ამ ხალხის „ნასართმევად“ და საკუთარი (და სახელმწიფოს) შეხედულებებისამებრ მათ მოსამართლად, ანუ, საბოლოო ჯამში, დათა თუთაშხიას დასამარცხებლად.

ბოლო ამონარიდთან დაკავშირებით ასევე ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: არ შეიძლება ერთნაირად ვენდოთ ზარანდიას ყველა გამონათქვამს, აზრს, წერილს და ა.შ. ის, თუ რა აზრები დააფიქსირა მუშნიმ ზემოაღნიშნულ წერილში, როგორც ითქვა, საჭიროებიდან გამომდინარე გააკეთა და არა იმიტომ, რომ იგი ასე ფიქრობდა. გარდა ამისა, მწერალი ნაწარმოების დასაწყისში, პორუჩიკ ანდრიევსკის მეშვეობით გვამცნობს: „საინტერესოა, ეს ზარანდია მართლაც ასეთი კაცია, თუ ასეთ კაცს თამაშობს“? გრაფი სეგედიც გზადაგზა მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ გამოტოვებდა ხოლმე ზარანდია მასთან საუბარში ამა თუ იმ საქმის რალაც დეტალებს. სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება. თუ მწერალი ნაწარმოების ერთ რომელიმე გმირზე მკითხველს (მით უმეტეს, ანალიზის მწარმოებელს) საკმარისზე მეტად აძლევს დაეჭვების საფუძველს, მაშინ ამ უკანასკნელის ვალია, მის ყოველ ქმედებას მეტი სიფრთხილით მოეკიდოს.

ისევე მივმართოთ ამონარიდს:

„რომანს ლაიტმოტივად გასდევს, ყოველი კარის წინ დართული პრელუდია, რომელიც თითქოს ავტორის თქმით, მეთოთხმეტე საუკუნის ხელნაწერიდან არის. ეს ხერხი ჭაბუა ამირჯიბს რომანის ალეგორიის გასახსნელად ჭირდება. ამ ტექსტის მიხედვით, იყო რაინდი თუთაშხა, ვინც ბორტის დასათრგუნად და სიკეთის ზეიმად იბრძოდა. თუთაშხა ღმერთი არ იყო და ვერ მიაგნო ბორტების სიკეთედ ქცევის საშუალებას. მაშინ მან წამებას მისცა თავი. სხვები რომ ეხსნა, მოიკვთა სხეულის ასონი და კაცთა შთამთქმელ ურჩხულს მიუგდო საკვებად. ყველაფერი შესანსლა ურჩხულმა, მაგრამ, როცა თუთაშხამ გული ამოიგლიჯა და ესეც მონსტრისათვის უნდა მიეცა, მაშინ ბორტებამ კაცის სახე მიიღო და ადამიანურად ამეტყველდა:

„— არღა ვარ მწყურვალე სისხლთა, არღა მიძს სურვილი ჭამად კაცთა. და მიეცა მყის ყველაკასა ახალი, რომელთა მოიკვთეს ასონი თვისნი.

— არა ჰკლათ კაცი ესა და აჰა, ნიჭი თქვენ გარდაქცევისათვის სიკეთედ ბორტებისა (ხაზი ჩემია — ა.ბ.).

დაუტევა სულმან თუთაშხისამან ხორცნი მიწასა ზედა, აღველინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელი ღმერთად“. გვ. 595.

პატივცემულმა აკაკი ბაქრაძემ აქ უმნიშვნელოვანესი მომენტები გამოტოვა, რათა მისთვის სასურველი „სატარიგე“ დასკვნა მიეღო. მივმართოთ მოკლე ანალიზს:

რომანს არა მხოლოდ ყოველი კარის წინ დართული პრელუდია აქვს, არამედ წინათქმის წინ არსებულიც, სადაც წერია: „ჰყავდა ერსა განმგებლად და მორიგედ ქვეყნიერთა საქმეთა თვისთა ჭაბუკი პირმშვენიერი და რაინდი კეთილანაგი — თუთაშხა. არა იყო იგი სულდგმული ერთი და ძე ხორციელი, არამედ სული კრებითი, არსი მყოფი კაცთა ნიაღსა შინა, ვითა წახნაგთაგანი მათი უპირველესი“. ამ პრელუდიის დასასრულს კი ვკითხულობთ: „ხედვიდა ერი მას თუთაშხას განსხეულებულს, ხორცქმნილს და მსახლობელს თვისსა ტაძარსა დიდებულსა შინა უფლად სიყვარულისა და ჰმორჩილებდა წესსა დადებულსა მისგან, ვითარცა წესსა ერთნებაობითა რჩეულისა ხორციელისა მამისა...“

ყოველი კარის პრელუდიის ანალიზს აქ არ შევუდგები, თუმცა თითოეული მათგანიდან მივმართავ მოკლე ციტირებებს, რათა ნათლად დავინახოთ ის გზა, რაც გაიარა ნაწარმოების მთავარი გმირის პროტოტიპმა — თუთაშხამ.

პირველი კარის პრელუდიის ბოლოში ვკითხულობთ: „განდგა თუთაშხა ქვეყნისაგან თვისისა, დაინთქა ჭვრეტად და არღა გულისხმა ჰყო სადარდებელი ერისა, რამეთუ ღმერთი არა იყო თუთაშხა“.

ახლა ვნახოთ მეორე კარის პრელუდიის ბოლო ნაწილი: „აღილო შუბი თუთაშხამან, აღმხედრდა ჰუნესა თეთრსა ზედა და განიზრახა დათრგუნვა ბოროტისა — ძალითა თვისითა, რამეთუ ღმერთი არა იყო თუთაშხა...“

მესამე კარის პრელუდიის დასასრული ასეთია: „დაეცა ზარი თუთაშხას ნახულისა გამო და მოიცვა იგი რწმენამ, რამეთუ ვერცა ვინ არგოს მოდგმასა კაცთა, თუ არ კაცმავე.

„განიზრახა თუთაშხამან, სულმან კრებითმან მან, გარდაქცევა ძედ ხორციელად და იქ-

მნა თუთაშხა განზრახვასა თვისსა შინა ღმერთად“.

მეოთხე, ბოლო კარის პრელუდიიდან მოვიყვან იმ ნაწილებს, რომლებსაც რატომღაც არ მიაქცია ყურადღება ბოლო ამონარიდში აკაკი ბაქრაძემ: „მიეცა თუთაშხა ნებითა თვისითა წამებასა უმძიმესსა, სწორად მათისა, რომელნი იყვნენ ერისკაცნი უწამებულესნი. შემდგომ მარტვილობისა განმოეფინა შუბლისა იგურდივ ნათელი სხივთა, უკუმოიქცა სოფელსა და ჰრქვა:

– ესერა, კაცნო! მოველ ხსნისათვის თქვენდა მძღავრებისაგან ურჩხულისა. ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის, ერისა მარადისობისათვის, სრულქმნისათვის სულისა კაცობრიულისა!“

ნათელია, რომ თუთაშხიამ აბსტრაქტულ წამებას კი არ მისცა თავი, როგორც ამის თაობაზე გვამცნობს აკაკი ბაქრაძე ბოლო ამონარიდში, არამედ ისეთს, როგორც გამოუვლიათ უწამებულეს ერისკაცებს. გარდა ამისა, ძნელი არ არის იმის დანახვაც, რომ სოფელსა უკუმოქცეულ თუთაშხას ნათქვამში მისი სამომავლო ქმედებების სამი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: მოყვასის გადასარჩენად, ერის მარადისობისთვის და კაცობრიული სულის სრულქმნისათვის შემართება. სამივეს არა უბრალოდ (აბსტრაქტულად) სიკეთის ქმნა უძევს საფუძვლად (დანაშაულის მონამებრივ გამოსყიდვაზე საუბარიც კი არ არის), არამედ „...ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის“, რაზეც „ტარიგი ღმრთისაის“ ავტორი არ საუბრობს.

ვნახოთ კიდევ ერთი ამონარიდი:

„დათას შერკინება ბოროტებასთან (ანუ მუშნი ზარანდიასთან) თითქოს მარცხით დამთავრდა. იგი მაინც გაება მუშნის დაგებულ მახეში. სიკვდილის წინ თავად გაიფიქრა დათამ — „მაჯობა მაინც“. მაგრამ ამ კონკრეტულ სიტუაციაშიც ზნეობრივად მაინც ვერ გაიმარჯვა მუშნიმ. თუმცა ზერელე შეხედვით, მუშნის მზაკვრობა იმდენად დიდია, რომ შვილიც (რა ვუყოთ მერე, გუდუმ რომ არ იცის ეს) კი აუმხედრა და ბოლოს სასიკვდილოდ გაამეტებინა დათა. მაგრამ აქ ერთ გარემოებას აქვს არსებითი მნიშვნელობა: გუდუ პერტია არ არის

სიყვარულის შვილი. ბეჩუნი პერტია არ ყვარება დათას“. გვ. 596.

აქ პატივცემული აკაკი ბაქრაძე სიკეთე-ბოროტების ახსნას ბიოლოგიის მეშვეობით ცდილობს და ასე აგრძელებს ამ აზრს: „უსიყვარულოდ კეთილი არც იბადება და არც იქმნება. ასე, რომ მუშნი ზარანდიას, გუდუ პერტიას სახით, კეთილი არ გადაუბირებია. და თუ კეთილი ვერ გადაიბირა, ვერც დათასათვის უჯობნია ზნეობრივად“. გვ. 597.

რთულია იმის თქმა, თუ რა ტიპის ლოგიკაა აქ მოცემული. ზარანდია-თუთაშხიას ურთიერთობის ასახსნელად ბიოლოგია ვერ გამოდგება და არც არსებობს ამის საჭიროება. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ზარანდიას მოზარდი პერტია არ გადაუბირებია. ზარანდიამ ბიქტორ სამუშიას მეშვეობით მასში მხოლოდ თესლი ჩააგდო და მოამზადა გარკვეული საქმისთვის. პატივცემულ მკითხველს მოვაგონებ ზარანდიას დამოკიდებულებას ამ ტიპის საქმეებისადმი, რომლის შესახებაც მან გრაფ სეგედს ერთხელ უთხრა: „– თქვენო ბრწყინვალეებავ, მე მხოლოდ შეეკმენი გარემო, რომელშიც ადამიანები საგნებისა და სიტუაციების მიმართ დამოკიდებულებებს თავისით აყალიბებენ“. თუმცა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ბონია მენისქვილის (ასევე ზოგი სხვაც) შემთხვევა ასეთი არ იყო. იგი გადაბირებული იყო.

საოცარი ამ ბოლო ამონარიდთან დაკავშირებით ისიცაა, რომ აკაკი ბაქრაძე თავისი წერილის დასასრულს სხვა საკითხთან დაკავშირებით ასეთ აზრს აფიქსირებს: „...სიტყვაკამულ მწერლობას სქესობრივი სიყვარული ზოგადი სიყვარულის ასპექტში აინტერესებს და არა ბიოლოგიური თვალსაზრისით“. გვ. 600.

კიდევ ერთი ამონარიდი:

„თუთაშხია, როგორც მხატვრული პერსონაჟი, იმითაც არის საინტერესო, რომ სულის განვითარების კანონებით ცხოვრობს და ყოველგვარ სიტუაციაში ცდილობს მათ არ უღალატოს. ამდენად, მისი პიროვნებისთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს — სად და როგორ იცხოვრებს. იგი ყველგან მოახერხებს დათა თუთაშხიად დარჩეს“. გვ. 598.

აქ პატივცემული აკაკი ბაქრაძე ერთადერთხელ საუბრობს თუთაშხიასთან დამოკიდე-

ბულებში განვითარებაზე, თუმცა თუ დავაკვირდებით, პირველი წინადადება თავისი არსით წინააღმდეგობრივია, ვინაიდან განვითარება გულისხმობს რაღაც ადრინდელზე გარკვეული დონით ან სრულებით უარის თქმას, ანუ „ღალატს“. მეორე წინადადება კი ისევ სტატიკაა – დათა თუთაშხია ყოველთვის დარჩება იმად, რადაც ერთხელ გავიცანით.

განვიხილოთ კიდევ ერთი ვრცელი ამონარიდი, რომელიც წინას გაგრძელებაა:

„თუ ამ კუთხით შევხედავთ, რომანის ზოგიერთ თავს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ზედმეტია. მაგალითად, ციხეში მომხდარი ამბოხების აღწერა. თავისთავად ეს ჯანყი საინტერესოდ არის დაწერილი (ამის საბუთად მართლ კლასიკონ კვიმსაძის სახეც კმარა), მაგრამ ჩემი აზრით, ეს თავი იმ ფუნქციას ვერ ასრულებს, რისთვისაც არის რომანში.

ეს ციხე მიკროსახელმწიფოა. ამას მიგნება არ სჭირდება. ეს აშკარად არის ნათქვამი: „აგერ, მზა-მზარეული სახელმწიფოა აქ, ორთაჭალის ციხეში: პოლიცია, შეიარაღებული ძალები, ბატონო, დაზვერვა, კვება და მეურნეობა, პროპაგანდა, დიპლომატია და ელჩობა, პარლამენტი და რა ვიცი მე“. ე. ი. გარესახელმწიფოს ყველა ნიშან-თვისებაა აქ გამოვლენილი. იმ გარესახელმწიფოს კარგად იცნობს დათა თუთაშხია. ბუნებრივია, არც ციხის ანუ მიკროსახელმწიფოს სამყაროა მისთვის უცნობი და ახლისმთქმელი. არც ის ადამიანებია სხვანაირი, რომელნიც ციხეში შეხვდნენ დათას. ორთაჭალის ციხეში დათას პიროვნების გამოვლენა ახალი მხრიდან არ ხდება. არც დათას მოუხდენია აქ რაიმე ზეგავლენა სხვების სულიერ სამყაროზე“. გვ. 599.

რომელ ფუნქციას ვერ ასრულებს ჯანყი რომანში? იმ ცალმხრივ ფუნქციას, რომელიც პატივცემულმა აკაკი ბაქრაძემ დააკისრა ნაწარმოებში მთავარ გმირს – სიკეთის გამოხატვა და ზვარაკობა. ახლა კი სხვა საკითხი: თუ დავაკვირდებით, ამ ბოლო ამონარიდის პირველ აბზაცში აკაკი ბაქრაძე მხოლოდ ბუნტს მიიჩნევს ზედმეტად, ხოლო მეორე აბზაცის მეორე ნაწილში მთლიანად ციხეს და იქაურ სამყაროს. მეორე აბზაცის შუა ნაწილში იგი ამბობს: „იმ გარე სახელმწიფოს კარგად იცნობს დათა

თუთაშხია“. ვფიქრობ, რომ არ იცნობს! ან კი საიდან უნდა სცნობოდა? ან თუ მაინცდამაინც იცნობს (ან იცნობდა), მხოლოდ გარედან! შეიძლება ითქვას – ქვემოდან! ციხეში კი, ახლად დაარსებული მიკროსახელმწიფოს დონეზე ეს გარესახელმწიფო მან შიგნიდან ნახა.

ისევ ვრცელი ამონარიდი:

„როცა თავდაპირველმა აჟიოტაჟმა გაიარა, ციხეს შინათგამცემლები და კაპიტულიანტები გაუჩნდნენ. იძალეს მათ და ციხეში ისევ პირვანდელი მდგომარეობა აღდგა. ერთადერთი ცვლილება ის მოხდა, რომ ციხის ძველი უფროსი ახლით შეცვალეს. ცხადია, ამით პატიმრებს არავითარი შეღავათი არ მისცემიათ.

სხვათა შორის, ციხის ამბოხებაში არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ციხის უფროსი კოცი, პატიმრის სახელის გატეხის მიზნით, ტუსაღს მამათმავლების საკანში შეაგდებდა. დიდად აღშფოთდა ციხე, როცა კოცის ეს არაადამიანური „მეთოდი“ შეიტყო. ამბოხებას ბიძგი ამანაც მისცა. მაგრამ, როგორც კი ამბოხებულმა პატიმრებმა ძალუფლება ჩაიგდეს ხელში, პირველი, რაც გააკეთეს, ეს იყო ის, რომ კოცი შეაგდეს მამათმავლების საკანში. მაშასადამე, კეთილმა (ამბოხებულებმა) ბოროტების (კოცის) დასასჯელად იგივე საშუალება გამოიყენეს, რასაც ბოროტება მიმართავდა. ეს კეთილს აკნინებს და, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, სპობს განსხვავებას კეთილსა და ბოროტს შორის.

ამრიგად, ციხის ამბოხების ამბიდან გამომდინარე აზრობრივი შინაარსის ყველა ნიუანსი ნაცნობია მკითხველისათვის. ახალი არაფერია. ამიტომ მიმაჩნია იგი ზედმეტად“. გვ. 600.

ასეთია აკაკი ბაქრაძის დასკვნა ციხის და იქ წარმოქმნილი ბუნტის, ასევე ზოგიერთი სხვა საკითხის თაობაზე. ამგვარი დასკვნების საფუძველი მრავალმხრივი ნაწარმოებების და მრავალმხრივი გმირის ცალმხრივი გაგებაა, რომელიც მან „ტარიგი ღმრთისაიში“ შემოგვთავაზა. აკაკი ბაქრაძის ეს წერილი არ გახლავთ რომან „დათა თუთაშხიას“ გარკვეული კუთხით ანალიზი. ცხადია, ნებისმიერი ნაწარმოების ნებისმიერი კუთხით განხილვაა შესაძლებელი, თუმცა ასეთ შემთხვევაში ზოგადი დასკვნების გამოტანისას მეტი სიფრთხილეა საჭირო.

ხაზგასმით მსურს განვაცხადო: არც ციხის და არც იქ წარმოქმნილი ბუნტის თემა ნაწარმოებში ზედმეტი არ არის (აქ საუბარი არ არის იმაზე, განელილია თუ არა რომელიმე თავი, ან მხატვრულად რამდენად შესაბამისობაშია იგი ნაწარმოების დანარჩენ ნაწილთან). პირიქით, ეს საკითხები სცილდება უბრალო ლოგიკის საზღვრებს და ისინი გენიალურობის ელფერს იძენენ, განსაკუთრებით კი, ციხის თემა.

მკითხველისთვის (მით უფრო, ანალიზის მწარმოებლისთვის) მთავარი ის კი არ არის, თუ როგორი უნდა იყოს ესა თუ ის ნაწარმოები (ეს მწერლის ნებაა, მისი პრეროგატივაა), არამედ იმის გაგება, თუ რა და რამდენად ღირებული მიზანი ამოძრავებდა მას ნაწარმოების შექმნისას და რამდენად წარმატებულად გაართვა თავი ამ ამოცანას. ეს პრინციპი „ტარიგი ღმრთისაიში“ დარღვეულია, როგორც მიმდინარე ანალიზისას, ისე დასასრულს, როცა წერილის ავტორი მწერალს ნაწარმოების ცალკეული ნაწილების ამოღებას სთავაზობს რომანის საბოლოო გამოქვეყნების შემდეგ. განსახილველ წერილში ნაწარმოების მიზნებზე საუბარი არ არის და თუ არის, მხოლოდ ერთზე – გმირის მზადყოფნაზე აკეთოს კეთილი საქმეები და საჭიროების შემთხვევაში შეეწიროს კიდევ მათ.

არის თუ არა ციხის თემა ზედმეტი ნაწარმოებში? ამისათვის მოკლედ გავიხსენოთ მისი წარმოშობის წინაპირობები. ნაწარმოებიდან ცნობილია, რომ თუთაშხია ციხიდან „თანამზრახველებთან“ ერთად 1907 წლის შემოდგომაზე (სექტემბრის ბოლო რიცხვები) გამოიქცა ისე, რომ ხუთწლიანი ვადა ბოლომდე არ მოუხდია. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ციხეში იგი სავარაუდოდ 1903 წელს უნდა ჩამჯდარიყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან უკანონოდ დაახლოებით თვრამეტი წელი იცხოვრა, მაგრამ ციხეში მისი ჩაჯდომის საკითხი ასე აქტიურად ადრე არავის დაუყენებია. რატომ დადგა დღის წესრიგში თუთაშხიას ჩაჯდომის საკითხი? რა იყო ამის მიზეზი? პასუხი: ზარანდიას თავბრუდამხვევი კარიერული წარმატებები და ამ იერარქიულ აღმასვლას მოყოლილი პრობლემები, კერძოდ – სახნოვი. ერთ მომენტში, კავკასიის ჟანდარ-

მერიის ხელმძღვანელობას სახნოვის სახით პირდაპირი და აშკარა „მეტოქე“ გამოუჩნდა. საკითხს ართულებდა სახნოვის ახლობლობა იმპერატორის ოჯახთან. ამ დაპირისპირებაში გაჩხერილი ერთ-ერთი „ძვალი“ დათა თუთაშხია იყო. სეგედის და ზარანდიას სურდათ სახნოვისთვის ამ „ძვალის“ წართმევა – მონასტერში ან ციხეში აბრაგის გაგზავნა-გადამალვით. ვინაიდან ბერად აღკვეცის აზრი გაჩენისთანავე მოკვდა, დარჩა ციხე. ასე შეიძინა თუთაშხიას ჩაჯდომამ აქტუალობა.

ნაწარმოებიდან ცნობილია, რომ თუთაშხიას ციხეში ჩაჯდომას მეგობრებიც ურჩევდნენ. გავიხსენოთ დათას და გოგი წულაძის შეხვედრა თბილისში, ჟანდარმერიის სამმართველოში აბრაგის მისვლამდე რამდენიმე წუთით ადრე: წულაძე ეკითხება – გადანყვიტეო? რაზეც თუთაშხია დადებით პასუხს აძლევს. გოგი წულაძე კიდევ ერთხელ უხსნის, თუ რატომაა აბრაგის ეს გადანყვიტეობა სწორი. დათა ეუბნება მეგობარს: „– რა არ მელაპარაკეს! მიზეზი აღარ დარჩა, მგონია, იმის სამტკიცებელი, რომ უნდა ჩავჯდე, მაგრამ შენ რაც მითხარი, ეგ არ უთქვამს არც ერთს არასდროს...“ საინტერესოა, რამ გააკვირვა და გააოცა აქ თუთაშხია? სიტყვებმა, რომლებიც უკავშირდებოდა ხალხს, მასთან აბრაგის დაბრუნებას. ეს კი გვიხსნის იმას, თუ რატომაა ნაწარმოებში ციხის თემა.

როგორი იყო დათა თუთაშხიას და ხალხის ურთიერთობა აქამომდე? ზარანდიას გამოჩენამდე ამ ურთიერთობების ხასიათი ძირითადად ჰარმონიულია, შეხმატებილებულია, თუმცა დროთა განმავლობაში ბუნებრივად წარმოიქმნება გარკვეული სახის გართულებები (ძალადობით ლელოს გამტანი კაცები და თვით ხალხის შინაგანი ბუნება, მისი ხასიათის ნიშნები, იმ პერიოდში გმირისთვის აუხსნელი და გაუგებარი). ზარანდიას გამოჩენის შემდეგ ხალხსა და მის გმირს შორის ადრე გაჩენილი უფსკრული ღრმავდება და, საბოლოოდ ამ ურთიერთობების განყვეტით მთავრდება. დათა თუთაშხიასაგან სიკეთის ქმნა და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრება აზრს კარგავს. ისიც გარკვეული დროით ეშვება ფსკერზე (თბილისში გამგზავრება, შემორიგება...),

„ისვენებს“. მაგრამ აბრაგი აგრძელებს ფიქრს იმ პრობლემური საკითხების გარშემო, რომლებმაც იგი აქტიურიდან პასიურ მდგომარეობაში გადაიყვანეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, იგი აგრძელებს არა უბრალოდ ფიქრს, არამედ ინტელექტუალურ გაძლიერებას და ეს პროცესი მასში არასდროს არ წყდება, არასდროს არ ჩერდება. თუმცა ამ პერიოდში იგი მაინც უხალხო გმირია. ახლა ამ ხალხს, მის დიდ უმეტესობას სხვა „პატრონი“ ჰყავს – ზარანდია. სწორედ ამიტომ ურჩევნია დათა თუთაშხიას მისი მეგობრები ციხეში ჩაჯდომას, რომ ხალხზე გულაყრილს, გულგაცივებულს მისკენ გული მიუბრუნდეს, რომ ხალხმა დაიბრუნოს თავისი გმირი და, სავარაუდოდ, სამომავლო პატრონიც. სწორედ ამიტომ, ციხის თემა ვერ იქნება ზედმეტი ვერც ზოგადად და ვერც კონკრეტულად. პატივცემულ მკითხველს შეიძლება დამატებით გაუჩნდეს კითხვები: მაინც რა შუაშია ციხე, ან როგორ უნდა მოახერხოს გმირმა ხალხთან დაბრუნება, მით უმეტეს, ერთ შემოზღუდულ სივრცეში, თუ იგი ამას ვეღარ ახერხებდა გარეთ, თავისუფალ (პირობითად) მდგომარეობაში მყოფი? ამ კითხვების ერთი პასუხი გოგი წულაძის ზემოაღნიშნულ ახსნა-რჩევაშია, მეგობარს რომ გაანდო ჩაჯდომის წინ. ამ წერილის ავტორის ახსნა კი ასეთია: ციხეში ხალხის (საზოგადოების) ის ნაწილი იყო თავმოყრილი (მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მიუხედავად), რომელიც ზარანდიას არ ემორჩილებოდა, იქ მყოფთა უმეტესობის სულელებს ვერ მართავდა, ვერ აკონტროლებდა, როგორც ამას ციხის გარეთ ახერხებდა იგი, ვინაიდან ჟანდარმი და ციხის პატიმრები ორ ურთიერთდაპირისპირებულ, კარგად გაფორმებულ ანტაგონისტურ ძალას წარმოადგენდა. მუშნი ზარანდიას, შესაძლოა, თავიდან სწორედ ამიტომ სურდა თუთაშხიას მონასტერში გაშვება, რომ იგი ერთ სიბრტყეზე თავმოყრილ ხალხის ნაწილს, როგორც ძალას (სახელმწიფოს წინააღმდეგ განწყობილს), არ გადაჰყროდა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: თუთაშხიას მისმა მეგობრებმა, სავარაუდოდ, სწორედ იმიტომ ურჩიეს ჩაჯდომა, რომ იგი ხელახლა შესულიყო კონტაქტში ხალხთან, მის ერთ ნაწილთან, სეგმენტთან, რომელი სე-

გმენტიც ზარანდიას ტოტალურ კლანჭებს იყო გამოჩენილი. გმირის დაბრუნება სწორედ აქ უნდა მომხდარიყო და სწორედ ამიტომ წარმოადგენს ციხე მწერლისთვის გენიალურ მიგნებას. სწორედ ციხეში დაიბრუნა, აღიდგინა (ნაწილობრივ) დათა თუთაშხიამ ძალა, რომელიც მას ადრე გააჩნდა და რომელიც ზარანდიათი გაძლიერებული სახელმწიფოს „წყალობით“ დაჰკარგოდა.

ზედმეტია თუ არა ციხეში მოწყობილი ბუნტის თემა? არა!

ზემთ მოყვანილი მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ის, რომ ერთმანეთს დიდი ხნით დაშორებული გმირის და ხალხის შეხვედრა (პირობითად) მშვიდ ვითარებაში ვერ მოხდებოდა. ამ „შეხვედრას“ რაღაც სხვა ხასიათი უნდა ჰქონოდა. გრაფი სეგედი ნაწარმოების დასაწყისიდანვე მიუთითებს და შემდეგაც ახსენებს მკითხველს იმ სოციალური თუ პოლიტიკური ფონის შესახებ, რაც იმ დროის იმპერიაში არსებობდა, ანუ იმას, თუ როგორ ელოდა ხალხი თავისი გმირის (თავის, მეტაურის, წინამძღოლის...) გამოჩენას და გამოვლიძებას. ვფიქრობ, რომ ციხეში მოწყობილი ბუნტი სწორედ ასეთი შეხვედრის სიმბოლური გამოხატულებაა, შეერთება ტანისა და თავისა, არსებული რეალობის (ანუ დამაშორებლების) წინააღმდეგ მიმართული.

ახლა კი, რეალურად. ციხეში მისულ თუთაშხიას ორი ძალა შემოხვდება: პოლიტიკოსების და ქურდების. ქურდებისგან იგი ერთობას სწავლობს, თუმცა იქვე უსასტიკესად ანადგურებს მათი ურთიერთობის საფუძველს: „საკუთარი კეთილდღეობისთვის ერთობაა ქურდების ერთობა. სხვისი კეთილდღეობისთვის ერთობა სხვაა კიდევ და ცოდნა უნდა ამას“. ეს კი ეწინააღმდეგება აკაკი ბაქრაძის მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს ციხეში დათა თუთაშხიას პიროვნების გამოვლენა ახალი მხრიდან არ ხდება.

როცა აკაკი ბაქრაძე წერს, რომ ციხეში ისევ პირვანდელი მდგომარეობა აღდგა და პატიმრებს არავითარი შეღავათი არ მისცემიათო, მოვლენების არასწორად შეფასებასთან გვაქვს საქმე. პატივცემულ მკითხველს მოვავიწყებ იმას, თუ როგორ იწყებს ამბის

მოყოლას მეოთხე კარის პირველი მთხრობელი ალექსი სნეგირი: „მეტეხის ციხიდან თომა კომოდოვი და მე ორთაჭალაში ერთად წაგვიყვანეს. რა თქმა უნდა, ვივალდებულეთ იქაურ ამხანაგებთან ერთად ადგილზე გავრკვეულიყავით ვითარებაში და ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში აჯანყების მოწყობას ვცდილიყავით“. სულ ეს არის. ამიტომ ბუნტის რეალური მიზანი არ ყოფილა პატიმრებისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება. პოლიტიკოსებმა გამოიყენეს არსებული სიტუაცია თავის სასარგებლოდ, ანუ ბუნტის მოსაწყობად. პატიმრებმა უკიდურესი ფორმით გააპროტესტეს ციხეში შექმნილი ვითარება, ხოლო ორგანიზატორებმა გაიარეს პოლიტიკური ბრძოლის ერთი გზა, შეიძინეს გამოცდილება. ნაწარმოებში საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც ბუნტამდე არავითარი განსაკუთრებული უნარ-ჩვევებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ შემდგომ წლებში იმპერიის სხვადასხვა ციხეში თავად მოაწყვეს ბუნტი და წარმატებით უხელმძღვანელებს კიდევ მას. ესენია – ჟორა კაშია და ჟორა ბადალიანცი. ამ ფონზე არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, თუ რა დიდი ცოდნა (ფართო მასების მართვის) შეიძინა თუთაშხიამ ციხეში, კერძოდ ბუნტის დროს, მისი მოწყობა-ორგანიზების მხრივ. დათა თუთაშხია სწორედ ამიტომ იქცა საფრთხედ იმპერიისათვის და მისი ერთ-ერთი ახალი „პატრონისათვის“ – მუშნი ზარანდიასათვის. პატივცემულმა მკითხველმა თავად განსაჯოს, შეიძლება თუ არა ამ სიტუაციაში ციხის და ბუნტის თემა იყოს ზედმეტი.

პატივცემული აკაკი ბაქრაძე ასევე არასწორად განიხილავს ციხის ყოფილი უფროსის – კოცის თემას. შორს ვარ იმ აზრისგან, თითქოს ამ მომენტის მოხმობით მწერალს კეთილის და ბოროტის ურთიერთობის ჩვენება სურდა მკითხველისთვის. მაშ, რისთვის უნდა დასჭირვებოდა მას ამ მომენტის მოხმობა? ვფიქრობ, აქ უბრალო მომენტიცაა, – მწერალი მიჰყვება მოვლენათა მსვლელობას და მკითხველს აჩვენებს იმას, თუ რა არის ან როგორია რევოლუციის ბუნება. ბუნტი თუ სხვა სახის რევოლუციური ქმედება ლეღვაა, სტიქიური

მოვლენაა, ძალის უზომო გამოვლინება-გამოყენებაა, აქ არ არსებობს (და არც შეიძლება არსებობდეს) კეთილის და ბოროტის გაგება. ვფიქრობ, სწორედ ამის თქმა სურდა ამ შემთხვევაში მწერალს. მხოლოდ მოგვიანებით, როცა მეტ-ნაკლებად დალაგდება სიტუაცია, ამოქმედებას იწყებს სიკეთე-ბოროტების მექანიზმი, როგორც საზოგადოების მართვის და თვითმართვის ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. მანამდე კი, ბუნტის დროს, ისინი არ არსებობენ. ამიტომ კოცის თავს გადამხდარის ახსნა სიკეთე-ბოროტების ცნებებით დამაჯერებლობას მოკლებულია. სტიქია (ბუნებრივი თუ საზოგადოებრივი) ბოროტებაა, იგი სიკეთე არ არის, ეს ცხადია, მაგრამ მას ზნეობას ვერ ასწავლი და ვერც ადამიანურ დონეზე გაგებული სიკეთე-ბოროტების ცნებებით ახსნი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბუნტის თემას ნაწარმოებში სხვა უზარმაზარი დატვირთვაც აქვს. ცნობილია, რომ თუთაშხია ციხეში თავისი ფეხით (ნებაყოფლობით) მივიდა. ეს ფაქტი მასზე, როგორც ძალმომრეობის წინააღმდეგ მებრძოლზე დადებითად არ მეტყველებს, არც ობივატელური და არც სხვა რამ გაგებით. ამიტომ თუთაშხიას მხრიდან ახალ სიტუაციაში (ციხეში) საჭირო იყო არა უბრალოდ რაღაც დასკვნების გახმოვანება, ქურდებთან შეჭიდება ან საბოლოო ჯამში, სასჯელის მოხდა, არამედ ძველი გზის (ძალმომრეობის წინააღმდეგ შემართება) ახალ დონეზე, ახალ სიმაღლეზე გაგრძელება. ეს ახალი დონე, ახალი სიმაღლე, სწორედ ციხის ბუნტი იყო, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და უშუალო ორგანიზატორი თავად იყო. ციხეში ნებაყოფლობით (თავისი ფეხით) მისული თუთაშხიასთვის ეს ფაქტი რეაბილიტაციის ტოლფასია (აქ შეიძლება გავიხსენოთ დოცენტის შემთხვევა, რომელიც რეაბილიტაციის მიზნით ჩაჯდა. როგორც ცნობილია, ორთავეს „სხვაგვარად არ ძალუძდათ“). ამ რეაბილიტაციას კიდევ უფრო აძლიერებს (გარეთ დარჩენილი, ჯერ კიდევ ზარანდიას მარწუხებში მყოფი ხალხის თვალში) თუთაშხიას ციხიდან გაქცევა. პატივცემულმა მკითხველმა კიდევ ერთხელ განსაჯოს თავად, არის თუ არა ბუნტის თემა რომანში ზედმეტი.

რომანი „დათა თუთაშხია“ ღრმად ეროვნული ნაწარმოებია. უმთავრესი მასში სწორედ ესაა. სხვა დანარჩენი საკითხი აქ ამ უმთავრესს ემსახურება. ნაწარმოების ავტორი ერის ბედით (უფრო უბედობით) უკიდურესადაა შეწუხებული. მას აინტერესებს მცირერიცხოვანი ერების თვითგადარჩენის შესაძლებლობა, ასეთი გადარჩენის თეორიული და პრაქტიკული ასპექტი, ასევე მისი სავარაუდო ადგილი საკაცობრიო ისტორიაში. ამ ნაწარმოებით მწერალი შეეცადა ეჩვენებინა ასეთი ერების დამოუკიდებელი არსებობის (იმპერიებისგან თავის დახსნა) მიღწევის რეალური მექანიზმი, თვით ამ იმპერიების, როგორც ხელოვნურად (ძალის გამოყენების საფუძველზე) შეკონინებული სისტემების რღვევის შესაძლო ნერტილები (სეგედი).

აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ნაწარმოების დედაზრი მეოთხე, ბოლო კარის პრელუდიაშია გადმოცემულ-გამჟღავნებული:

„მიეცა თუთაშხა ნებითა თვისითა ნამებასა უმძიმესსა, სწორად მათისა, რომელნი იყვნენ ერისკაცნი უწამებულესნი. შემდგომ მარტვილობისა განმოეფინა შუბლისა იგურდივ ნათელი სხივთა, უკუმოიქცა სოფელსა და ჰრქვა:

– ესერა, კაცნო! მოველ ხსნისათვის თქვენდა მძლავრებისაგან ურჩხულისა. ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის, ერისა მარადისობისათვის, სრულქმნისათვის სულისა კაცობრიულისა!“

როგორც უკვე ითქვა, აქ თუთაშხას სამომავლო ქმედების (მსხვერპლად მისვლა) სამი მიმართულებაა მოცემული: ა) მოყვასისა

თვისისათვის; ბ) ერის მარადისობისათვის; გ) კაცობრიული სულის სრულქმნისათვის. ჩამოთვლილთაგან უმთავრესი გახლავთ ერის მარადისობაზე ზრუნვა. ნაწარმოების ავტორი სწორედ ამ საკითხითაა შეწუხებული. ერის გადარჩენის წინაპირობად მწერალი მოყვასის სულიერ (თუ ფიზიკურ) გადარჩენას მიიჩნევს. დათა თუთაშხია ეროვნული გმირი იმიტომაა, რომ ერის გადასარჩენად ცხოვრების უმძიმესი გზა აირჩია და მიაგნო კიდევ მისი გადარჩენის რეცეპტს: ურჩხულის (იგულისხმეთ იმპერიული სახელმწიფო) სამსახურში მყოფი მოყვასის (მათ შორის მისი სავარაუდო და პოტენციური მკვლელების) გამოსხნას, მოქცევას, წართმევას საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, გონივრული (ზნეობრივი) ახსნა-განმარტებებით, სამოყვასე გზაზე დაყენებით. ეს იყო გზა ერისშვილების მომრავლებისა, თვით ერის გადასარჩენად. დათა თუთაშხიას, როგორც ლიტერატურული გმირის დაყვანა მხოლოდ ზნეობრივ გმირამდე არასწორია. იგი მით უმეტეს არ იყო ზვარაკი, ვინაიდან მას არც კი უფიქრია იმაზე, ყოფილიყო შეწირული. მწერალმა გვიჩვენა ეროვნული და საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლი გმირი, ერის სავარაუდო წინამძღოლი და გვამცნო, რომ ასეთი წინამძღოლი შეიძლება იყოს მხოლოდ მაღალი ზნეობრივი ფასეულობების მქონე პირი. სულ ეს არის. გარდა ამისა, მწერალმა ამ ნაწარმოებით იმასაც გაუხსვა ხაზი, რომ კაცობრიული სულის სრულქმნა ერების მრავალფეროვნებითაა შესაძლებელი და არა მათი ჩაყლაპვა-განადგურებით.

ანდრო პუარბიძე

ქამი სიტყვისა

(თამაზ ბაძალუას გახსენება)

თამაზ ბაძალუას ყოველი გახსენება არის უშუალო შეხება იმ ტკივილთან, რომელიც მოგვაყენა მისმა უაზრო და აბსურდულმა სიკვდილმა. თავისთავად შესაძლებლობა ასეთი სიკვდილისა არ შეიძლება ადამიანში არ იწვევდეს აუტანელ გრძნობებს და განცდებს. ორმაგად ძნელია ამ აუტანლობის განცდა იმათთვის ვისაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა თამაზთან.



თამაზი შესანიშნავად გრძნობდა მთავარს და უარსებითესს ადამიანის ცხოვრებაში. ყოველდღიური ყოფის ფონზე და ნაგრძნობს სიტყვის მეშვეობით გამოხატავდა. მისი განცდის ინტენსიობა არაჩვეულებრივად ტევადი იყო, ამისდა კვალად მის ყოფაცხოვრებას არაჩვეულებრივი დინამიურობა ახასიათებდა. თამაზს არ ჰქონდა გარეგნულად მოწესრიგებული ცხოვრება და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, ვინაიდან თითქმის მთლიანად იყო მინდობილი შინაგან ხმას, რომელიც თავისუფლებას თხოულობდა და თითონვე ამკვიდრებდა არსებობის თავისებურ წესებს და კანონებს.

თამაზ ბაძალუა დაიბადა 1959 წელს, მარტვილის მახლობლად, უძველეს სოფელ ნახუნაოში. მისი სახლის ზემოთ მოტიტვლებული თხემიდან გარკვევით ჩანს სივრცეში წამომართული მარტვილის მშვენიერი მონასტერი.

თამაზი მთელი არსებით იმ გარემოს პირმშო იყო, რომელშიც იშვა და გაატარა ბავშვობის წლები. ეს წლები კი შეუძლებელია არ ყოფილიყო დაუვინყარი მგძნობიარე ბუნების ადამიანისთვის.

მე არაერთხელ ვყოფილვარ სტუმრად სოფელში და ყოველთვის მხიბლავდა ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების ნირი, მათი უხმაურო ყოფა, აქა-იქ ჩადგმული ძველებური ოდასახლების წესი და ლაზათი, ყოველივე ის, რაც ბევრი ადამიანის მეხსიერებაში დავინწყებასაც კი მიეცა.

თამაზი დაიბადა პედაგოგის პოლიკარპე ბაძალუას ოჯახში. პირადად ჩემს წარმოდგენაში აღიბეჭდა როგორც ურღვევი ბურჯი, რომელიც თავის თავში ინარჩუნებს ნამდვილ ადამიანურ სინდისიერებას და გულმონყალე პატიოსნებას. ამ ოჯახის ქერქვეშ ყველაფერს სიძველის იერი აქვს და ყველაფერი სიძველით სუნთქავს.

თვითონ ბატონი პოლიკარპე მთლიანად სოფლის მკვიდრია. სოფლური ცხოვრების წესის განსახიერება და ნაწილი. ამაზე მეტყველებს მისი ნაჯაფარი სახე და ხელები, ძველებური პატივისცემა, თავაზიანობა და მოკრძალება სტუმრისა და, საერთოდ, პიროვნებისა.

თამაზმა 1975 წელს დაამთავრა ნახუნაოს სკოლა და ამავე წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ჩემი აზრით, მის ცხოვრებაში ეს ფაქტი უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ბიოგრაფიული დეტალი. მისი ნატიფი ბუნება და ნიჭიერება შესაბამის გარემოს ეძებდა და დროულად გამოძებნა კიდეც. უნივერსიტეტი იყო ამ გარემოს თავისებური შუაგული.

თამაზი მთელი არსებით ჩაერთო ახალ გარემოში და ასევე ახალი შინაარსი შეიძინა მის-

მა ყოველდღიურობამ. აქ არამც და არამც არ იგულისხმება მხოლოდ სალექციო კურსი, ე. ი. უნივერსიტეტი წმინდა აკადემიური განათლების მიღების თვალსაზრისით; დიდი ქალაქის გარემო თამაზს ყოველმხრივ იზიდავდა, აქ იყო მისი შთაგონების გამლიზიანებელი სინამდვილე და ქალაქურ გარემოში ნანახი და განცდილი სხვა მნიშვნელობას იძენდა მისთვის.

აქედან იწყება, ჩემი აზრით, თამაზის, როგორც მწერლის ცხოვრება. მწერალში ვგულისხმობ არა იმ კაცს, ვინც რაიმეს წერს და აქვეყნებს, ე. ი. გარკვეული პროფესიის ბეჯით მსახურს, არამედ იმას, ვისთვისაც წერა მღელვარე შინაგანი ცხოვრების აუცილებელი გაგრძელებაა. ეს კი მეტად თვალსაჩინო იყო თამაზის ცხოვრებაში. ურბანისტული გარემოცვა მისი გრძნობების და ჯერ კიდევ ხორცშესხმული მიზნების ნამდვილ ასპარეზად გადაიქცა. თამაზისთვის ქუჩაში მთელი დღის სიარული არ იყო უქმად დაკარგული დრო, რადგან არაჩვეულებრივად ზუსტი ინტუიციის ნყალობით იცოდა, რა უნდა შეემჩნია და რა უნდა ენახა. თვითონვე მოგვითხრობდა თავისი განუმეორებელი თვალის მქონე ადამიანი თუ შენიშნავდა. მისი პატარა ოთახი კი ივსებოდა თაროებზე მიმოხნეული, ნაჩქარევად შევსებული თაბახის ფურცლებით. ამავე პერიოდში იკვეთებოდა ჩვენთვის თამაზის პიროვნული თვისებები. ის იყო ბუნებით მეტად კეთილი და ზრდილი ადამიანი. მისთვის აბსოლუტურად უცხო იყო დღევანდელ დღეს ვირუსივით გავრცელებული პრიმიტიული გამოვლინებები აგრესიულობის, შინაგანი უკმაყოფილების, ბოლმის, რაც ჩვეულებრივ უნიჭო, ნაკლოვანი, ოდიოზური პიროვნებების ხვედრია. მის ხასიათში არ იყო არავითარი ნიჟარა ასევე სადღეისოდ მომძლავრებული ნაციისტური მიდრეკილებისათვის.

თამაზს ჰქონდა ერთი ძალზე იშვიათი თვისება: მას უჭირდა აუგის თქმა ადამიანზე. მე პირადად ჩვენი ურთიერთობის მანძილზე არ მახსოვს შემთხვევა, რომ ბოლომდე გაემეტებინოს ვინმე, თუნდაც უღირსი პიროვნება. სიტყვიერი აგრესიის შენი, რომელიც ყოველთვის ელის სანქციას, რათა მოქმედების უფლებაც მიეცეს და ჰიპერტროფირებული ფორმები

მიიღოს, საფუძველშივე უცხო იყო მისთვის. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი ადამიანები ძალზე მომრავლდნენ და არ მინდა ვინმემ თუნდაც ეჭვი შეიტანოს თამაზის პიროვნულ სისუფთავეში. პირიქით, თამაზს ჩვენს გარემოში დიდი სილალე შემოჰქონდა სტუდენტობის წლებშიც და მერეც ეს იყო სილალე ბუნებით შემოქმედი შინაგანად თავისუფალი კაცისა. თამაზი იყო მუდმივად შეყვარებული და მუდმივად აღფრთოვანებული რაღაცით ან ვიღაცით. მისი ხასიათის თვისება არ იყო ნეგატივების გამომჟღავნება. ეს არ აღიზიანებდა მის შთაგონებას, თამაზი უფრო პოზიტიურის დამნახველი იყო პიროვნებაში და ამავე დროს, თანამგრძობელი. ის თავისი ცხოვრების წესით, ათიანი წლების ქართველ პოეტებს ჰგავდა, რომლებიც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, – მუდმივად წერდნენ, ეძებდნენ და განიცდიდნენ.

თამაზი განუწყვეტლივ მუშაობდა. მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა: რამდენჯერმე მივედი მასთან და შინ არ დამხვდა. როდესაც ვნახე, ვუთხარი, შენთან ვიყავი და სახლში არ დამხვდი-მეთქი. თან, რა თქმა უნდა, ხუმრობით, შევთავაზე სიუჟეტი პიესისთვის: მეგობარი რამდენჯერმე მიდის მეგობართან, აკაკუნებს კარზე, კარს კი არავინ აღებს. ამ არაკომუნიკაბელობის ქარგაზე უნდა ყოფილიყო აგებული პიესა. რამდენიმე წლის შემდეგ თამაზმა მაჩვენა პიესა და მითხრა შენს მონაყოლზე ეს პიესა დამინერია და აღარც კი მახსოვდაო. ამით იმის თქმა მინდა, რომ სულ მცირეოდენი ბიძგი იყო საჭირო, რომ თამაზს კალამი აელო ხელში. ხშირად აღარც ახსოვდა დაწერილის არსებობა, ვინაიდან მუდმივად მუშაობდა, მუდმივად წერდა, მუდმივად ითავისებდა გარემოდან მიღებულ მისთვის თუნდაც ოდნავ მნიშვნელოვან შთაბეჭდილებას. ამიტომაც დატოვა მდიდარი მემკვიდრეობა – ლექსები, პიესები, თარგმანები. რაც მთავარია, ამ წლებში ყალიბდებოდა თამაზის მსოფლმხედველობა, სადღაც ფსიქიკის და სულის სიღრმეში მიმდინარეობდა რთული მუშაობა, რომელიც ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა ინერციით ნაკარნახევ პოეტურ წარმოდგენებს. უცნაური რამ ხდებოდა: ტრადიციული

გაგებით ზედმინვნით პოეტურ კლიშეებში ჩნდებოდა სავსებით კონსტრასტული, ამ პოეტურობასთან შეუთავსებელი დრამატულად უხეში ხაზები. ეს თითქო ჩვეულებრივი ამბავია, ყოველი ადამიანი განიცდის ასაკობრივ გარდატეხას და ამის გამო იცვლება მისი შინაგანი მდგომარეობა და გარემოცვა. მაგრამ არაჩვეულებრივია, როცა ეს ხდება შემოქმედი ადამიანის ცხოვრებაში და შესაბამისად მის შემოქმედებაში, ვინაიდან ასეთ დროს შესაძლებელია სავსებით უნიკალური და თავისებური სახე შეიძინოს პოეტმა.

კაცმა რომ თქვას, ასეთი დროს იბადება კიდევ პოეტი, როგორც დამოუკიდებელი ფენომენი. ასეთი დაბადების მოწმენი ვიყავით ჩვენც.

1980 წელს თამაზმა დაამთავრა უნივერსიტეტი, დაწერა შესანიშნავი სადიპლომო ოთარ ჭილაძის რომანზე „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ამავე წელს დაიწყო მუშაობა მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში. აქ მან ინგლისური და ამერიკული პოეზიის ცნობილი მთარგმნელის, გიორგი ნიშნიანიძის ხელშეწყობით მრავალი სასარგებლო საქმე გააკეთა, მის მიერ თარგმნილი მასალა რომ აიკინძოს, ალბათ რამდენიმე ტომი შედგება. აქვე გამოსცა ცალკე წიგნად ჯაკომო ლეოპარდის პოეზია. ცოტა ადრე კი საკუთარი ლექსების წიგნიც – „მესამე ზარი“. და ამ წიგნის გამოსვლისთანავე ცხადი გახდა, რომ თამაზის პოეზია მთლიანად დისონანსურ დრამატულ ტალღაზე ეწყობოდა. უკვე აღარ იყო ცალკეული ხაზები და დინებები. უკვე სავსებით დაირღვა კლიშეები, რომელიც თავის შიგნით რაღაც მთლიანის და წარუვალის რწმენას ატარებდა. ლექსის ტონალობა დაემსგავსა აფორიაქებული ადამიანის გახშირებულ სუნთქვას, წყვეტილს, მაგრამ მძაფრს და მოუსვენარს. მაგრამ ჯერ კიდევ იყო რაღაც, სარეველა ბალახივით შეპარული ლექსის სტრიქონში, რაღაც ჭირვეული კვანძი, რომლის გახსნა და მოცილება შვეების ტოლფასი იქნებოდა. იყო რაღაც, რაც ჯიუტად არ ნებდებოდა პოეტის წარმოსახვას, მის გაფაქიზებულ სმენას და ხედვას შლამივით ედებოდა და ლექსში ილექებოდა. მე ვფიქრობ, ამის მიზეზი თამაზის

ფაქიზ ფსიქიკაში რთულმა ემოციურმა ველმა თვითონვე, სპონტანურად წარმოშვა, პირობითად რომ ვთქვათ, მსოფლმხედველობრივი პოეტური მრწამსი, რომელიც თანდათან იხვეწებოდა და უფრო ნათელ სახეს იძენდა. მაგრამ წმინდა სახეობრივი ექვივალენტები ჯერ კიდევ ვერ ითავსებდა ახალ ემოციურ სტიმულებს. გადალახული იყო ჟამი დუმილისა, ე.ი. დარღვეული იყო ტრადიციული, ინერციით მოდევნებული კლიშეები. მაგრამ ჯერ არ იყო დამდგარი ჟამი სიტყვისა, თუმცა ამ ძიების პროცესშიც იკვეთებოდა უკვე სათქმელის არსი – ადამიანის დაკარგულობა და გადაგდებულობა სამყაროში, შემთხვევითობის სისასტიკე, ყოფიერების აბსურდულობა, შიში აუხსნელის და გაუგებარის წინაშე. ეს მეტად თანადროული თემატური წრე თანდათან უფრო გაფართოვდა და სახეობრივად უფრო ხელშესახები გახდა.

ქალბატონი ცოდვა იყო მეგზური,
 ეჭვების, შიშის უნდობლობის, შემთხვევითობის
 საუკუნოვან უძრავ ღამეში
 მე მეშინია ჩემი სიფხიზლის,
 რომელიც მოკლე დანასავით ბზინავს ცივ შუქზე...

საერთოდ, უნდა ითქვას ერთი რამ: XX საუკუნის დამლევს ქართულ მწერლობაში მოვიდნენ მკაფიო პიროვნულობის და რთული, ტრაგიზმამდე გამძაფრებული მსოფლშეგრძნების ადამიანები. ფორმით ზერელე და მოდური გატაცების, „მკვდარი სიტყვების“, ხშირად თვითმიზნური ექსპერიმენტების ეპოქაში ძალზე ღრმა ინდივიდუალობის მეშვეობით მათ შექმნეს შინაარსობრივად არაჩვეულებრივად სავსე ნაწარმოებები. შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ მკაფიოდ აღბეჭდეს მათივე თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი კაცის შინაგანი სამყარო. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, ადექვატურად საინტერესო ფორმისთვის რომ ვერ მიეკვლიათ, ოღონდ ფორმა არ ყოფილა მათი საბოლოო მიზანი. მათი ამოცანა გაცილებით სერიოზული იყო, – გადმოეცათ ის, რასაც სისხლხორცეულად განიცდიდნენ, რასაც ტკივილამდე ცხადად გრძნობდნენ. მათ არ შეეძლოთ თვალი დაეხუჭათ იმაზე, რაც მათშივე

ხდებოდა, რაც გლობალური მასშტაბით მოედო ცივილიზებულ ქვეყნიერებას. ადამიანმა დაკარგა ზნეობრივი საყრდენები, სიცარიელეში აღმოჩნდა, გაურკვევლობის, შიშის და უპერსპექტივობის გრძნობა დაეუფლა. ვინც ამ აზრს თვალს ხუჭავს, ის გონებამრუდეა, ან ცრუ ოპტიმისტი. ყოველ კონკრეტულ გარემოში ეს განსაცდელი კონკრეტულ სახეს იძენს, რადგან თან ახლავს ეროვნული, ფსიქოლოგიური, სოციალური მოტივები. ამიტომ მხოლოდ მნიშვნობრივი გზით ამ განსაცდელის გაგება და შემდეგ სულიერ ფასეულობად ქცევა შეუძლებელია. საჭიროა უშუალო განცდა და რაოდენ სამწუხაროა, რომ გამორჩეულნი მათ შორის, ისინი, რომლებიც უშუალოდ განიცდიდნენ და შემდეგ ხორცს ასხამდნენ ყოველივეს, რაღაც ბრმა ბედისწერის შემოტევით, სავსებით ახალგაზრდები, უდროოდ, ტრაგიკულად ნავიდნენ ჩვენგან. ვოვა მაჩაიძე, ჯემალი თოფურაძე, თამაზ ბაძალა, დათო კვიციანი... ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის, დათო კვიციანი თავის ბრწყინვალე ლექსში წერდა:

მე ვარ შენი საყრდენი,
მაგრამ ჩემი საყრდენი
სად ვეძებო, სად?
ხომ გვჭირდება ორივეს
საერთო დასაყრდენი,
სანამ წავალთ ცად?

ამ „საერთოდ დასაყრდენის“ ძიებაა თითოეული მათგანის შემოქმედების დედააზრი. და არ შეიძლება არ ითქვას ერთი რამეც: ეს მწერლები მეტად ჰგვანან ერთმანეთს კიდევ ერთი ნიშნით – მათ ამოძრავებთ არაჩვეულებრივად ფაქიზი თანაგრძნობა ადამიანის მიმართ რაც უფრო დათრგუნულია მათი ნაწარმოების პერსონაჟი, მით უფრო მეტია თანაგრძნობა მისდამი. ჩვენ ყოველთვის ვეძიებთ ხოლმე რაღაცას ქართულს მწერალში და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ამ „ქართულს“ რატომღაც მეტწილად გარეგნულ, ზერელე გამოხატულებებში ვამჩნევთ ან უკვე ტრივიალობად ქცეულ ეპიგონურ ფსევდოპატრიოტულ თემატიკაში, რომელიც დღევანდელი რთული პროცესების ფონზე, უბრალოდ, სასაცილო ჩანს, ან პრო-

ვინციულ პათეტიკურობაში, რომელიც ასევე პრიმიტივიზმის ნიშანია.

ზემოთ ნახსენებ მწერლებთან კი „საკუთრივ ქართული“ ადამიანის მიმართ აღძრული თანაგრძნობაა მეტად სიღრმისეული შინაარსობრივი პლასტიკა.

80-იან წლებში, სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე, თამაზი ქმნის ლექსების ახალ ნიგნს, რომელიც შესანიშნავი სათაური დაარქვა – „ქვასა და სიტყვებს შორის“. ეს სათაური თავისი ფაქიზი სტილური ელფერით ახალი ნიგნის ვრცელი, ფერადოვანი მეტაფორული სამყაროდან არის ამოგლეჯილი. ამასთანავე, პოეტური ფრაზის ამ ნატეხში ოსტატურად არის უკუფენილი ნიგნის ლაიტმოტივი, მისი აზრობრივი ნახაზი. ქვები და სიტყვები, – სიკვდილი და სიცოცხლე, მუდმივი და წარმავალი. ალბერ კამიუს აქვს ერთი ასეთი ჩანაწერი: „შეუძლებელია როგორც გნებავთ ადამიანური სიმართლე, თუკი საბოლოოდ ყოველგვარი იმედის გარეშე არ ვცნობთ სიკვდილს, მე იმის თქმა მსურს, რომ უნდა ვცნოთ, ვალიაროთ საზღვრის არსებობა არა ბრმა მოთმინების მეშვეობით, არამედ მთელი ჩვენი არსების დაძაბვით, რაც წონასწორობის მოპოვების ტოლფასი იქნება“. ამგვარი წონასწორობის პირობებში იქნებოდა თამაზის ახალი ნიგნი. ამგვარი შინაგანმა დაძაბულობამ მოიცვა ბოლო წლებში იგი. მისმა ამდროინდელმა ლექსებმა ტანჯვის განსანმენდელში გაიარა, რასაც წინ დიდი, შრომატევადი მუშაობა უძღოდა. ლექსი დაინმინდა, მოშორდა ბინი, ზედმეტი მინარევი, კაშკაშა და სუფთა მეტაფორებად დაკრისტალდა, მაინც რით არის მნიშვნელოვანი ეს ნიგნი? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ კონტურების სახით არსებული საქმელი, პლასტიკური პოეტური ენის მეშვეობით, გამოკვეთილი და ხელშესახები გახდა. ეს სათქმელი ღრმად არის განფენილი მჭიდრო ტროპულ სისტემაში. თუკი ადრინდელ ლექსებში ლირიკული იყო მისი გრძნობები და განცდები, – იყო, ვთქვათ, სიყვარული ან, უფრო სწორად, კოსმიური გრძნობის ნაწილად იქცა, ლექსებს მოშორდა ესთეტიზაციის კვალი, უფრო ნათელი და უფრო რთული გახდა შიდა პრესპექტივის გამო. პოეტის აზროვნე-

ბამ შეიძინა მეტაფიზიკური შინაარსი და მისი ხედვის არე მეტად განივრცო. თამაზი აქ უკვე გამუდმებით ეძებს მისი შინაგანი რთული ბუნებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ღირებულებას, იმ „საერთო საყრდენს“, რომელზეც ზემოთ ვლავარაკობდი. მთავარი ის არის, რომ თამაზ ბაძალუას პოეზიაში ამ საყრდენის ძიება არაჩვეულებრივად დრამატულ ხასიათს იძენს. ძიების სივრცე გლობალურია.

ვინ, ვინ მაგემა მომავალი შიშის სურნელი,
 ვინ შემთავლო ჩემს ცდუნებებს ცხრა ბეჭედივით,
 ანდა რატომ ვარ მონაწილე ამ მოძრაობის
 სიკვდილის, მთვარის, შემოდგომის,
 ზღვის და ბურუსის.

ვინ შემთავლო ჩემს აღტაცებას
 მომავალი შიშის სურნელი,
 და ცხრა ბეჭედით ვინ დაბეჭდა
 განცვიფრება, თავისუფლება.
 ვინ მახლევიანებს შუბლს ასე მწარედ
 უდაბნოს წითელ ნაფეხურებზე.
 მე წყლის კაცი ვარ და ბეციურ წყლისკენ მიბრუნებს
 ჩემი გუგუნის ცივი ექო-სასოწარკვეთა.
 რომელსაც გული წინასწარ გრძნობს, როგორც
 პირუტყვი
 მიწისძვრას, როგორც ბამთარს მერცხალი.
 მაგრამ სად არის თბილი ქვეყანა.
 სად არის წყარო. სად არის ჩრდილი
 სად არის სიტყვა. მინერალების
 შუქივით სუფთა და პირველქმნილი.
 სად არის ის მშე-სიტყვასავით თბილი სად არის
 მშესავით თბილი სახლი სად არის,
 სახლივით თბილი პური სად არის,
 პურივით თბილი ქალი სად არის.
 -მე ფრინველი ვარ, საკუთარ ფრთას ჩამორჩენილი,
 და უიმედოდ ვებღაუჭები
 იმ ძველ ფურცლებში ჩაყვითლებულ სიტყვებს სიმშვიდე-
 სისხარული, თანაგრძნობა, აღფრთოვანება...
 ვინ, ვინ მაგემა მომავალი შიშის სურნელი?

ასეთი ლექსები ძალიან იშვიათად იწერება, ეს ლექსი სხვა საუკეთესო ლექსების მსგავსად არაჩვეულებრივად ექსპერსიულია, თავის ნიაღში დასრულებულია. ამ შთაბეჭდილებას ერთი განწყობილების ჩარჩოში ჩასმული სიტყვების ზუსტი მიზანმიმართულება ქმნის. არც

ერთი სიტყვა, არც ერთი მეტაფორა არ არის აცდენილი მიზანს და ამით იქნება თვალნათლივი ფორმისეული და შინაარსობრივი მთლიანობა. ამავე დროს, არ შეიძლება თამაზის ამ ნიგნში არ შენიშნოს კაცმა უაღრესად თავისებური მეტაფორების ფაქიზი, ასოციაციური ნყობა. დღეს, პოეზიის პროზაიზაციის ხანაში, როცა ხშირად ნიჭიერი ავტორების ლექსებიც კი უმეტყველო სიტყვების გროვად ან შიშველ დეკლარაციულ ოპუსებად არის ქცეული, მართლაც იშვიათია სახეობრივად ასეთი უხვი პოეტური აზროვნება. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დახვეწილი ასოციაცია ნელა ვიბრირებს მეტაფორული ფრაზის შიგნით:

ჩემი გუგუნის ექო-სასოწარკვეთა

ან

თოვლზე და ქარზე დაწვეთებული
 მისი სისხლის მარგალიტები

ან კიდევ

შენი ტუჩები გადაირბენენ გაქრობის
 და დავიწყების მწარე მიწოდორზე.

და მაინც, არის რაღაც აუხსნელი და მოუხელთებელი ამ ლექსებში. ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს, არის მძაფრ დრამატიზმთან ერთად რალაცნაირი გამჭვირვალე ნალველი, რომელიც ჭავლივით მოძრაობს სიტყვებს შორის. ეს მუდმივი ნალველია ადამიანისა, რომელიც წარმავალ და არაჩვეულებრივ ქვეყნიერების ჩასაჭიდს ეძებს. ეძებს და თან ყოველდღიურად ეთხოვება რაღაც ძვირფასს მასაზრდოვებელს. პირადად ჩემთვის ამ ნალველის შეგრძნება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ნიგნში თავმოყრილი გარკვეული კატეგორიის ლექსებში. ასეთი ნალველი არ შეიძლებოდა ჰქონოდა თამაზის ასაკის, ოცდაშვიდი ან ოცდარვა წლის კაცს. ეს არის ჭარმაგი, ასაკოვანი კაცის ნალველი, რომელიც ბევრ რალაცას ურიგდება თავის თავშიც და გარესამყაროშიც და მკვეთრი პროტესტის ნაცვლად აქცენტი ადამიანური არსებობის და სიცოცხლის მძაფრ, აუნახ-

ლაურებელ სიყვარულზე გადაქვს. ამ წყობის ლექსებში, სადაც მკვეთრი დისონანსური განცდების ნაცვლად უფრო ჰარმონიული შინაგანი მდგომარეობაა დაფიქსირებული, თამაზი თავისი რთული არსებიდან უყურებს ბუნების პირველქმნილ სურათებს და, ერთი მხრივ, მის ხედვაშივე ძევს ამ ბუნების გულგრილობა და, მეორე მხრივ, ის იმავე ნიაღშივე ამჩნევს მუდმივად განახლებადის, მარადიულის ფენომენს. ამგვარი ხედვა წარმოშობს დანეულ, ჩურჩულის მსგავს ნაღვლიან ინტონაციას:

ბებერო ცაცხვო,

გაბაფხულზე მეც ვყვავილობ შენს ხმელ ტოტებთან
მეც ქარებში ვდგავარ ღიმილით
და თავსხმა წვიმა აუხდენელ სიმშრებს მისველებს.
მეც მაკითხავენ გაბაფხულზე შენი ფუტკრები,
რომ გადახსნილი ყვავილებიდან
კრიალა შხამი ამოსწოვონ
და ნელ-ნელა თაფლად აქციონ.

ბებერო ცაცხვო,

მეც დამფარა ყვითელმა ხავსმა,
და ჩემი ქერქიც გაიჟღინთა სიკვდილის წყლებით.
ბებერო ცაცხვო,
გაბაფხულზე მეც ვყვავილობ შენს ხმელ ტოტებთან,
ხელაპყრობილი გაწითლებულ ვარსკვლავებს ვუმზერ
და წყნარად, წყნარად მეც ვმაღლდები
დაკარგული სიხარულისკენ.


აქ გაიღვიძა თამაზის ბავშვობისდროინდელმა შთაბეჭდილებებმა. აქ წარმოსდგა მისი შესანიშნავი სოფლის წარუშლელი სურათები. მაგრამ უნდა ითქვას ერთიც; ამ ლექსებში არ არის ცოცხალი ნატურის ჩვეულებრივი ხატვა, ეს სურათები ინტროსპექციულად აღძრული ხედვის ანაბეჭდებია. თუმცა ამგვარი ხედვის გამო ბუნების სურათებს ოდნავადაც კი არ აკლდება სიცოცხლისუნარიანობა. ამ ნიგნში

არის ლექსები, რომლებიც ყველაზე ახლოს ხატვის ექსპრესიონისტულ სტილთან დგას, ვინაიდან აქაც არსებითია არა საგნის „პირდაპირი აღბეჭდვა, არამედ გამოსახვა, არა აღწერა, არამედ თანაგანცდა“, სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

თამაზს არ უყვარდა თეორიული ხასიათის მსჯელობა პოეზიის შესახებ, მაგრამ ერთხელ მახსოვს თქვა, მე ვიცი დღეს როგორი უნდა იყოს პოეზიაო. მე ვფიქრობ, თამაზი ცდილობდა, შეენარჩუნებინა ის, რაც ყველაზე ძველია და მნიშვნელოვანი პოეტური აზროვნებისათვის – სახეობრიობა და ამასთანავე, იმ ინტუიციის მეშვეობით, რომელიც სერიოზული ნიჭის გამოხატულებაა, ის ყოველთვის ეძებდა სახეობრივი აზროვნების თანამედროვე ფორმებს. საჭიროა თამაზის საუკეთესო ლექსების ერთად დალაგება და გამოცემა, რადგან არსებითია არა ნაწარმოების რაოდენობა, არამედ ის სივრცე, რომელსაც დაუსრულებული მთლიანობა შემოხაზავს.

...სტუდენტობის წლებში ერთად ჩავედით სოფელში. უკვე გვიანი ღამე იყო. ნამგზავრები და დაღლილები მარტვილიდან ნახუნაოსკენ მიმავალ გზას დავადექით. და მე მახსოვს, როგორ მიდიოდა თამაზი სოფლის გზაზე ჩამონოლილ წყვილიადმი რალაცნაირი ჩუმი მღელვარებით, აჩქარებული და აწრიალებული, მიდიოდა იქ საიდანაც წამოვიდა, საიდანაც დაიწყო მისი ხანმოკლე ცხოვრების მოუსვენარი გზა. ახლაც იქ განისვენებს, თავისი სახლის სიახლოვეს, სოფლის პატარა სასაფლაოზე. თამაზ ბაძალუა დაიღუპა 1987 წლის 5 ნოემბერს, საბედისწერო ავტოკატასტროფას ორი ოჯახი შეენირა.

და დღეს, თუმცა თამაზი ჩვენთან აღარ არის, გრძელდება ჟამი მის მიერ წარმოთქმული მადლმოსილი სიტყვისა.



ფურცლები საბაძო

უსათაუროდ და უმისამართოდ¹

Cogito, ergo sum –
ვაზროვნებ, ესე იგი ვარ ადამიანი
დეკარტე

ერთი მოგონება დაერთო კიდევ ჩემს მოგონებებს: ესპანელი მხატვრის ველასკესისა და რუბენსის მოგონებით, დაუვინყარი სიტყვები რომ ათქმევინა, ორ დიდ შემოქმედს. 1972 წელს გამომცემლობა „ხელოვნებამ“ დაბეჭდა მ. დიმიტრენკოს „ველასკესი“, იქ კი 89-ე გვერდზე ავტორი იხსენებს – „რუბენსს უყვარდა სილამაზე. უყვარდა ისე ძალიერად, რომ მონინებით იხრიდა ქედს მის წინაშე. რუბენსი მხოლოდ ერთ ქალს ეტროფოდა ყველა ტემპერამენტის ადამიანის მსგავსად, იგი გარეგნულად ძალიან თავშეკავებული იყო. მხოლოდ ერთხელ, მუშაობისას, როდესაც სახელოსნოში ის და ველასკესი ერთად იყვნენ, მანეტრომ ამოიღო მინიატურა და დონ დიეგოს გაუწოდა.

– მხოლოდ ეს დამრჩა ჩემი იზაბელას სამახსოვროდ, მეგობარო. იგი წავიდა ამ ქვეყნიდან და თან წაიღო სულის ის პატარა კუნჭული, რომელშიც სიყვარული ბუდობს. ვერ წარმომიდგენია, რომ არსებობდეს ქალი, რომელიც ჩემს გულში მას შეცვლის. თქვენ მხოლოდ შეხედეთ, მანეტრო, რა დიდებული ქალია!

რუბენსი მოტრიალდა, რათა ველასკესს ცრემლი არ დაენახა მის თვალზე.

დიეგოს უმზერდნენ კეთილი სახის ასულის მშვიდი თვალები, ლამაზი არ ეთქმოდა ამ ქალს, მაგრამ იქნებ იმაშიცაა სიყვარულის საიდუმლოება, რომ მას ძალუძს ადამიანში დაგანახვოს ის, რაც სხვებისთვის მიუწვდომელია? მხატვრის სიყვარულმა ჟამთა სვლის მანძილზე რომ განამტკიცა, ჭეშმარიტი და წარმოსახული სამყარო ერთში – იზაბელაში შეაერთა. დიდი შემოქმედი სიყვარულშიც დიდი იყო“.

სხვა ერებს, ვისაც ეს პრობლემა მოგვარებული აქვთ, ალბათ ჩვენზე ჭკვიანები ყოფილან, რადგან ისინი თავიანთი ხალხის შედევრებს და სულიერ საგანძურებს კი არ სპობენ, არამედ უბრალოდ ქვასაც კი უფროთხილდებიან, არ გამოგველიოსო. არ გამიგო, თითქოს გ. ლეონიძის „ჩირუხივით“ ვქადაგებდე რუსთაველის დიდებას, აქაოდა ყველა ჩირუხივით უნდა ვიყოთ შეყვარებული თამარ მეფეზე. ჩემს ბავშვობაში სოფელში ერთ კლდეს „თამარის სარკეს“ ეძახდნენ. „თამარის წყაროც“ არსებობს ჩვენში, „თამარის ხიდიც“ და რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ; აჭარაში თამარის კულტი იყო, განა ეს ცუდია? გ. ლეონიძე ვგონებ ჩირუხი თვითონ იყო, როცა წერდა ლექსს ბაზალეთის აკვანზე და თან შემპარავი სიტყბოთი გვიყვებოდა: ბაზალეთის ტბის ძირას ძვირფასი ოქროს სახლია თურმე! ჭერი ვარსკვლავებისა აქვს, იატაკი თვალმარგალიტით არის მოჭედილი. შუა იატაკზე ოქროს აკვანი დგას ძვირფასი თვლებით განყოფილი. ზედ მტრედი აზის და არწევს ამ აკვანს... ის მტრედი თამარ დედოფლის სულია!“. აი ასე, რა ლამაზად აღწერს მწერალი. განა არ ვიცი, ეს ლეგენდაა, მაგრამ რა კარგად მოარგო თავის ამ პატარა ნიგნს „ნატვრის ხეს“. ჩვენ კი სანამ საკუთარი უმეცრების სახილველი თვალი არ აგვეხილება, ასე ვიქნებით მუდამ და ხალხიც და ინტელიგენციაც ერთნაირად დაანგრევს დღემდე მოტანილ ქვეყანას. რა დავგრჩენია, მივუტევოთ და ვაპატიოთ ასეთ არაკაცებს ჩვენივე ქვეყნის ლანძღვა და საკუთარი ცრემლით

¹ დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №2, 2015.

მოვბანოთ ქვეყანას მათ მიერ მიყენებული ჭრილობები, თუ რა გზით, რა წამლით ვუმკურნალოთ, ან როგორ გავუყუთ სიყვარული მათ. მე კიდევ ძალიან ცოტა მაგალითი მოვიყვანე არაკაცებისა. მათი რიცხვი ძალიან დიდია. სამწუხაროდ, როცა ილიას, ვაჟას და ვის არ ლანძღავენ იგივე ქართველები. თუმცა ჩვენი ხარბი მეზობლების ბრალიცაა, რომ აქამდე გაგრძელდა ჩვენი ავადმყოფობა – არ დაგვაცალეს მკურნალობა და გაგრძელებული ავადმყოფობა კი ადვილი შესაძლებელია, საერთოდ მოურჩენელ ქრონიკულ პროცესში გადავიდეს. მწერალიც, მხატვარიც ვალდებულია დაუპირისპირდეს უვიცობას, კუთხურობას, კორუფციას და სხვათა მანკიერებას და არა მარტო შემოქმედს და ხელოვანს, არამედ სხვასაც აღუძრას მსგავსი სურვილი. „მწერლობა მარტო სულთა ხელოვნებაა“ და რაც მთავარია, არავინ გვავალდებულებს, არავინ გვაიძულებს მის არჩევას. ვინც ამ გზაზე დგება, ან გიჟია, ან გმირი. გინდაც მარადიულ რომში წასულხარ მოხალისედ და გინდაც კალმისათვის მოგიკიდია ხელი. ქართული მწერლობა, ბუნებისა თუ განგების ნებით, ცის კაბადონზე ერთხელ და სამუდამოდ დავანებული თანავარსკვლავედი კი არ არის, არამედ ცას მომწყდარი და ჩვენს საარსებო სივრცეში უთავბოლოდ მიმოფანტული, ობლად მბრწყინავი ნამსხვრევებია ცალკეული ვარსკვლავებისა, ვარსკვლავების მტვერი, რასაც ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე აგროვებს თავისი გამოხუნებული ჩოხის კალთაში მინდვრის მხალივით, ანდა ტყის ხილივით და ამით იკლავს გამწარებული სულის შიმშილს“.

...ერთ საღამოს მე გახლდით თხილნარში, იქ იყვნენ თბილისელი სტუმრები. ერთმა მათგანმა მითხრა, კაცო, მე თბილისში რამდენ მხატვარს ვიცნობ და შენდენი ლექსები არავინ იცისო. მეც გავუტიე იმ საღამოს და ბოლოს, როცა შინ ვბრუნდებოდი, მანქანაში მითხრა: იცი რას გეტყვი, მე არქივში ვმუშაობ და შენ ვერ გეტყვი იმათ გვარებ-სახელებს, ვინც 37 წელს ახვრეტილებდა ხალხს. ეგ რომ იცოდე, შეიძლება ქართველ პოეტებსო. იქნება ასეც იყოს, მაგრამ... მე შევუბრუნე კითხვა და ვუთხარი, გალაკტიონი თუ ჩადიოდა მასეთ მუხანათო-

ბას-მეთქი. არაო, მიპასუხა მტკიცედ. სხვათა შორის, იმ კაცს ერთი ჩემი ნახატი აჩუქეს.

მწერალი კამიუც ყველაფერს უკუღმა აბრუნებს. იგი ცინიკურად მსჯელობს თანამედროვეობის, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეთიკის საკითხებზე. მისი შეხედულებით თანამედროვე ადამიანებს არაფერი აინტერესებთ იდეებისა და მრუშობის გარდა. მომავალი ისტორიკოსები ასე იტყვიანო ჩვენი დროის ადამიანებზე და თუ რას აკეთებდნენ ისინი, უპასუხებენ, არაფერს, მრუშობდნენ და გაზეთებს კითხულობდნენო. მართლაც. არასოდეს დავინტერესებულვარ კროსვორდებით. რაც შეეხება ქალებს, შენს შემდეგ არავის ვურეკავ და აღარც მაინტერესებენ. ისე კი, მაინც ყოველ დროს და ეპოქას პროგრესული ადამიანები მართავენ.

ხოხე ორტეგა ასე განმარტავს ადამიანურ ცხოვრებაზე: „ადამიანური ცხოვრება სინამდვილეში ცალკეული ადამიანის ცხოვრებით განისაზღვრება. მაგალითად, ჩემი ცხოვრება. ის არის ერთადერთი უტყუარი და პირველადი მოცემულობა „მე“. არ ითქვიფება „სხვაში“. სხვის კბილის ტკივილს მე ვერასოდეს ვერ განვიცდი როგორც საკუთარ კბილის ტკივილს. ჩემი ცხოვრება უტყუარია. სხვისმა ცხოვრებამ კი შეიძლება მოგატყუოს“. მაგრამ ორტეგა ფიქრობს, რომ ეს სრულიად არ ნიშნავს ჩემი „მე“-ს გარეშე არსებულ სხვა ცხოვრებათა უარყოფას, მაგრამ საქმე იმაშია, ერის ტკივილი უნდა გაითავისოს ყველა ჩვენთაგანმა, მაშინ გვეშველება. ისე კი, თუ იფიქრებს კაცი, რომ არსებობს მარტო ჩირუხისა და ბეშუმის მთები და არსებობს უშბა და იალბუზი, არაფერი გამოვა.

ჩემო ძვირფასო დედოფალო, კარგად ვერ მოგილოცე ყველაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაული – აღდგომა. თომა აქვინელი, ფილონ ალექსანდრიელი, ათანასე დიდი და სხვა წმინდა მამების აზრით და გაგებით მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს სხეული არის „სახე“ მომავალი სხეულებრიობის იდეალის გაგებით, რამდენადაც ამგვარი სხეულები უნდა მიიღოს კაცობრიობამ მკვდართა აღდგომის შემდეგ, და რატომ უწოდებს პავლე მოციქული „ახალ ადამს“ „სახე ყოვლისა ტანი-

სა“. მეორე მხრივ კი, ქრისტეს წყალობით იგი, როგორც ხორცი სულიერი „გადაიქცა მომავლის იდეალად ყოვლისა ტანისათვის“. საინტერესოა როგორ ესმოდა ეს გრიგოლ ნოსელს, აღმოსავლური ეკლესიის ამ თვალსაჩინო წარმომადგენელს. იგი, როგორც ქრისტიანული ფილოსოფოსი, განსაკუთრებით გამოვლინდა „ანთროპოლოგიაში. ნოსელის ანთროპოლოგიას საღვთო წერილი მთლიანად ეფუძნება. იგი აღნიშნავს, რომ კაცი „მსგავს არს მეუფებასა ღმრთეებისასა“ (გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი“) „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერთა“.

ფერისცვალება იმას როდი ნიშნავს, რომ მაცხოვარი სხვა ფერისა გახდა (თეთრი, ცისფერი, ვარდისფერი და ასე შემდეგ), არამედ იმას, რომ მან ფორმა, ხატი, სახე შეიცვალა. ბერძნულად „მორფოს“ არის ფერი. „პრეობრაჟენიე“ ასევე სიტყვა „ობრაზიდან“ მომდინარეობს. როცა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ვიყავი, ჩემი დიდებული მასწავლებლები რომ მეტყობდნენ, უნდა შექმნა „ობრაზი“, თითქოს ვგრძნობდი, რასაც ნიშნავდა ეს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გამეაზრებინა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობა. თითქოს ტიპი ახლოს არის „ობრაზთან“. აი როგორ შეიძლება გავიგოთ („ხადიშათ მზისფერო ქალავ“ კ. გამსახურდია. „ხოგაის მინდია“). თუ ქრისტიანული სამება სამსახოვან ერთ ღმერთად წარმოიდგინება, როგორც ერთხელ აგვიხსნა კათალიკოსმა და წარმოსთქვა: „დისკო – ესე იგი მზე, ნათება და სხივი ერთი და იგივეო“. „მზისფერო ქალავ“ ხომ შეიძლება ქალი იყოს ოქროსფერთმიანი, თვითონ ხორბლისფერი და თვალები ლურჯი ჰქონდეს, მაგრამ ამას უნდა აერთიანებდეს მხატვრის ნიჭი, ისე რომ მთლიანობაში გამოგივიდეს საინტერესო გმირი. რთულია ამის სიტყვით გადმოცემა. სიტყვა სხვა არის, ფერი და ხაზი კიდევ სხვა. ფორმა და შინაარსი უნდა ერწყმოდეს ერთმანეთს და ასე შემდეგ; შენი ტანკენარობა რა კარგად ერწყმის შენს შინაარსიან თვალებს, შენს ღმირს, რამაც მაიძულა მომემარჯვა კალამი.

რა კარგად შეიძლება დაიხატოს ან დაინეროს. აქაც გამოდგება ლეონიდის ნიჭიერება. „მარიტა ცისარტყელასავით დადიოდა სოფ-

ლის ორღობეებში, თუმცა ორშაურნიანი ჩითის კაბა ეცვა! რა უცნაურია ბუნება! როგორ იცის ზოგჯერ უხვად დასაჩუქრება. მარიტას სულის მშვენიერება აღემატებოდა მისს გარეგან სილამაზეს! გულში ია ამოსდიოდა!“ ამ სტრიქონების ავტორი ისეთივე მომაჯადოებელია, როგორც თავისი ლექსის მადლი.

ალარც ერთი ხე აღარ გადარჩენილიყო მარიტას ეზოში. მხოლოდ ძველი კერის ადგილზე თავისით ბრონეული ამოვარვარებულიყო.

ჩემს წინ ახლად აყვავებული, ცეცხლისფერი ბრონეულის ყვავილი მილიმოდა, მარიტას სახესავით ალაკრული! ვუყურებდი მხიარულ, მზიან ყვავილს და არა მჯეროდა, რომ მარიტა აღარ ამშვენებს დედამინას! არც ის მეჯერებოდა, რომ ამ მტვერსა და ნაგავში ასეთი ბრწყინვალე ყვავილიანი ხე თავისით ამოსულიყო.

მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება თვალს?

ვინ იცის?!

მართლაც ვინ იცის!

რაფაელი ამბობდა: „ასი ლამაზი სახე უნდა ვნახო, რომ ერთი დავხატო“. მარიტა რომ ენახა ალბათ, მაგას აღარ იტყოდა და იქნებ ღვთისმშობლის მაგივრადაც იგი დაეხატა. ეჰ, წარმავალია მართლაც ამქვეყნად ყველაფერი – ლიკა ქავჭარაძეც და ნესტან-დარეჯანიც. მაშ რა რჩება? „მარტო ოსტატს ვერ ეწვევო სიკვდილი“ (კ. გამსახურდია). ეს ფილმიც კარგად გადაიღო თ. აბულაძემ. მახსოვს, ერთ ჩემს მეგობარს ვუთხარი, როცა ეს ფილმი გამოვიდა ეკრანებზე, წამოდი ვუყუროთ მეთქი. წამომყვა. თითქოს განათლებული კაცი იყო, მაგრამ იმანაც ვერ გაიგო და მე გამიკვირდა, როცა თქვა – „გიჟების ფილმიო“. თუმცა არ უნდა გიკვირდეს არაფერი. ცუდკაცობას არაფერი ეშველება, თორემ გემოვნებაზე არ დაობენ. ამიტომ ამბობს შოთა ნიშნიანიძე „მტრებიც კი მყვანდნენ კარგები, არა თუ მარტო ძმები“.

შემიდგნენ არაგველები მათი მგალობლის ცხედარს; საით ბიჭებო, გავძახე და წამასვენეს მცხეთას.

იქ დიდი საქართველოა, იქ აღარავინ კვდება.

დიახ არ კვდება ის კაცი, ვისაც თავისი ქვეყანა და ხალხი უყვარს და თუკი თავისი შემოქმედებითაც ჰმატებს სიკეთეს.

ისევე იქცევა ანმყო მომავლად, როგორც მომავალი წარსულად. ადრე მწერალი ოთარ ჭილაძე ბათუმში ცხოვრობდა. მას ერთი რამ აგონდება ბათუმური ცხოვრებიდან – „ჩემს სულში სამუდამოდ ჩარჩა ერთი ლელვის ხე, რომელიც ჩემი ბავშვობის პირველ წლებში, ბათუმში მამიდაჩემის ეზოში იდგა. ახლა აღარც ის ხეა და აღარც ის ეზო, იმ ადგილას დიდი საცხოვრებელი სახლი ააშენეს და სადაც ადრე ერთი ოჯახი ცხოვრობდა, ახლა ათეულობით ოჯახი ცხოვრობს. ეს რა თქმა უნდა ძალიან კარგია, მაგრამ მე ყოველთვის სინანულით ვიხსენებ ჩემი ბავშვობის მესაიდუმლეს, ერთი მხრივ უშნოსა და ხაოიან ხეს და მეორე მხრივ უნაზესსა და უძვირფასეს არსებას. მე იმ ხისთვის მიკოცნია, შემოვხვევიარ მის დაგრეხილ სხეულს და მიტირია კიდევ.“

იქნება ისიც თუ საინტერესო არ გახდა ხანგრძლივი ფიქრის ნაყოფი, მაშინ აზრი აღარ აქვს, მაგრამ ვგონებ ჩვენი სახელები მაინც ბურუსმა უნდა მოიცვას, ვინაიდან ისტორიული სიმართლე უფრო ზღუდავს შემოქმედს, ვიდრე მითოლოგიაში გადაჭრა. ბოტიჩელიმ სიკვდილიამდე 80% თავისი შედეგებისა განადაგურა. გენიოსის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ხშირად გაისმის ასეთი ფრაზა – „ვპატიობთ სიგიჟეს, გვიყვარს მათი შემოქმედება“ მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს სათქმელადაა იოლი. ასე რომ, შეიძლება ამ ჩემს ნაწერებს სხვა სახელი დავარქვა.

...ჩემო ძვირფასო...

როდესაც შენგან წამოვედი, სახლში ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებას“ ვფურცვლავდი, 203-ე გვერდზე ასეთი რამ წერია – „გვიან შეგიყვარე მშვენიერებავ, უძველესო და უახლესო, გვიან შეგიყვარე! შენ ჩემში იყავ, მე კი გარე-გარე გექებდი“. ამ შემთხვევაში ღმერთზეა საუბარი. განა არ გახსენდება: „მე ბანის ბანად გექებდი, შენ ტყისა პირსა გეძინა“. რა კარგი სიტყვაა გექებდი. მაგრამ არც ცუდია „დაგექებ“. თბილისში მეტრო „რუსთაველთან“ ვილაც ლტოლვილი ქალი გიტარას ამღერებდა „დავდივარ ყველა ხეს ვეფერები იმას ალბათ

სიყვარულით ჰქვია“. თუ არ მალატობს მესიერება, ამგვარი იყო მისი სიმღერის გულსაკლავი ტექსტი. მე გამახსენდა მურმან ლე-ბანიძის ლექსი:

„ბაზრის ჭიშკართან შავით მოსილის დღე
იყო ჭრელი,
შვილების ჯიბრზე გაეშვირა დედაკაცს ხელი,
ბრინჯაოს მაჯა და დაჭმუჭვნილ სახეზე სითხე,
დედი ვინა ხარ, ქართველი ხარ? ტირილით
კკითხე“.

მე იმ დროს შემრცხვა, მეკითხა ვინაობა. ეს იყო 1988 წელს, როცა ჩემი პერსონალური გამოფენა მოეწყო საქართველოს ეროვნულ გალერეაში. მას შემდეგ ბევრჯერ ამივლია და ჩამივლია „ზემელზე“, მაგრამ მიწისქვეშა გადასასვლელთან აღარ შემხვედრია ის ქალი, იმ ქალს დღესაც სიამოვნებით დავუგდებდი ყურს. მე ის ბევრ ქართველ კეკელა მომღერალ ქალს მირჩევნია და იცი რატომ? მისი სიმღერა იყო მისივე უდიდესი სევდითა და ტანჯვით ამოსული მისივე გულიდან. მურმანის დედაკაცი შვილებისგან მიტოვებული იყო: „ხუთი დავზარდე, ხუთი ჭრელი დავბადე გველი, შვილების ჯიბრზე გაეშვირა დედაკაცს ხელი“. ამ შემთხვევაში იგი ალბათ შვილების დასაპურებლად იყო გამოსული. ვგონებ იგი უფრო საცოდავი ჩანს, ვიდრე მურმანის შავით მოსილი დედა. იმ დროს არ იყო ისეთი გაჭირვება.

რა გამიქარწყლებდა ამ ისედაც მოშხამულ წუთისოფელს. დიახ, მე კი არ მიქარწყლებს მოშხამულ წუთისოფელს იმ ქალის სიმღერა, არამედ უფრო ამძიმებს. შენ გამიქარწყლე და შენვე აღმიშფოთე სული, აკაკის ლექსივით. აკაკისთვის უცხო იყო სნობისტური ტკბობით გამოწვეული ლირიკა. მის სატრფიალო ლირიკაში წვეთიც არ არის დეკადენტური ესთეტიზმის ან ავადმყოფური მოგონებული მრუმე ლამეები. იგი რეალურ ბიძგთან არის დაკავშირებული, როდესაც ამბობს:

„მწამს სიწმინდე სიყვარულის
ისევ ისე როგორც ძველად,
და გულს ვუღებ საკურთხევლად,
ზედ სიცოცხლის დასაწველად!...“

თუმც ეს მსხვერპლი საიდუმლო
საიდუმლოდ იწვის ქრება,
მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც
არის დიდი ნეტარება“.

იტალიური ლიტერატურის ისტორიკოსმა ადოლფ ბარტოლიმ მთელი ჰიპოთეზა შექმნა ბეატრიჩეზე, იგი უარყოფს ბეატრიჩეს რეალობას და მხოლოდ მარად ქალურის სიმბოლოდ წარმოადგენს მას.

ვინ იცის როგორ იტყვიან შენზე მომავალში? მკვლევარი სკარტაცცინი იმასაც ამბობს, ბეატრიჩე რომ რქმეოდა ქალს, დანტე ამ სახელს არ გაამხელდაო. რატომ? განა სამალავია საყვარელი ქალის არსებობა? იგი ხომ განუწყვეტელი იმპულსია ხელოვანისთვის, ზუსტად ისეთისა, როგორიც მე ვარ.

ჯორჯ ბაირონი ყოველ გმირში საკუთარ „მეს“ ანსახიერებდა. იმისთანა ეროტიზმისგან დამიფაროს ღმერთმა, მაგრამ საკუთარ „მეს“ მართლა ვდებ ამა თუ იმ სახეში. საკუთარ მსგავს სახეს ვხედავდე თითქოს.

არა მართო სკეპტიციზმის გულგამომხრავი ჭიის მალამო არის ამაღლებული სიყვარული, ხელოვანისათვის დამღუპველიც კი არის ზოგჯერ, მაგრამ არა ყოველთვის. ჩემთვის პირადად მიუღებელია თვით ბაირონის უსაზღვროდ აყოლა ვნებათა დემონისადმი, სიხარბე, ფულის სიყვარული და სხვა, თუმცა ეს ყველაფერი ცოტაოდენი დოზით ყველა ადამიანშია.

ოცდამეერთე საუკუნის მჯღაბნელების ნაწარმოებებმა ლამის ბაირონივით სული შეგიხუთოს და შენც შეიძლება მასავით წახვიდე საბერძნეთში „საომრად“. ქვეყანა შემოვიარეო, ვერ ვიტყვი, მაგრამ საკმაოდ მათრია წუთისოფელმა. არც ახლა მსურს უშენოდ სიარულიო, პოეტი ამბობს:

„მატარებელი მიდის და ბნელში
დაეძებს გმებს და ხეობებს ღიას,
და ფანჯრებივით განათებული
ჩემი უშენოდ ცხოვრება მიაქვს“.

ნუთუ ჩემი დარჩენილი სიცოცხლეს უშენოდ უნდა წაილოს განგებამ თ. ჭილაძის ლექსით. გავიხსენოთ ერთი ნაწყვეტი რომანიდან.

სამარადუამოდ დაგმანულა ან სიხარულის ბჭენი. რა მოკლე იყო ბედნიერება და რა მალე ამოიწურა ტკბილი ნექტარი სიყვარულისა.

ასეა ძვირფასო, დროა ჩავჯდე თუნდაც ერთი წუთით შენი გულის ფარულ სკოლაში, რათა გავიგო ის ხვაშიადი, ან ის დაგმანული ბჭენი სიხარულისა, რომელიც უნდა შევცვალო მხოლოდ მე ჩემი მაღალი ღირსებების მეოხებით:

„დრო ჩვენ შევქმენით,
რათა გავგვეო, რამდენხანს გასტანს ეს განშორება,
ხოლო ცხოვრების ასაჩქარებლად,
დავაქუცმაცეთ იგი წამებად.
დრო ჩვენ ვართ თვითონ,
რადგან ჩვენს მერე ისიც გაქრება, ან გაჩერდება“.

ოთარ ჭილაძე დროსაც აჩერებს თითქოს და ყინულივით ჰყინავს ადამიანის სულიერ დინამიკას. მაგრამ აქ ბუნებრივია, დაგებადება კითხვა, თუ რად მიყვარს შენში ხორციელი სილამაზე, წარმავალი მშვენიერება, თვალთახედვის ესოდენ საამო ბრწყინავლება, ვითარცა აჯილოსანი ქალები იყვნენ საქართველოს მაღლიან მინაზე. ყოველივე ჩამონათვალთან ერთად ის უსასრულო მეხსიერების ტაძარი მომწონს, რომელიც ვარდის ესენციასთან ერთად სინმინდის სუნს და ეთერის გამჭვირვალებას მოუცავს.

იგივე ნეტარი ავგუსტინე გვასწავლის: „რა არის კაცის ცხოვრება ამ ქვეყნად, თუ არა ცდუნება? ვინ ისურვებდა სიმძიმისა და შეჭირვებას? შენ მათ სიყვარულს კი არ გვიბრძანებ, არამედ თმენას. ვის ახარებს ის, რასაც ითმენს, რომც უყვარდეს თმენა. იქნებ თავიც კი მოსწყინდეს, რამდენის მოთმენა შეიძლებაო, მაგრამ ამჯობინებდა არაფერი ჰქონოდა მოსათმენი.

ბედნიერებას თვალთ ვერ დაინახავო, ამბობს იგივე ნეტარი ავგუსტინე. ამ გამონათქვამს მე სკეპტიკურად ვუყურებ. განა შენი ნახვა არ არის ბედნიერება? განა უპირველესად ფიზიკური არსება არა ხარ? ან უმშვენიერესი ქანდაკება საგნობრივი არაა, ან კიდევ სამყარო მთლიანად ხილული არ არის? მატერია ხილულია. მართალია მშვენიერება და სილამაზეც ერთგვარ ტკივილს აღძრავენ, მაგრამ იგი გამონვეულია იდუმალებით. ბარა-

თავილი წარმოთქვამს „მწარე რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთ და უსულოთ შორის“. მაგრამ ზოგჯერ ენაც უძლურია. ამ შეთხვევაში სახვითი ხელოვნება უფრო მეტს ამბობს. ზოგისთვის შვება ძნელად მოსაპოვებელია.

„ქალი ტიროდა. გარეთ კი თოვდა
და გროვდებოდა თოვლი რაფაბე,
და ქალთან რაღაც საერთო ჰქონდა,
ზამთრის სიმკაცრეს და სიკაპასეს“.

ბროლის კოშკი შეიცვალა როგორც კოლოსალური ლაბორატორია. თვით ბალზაკისავე ხეტიალივით პარიზის ბნელ შუკეებში, როგორც ათას ერთი ღამის დევრიშის დარი ყოველი ადამიანის სხეულსა და სულს წამიერად შეეხიზნებოდა ხოლმე. ასე მეგონა ჩემში გადმოდოდა და ჩემი მათშიო, იგონებს მწერალი. მე კი როგორც შემოქმედი, ადამიანის სულის მესაიდუმლე ვერ გახლავარ. დავმარცხებულვარ ხშირად, დავუმარცხებებივარ...

4 მარტი 2005 წ.

თუმცა ქრისტიანიზმმა შემოიყვანა ქალის პერსონა და აქედან დაიბადა ეს დაინტერესებული და თუნდაც გოეთესებური ან რუსთაველისებური „მარად ქალურის“ გადაჭარბებული მეხოტბეობა.

ისე კი, არაფერია იმაზე უფრო სიამოვნების მომგვრელი, როცა შენსავით მშვენიერ ქალს უძღვნი დითირამებს, თუ იგავმიუნვდომელ ხოტბას. როცა იმ დღეს მე შენ გადმოგეცი ჩემი ხელნაწერის ქსეროასლი, ვიფიქრე, ხომ არ იტყვის ნეტავ „რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუნერია“? მაგრამ იმ შეთხვევაში ავთანდილი ფიქრობს ასე და არა ფატმან ხათუნი. იცი რატომ გადავწყვიტე ამ ესეების წერა? ჯერ ერთი: ყველაფერი საუბრის დროს არ მახსენდება და მერე მეორე – ეს ხელნაწერები ოდესღაც ლამაზად ამუშავდებიან. ვინაიდან ემპედოკლეს გააზრებით, სიყვარული ანუ მეგობრობა, სიძულვილი ანუ წაკიდება მინიერი ყოფნის თავკიდურებია, ანუ ისეთივე, როგორც

პლატონთანაა სიყვარული ბიოლოგიური. იგი გრძნობითი სანყისი როდია, არამედ მშვენიერის, სიქველის ჭვრეტისა და შეცნობის ეროსი.

ეროსი – ეს ფიზიოლოგიური ვნებიანობის სიმბოლო როდია, არამედ იგი იდეალურ სამყაროსაკენ მიეზიდება სულს.

ვაჭართა წრეც არ არის დამცირებული პოემაში, თუმცა ოდითგანვე ვაჭრობამ ან დალუპა, ან ააშენა მსოფლიო. ძნელია ამის დადგენა. ჩვენ დარდიანობას დავუბრუნდები:

იცი რას გეტყვი, თუ საქეიფოდ მეძახიან, მე უკვე ვკითხულობ წინასწარ, თუ ვინ იქნებიან ჩემი მასპინძლები. ვაი თუ მეტად შემაქონ, ან მეტად ფამილარულად მომექცენენ-მეთქი, ვფიქრობ ჩემთვის და მითქვამს მიმპატიჟებლისთვის, ხშირად მიტირია-მეთქი, არა, მაგრამ ცივი ოფლი კი დამსხმია მეტისმეტი ქებისგან. მაგრამ ამდაგვარად ყველაფერი ლამაზია და სასიამოვნო.

...მხატვართა შორის ყოველთვის, ყოველ დროში იქნება სახვითი ხელოვნებისათვის საინტერესო ვაჟას გმირების ხატვა. არანაკლებ სხვა დანარჩენი ჩვენი მწერლების ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილი ან შესაქმნელი ილუსტრაციული ხელოვნების განვითარებისთვის. იცი რა მინდა დავუმატო ყოველივე ამას? დღეს, 13 მაისს შენ რომ დაგირეკე, საღამოს ავიღე კალამი და გავაგრძელე შენზე და შენთან საუბარი.

მიყვარს კომფორტი, თუმცა სპარტანული აღზრდა გავიარე. მეც შენსავით მიყვარს იუმორი და ხშირად სხვისი გაქილიკება. თუმცა იქ თავმდაბალი ვარ, სადაც საჭიროა. ერთხელ მაინც, ვიმედოვნებ, რომ შედგება ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი საუბარი ერთ შამპანურის ბოთლთან და წავიმღერებთ:

„ჭრელ ბაღდადზე გავმლით სუფრას,
წინ დავიდგამ დოქით ღვინოს,
ეგებ შეცდე შავთვალეებავ,
უნებლიედ მაკოცნინო“.

13 მაისი 2005 წ.



ცანკილი ფუცკარაძე

**ტიბარენი, სასპერები,
იბარები, ქუთები, კალიკონები,
ხალიბები, დიკონები,
კიდრიტები, მაკრონები,
ფასიანები, ეკეპეძრები**

ტიბარენები/ტიბარენი. ჰეკატაძის მილეტელის (ძვ.წ. 549-472) მიხედვით, ტიბარები ცხოვრობდნენ თანამედროვე ორდუს მიდამოებში (თ.ყაუხჩიშვილი, 1978, გვ.44). ჰეროდოტეს (ძვ.წ. 484-425) ცნობით, მეფე დარიოსისგან (524-485) “მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინოფებსა და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი” (ჰეროდოტე, 1975, გვ.226).

ქსენოფონტემ (ძვ.წ. IV ს.) ტიბარენები ნახა მოსინიკებს დამორჩილებული ხალხების მეზობლად, შავი ზღვის სანაპიროზე; მისი რწმუნებითაც ტიბარენების ქვეყანაში იყო ელინთა ახალშენი **კოტიორა/ორდუ.** ფსევდო-სკილაქსი ტიბარენებს მოსინიკების მეზობლად ასახელებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 84-85).

აპოლონიოსი (ძვ.წ. 295-215) ტიბარენთა ქვეყანას ათავსებს ხალიბების (ხალდების) ჩრდილოეთით (ა.როდოსელი, 1975, გვ.107).

სტრაბონის მიხედვით, ტიბარენები ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ, ხალდ-ხალიბებსა და სანებთან ერთად (აქვეა მოსხური მთები, რომლებიც კოლხიდის ზემოთ მდებარეობენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 146).

შავი ზღვის სანაპიროების აღწერის დროს ამიანე მარცელინე (IV ს.) წერს: მდინარე ჰალისის აუზში ცხოვრობენ: ხალიბები (სტრაბონის აზრით, იგივე **ქალდეები**, რომლებმაც პირველად მოიპოვეს და დაამუშავეს რკინა), ბიზერები, საპირები, **ტიბარენები**, მოსინიკები, მაკრონები... “რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიან” (გეორგიკა, 1961, გვ.110-111).

სტეფანე ბიზანტიელის მიხედვით, ქვეყანა **ტიბარენია** არის პონტოში, ხალიბებისა და მოსინიკების მეზობლად (გეორგიკა, 1936, გვ.285)...

ბერძნულ-რომაულ წყაროებში არსადაა მითითებული, რომ ტიბარენები და იბერები ერთი და იგივე ხალხია, მაგრამ ი. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას კვლევების შემდეგ **ტიბარებისა და იბერების** იგივეობა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზიარებულია.

ჩვენი აზრით, შესაძლებელია ეთნონიმების: **ტიბერ-ენ-/ტიბარ- და იბერ-** ფუძეების საერთო წარმომავლობის დაშვება:

ტიბერ- < - - > იბერ-.

რაც შეეხება ამ ეთნონიმებით აღნიშნული ტომებს:

ისინი მონათესავენი უნდა იყვნენ, რამდენადაც ერთ არეალში ცხოვრობენ და მსგავსი სახელებითაც მოიხსენებიან; აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: ხშირია შემთხვევები, როცა მონათესავე ტომებს საერთო წარმომავლების სახელები აქვთ.

საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს.

სასპერები, იბერები (კავკასიის იბერიები)

- ჰეროდოტეს მიხედვით, **სასპერები** ცხოვრობდნენ კოლხიდასა და მიდიას შორის: “კოლხიდიდან მიდიაში გადასასვლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპერიების ტომი” (ჰეროდოტე, 1975, გვ.76).

ჰეროდოტესთან საერთოდ არაა ნახსენები

იბერები, ამიტომ სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სასპეირები იგივე **ჰიბერები/იბერები** არიან (ი.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია...).

ჰეროდოტესთანვე სასპეირები, მათიენები (მითანელები) და ალაროდელეები (ურარტუელები) გვერდიგვერდ მოიხსენიება; შდრ., ტომთა მეორე ჯგუფი: მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინოდეები და მარები (იხ. იქვე, გვ.227).

ეს ცნობებიც მიუთითებენ, რომ ნაკლებარგუმენტირებულაა, სინონიმებად გამოცხადდეს ეთნონიმები: ტიბარენები და სასპეირები. ტიბარენები და სასპეირები აშკარად სხვადასხვა ქართველური ტომია; შდრ.: **სასპეირებისა და იბერების** იგივეობის დაშვებაც შესაძლებელია.

სასპეირების გვიანდელ სახელად, სავარაუდოა, განზოგადდა ტერმინი **იბერები**, რომელიც ადრე ერთი პატარა ტომის სახელი უნდა ყოფილიყო.

ძვ.წ. IV-III საუკუნეების ისტორიკოს მეგასტენეს “ინდიკას“ მიხედვით, ნაბუქოდონოსორ II-მ (ძვ.წ. 605-562) **იბერები** პირინეიდან აყარა და პონტოს მარჯვენე დასახლა.

სტრაბონის ცნობით (XI,2,18), იბერიაში არის პატარა ქალაქი ფრიქსიპოლოსი, გვიანდელი **იდეხა** ანუ **ოდრხე**.

საყურადღებოა ტერმინ **იბერია** სპარსული ვარიანტები:

ძვ.წ. III საუკუნეში ძველ სპარსულად (პართულად) საქართველო (ივერია) იხსენიება როგორც **ვირშან/ვირჩან**, ხოლო საშუალო სპარსულში - **ვარუჩან**; შდრ., შაპურ I-ის სამეფოვან წარწერაში სპარსულის პარალელურ ბერძნულ ტექსტში გვაქვს **იბერია** (გ.წერეთელი, 1993, გვ.98).

სტრაბონის აზრით, იბერების მონათესავენი არიან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მკვიდრი **სარმატები და სკვითები** (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.145-149); შდრ., ამავე პერიოდში ბერძნები წერდნენ, რომ **მოსხების ქვეყნის ერთი ნაწილი აქვს იბერებს**.

სტრაბონის (და მითრიდატეს ისტორიკოსების) შემდეგ უცხოური წყაროები დღევანდელ აღმოსავლეთ და ისტორიულ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს, ძირითადად, **იბერიის/ივერიის** სახელით (ან მისი ფონეტიკური ვა-

რიანტებით) მოიხსენიებენ; ამავე პერიოდთან ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში დასავლეთი და ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო **ლაზიკად** იწოდება.

ისტორიული, თუნდაც **ფარნავაზისდროინდელი ქართლის ამგვარი დანაწევრების საფუძველია სპარსეთისა და რომის მიერ საქართველოს განაწილება და არა** საკუთრივ ქართული რეალობა.

ჩვენი აზრით, წელთაღრიცხვათა მიჯნიდან ტერმინები: **იბერია/იბერები და ლაზიკა/ლაზები** ბერძნულ-რომაულ წყაროებში პოლიტიკური ვითარების ამსახველი იყო და არა ეთნიკური სინამდვილისა; შდრ.:

იოსებ ფლავიუსისთვის ბიბლიური თობელის (თოვილის) კუთვნილი ტერიტორია არის იბერია/ივერია; კლავდიუს პტოლემეის (100-178) კი იბერიის საზღვრებს ასე წარმოადგენს:

ჩრდილოეთით სარმატია, დასავლეთით - კოლხიდა (სურამის ქედი), სამხრეთით - დიდი არმენია, აღმოსავლეთით - ალბანია (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.149).

აპიანეს (90-170) ცნობით, იბერებმა 70 000 კაცი დაახვედრეს პომპეუსს მტკვართან (აპიანე, 1959, გვ.199).

დიონისიოს პერიეგეტის (II ს.) “მსოფლიოს აღწერილობაში“ თანამედროვე ჭოროხის ჩრდილო-აღმოსავლეთით კასპიისა და შავ ზღვებს შორის არსებულ ყელში ცხოვრობენ აღმოსავლეთის იბერები; შდრ., მისი რწმენით, ჰენიონები და ძიგიები **პელაზგების** ჩამომავლები არიან, ხოლო კოლხები - ეგვიპტელების (თ.ყაუხჩიშვილი, 1967, გვ.149-151).

შდრ., სოკრატე სქოლასტიკოსი (380-440): “ეს იბერები ცხოვრობენ ეგქსინის პონტოსთან; ესენი გამოსულები არიან ისპანიის იბერთაგან“ (გეორგიკა, 1961, გვ.229-230);

შდრ., აგრეთვე, სტეფანე ბიზანტიელი: “იბერია ორია, ერთი ჰერაკლეს სვეტებთან, მდინარე იბერისაგან ატარებს სახელს; მას იხსენიებს აპოლოდორე... მეორე იბერია სპარსელების გვერდითაა. ეთნიკურია იბერები, როგორც პიერები, ბიზერები“ (გეორგიკა, 1936, გვ.278-279).

იპოლიტე რომაელი (III ს.) იბერებს ათავსებს კაბადოკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეს: “მარჯვენა მხარეებში ცხოვრობენ არმენიელები, იბერები და ბერანები, ხოლო მარცხენა მხარეებში, სკვითები, კოლხები და ბოსპორელები“ (გეორგიკა, 1961, გვ.19).

შდრ., გელასი კესარიელი (IV ს.): “იმავე ხანებში ღმერთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც ღმერთი არ სწამდათ“ (გეორგიკა, 1961, გვ.186). იბერიის ამგვარ მდებარეობას ადასტურებს ეპიფანე კვიპრელი (314-403), თემისტოისი (317-338), ევსევი კესარიელი (260-340), არმენიელი ავათანგელოსი (IV ს.), ამიანე მარცელინი (IV ს.), ერემია სოზომენე (V ს.), რუფინუსი (V ს.), თეოდორიტი კვირელი (393-458), მენანდრე პროტიქტორი (VI), გიორგი ამარტოლი (IX ს.).

განსაკუთრებით საყურადღებოა ნიკიფორე ქსანთოპულოსის (XIII-XIV ს.) ცნობა, რომელიც **იბერად** მიიჩნევს დასავლეთ საქართველოს ნაწილსაც:

“იმ მხარეში, სადაც არის დიდი სებასტოპოლისი, აფსარის ციხე, პისის ნავსადგური და მდინარე ფაზისი, მოსახლეობენ: იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები“;

შდრ.: “ხოლო იგი ანდრია წამოვიდა ამისოდან და მოვიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკას ქალაქში¹... იქიდან წამოვიდა და შეჩერდა იბერიაში; მას შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“ (გეორგიკა, 1967, გვ.113-114);

შდრ., აგრეთვე, ლაონიკე ხალკოკონდილე (XV ს.): **იბერია** გადაჭიმულია ეგრეთწოდებულ **ბათუმ-მიდან და მდინარე ფაზისიდან ვიდრე ახალციხემდე**; ისტორიკოსის აზრით, **იბერიაში შედის სამეგრელოც, გურიაც...** (გეორგიკა, 1970, გვ.91).

საყურადღებოა კიდევ ორი ცნობაც:

სტრაბონთან დამოწმებული გადმოცემით², **ოქროს საწმისი აღმოსავლეთის იბერთა ქვეყა-**

¹ “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ანდრია პირველწოდებული მოვიდა ტრაპეზუნტში - მეგრელთა სოფელში; ანუ, ბერძნული წყაროს **ლაზიკა** ნათარგმნია **სამეგრელოდ**.

² სტრაბონი, 1964, გვ. 473: XI, II, 19; თ.ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 126; შდრ., მიუშენკოს თარგმანი: სტრაბონი, 1879, გვ. 507.

ნაში, კერძოდ, სვანთა მხარეშია; ხოლო დედის მხრიდან აბაზგური (მეგრულ-ჭანური? - ტ.ფ.) წარმომავლობის იოვანე ცეცეს აზრით, **იბერების ტომისანი არიან აბაზგებიც** (გეორგიკა, 1967, გვ.23).

თუკი ვერწმუნებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მტკიცებებს (იხ.: ი. ჯავახიშვილი, 1908, გვ.23; ი. ჯავახიშვილი, 1950, გვ.18; ს.ჯანაშია, 1959, გვ.48) და დავუშვებთ, რომ ძველ ქართულ წყაროებში მოხსენიებული ქართული პროვინცია **სპერი/ისპირი** (შდრ., “ქართლის ცხოვრება“: მდინარე სპერი - ჭოროხი; სპერის ზღვა - შავი ზღვა), ჰეროდოტეს მიერ ნახსენები თემონიმი **სასპედრები**, ქორონიმი **იბერია** და საქართველოს სპარსული სახელწოდება **ვირშან/ვირჩან** საერთო წარმომავლობის ფუძეებია, მაშინ იბერიის ქართულ ვარიანტად და, საერთოდ, წარმოდგენილ ვარიანტთა ამოსავალ სახედ უნდა დავსახოთ სწორედ **სპერი**³. შესაძლოა, დროის გარკვეულ მონაკვეთში, მეზობლებმა **სპერი** - ერთი ქართული მხარის/ტომის სახელი - განაზოგადეს ქართველთა ზოგად სახელად.

წარმოდგენილ ანალიზს მხარს დაუჭერს **სპერ-, იბერ- ბერ-, ვერ-...** ფორმების ფონეტიკურ ვარიანტებად მიჩნევის შესაძლებლობაც; კერძოდ: ლოგიკური სქემის მიხედვით, **სპერ-** ფუძისგან კანონზომიერად ქართულშივე შეიძლებოდა მიგველო, ერთი მხრივ:

სპერ > ძპერ > ძბერ/იბერ (ს > ძ > ი, ს > ძს/ძპ და ს > ჰ > 0 პროცესები ბუნებრივია ქართველური დიალექტებისათვის), მეორე მხრივ:

სპერ > ჰპერ > ჰბერ > ბერ/ჟერ/ვერ/ვირ;

შდრ.: სპარსულ-სომხური ვარიანტები: ვერია/ვირქი/ვრკან/ვირქან/ჟარუჩან, გურგან, გურჩ/გურჯ; აქედან კი, აზიური თუ ევროპული სხვა ვარიანტები: გეორგია, ჯეორჯია, გურჯისტან, გრუზია; შდრ., აგრეთვე: არაბული წყაროების **ჯურ-ზაანი/ჯურჯაანი** და საქართველოს ერთი ქალაქის, რაიონის სახელი - **გურჯაანი**.

სპერ- > ბერ- > ვერ-/ვირ- გზის დამწევის შემთხვევაში ნათელი გახდება სომხურ **ვირ-ქ** ფორმაში **-ქ** სეგმენტის არსი:

³ შდრ., სპერი/ისპირი ჭოროხის ერთ-ერთი სახელია; ს.ჯანაშია, 1952, გვ. 274

სომხური -ქ მომდინარე ჩანს კავკასიურ-წინა-აზიური ენობრივ ველში გავრცელებული -ხ- მორფემიდან, რომელიც კრებითობა-წარმომავლობა-მრავლობითობას გამოხატავდა; შესაბამისად, ვირ-ქ-ი, შდრ.: იბერ-ნ-ი, იბერ-ებ-ი. სომხური ფორმის ამგვარ წარმომავლობას ცხადყოფს სომხურშივე დადასტურებული ვერია ფორმაც, რომელიც ჯერ კიდევ ფსევდო მოვსეს ხორენცის გეოგრაფიის მოკლე რედაქციაში დასტურდება.

შენიშვნა: პატრიარქ ნიკონის მატეანეში საქართველოს აღსანიშნავად ერთდროულად სხვა სამი ტერმინია გამოყენებული: კოლხკია/კოლხ, ივერი და გურზი (საქართველოსა და ქართველების... ტერმინოლოგია, თბ, 1993).

ქუთები, კოიტები/კვიტები. “ანაბასისის” დასასრულს ქსენოფონტე ჩამოთვლის იმ ქვეყნების მმართველებს, რომლებიც ბერძენმა მოლაშქრეებმა გაიარეს; აქვე ასახელებს იმ ხალხებსაც, რომლებიც თავისუფალნი არიან; მათ შორისაა კოდტები:

“კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოდტები და ტიბარენები დამოუკიდებელნი არიან” (ქსენოფონტე, 1967, გვ.115).

თ.ყაუხჩიშვილი ამ ხალხს ქართული მოდემისად მიიჩნევს და მის სახელად აღადგენს ქუთ-/კვიტ-ფუძეს, რომლისგანაც მიღებულად მიაჩნია ქუთაისის სახელიც (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.58-59).

საყურადღებოა, რომ მოგზაურობის აღწერილსა ქსენოფონტე კოდტების შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ მოსინიკებსა და ტიბარენებს შორის ასახელებს ერთ ტომს, რომელიც ბერძენებისადმი მეგობრულად განწყობილია; მათაც ხალიბებს უწოდებს (შდრ.: მანამდე ქსენოფონტეს ჯარმა გამოიარა ბერძენთა მიმართ მტრულად განწყობილი, ტაოხების მეზობელი ხალიბების ქვეყანა). შესაძლოა, ქსენოფონტეს (ან მის რომელიმე რედაქტორს) მორჩილ-მეგობრული “ხალიბები” და კოდტები ერთმანეთში აერია...

ასევე, ვერ გამოირიცხება, რომ კოდტების აღმნიშვნელ სახელთან იყოს დაკავშირებული ამავე ტერიტორიაზე არსებული ქალაქი კოტიორა

(გვიანდელი ორდუ). აქვე აღვნიშნავთ, რომ ქუთაისის სახელის ყველა ვარიანტის მორფოლოგიური ანალიზი (განსაკუთრებით სვანური ქუთაშ << *ქუთა-ში << *ქუთა-იშ-ი) მხარს უჭერს ტოპონიმის ფუძედ ქუთა-ს (ბერძნული ფორმით: კოტა/კოდტა) განხილვას (იხ. ქვემოთ).

პ.ინგოროყვას აზრით, შემთხვევითად არ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ერთმანეთს ემთხვევა ჯიქეთში მდებარე “ძველი ლაზიკის” თემის სახელწოდება (ქუთასი/ქოთაში) და ამჟამინდელი ქალაქის - ქუთაისის - სახელი.

ვფიქრობთ, კოდტები ფორმისთვის ამოსავალია *ქუთები; შდრ.: VI საუკუნის მოღვაწის - პროკოპი კესარიელის - ცნობით, ძველად ქუთაისის კოდტაიონი ერქვა; შდრ.: მ.ინაძის მიხედვით, ქუთ- ფუძიანი სახელი კოლხთა მიწას, მხარეს აღნიშნავდა (მ.ინაძე, 1994, გვ.64).

საკითხს შემდგომი კვლევა ესაჭიროება.

ჰალიძონები, ხალიბები და ხალდები/ქალდები. ჰალიძონების ტომი დასტურდება ჰომეროსთან; მათი ქვეყანა ალიბე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეა საგულგებელი.

სტრაბონის აზრით, ჰომეროსის ჰალიძონები, ხალიბები და ქალდები (რომლებიც ცხოვრობენ ტრაპიზონტისა და ფარნაკიის ზემოთ), ერთი და იგივე ხალხია (XII, 3,19-24). ეს აზრი გაზიარებულია თანამედროვე მეცნიერებაშიც (იხ., მაგ., თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.34-35).

ანტიკურ წყაროებში ხალიბები კოლხურ ტომადაა მიჩნეული (რ.გორდენიანი); აღსანიშნავია ისიც, რომ ხალიბები/ჰალიძონები გაიგივებული აქვს სტეფანე ბიზანტიელსაც (გეოგოგია, 1936, გვ.288); ეს ტომები რკინის (ლითონის) დამუშავების პიონერებად მიიჩნევიან.

ვარაუდობენ, რომ ურარტულ წყაროებში მოხსენიებული დიდი გაერთიანება ხალიტუ ხალიბთა ტომების სახელმწიფო იყო. ხალიბები გაიგივებულნი არიან ხალდებთან; ხალიბებს მოგვიანებით ჭანებად იხსენიებენ; მივყვით ისტორიულ ცნობებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით:

ჰომეროსი (ძვ.წ. VIII ს.): “ჰალიძონები ებისტროფოსს, ოდიოს მოჰყენენ ვერცხლის შორე-

ული საბადოდან - ალიბეს მხრიდან“ (ჰომეროსი, 1975, გვ.95).

ტიბარენების მეზობლად ასახელებენ ხალიბებს ჰეკატაჰოს მილეტელი (ძვ.წ. VI ს.) და ფსევდო-სკილაქსი (ძვ.წ. IV ს.).

ჰეროდოტეს მიხედვით, ხალიბები ცხოვრობენ მცირე აზიის ჩრდილო სანაპიროზე მისიებს, მარიანდინებსა და პაფლაგონელებს შორის (ჰეროდოტე, 1975, გვ.45, 660).

ქსენოფონტე (ძვ.წ. IV), სტრაბონისგან განსხვავებით, **ხალიბებსა** და **ხალდებს** სხვადასხვა ტომებად მიიჩნევს, კერძოდ: ბერძენმა მოქირავნეებმა ჯერ მძიმე ბრძოლებით გაიარეს **კარდუხების** ქვეყანა, შემდეგ მათ ვანის ტბის მეზობლად მცხოვრები **ხალდები** შეხვდნენ, შემდეგ ასევე მძიმე ბრძოლებით გაიარეს ტაოხებისა და **ხალიბების** ქვეყნები და შემდეგ, კერასუნტსა და ორდუს შორის ისევ შეხვდნენ მოსინოძეებს დამორჩილებულ და ბერძენებისადმი კეთილგანწყობილ **ხალიბებს**.

შდრ., სტრაბონი: “**ხალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ**“ XI, 14,12; XII, 3,12).

ქსენოფონტე, როგორც თვითმხილველი, ბევრად სარწმუნო ცნობებს უნდა გვაწვდიდეს; ამდენად, ტერმინების: **ხალიბებისა** და **ხალდების** სინონიმებად მიჩნევა გაჭირდება (შდრ.: ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.419; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.147), მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტი (912-959) ხალდიის თემის დედაქალაქად ტრაპეზუნტს ასახელებს (გეორგიკა, 1952, გვ.300).

უფრო ლოგიკური ჩანს, ვივარაუდოთ, რომ **ხალიბები** და **ხალდები** უკვე ქსენოფონტეს დროს ორი სხვადასხვა, მაგრამ მონათესავე ქართველური ტომია; არ არის გამორიცხული, რომ მათი სახელები ერთი სიტყვის ვარიანტები იყოს; ამოსავალი ფუძე **ხალ-/ჰალ-** საგულვებელია მდინარე **ჰალისის** სახელშიც; **ხალ-დ-**, **ჰალ-ის-** და **ხალიბ-** ფორმებში ქართველური ენობრივი სამყაროს გარეთ საკვლევი დარჩება მხოლოდ **-იბ-** სუფიქსის საკითხი, თუკი გამოირიცხება, რომ **-იბ** არ მდინარეობს ქართველური **-ებ-** კრებითობა-მრავლობითობის სუფიქსისგან (*ხალ-ებ-ი > ხალიბი); შდრ.: ხალ-დ-/ქალ-დ- ფუძეში **-დ-/ად-** წარმომავ-

ლობა-კუთვნილებითობა-კრებითობის ისეთივე მაწარმოებელი შეიძლება იყოს, როგორც **-ლ-/ალ-/ელ-**, **-ნ-/ან-/ენ-**, **-ს-/ის-/ეს-** და სხვ. შდრ., აგრეთვე: ხარ- (ხარი) ფუძე და ხალდი/ქართუ - მამრობითი ღვთაება (ფუძეთა მიმართება საკვლევი).

ხალდები/ქალდები ცხოვრობდნენ ვანის ტბის მიდამოებშიც; ურარტუს დაცემის შემდეგ ამ ტერიტორიის ნაწილი დაიპყრეს მოსულმა **არმენებმა**. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან ხალიბთა ცენტრი გადმოდის შავიზღვისპირეთში.

ხალიბებს იაფეტის შთამომავალ ტომად მიიჩნევს ბერძნული ტრადიცია (იხ., მაგ., გეორგიკა, 1961, გვ.13). ხალიბებს მეომარ და რკინის დამამუშავებელ ხალხად თვლიან: აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი, დიონისიოს პერიეგეტი (II ს.), ამიანე მარცელინე (IV ს.) და მრავალი სხვა.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება:

იოანე ცეცეს აზრით, სკვითური წარმოშობის ხალიბების ტომი ცხოვრობს ტრაპიზუნტთან ძალიან ახლოს; მათთან მოიპოვება საუკეთესო რკინა (გეორგიკა, 1976, გვ.27-37). აშკარაა, რომ ტერმინი **სკვითები** ამ შემთხვევაში ან ქართველურ-კავკასიურ ტომებს მიემართება, ან უცხო ტომთა ზოგადი სახელია (შდრ.: ბარბაროსი), რამდენადაც რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში სკვითებად იხსენიებიან კოლხებიც, მონღოლებიც, თათრებიც, ხვარაზმელებიც. ლოგიკურია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი, რომ სკვითები ზოგადი ტერმინია, მაგრამ გამოიყენება არა საერთოდ არაბერძენთა, არამედ, მოცემულ კონტექსტში, უცნობ ტომთა აღსანიშნავად.

ჩანს, მოგვიანებით, ზოგ უცხოურ წყაროში ტერმინები: **ხალდები** და **ხალდია** განზოგადდა ქართველურ ტომთა ერთი ჯგუფის აღსანიშნავად; იხ., მაგ., იოსებ გენესიოსი (X ს.):

“შემდეგ შექმნა სახელგანთქმული საერთო ჯარი აგარიანთა, ინდთა, ეგვიპტელთა, ასირიელთა, მიდიელთა, აბაზგთა, ჯიქთა, იბერთა, კაბირთა, სლავთა, ჰუნთა, ვანდალთა და გეტთაგან და ყველა იმათგან, ვინც მანის მწვალებლობას იზიარებდა, აგრეთვე ლაზთა და ალანთაგან, **ხალდთა** და არმენიელთაგან და ყოველგვარ სხვა ტომთაგან შექმნა ჯარი და მთელ აღმოსავლეთში გაბატონდა“.

იხ., აგრეთვე: გეორგიკა, 1952, გვ.232 და გეორგიკა, 1966, გვ.111 (ს.ყაუხჩიშვილის კომენტარი ანნა კომნენეს ცნობაზე), სადაც გაზიარებულია აზრი, რომ **ხალდეები** ლაზურ-ჭანური ტომია.

დიძერები, ბიძერები/ბიზერები, ბუზერები. ჰეკატაეოს მილეტელთან (549-472) დადასტურებული **დიძერები** ცხოვრობენ მდინარე ჭოროხის სამხრეთით, დაახლოებით მდინარე ორხოფიდან მდინარე არხავემდე (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.44).

ქსენოფონტე ბიძერებს საერთოდ არ ახსენებს, ხოლო იქ, სადაც მან კოლხები ნახა (ტრაპეზუნტ-კერასუნტის მიდამოები), 50 წლის შემდეგ ფსევდო-სკილაქსი აღწერს ბიძერების ტომს, რომლებიც კოლხთა უმუშალო მეზობლები არიან; თ.ყაუხჩიშვილის აზრით, ამ ცნობათა განსხვავებულობა შეპირობებულია იმით, რომ ქსენოფონტეს დროს კოლხების სახელი აერთიანებდა იქ მცხოვრებ წვრილ-წვრილ ტომებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.81-84).

აპოლონიოს როდოსელი **ბიძერებს** საპირებსა და კოლხებს შორის მოსახლე ტომად მიიჩნევს (აპ. როდოსელი, 1975, გვ.91); სტრაბონი მათ ჰეპტაკომები-მოსინიკების გვერდით წარმოადგენს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.146); დიონიოს პერიეგეტთან (II ს.) ბიძერები ბეჭირებისა და მაკრონების მეზობლები არიან (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.92). V საუკუნის ანონიმი ავტორი **ბიზერებს** ათავსებს აფსარის წყლიდან ვიდრე არქაბამდე (გეორგიკა, 1965, გვ.3).

თ.ყაუხჩიშვილის საყურადღებო შენიშვნით, ბიძერების სახელთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ტოპონიმი **ვიწე**; შდრ., გ. მელიქიშვილს ამ ტერმინის დანაშთად მიაჩნია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული ოლქის სახელი **ოდრხე** (გ. მელიქიშვილი, 1970, გვ.382). ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია **ვიწე**- და **ბიძე**-ფუძეების კავშირი: ბიძე-ერ-; -ერ-/-არ- ქართველური კრებითობის სუფიქსია; შემდგომ დაკვირვებას საჭიროებს ბიზ-/ბიძ-, ბას-/ფას- (ფას-იან-ი) ფუძეთა მიმართება.

ბიძერების ქართველური (*კოლხური*) წარმომავლობა სადავო არ ჩანს. ჩვენი აზრით, ამ და სხვა შემთხვევებშიც საკამათოა დროის

მოცემულ მონაკვეთში არსებული ყველა ტომის (ხალიბების, ტიბარენების, მოსინიკების, დრილების...) მეტყველების მიჩნევა საკუთრივ ლაზურ-ჭანურად (შდრ., მაგ., ივ. ჯავახიშვილი, 1960, გვ.423). ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება ითქვას, რომ **ეს ტომები ლაპარაკობდნენ ძველ ქართველურ დიალექტებზე**, რომელთა დიდი ნაწილი საერთოდ დაიკარგა, ნაწილი კი სხვადასხვა პლასტების სახით შემორჩენილია თანამედროვე ქართველურ დიალექტებში (მეგრულ-ჭანურში, სვანურში, მესხურში, მაჭახლურში, ტაოურში და ა.შ.).

ძიდრიტები. არიანეს მიხედვით, “მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან” (ბერძენი მწერლები... 1983, გვ.158). ძიდრიტები პრიტანიდიდან (ფურტუნ-სუ) აფსაროსამდე ცხოვრობდნენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100); ნ.ლომოურის აზრით, ძიდრიტებს ეჭირათ დღევანდელი აჭარის ტერიტორია.

არიანეს თხრობაში ფარსმანის სამფლობელოს შავ ზღვამდე გავრცობის აღიარება მეტყველებს, რომ ფარსმანის მიერ აღდგენილი ქართლი მოიცავდა შავიზღვისპირეთსაც.

მაკროკეფალები, მაკრონები. ჰეკატაეოს მილეტელი (549-472) მაკრონებს ასახელებს დიძერებსა და მარებს შორის; მისი აზრით, მაკრონები ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტის რაიონში.

ჰეროდოტეს (ძვ.წ. V) ცნობით, მაკრონები სირიელების მეზობლები არიან. ჰიპოკრატესთვის (460-356) ცნობილი მაკროკეფალები, იგივე მაკრონები, ცხოვრობენ ტრაპეზუნტისა და კერასუნტის მიდამოებში (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.63, 84).

ქსენოფონტე (435-355) მაკრონებს ასახელებს სკვითინებსა და კოლხებს შორის; მაკრონები და კოლხები სხვადასხვა ხალხია: მაკრონები ქსენოფონტეს ბერძენ მოლაშქრეებს ეხმარებიან, კოლხები კი - ებრძვიან; ქსენოფონტესვე ცნობით, ტერმინი **მაკრონი** ამ ტომის თვითსახელწოდებაა (ქსენოფონტე, 1967, გვ.86-87).

ჰეროდოტეს ცნობით, მაკრონებმა კოლხებისგან ისწავლეს წინადაცვეთა (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43, 52, 63; ჰეროდოტე, 1975, გვ.156); შდრ., თ.ყაუხჩიშვილის აზრით, მაკრონები იგივე სანები/ჭანები არიან (1976, გვ.100); იგი მაკრონებს აიგივებს თანამედროვე მეგრელებთან და **ეგრ-** ძირთან აკავშირებს პტოლემეოსის მიერ დადასტურებულ **ეკრიტიკე** ფუძესაც (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.55, 100).

შეუძლებელია, **მაკრონ-** და **ეკრიტიკ-** ფუძეებით ნაწარმოები სახელები ერთსა და იმავე ქართველურ ტომს მიემართებოდეს ერთსა და იმავე ენასა და დროში, მით უმეტეს, მაკრონები ტრაპიზონში ცხოვრობდნენ, იმდროინდელი ეგრისი/ეკრიტიკეს ქვეყანა კი რიონსა და ლალიძგას შუაა; თუმცა, დასაშვებია ამ ფუძეთა საერთო წარმომავლობა (ოღონდ, არა როგორც ე.წ. ქართული და ზანური ვარიანტებისა!).

შდრ., აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ. III ს.): “ფილირებს ზემოთ მაკრონებია, მაკრონებს იქეთ - ბექირთა გვარი, შემდეგ - საპირთა ტომი, მათ გვერდით - ბიძერები და ზემოთ - მეომარ კოლხთა ტომები” (1975, გვ.90-91).

არიანეც სხვადასხვა ტომებად თვლის მაკრონებს, სანებს, კოლხებს, სანიგებს... (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99).

დიონიოს პერიეგეტი (II ს.) მაკრონებს ე.წ. პონტოელ ტომებში ასახელებს: ბიძერები, ბეგირები, მაკრონები, ფილირები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები; ესენი ცხოვრობენ “ევქსინის პონტოს სანაპიროზე, ფასისიდან დასავლეთისკენ, ვიდრე თრაკიის სრუტემდე”; თ.ყაუხჩიშვილის შენიშვნით, დიონიოს პერიეგეტის აზრი ეფუძნება ძველ ცნობებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.92).

მაკრონებს ასახელებს ამიანე მარცელინეც (IV ს.): “შავი ზღვის ნაპირზე ხალიბების შემდეგ ვრცელი მიწები უჭირავთ... ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს... ხალხებს, რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიან” (გეორგიკა, 1961, გვ.111).

მიუხედავად იმისა, რომ მემონსა და სტრაბონს **მაკრონების** გვიანდელ სახელად **სანები** მიაჩნიათ, არიანე მათ მაინც გვერდიგვერდ ასახე-

ლებს, როგორც სხვადასხვა ტომებს:

ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსი-ამდე) ცხოვრობდნენ: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები (იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99); თავად არიანე სანებსა და ჭანებს მიიჩნევს სინონიმებად... ეს წინააღმდეგობრივი ცნობები, ერთი მხრივ, სათუთს ხდის მაკრონებისა და სან-ჭანების იგივეობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ცხადყოფს ამ ტომთა ნათესაობას.

V საუკუნის ანონიმი ავტორი, რომელიც არიანეს ეყრდნობა, **მაკრონების** ნაცვლად ასახელებს **მაქელონებს** (გეორგიკა, 1965, გვ.7-8): “ძველი აქეიდან ძველ ლაზიკამდე და მდინარე აქეუნტამდე (სოჭის მიდამოებში) უწინ ცხოვრობდნენ ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანხლენები, **მახელონები**, კოლხები და ლაზები, ახლა კი ცხოვრობენ ზიხები” (თ.ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.130; აქვე იხ. აგრეთვე: მახერონ- და მანრალ- ფუძეები); მ.ინაძის აზრით, **მახელონები** იგივე **მაკრონებია** (მ.ინაძე, 1953, გვ.231-233).

მახელონ-/მაქელონ- და მაკრონ- ფუძეებს შორის დიდი მსგავსებაა; შეგვიძლია დავუშვათ სიტყვა-ფორმათა მექანიკური დამთხვევაც, თუმცა, შეიძლება ვილაპარაკოთ მათ საერთო წარმომავლობაზეც; კერძოდ: *მა-ქარ-ონ- — მახელ-ონ- — მა-ქრ-ონ/მა-კრ-ონ-:

საყრდენი ფუძეა *კარ-/ქარ-/კრ-/ხელ- (შდრ.: ქარ-თ-/კარ-დ-); **მა-** და **-ონ-** ქართველური აფიქსებია; შდრ., აგრეთვე, **მაკრიელები**: მა-კრ-იელ- (სქოლიასტის განმარტებით, **მაკრიელები** მაკრონები არიან; აბ. როდოსელი, 1975, გვ.70, 231).

ფასიანები. ამგვარი სახელწოდების ტომს ახსენებს ქსენოფონტე (ძვ. წ. V—IV ს.):

“...[სტრატეგოსები] მოვიდნენ ქსენოფონტთან და უთხრეს, რომ ისინი ინანიებენ [ყოველივეს]. ამასთან, გამოთქვეს აზრი, რომ რადგანაც ჩვენ გვაქვს ხომალდები, უმჯობესია გავცუროთ ფასისისკენ და დავიპყროთ ფასიანთა ქვეყანა. იქ მაშინ აიეტის ჩამომავალი მეფობდა”.

შდრ., ესქილე “განთავისუფლებულ პრომეთეოსში” ევროპისა და აზიის საზღვრად ფასისს თვლის, ხოლო ფასიანები ტაოხების, ხალიბების

და ჰესპერიტების (სვისპირიტების, სასპერიტების) მეზობლები არიან. ფასიანებს ამავე ტერიტორიაზე ასახელებს დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. I ს.): კარდუხები, არმენიელები, ხაები (ე.ი. ტაოხები), **ფასიანები**, ხალდები, სკოტინები, მაკრონები, კოლხები, მოსვინოიკები, ტიბარენები (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.124).

კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს.) ცნობების მიხედვით, არაქსი ფასისია, აქვეა ქართული (იბერთა) პროვინცია ფასიანი/ბასიანი (გეორგიკა, 1952, გვ.271-272).

ლოგიკური ჩანს ვარაუდი, რომ არაქსი-ფასისის რეგიონში არსებული ძველი ტერმინი **ფასიანები** შემონახული იყოს ტაოზონი **ბასიანის** სახით.

ფას-(>**ფსა**) ძირიქართული წარმომავლობისაა და წყალს ნიშნავს; შდრ.: სუ-ფსა (< სურ-ფსა < სურების ფსა - სურების წყალი; შდრ.: ფს-ელ-).

საყურადღებოა თ.მიქელაძის დაკვირვება ბერძნულ მითოლოგიაში კოლხების ეთნარქის - კოლხის - შესახებ; კერძოდ, **ეთნარქი კოლხი ფასისის შვილად არის მიჩნეული**, ფასისი კი წყლის ღვთაებაა (თ.მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974).

აქ საინტერესოა ის, რომ ბერძენთა ცნობიერებაში წყლის ღვთაება (შესაბამისად, მდინარეების აღმნიშვნელი სიტყვა) **ფასისი** და კოლხიდა (მხარე მდინარეებუხვი?) ფაქტობრივ სინონიმებადაა მიჩნეული, რაც ლოგიკურია, მაგრამ, ამის მიუხედავად, არა გვაქვს საფუძველი, რომ თუნდაც ქსენოფონტეს დროს არაქსიდან კავკასიონამდე არსებული ტერიტორია ერთი ქართული ტომის - ფასიან-კოლხების - საცხოვრისად გამოვაცხადოთ; როგორც აღვნიშნეთ, ამ რეგიონში გაცილებით მეტი ქართველური ტომი ცხოვრობს; მაგ., ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) მიხედვით: ბიძერები, კოლხები, გელონები, მელანქლაძენები, კოლები, კორაქსები, ჰენიოხები, აქადები, ტორეტები, კერკეტები... თავად ქსენოფონტე მხოლოდ არაქსისა და ჰოროხის ხეობაში ასახელებს: ტაოხებს, ხალიბებს, სკვითინებს; შდრ., არიანე (ახ.წ. II ს) - არაქ-

სიდან კავკასიონამდე: ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები...

ერთი რამ ფაქტია: **ფასიანები** და **კოლხები** სხვადასხვა ქართველურ ტომთა სახელებია, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთებში, სხვა **თემონიშთა** მსგავსად, განზოგადებული იყო ქართველური მოდგმის ხალხის აღსანიშნავად.

ეკექედრები/ეკხირიელები, ეკრიკტიკე/ეკრექტიკე. ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) ცნობების მიხედვით, ეკექედრები ცხოვრობდნენ მდინარეებს: არქაბისსა და ოფიუნტს შორის; მათი საცხოვრისი ივარაუდება ათინას (ფაზარის) რეგიონში; გ.მელიქიშვილი ამათ სახელწოდებას უკავშირებდა -ეგრ- (ეგრისი) ძირს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.84). შდრ., V საუკუნის პერიპლუსში დაცული ცნობა: “მდინარე არქაბიდან მოკიდებული ვიდრე ოფიუნტის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ეგრეთ წოდებული **ეკხირიელების** ტომი (ხოლო ამჟამად ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიოხები). აფსარის წყლიდან ვიდრე მდინარე არქაბემდე წინათ ცხოვრობდნენ ეგრეთ წოდებული ბიზირები; ამჟამად ცხოვრობენ ზიდრიტები“ (გეორგიკა, 1965, გვ.3).

ამკარაა, რომ საქმე გვაქვს დაწერილობის მცდარ წაკითხვასთან: **ეკხირიელები და ეკექედრები** ერთი და იგივე ხალხია; აქვე განსახილველია ტერმინი **ეკრიკტიკე**, თუმცა, პტოლემეოსის მიერ დამოწმებული **ეკრიკტიკეს** ქვეყანა არის რიონის მიდამოებში (ამავე ტერმინს იმოწმებენ: პომპონიუს მელა, პლინიუსი...).

წარმოდგენილ სიტყვათა, აგრეთვე, მაკრონ-, მახერონ- მანრალ-, კერკეტ-, კეგრიტიკე- ფუძეთა ამოსავალ ფორმად განიხილება **ეგრ-** ძირი (ლიტერატურისა და მსჯელობისათვის იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.233, 257); **ეგერ-/ეგორ-** ფუძე მართლაც შეიძლება დაესახოთ **ეკექედრები /ეკხირიელები /ეკრიკტიკე /ეკრექტიკე** სიტყვების ამოსავლად, მაგრამ მაკრონ-, მახერონ- და მანრალ- ფუძეთათვის ამოსავლად მისი მიჩნევა გაჭირდება.



თინა შიროშვილი

უნის ცნობილი სახალხო მთქმელის – ხუსეინ ხაბაზის ლექსი, რომელიც ნათელი დასტურია მშვიდობიანი მოსახლეობის გულისთქმისა:

ძველი კაცის ნათქვამია:
„ბალი წარუა კატარში“,
ნიბამი თუ მოითხოვეს,
ბევრი არ გავა თათარში.

(ახვლედიანი, 1970: 66)

„ნიზამის“ შემოღებას დიდი მღელვარება მოჰყვა აჭარის მოსახლეობაში; დაუთრგუნავი ქართული სული ვერ ჰგუობდა სხვათა ომში საკუთარი სინდისის შებლაღვას; ცნობილი ფაქტია, რომ 1875 წელს აჭარლებმა ჰერცოგოვინელების წინააღმდეგ თურქების მიერ წარმოებულ ომში არ მიიღეს მონაწილეობა და აჯანყდნენ, რითაც, როგორც მკვლევარმა ხარიტონ ახვლედიანმა შენიშნა, „თუმცა არაპირადაპირ, მაგრამ მაინც ამით ისინი სლავ ხალხებს ეხმარებოდნენ“ (ახვლედიანი, 1959: 118).

„ნიზამში“, ანუ სალდათში, წასვლა სხვათა დაპყრობით ომში მონაწილეობის მიღებასთან ერთად, საკუთარი ოჯახების უპატრონოდ მიგდებასა და, ამდენად, გასაჭირში ჩაგდებასაც ნიშნავდა:

მე რომ ნიბამში წავიდე,
რალა ეშველოს ოჯახსა!
ისტე, ისოდე ვერ წავალ,
ვერ ავატირებ ნენესა!

(ახვლედიანი, 1970: 67)

ამგვარ ვითარებას ასახავს აჭარის ფოლკლორში გავრცელებული ფირალის ეპოსის მრავალი ნიმუში. ერთ-ერთი მათგანია „ასლან ბაჟუნოღლის ლექსი“ (აჭ. ხ. პ., 1969: 6), რომელიც მოგვითხრობს, რომ კახათელი ასლან ბაჟუნოღლი არ დამორჩილებია ადგილობრივ მმართველობას, უარი უთქვამს „ნიზამში“ წასვლაზე და ყაჩაღად გავარდნილა. ასლანი უშიშარი ვაჟკაცი ყოფილა და არ ეგუებოდა ოსმალურ მმართველობას. „მე ვარ ასლან ბა-

სხვათა ომში მონაწილეობის ტრაგედია ქართული ხალხური პოეზიის მიხედვით

„თავის მოკვლა ყოველთვის
შეუძლიათ ქართველებს,
მაგრამ საქართველოსთვის
უნდა მოკვდეს ქართველი!“
(მონის ფოცხიძე)

კაცობრიობის ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის, როცა დამპყრობლები ძალმომრეობით დამორჩილებულ ხალხს სხვათა დასაპყრობად იყენებდნენ. ბუნებით ტოლერანტი, მშვიდობისმოყვარე ჩვენი წინაპრები, რომლებიც გამუდმებით თავდაცვით ომებში იყვნენ და რომელთა დევიზიც იყო „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“, ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ ყველა ჯურის დამპყრობთა ამგვარ ზრახვებს. აჭარის სინამდვილეში არაერთგზის არის დაფიქსირებული აქაური მოსახლეობის პროტესტი ოსმალეთის ხელისუფლებისადმი, რომელსაც სურდა, გაეწვია ისინი „ნიზამში“ (ჯარში) და ჩაეთრია ოტომანთა იმპერიის მიერ წარმოებულ დაპყრობით ომებში (ახვლედიანი, 1970: 66). მშვიდობისმოყვარე აჭარლობა, ბუნებრივია, ეწინააღმდეგებოდა დამპყრობის იმპერიალისტურ ინტერესებს და მის ჯარში სამსახურს ყაჩაღად გავარდნას ამჯობინებდა. ხალხის ამგვარ სულისკვეთებას გამოხატავს XIX საუკუნის

ჟუნოლი, ყოლ ფირალში გარჩეული“, – ასე ალაპარაკებს მას სახალხო მთქმელი და გამოთქვამს დიდ სიმპათიას ადამიანური ღირსების დამცველი ვაჟკაცისადმი.

ასლან ბაჟუნოლისნაირნი ბევრნი იყვნენ აჭარაში, რომლებსთვისაც მიუღებელი იყო სხვა ხალხთა დაპყრობა და ამიტომაც გამოთქვამდნენ პროტესტს ოსმალური მმართველობისადმი, ხონტქრის ბრძანებებისადმი:

...ხვანთქარი წიგნს იწერება,
აქ ჩამომყევით ერთიო,
სახლში სილაღი დააწყეთ,
აქ აბაკუნეთ ფეხიო...

(*ახვლედიანი, 1970: 72*)

ხალხის უკმაყოფილება ოსმალური მმართველობის მიერ თავსმობვეული „ნიზამის“ გამო XIX საუკუნის განმავლობაში აჭარელთა არაერთი მღელვარებით აღინიშნა, რაც დასტურია საუკუნეობრივი ტრადიციებით გამომუშავებული ქართული ტოლერანტობისა.

ოსმალეთის იმპერიული ზრახვები როგორც აჭარაში, ისე მთელს საქართველოში, ცარიზმის იმპერიულმა პოლიტიკამ შეცვალა, რაც, ბუნებრივია, ასევე დიდი ტკივილით აისახა ხალხურ პოეზიაში.

ლექსში „ძველი დროის ჯარისკაცის სიმღერა“ (საუნჯე..., 1936: 72-74) გადმოცემულია მთაში გაზრდილი ვაჟკაცის – პავლე ხუციანძის – განცდები „სალდათში“ ნასვლის გამო და შემდეგ – სალდათობის მთელი საშინელება და სიმწარე, სხვათა ომში ძალდატანებით მონაწილე ქართველის დაღუპვისა და ოჯახის წევრთა თუ თემ-სოფლის სანუხარი.

მშობლიური მიწა-წყლის დაცვა, მისთვის თავის განირვა დედის „ნანასთან“ ერთად ჰქონდა შესისხლხორცებული ქართველს, მაგრამ რუსეთის იმპერიაში ძალით შერეკილ ქართველობას „სალდათობა“, ანუ რუსეთის მიერ წამოწყებულ დამპყრობლურ ომებში მონაწილეობა, ბუნებრივია, პატრიოტულ სულისკვეთებას ვერ გაუღვივებდა; პირიქით – რუსული მმართველობის მიერ შემოღებული „კენჭის ამოღება“, ომში ნასვლა და სათიბ-სამკალის უპატრონოდ დაგდება ქართველი კაცისათვის საკუთარი დაბადების დაწყველის ტოლფასი იყო:

პავლე ვარ ხუციანძი,
სოფელ ხონდაში გაზრდილი,
რისთვის გამზარდე, მშობელო,
რად არწე ჩემი აკვანი?
როცა შევიძელ ოჯახში
სათიბ-სამკალი, სახნავი,
ხელმწიფის გამოგზავნილი
თავს წამომადგა ჩაფარი:
– უნდა წახვიდე სალდათში,
კენჭი გაქვს ამოსაყარი!
ავდექ და იმას თან გავყე,
მეტი არ მქონდა სალსარი...

(*საუნჯე..., 1936: 72*)

დამპყრობლის მიერ „სალდათში“ გამწესებული, გულსუნადინოდ მიმავალი ქართველი მთიელი ძმებს უბარებს, არ დაუქციონ სახლკარი, კარგად მოუარონ მის ლურჯას; იგი გვაცნობს „თავს გადანაყარს“:

...მე ვარ ბრძოლის ველს დამრჩალი,
სიტყვა სათქმელად მაგარი;
ახლა კი ის დრო წავიდა,
სულ გადაბრუნდა მთა-ბარი,
მოვიდა სისხლისა წარღვნა,
წყალივით მოაქვს ჩანჩქარი.

(*საუნჯე..., 1936: 73*)

ლექსში გამოთქმულია ნუგეში დედის მიმართაც; უცხოეთში უსახელო სიკვდილის მომლოდინე ქართველი ვაჟკაცი ანუგეშებს მშობელს და ასე მიმართავს:

– ნუ ტირი, ჩემო დედაო,
ბევრი ჩემფერი სხვაც არი
დამრჩალი ბრძოლის ველზედა,
ყონების სადილ-სამხარი.
არცა გვაქვს ჩვენთვის სამარე,
არც გულზე მიწა საყარი.

(*საუნჯე..., 1936: 73*)

საანალიზო ლექსი საინტერესოა არა მარტო უშუალოდ „სალდათში“ მყოფთა ტრაგიკული აღსასრულის გადმოცემის თვალსაზრისით, არამედ – ქართული სოციუმის, კერძოდ კი რუსთა მიერ წარმოებულ ომში მონაწილე ქართველი მეომრების ახლობლების, თემ-სოფლისა და მთელი ხალხის, განწყობილების გასაცნობადაც:

ივანეს შვილი მოუკლეს,
ვანაშია დამრჩალი,

ტროდა მთელი სოფელი,
ცოლიც იმისი საწყალი.
მისმა დედამ რომ გაიგო,
გულს დაიღირა ხანჯალი.

(*საუნჯე...*, 1936: 73)

ლექსის კულმინაციას წარმოადგენს უდიდესი სინანული იმის გამო, რომ სამშობლოს, ოჯახს დააკლდა რიგიანი მშრომელი, რომლის სადარიც ძნელად მოიპოვება:

- ვაი დედასა, ჯეილო,
ქანგდება შენი ნამგალი!
აღარ ტრიალებ ყანაში,
მხარზე გადადის თავთავი
მოგდევენ, ველარ ჰკონავდენ
ბიჭები თრ-თრ, სამ-სამი.
მაღე მოვალის მკათათვე,
მომკელი აღარსად არი!..

(*საუნჯე...*, 1936: 74)

სხვათა ომში უაზროდ და უსახელოდ სიკვდილის მომლოდინე ქართველი ანდერძს უტოვებს დედას, სათანადოდ გაუმასპინძლდეს მის ტოლ-სწორებს, მისი შესანდობარ-მოსაგონარი წინწანაქარი შეასვას:

გიბარებ ერთსა, დედაო, -
ეს არის სიტყვის საღსარი:
დამიპატიე ბიჭებსა,
სწორები, ჩემი ამქარი,
ყველას დაუდგი ბოთლითა
არაყი წინწანაქარი,
დაუსხი, დააღევიანე,
ყველამ დაცალოს სტაქანი!

(*საუნჯე...*, 1936: 74)

ლექსის მთავარი პათოსია „სალდათობი-სადმი“ უარყოფითი დამოკიდებულება, სხვათა ომში მონაწილეობისადმი მკვეთრად გამობატული პროტესტი, რაც, ბუნებრივია, სრულებითაც არ ნიშნავდა ქართველი ვაჟკაცების მხედრული სულისკვეთების უქონლობას; ქართველი მთქმელისათვის, ვინაც პოეტურად გადმოსცა იმპერიალისტურ ომში ძალით „სალდათად“ გარეკილი ქართველების განცდები, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი მისი თანამემამულეების (თუნდაც სამასი არაგველის) გმირობა-ვაჟკაცობა, რაც ყოველი ხალხის, და მათ შორის ქართველთა, ისტორიაში თავდაცვითი ომებისათვის არის დამახა-

სიათებელი და რაც ესოდენ უცხოა დამპყრობლური ომებისათვის; მით უფრო, რომ ქართველი „სალდათები“ თავად იყვნენ დაპყრობილნი და, ამავე დროს, დამპყრობლის მიერ ნამონყებული ომის ძალდატანებითი მონაწილენი.

სხვათა ომში ნაძალადევად მონაწილე ქართველ ჯარისკაცთა სულისკვეთებას გამოხატავს, აგრეთვე, კახეთში (თელავი) დაფიქსირებული ლექსი „სალდათის წერილი“ (მთქმელი ქიშიკაშვილი, ჩამწერი შ. ახალშენიშვილი), რომელიც ლექსის თანახმად, „გაბოროტებულ“ გულზეა დაწერილი; გაბოროტების მიზეზი კი უთუოდ ის იყო, რომ წერილის ავტორი, ვინმე ფრიდონი, რუსეთ-გერმანიის ომის ნაძალადევი მონაწილეა, მისი ნების სანინა-ალმდეგოდ აღმოჩნდა ჩართული სხვათა ომში:

...ბევრის დაწერა მინდოდა,
ნება არ მომცა დრომაო
და გულმა ბოროტიანმა
ველარა მოიგონაო.
ბევრ გადარია, რა უყოთ,
გერმანიასთან ომმაო.

(*საუნჯე...*, 1936: 75)

მეგრული „სალდათობის ლექსი“ („სალდათა-ლაში ლერსი“) მოგვითხრობს რუსის ჯარში („რუსის ხელში“) მომსახურეთა გაუსაძლისობაზე. სანახევროდ მშვიერ-მწყურვალი „სალდათები“ ახლობლებს ატყობინებენ, რომ ომში უპირებენ გაგზავნას, სთხოვენ, არ დაივინყონ და გამოთქვამენ ქართველთათვის ოდითგან დამახასიათებელ შეხედულებას – უარყოფით დამოკიდებულებას ომისა და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის მიმართ:

ჭირისუფლებო, გახსოვდეთ!
იმ დროისთვის ისე გამომაწყვეთ,
როგორც ომს შეშვენის.
ტყუილად გვწყვეტენ ამდენ ხალხს!
ნეტავ, ვინმეს რგებდეს!..

(*ქ. ბ. ს., 1975: 279-286*)

ბუნებრივია, თავდაცვით ომში არ ითქმება სიტყვები: „ტყუილად გვწყვეტენ ამდენ ხალხს, ნეტავ ვინმეს რგებდეს!“ სამშობლოს დამცველი არასოდეს ეძებს სარგებელს. იგივე სულისკვეთების გამომხატველია სამეგრელოს ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ფრონტული წერილების ციკლის ლექსი „სალდათის მონაწერი“ („სალდათიში მუნაჭარა“),

რომელშიც აღწერილია სალდათობის აუტანელი ყოფა და რეალური ხვედრი სხვათა დამპყრობლურ ომში მონაწილისა: უსახელო, უმიზნო სიკვდილისა და კიდევ უფრო მეტი – ამ სიკვდილის არსის გაუფასურებისა:

გაუპატიოსნებელი მკვდრები
თვალს ახამხამებენ,
ყველანი ერთად რომ მოვკვდეთ,
„რატომაო“, არ იტყვიან.
ფეხებზე („წვივი“) ხელს წაავლებენ,
თხრილში ჩააგდებენ,
(თვითონ) ჩრდილში დასხდებიან,
თამბაქოს აბოლებენ.
მოკითხვას გწერთ,
მარტი მაწვიმს ხელში.
ჩემს ბედს ვერ გაიგებს
აფხაბი მკითხავი.
ჩემი ბედი ისე იწვის,
როგორც აბედი კვესზე,
ჩემი გული ისე ჰკიდა,
როგორც თევზი ანკესზე.

(ქ. ბ. ს., 1975: 280-281)

ფშაველ ალექსი ოსეურაშვილისაგან ჩანერილი ლექსიც „მეფის სალდათობა“ რუსთა მიწის საქართველოში დატრიალებულ უკუღმართობას – ქართველ ვაჟკაცთა ომში გარეკვისა და სამშობლოს გარეთ უსახელოდ და „უნადინოდ“ დაღუპვის თემას ეხება:

...ყველა სალდათში მივდივართ,
აბა, შინ ვილა რჩებაო!
ომი გახურდა ფიცხელი,
უერთოდ აღარ დგებაო,
ბევრ ვაშკაცს ახლავს ტყვიანი,
გუბებში გუბე დგებაო,
აიწვევს ასადგომიდა,
მაგრა ველარა დგებაო,
სულსა ლევს უწადინოდა,
სამშობლო ენატრებაო.

(საუნჯე..., 1936: 76)

ლექსის თანახმად, ქართველი ვაჟკაცების სიცოცხლე მათი სათაყვანებელი სამშობლოს ძლიერებას არ ხმარდება, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მთქმელის (და მთელი სოციალისტების) განცდებს ამოდ დაღუპულთა მიმართ:

თავს დასტრიალებს ყორნები, –
სულ როდის ამოხდებო,

თვალთ დასთხრის უჩქერებელთა,
ველარა ნახავს დედაო...

(საუნჯე..., 1936: 77)

პავლე რაზიკაშვილის თქმით სოფელ ჩარგალში ჩანერილი ხალხური ლექსი „მეფის სალდათის ცხოვრება“ (საუნჯე..., 1936: 78-81), რომელიც რუსეთ-იაპონიის ომის თემას ეხება, გვაცნობს ომში წასული ფშაველი ვაჟკაცის განცდებს, „სალდათური ცხოვრების“ სიძნელეს, საომარ ვითარებას და, აგრეთვე, მეომრულ პათოსს. სამშობლოსაგან შორს მყოფი ფშაველი თანატოლებს სთხოვს, მისწერონ წერილი, შეატყობინონ ფშავის ამბები, თვითონ კი ჰპირდება სალდათური ცხოვრების შესახებ უამბოს ყოველივე:

შიარს ვიამბობთ, სწორებო,
მადლსა ვახსენებ ღვთისასა,
ფშავით მომწერეთ წერილი,
გადმოაყოლეთ ცისკარსა.
ახლა რუსეთით მე მოგწერთ
ცხოვრებას სალდათისასა...

ლექსის თანახმად, ჯარისკაცებს წელიწადში ორ მანეთნახევარს უხდიან და უხეში ტანსაცმლითა და ფერხსაცმლით მოსავენ:

ორ მანათნახევარს ვიღებ
ჯამაგინს მთელის წლისასა,
ლევა ტოლომანს გვაძლევენ,
ჩექმასა კამეჩისასა.

არც სათანადო კვება ჰქონიათ საზარბაზნე ხორცად იაპონელებთან საომრად გარეკილ „სალდათებს“:

დღეში წყალსა ვსვამთ ერთხელა,
პურსა ვჭამთ თითო მისხალსა.

ლექსი საყურადღებოა იმიტაც, რომ მასში უხვად არის გამოყენებული ქართული ხალხური საგმირო პოეზიისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეები და ცალკეული ფრაზეოლოგიზმები, რაც საბოლოოდ ქმნის ქართული რაინდობისათვის დამახასიათებელ გმირულ პათოსს; მიუხედავად იმისა, რომ ფშაველ ვაჟკაცს კარგად აქვს გააზრებული სად, ვის მიწაზე იბრძვის, ვის ეომება და რისთვის, მასში მაინც იჩენს თავს წინაპრების გმირული ტრადიცია, ომში გაუტეხლობა და ღირსების გრძნობა; ლექსში მოხდენილად არის ჩართული მტერთან მეომარი ვაჟკაცის სახის წარმოჩენა ცის ელ-

ვად („ელვასა ჰგავის ცისასა“), რაც ხშირად გვხვდება ტრადიციულ საგმირო პოეზიაში:

მინდვრად ვართ გამწკრივებული,
ვაყენებ თოფის ლიშანსა,
გავხედათ ერთნი ცაზედა
მოსავალს ჩვენი მტრისასა.
მტრის მოსვლა, ჩვენი დახვედრა
ელვასა ჰგავის ცისასა,
გააქვის კაცის თავ-ფეხი
ტყვიასა ზარბაზნისასა...

ლექსში ხაზგასმულია რუსი ჯარისკაცების უპირატესი მეომრობა იაპონელებთან, რაც რუსის ჯარში მომსახურე ქართველისაგან სრულიად მოსალოდნელია, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსისეული გულადობისა და მტერთან შეუდრეკლობის აღმნიშვნელი სიტყვიერი ქსოვილი მთლიანად ნასაზრდოებია ქართული ხალხური საგმირო პოეზიით:

...დაიძახებენ რუსები:
„- სული ღმერთს, ლეში მიწასა!
დაიცათ, იაპონელებო,
არც კი ჩვენ ვაცდენთ ლიშანსა!“

იაპონელთა ლაშქარი ქართველი მეომრის მიერ ცხვრის ფარას არის შედარებული, ხოლო მათი დაღვრილი სისხლი ქვიშას ანითლებს:

პირდაპირ გვიდგა ჯარები,
ფარებსა ჰგავის ცხვრისასა,
პირდაპირ დაეცემიან,
გააწითლებენ ქვიშასა.

ლექსის თანახმად, იაპონელები ვერც ხმელეთზე აღმოჩნდნენ გამორჩეული მეომრები და ვერც ზღვაზე:

დამართეს პარახოდები,
წამოგვივლიან ზღვისასა, -
ვერცაით ზღვაზედ წაუვლენ
ჩვენის ზარბაზნის ლიშანსა!

მიუხედავად მძიმე ყოფისა, შიმშილისა და წყურვილისა („დღეში წყალსა ვსვამთ ერთხელა, პურსა ვჭამთ თითო მისხალსა“), მტრის ჯავრის არშეჭმა, რაც ქართული ხალხური საგმირო პოეზიის ოდინდელი სტრატაგემაა, ლექსის საგმირო პათოსის კულმინაციას წარმოადგენს:

გვერდში მომარტყეს ტყვიაი,
ნამტვრევს გაიტანს ძვლისასა,
თან კი ვერ გადამიყოლა,

ვერც გულს აგრილებს ყმისასა.
ხუთით გატენილ თოფი მაქვს,
ჯავრს როგორ შევჭამ მტრისასა!..

ლექსი „მეფის რუსეთის ომში“ (მთქმელი იოსებ ერბონონაშვილი, ჩამწერი გ. ონაშვილი – საუნჯე., 1936: 82-86) ეძღვნება 1914 წლის რუსეთ-ავსტრიის ომის ამბებს, კერძოდ – ამ ომში ქართველთა განწევას, მეფის მოხელეთა „გარჯას“ საკუთარ ომში ქართველების ძალით გარეკვაში, ქართველთა ნუხილსა და შეშფოთებას, ბოლოს კი – საომრად აღჭურვილი „სალდათების“ განცდება და ომის საშინელებას. ლექსის თანახმად, საგარეჯომდე მიუღწევია ბრძანებას, რომ სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს ჯარი, რადგან რუსეთი ავსტრიასთან ომს აპირებს და საჭიროა „ზაპასი“. სამნუხაროდ სწორედ ამ „ზაპასად“ თვლიდნენ ქართველ ვაჟკაცებს, რომლებსაც იმპერიული მმართველობა ძალის დატანებით აიძულებდა ომში მონაწილეობას:

1914 წელსა,
დახე, რა მოხდაო! -
რუსეთი ომსა აპირებს
ავსტრიასთანაო.
ოთხივ-კუთხივ გზები შეკრა,
დეპეშა დაჰკრაო;
ბრძანება იქაც მივიდა -
საგარეჯოსაო:
უნდა აკრიფო „ზაპასი“
ამ ორ-სამ დღესაო!

სახალხო მთქმელი არ მალავს ირონიას და უარყოფით ემოციებს მამასახლისის მიმართ, რომელიც გველის ფხაში ძვრება, ომში წვეულთათვის ღვინოსაც კი „იმეტებს“, რათა ხელმწიფის დავალება პირნათლად შეასრულოს და თანამემამულენი ომში გარეკოს:

ის ჩვენი მამასახლისი -
კოჭლი ფაქელაო,
როგორც რომ ვაგიჟებული,
აგრე დარბოდაო;
ატყობინებდა ყველასა
ნასალდასტრებსაო;
ბიჭებს თავი მოეყარათ
ღუქნის კარზედაო,
მამასახლისი ფაქელა
ღვინოს ასმევდაო.

რენეგატი მამასახლისი იშვიათი თავგამოდებით მოუნოდებს თანამემამულეთ, შეასრულონ „ნაჩალნიკის“ ბრძანება:

- ადუ, ბიჭებო, წავიდეთ
პატარძელსაო!
გამოცხადება სჭირდება
ჩვენს ნაჩალნიკსაო!

ლექსში დრამატულად არის წარმოჩენილი ხალხის განცდა, მათი ნუხილი იმის გამო, რომ სასაკლაოზე უნდა გაისტუმრონ ქმრები, შვილები, ძმები და დანიშნულები. ამგვარი ნუხილი უცხოა თავდაცვით ომებთან დაკავშირებული განცდებით ნასაზრდოები ქართული ხალხური ტრადიციული საგმირო ლექს-სიმღერებისათვის, რომელთა თანახმადაც, ქართველ დედებს, ცოლებს, დებსა თუ სატრფოებს ეამაყებათ ომში მიმავალნი და მათი გმირული სულისკვეთების აღზრდასა და გამოვლენაში უდიდესი მისიაც ეკისრებათ; რუსთ ხელმწიფის მიერ წარმოებული ომი კი ქართველთა გმირობის ასპარეზად არ გამოდგებოდა, რაც სათანადოდ არის ასახული „სალდათობის“ თემატიკის ფოლკლორულ ნაწარმოებებში და, აგრეთვე, საანალიზო ლექსშიც, რომლის სათაურშივე („მეფის რუსეთის ომში“) ხაზგასმულია, რომ ეს არ არის ქართველთა ომი, ეს სხვათა ომია. ლექსის თანახმად, მთელი სოფელი, ქალი და კაცი, ცრემლებად იღვრება და გამოვს ხელმწიფის გადანყვეტილებას:

პატარძელის რიყებე
ხალხის ბრბო იდგაო,
ტიროდა მთელი სოფელი,
ცრემლი იღვროდაო;
ბევრისა ცოლი ტიროდა
და ბევრის დედაო
და ბევრსაც დანიშნულები
ყელთ ევლებოდაო:
- შენ რომ ომში წავიყვანონ,
რა მეშველებაო,
ჩემი ნუგეშისმცემელი
ვიღან იქნებაო!
იმ დაღუპულმა ხელმწიფემ
რა მოგვიგონაო, -
ქალი, კაცი, დიდ-პატარა
სულ აგვატირაო!

ლექსის თანახმად, „სალდათში“ გამნესებული კახელი ვაჟკაცები ჯერ თბილისში ჩაიყვანეს, შემდეგ კი გააგზავნეს ყარსში, სადაც კვირა სალამოს განუცხადეს, რომ მეორე დღეს, ადრე დილით, საბრძოლველად ყოფილიყვნენ მზად. ამ განცხადებას, ბუნებრივია, საომარი განწყობა და ჩვენი ღირსეული წინაპრებზე გმირული სულის აღზევება არ მოჰყოლია; პირიქით, ჯარისკაცები ძალზე დაღონდნენ და გამოსათხოვარი წერილები მისწერეს ახლობლებს:

...კვირა სალამო დაღამდა,
ვახშობის დროაო,
კამანდერი თავს დაგვადგა,
გამოგვიცხადაო:
- დღეს ტელეგრაფა მივიღე
ხელმწიფისგანაო,
უნდა წავიდეთ ხვალ ადრე
ჩვენ საომრათაო.
ეს რომ სალდათმა გაიგო,
ძლიერ დაღონდაო,
ყველამ მისწერა წერილი
თავის ცოლ-შვილსაო:
მშვიდობით, ცოლო და შვილო,
ჩემო დედ-მამაო!..

ლექსში დაწვრილებით არის აღწერილი „სალდათების“ საომარი აღჭურვილობა და მათი სვლა საზღვრის მიმართულებით; ამავე დროს, გადმოცემულია ქართველი მეომრის სულიერი განწყობა: ბრძოლაში საომრად მიმავალი ვაჟკაცი პატრიოტული სულისკვეთებით არ არის გამსჭვალული, რადგანაც ეს არ არის მისი სამშობლოს თავდაცვითი ომი; კახელი მეომარი „უბედურ დილად“ მოიხსენიებს საომარი მოქმედებების დაწყების დროს:

გათენდა მეორე დღეცა,
უბედურ დილაო,
კაზარმის წინ შეგვაქუჩეს
მთელი „ვაესკაო“.
იმ საათში გაგვამგზავრეს
საზღვარისკენაო.
ორას ორმოცი პატრონა
ბურგბე გვარტყიაო,
პალტო, შინელი, პალატკა
და მრავალი სხვაო.
ხუთი დღე-ღამე ვიარეთ
ჩვენ საზღვრამდინაო...

საზღვართან მისულებს მტერი („თათარი“) დახვდათ და

შევეჯახენით ერთმანეთს,
მოგვიხდა სროლაო,
ისე მოდიოდა ტყვია,
როგორც რომ სეტყვაო.

ლექსში უდიდესი დრამატიზმით არის ასახული სამკედრო-სასიცოცხლო შეტაკების მთელი საშინელება; თავისი ბუნებით ჰუმანისტი და, ამავე დროს, საერთო სახალხო ტრადიციებსა და სულისკვეთებაზე გაზრდილი ქართველი ვაჟკაცი უდიდესი გულსტკივილით საუბრობს დახოცილ ადამიანებსა და გადამწვარ სოფლებზე:

ზოგს, ტყვიისაგან დაჭრილსა,
გულთ უღონდებო
და ზოგიც, გულგახვრეტილი,
მაშინვე კვდებაო.
გაწყდა ხალხი და სოფლები
სულ გადაიწვაო,
კვდებოდა ქალი და კაცი,
დიდი, პატარაო.

ტოლერანტი ქართველი სახალხო მთქმელი იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ომში ორივე მხარე (გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც) ზარალდება („ორთავ მხარე დაზარალდა, ბევრი დაიჭრაო“), საბოლოოდ კი ომი და ადამიანების სიცოცხლის ხელყოფა, ლექსის საერთო პათოსით, „მხეცობად“ მოიხსენიება:

ისე ყრია მინდვრად მკვდარი,
როგორც რიყის ქვაო,
ამაზე მეტი მხეცობა
სად გაგონილაო!

ლექსში „მეფის სალდათობა“ (საუნჯე..., 1936: 87-89) ოსმალების წინააღმდეგ საომრად წასული ქართველი ვაჟკაცი გვამცნობს, რომ მთელი ქვეყნიერება ამდგარა „და ისიც სალდათად გაამწესეს. „თათრის საზღვარზე“, ჰასანყალაში, ციხესთან ახლოს, მომხდარა შეტაკება. ტყვიების სეტყვაში მოხვედრილი კეთილი ნების ადამიანის ომისადმი დამოკიდებულებაა გამოსატყუი შემდეგ სტრიქონებში:

სეტყვასავით მოდის ტყვია,
ვინ გადარჩებაო!
ხოცამენ ერთიმეორეს,
ნეტავ, რისთვისაო!..

ამავე დროს, ლექსში გადმოცემულია ნუხილი იმის თაობაზე, რომ ომი დაუნდობელია, მით უფრო მათთვის, ვისაც სხვათა დროშის ქვეშ ძალით აბრძოლებენ:

წამოვიდა შრაპნელი,
მეხივით გასკდაო,
ხელი და ფეხი მომტეხა,
ხორციც მომგლიჯაო.
გული არავის ეწოდა,
არავინ მომხედაო,
ვაი, რა ძნელი ყოფილა
უპატრონობაო!

სამშობლოსადმი მსახურების, მისთვის თავგანწირვის იდეა სისხლხორცეულია ქართველისათვის და ამისი ნათელი დასტურია მთელი ჩვენი ტვირთმძიმე ისტორია, რაც კარგად აისახა ზეპირსიტყვიერ ქმნილებებში, მაგრამ ამ იდეის არქონა, ანუ სიცოცხლის განწირვის მოტივაციის უქონლობა, არის სწორედ ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც სხვათა წარმოებულ ომებში (და განსაკუთრებით კი – დაპყრობით ომებში) მონაწილეთათვის უცხოა თავშენიერებისა და გმირობის სურვილი; ასეთ შემთხვევაში დაშრეტილია ეროვნული ენერგია, მოდუნებულია შინაგანი აქტივობა, დაკარგულია ქმედების აზრი და მოწოდება. ეს იმგვარი ვითარებაა, რომელზედაც სერგი დანელია ამბობდა: „...აქ ქართველები ისტორიის სუბიექტები კი არ ვიყავით, არამედ – ატომებსავით მხოლოდ ობიექტები: საქართველოს აგურებით სხვისი ისტორია შენდებოდა...“ (ს. დანელია, 1927: 84). ამგვარი ვითარება მიუღებელია ჭეშმარიტი მამულიშვილებისათვის, რამაც თავი იჩინა როგორც ოსმალთა დაპყრობითი ომების, ისე „სალდათობის“ ამსახველ ქართულ ხალხურ პოეზიაში, რაც ნათელი მაგალითია სხვისთვის უაზროდ დაღვრილი სისხლის ყივილისა, უფრო კი – სინანული-სა იმის გამო, რომ ეს სისხლი შენივე ქვეყნის ზვარაკი ვერ გახდა. ამ მტკივნეულ, წყევლაკრულვიან პრობლემას ეხება ილია ჭავჭავაძე ლექსში „იანიჩარი“:

ვსტქვი, თუ: ვისთვის შენ კისკასობ,
ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ
შენს დამღუპველს ოსმალებსა?

შენს სიმარდეს, სიჩაუქეს
ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით
ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!..
(*ი. ჭავჭავაძე, 1987: 111*)

ცნობილია, რომ ლექსი „იანიჩარი“ იმ დროს დაინერა, როცა ქართველი მეომარი ოსმალეთს კი არა, რუსეთს ამშვენებდა – ავტორის პეტერბურგში ყოფნის დროს, 1860 წლის 5 ნოემბერს, რაც მითითებულია ილიასეულ ავტოგრაფშიც. ბუნებრივია, პეტერბურგში მყოფ ქართველ პატრიოტს იმხანად იანიჩართა ხვედრზე უფრო „კონვოელების“ ხვედრი დააფიქრებდა, რასაც მრავლად ხედავდა; ამასაც ლექსის თავდაპირველი სათაური – „კონვოელი“ – ადასტურებს; ეს სათაური ავტორს, ალბათ, ცენზურის გამო გადაუხაზავს და ლექსისათვის „იანიჩარი“ უწოდებია.

მსგავსი პრობლემა დასმული კონდრატე თათარაშვილის (უიარალო) უაღრესად პოპულარულ ნაწარმოებში „მამლუქი“, რომლის დასასრულს სხვათა ომში ერთმანეთი ამოხოცეს გვარ-ტომით ქართველმა ვაჟკაცებმა. „საზარელ ბრძოლის ველზე, ურიცხვ გვამთა შორის, ორი ერთმანეთს გადაჭდობილი გვამიც ეგდო; ერთს ძვირფასი არაბული ხალათი ეცვა, მეორეს – ვენეციელი გვარდიელის მუნდირი. ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე – ვენეციელი. ორთავენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“, – მწარე სინანულითა და გულისტკივილით დასძენს ავტორი ამ საერთოქართული ტრაგედიის გამო (უიარალო, 1989: 127).

აკაკი ბაქრაძის სავსებით ლოგიკური და სამართლიანი დასკვნა – „ქართული მწერლო-

ბისათვის ყოველთვის მტკივნეული და მწვავე იყო ალტერნატივა, რისთვის გაენირა საქართველოს თავი – საკუთარი სამშობლოს დასაცავად თუ საქართველოს დამპყრობთა დამმონებელთა პოლიტიკურ-სამხედრო გეგმების განსახორციელებლად?“ (ა. ბაქრაძე, 1990: 182) – ქართულ ზეპირსიტყვიერებაზეც ვრცელდება. ჩვენი ბრძენი სახალხო მთქმელისათვის სამშობლოსადმი მსახურება და მისთვის თავგანწირვა უალტერნატივოა, მაგრამ სხვათა დაპყრობით ომებში მონაწილეობის მიღება – ცალსახად დასაგმობი.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ახვლედიანი, 1959 – ხარიტონ ახვლედიანი, „სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, ბათუმი;
2. ახვლედიანი, 1970 – აზიზ ახვლედიანი, „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, ბათუმი;
3. აჭ. ხ. პ., 1969 – აჭარის ხალხური პოეზია, ტ. I, თბილისი;
4. ბაქრაძე, 1990 – აკაკი ბაქრაძე, „მწერლობის მოთვინიერება“, თბილისი;
5. დანელია, 1927 – სერგი დანელია, „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, თბილისი;
6. საუნჯე..., 1936 – საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, ტ. III, ტფილისი;
7. უიარალო, 1989 – უიარალო (კონდრატე თათარაშვილი), „მამლუქი“, თბილისი;
8. ჭავჭავაძე, 1987 – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, თბილისი.



შალვა აბაშიძე

სამშობლოს ერთიანობის აქტიური დამცველი, სასულიერო მოღვაწე

არიან ადამიანები, რომელთა სახელებიც დავიწყებას არ მიეცემიან. ასეთ ადამიანთა რიგებს მიეკუთვნება **რასიყ სულიმანის ძე ბერიძე** – ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი.



რასიყ ბერიძე დაიბადა 1868 წელს ქედის რაიონის დანდალოს თემის სოფელ გორგივლში. მისი შვილიშვილის ნოდარ ბერიძის ჩანაწერების მიხედვით, რასიყ ბერიძის მამა სულიმანი ადრე გარდაცვლილა. მამის გარდაცვალებიდან ორი წლის

შემდეგ დედა გათხოვილა და მცირეწლოვანი რასიყიც თან წაუყვანია. მამინაცვალი მეტად კეთილი ადამიანი ყოფილა. ერთხელ სოფლის ცენტრში, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო, სოფლის მოლას ხალხთან საუბრისას უთქვამს, რომ ეს პატარა ბიჭი მეტად გონიერია, ეს რომ ობოლი არ იყოს და „ღვიძლი მამა რომ ყავდეს,

მისგან კაცი გამოვიდოდა“-ო. როცა რასიყის მამინაცვალს მოლის ნათქვამი უთხრეს, წყენია და გადაუწყვეტია, რადაც არ დაჯდომოდა, რასიყისათვის კარგი განათლება მიეცა. მამინაცვალს გაუყიდა პირუტყვი, საკმაო რაოდენობის ფული შეუგროვებია და 16 წლის რასიყი სტამბოლს გაუგზავნია. იმ დროს ყველა, ვისაც საშუალება ჰქონდა, შვილებს განათლების მისაღებად სტამბოლში აგზავნიდა. რასიყს სწავლა დაუწყია სასულიერო სასწავლებელში, ბინად კი მასწავლებელთან გაჩერებულა. როცა სასულიერო სასწავლებელი დაუმთავრებია, მას სწავლა გაუგრძელებია სამართალმცოდნეობისა და ფილოსოფიის სპეციალობაზე. სწავლის დამთავრების შემდეგ სტამბოლში დაუწყია ადვოკატად მუშაობა.

რასიყს სტამბოლში 16 წელი უმუშავია და იქ სწავლის დროს დაინტერესებულა მუჰაჯირთა ცხოვრების პირობებით, ხშირად მოგზაურობდა ქართველებით დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში, იწერდა ქართველებით დასახლებული ადგილების ტოპონიმებს, მათ გვარ-სახელებს, ინტერესდებოდა მათი ყოფაცხოვრებით, ათვალიერებდა უძველეს ქართულ ეკლესიებსა და ნაეკლესიარებს, ციხეებს, რომლებიც თურქების მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე იყო. ყველა ამ ჩანაწერს თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებასთან დაკავშირებით რასიყი მალულად ინახავდა, რომლებიც შემდგომ გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1945 წლის 28 დეკემბერს და გაზეთ „საბჭოთა აჭარა“-ში 1945 წლის 30 დეკემბერს.

რასიყ ბერიძე 1900 წელს სამშობლოში დაბრუნდა და დაოჯახდა. ცოლად შეირთო დიასამიძის ქალი, რომელთანაც 74 წელი გაატარა.

მათ შეეძინათ ხუთი შვილი. რასიყმა მშობლიურ მხარეში სასულიერო საქმიანობა დაიწყო – მუშაობდა ქედის და ხულოს რაიონების სხვადასხვა სოფლებში, ხოლო მოგვიანებით – აჭარის ყადის თანამდებობაზე და არჩეული იყო „ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველო“-ს წევრად.

რასიყ ბერიძეს სასულიერო საქმიანობისას ჰქონდა სერიოზული უთანხმოება იმ დროისათვის მოქმედ მეჩეთში მოღვაწე ხოჯა-მოლებთან, რომლებსაც უნდოდათ როგორც პროგრესულად მოაზროვნე ხელმძღვანელის თავიდან მოცილება. მთავრობა ყოველთვის აკვირდებოდა სასულიერო პირების მუშაობას. „რწმუნებულის 1951 წლის ერთ-ერთი ანგარიშიდან ჩანს, რომ რასიყ ბერიძე ორი თვის განმავლობაში არ გამოცხადებულა სამსახურში ავადმყოფობის მომიზეზებით, რეალურად კი მეჩეთის მმართველებს შორის არსებული უთანხმოების გამო რასიყ ბერიძეს გადადგომაც გადაუწყვეტია და ბაქოში შეიხისლამთან განცხადების დაწერასაც აპირებდა ამასთან დაკავშირებით“ (პროფესორ თამაზ ფუტკარაძის წერილი, ჟურნალი „არხეონი“ №7).

რასიყ ბერიძე „წინააღმდეგობებს მორიდებია და წერილი აღარ გაუგზავნია“. სამაგიეროდ ბაქოში წერილის გაგზავნა დაუსწრიათ მის მოწინააღმდეგეებს – მოეზინ მიქელაძეს და მოლარე დიასამიძეს, რის საპასუხოდაც ბაქოდან რასიყ ბერიძეს თხოვენ ახსნა-განმარტებას. ახსნა-განმარტებით ბარათში ჩანს რასიყ ბერიძის დამოკიდებულება რელიგიური აღმსარებლობის ცალკეული საკითხებისადმი. ჩანს, რომ იგი სავალდებულოდ არ მიიჩნევს რამაზნის მთვარეში მარხვას, რადგან „მუშამ რომ იმარხოს, სამუშაოს დააკლდებაო, ამიტომ „რამაზნის მთვარეში“ მორწმუნეებს უფლება აქვთ ჭამონ, ანუ სეფერი ქნან და სამაგიეროდ სხვა დროს იმარხონ“ (ასს. ცსა.ფ.ი. 97, ან 1,23. ფურც. 27).

რასიყ ბერიძე აგრეთვე გამოდის ჩადრის ტარების წინააღმდეგაც. მისი აზრით, ქალე-

ბის 90 პროცენტი ჩადრს ატარებს, რასაც მუსლიმანური საზოგადოება არ ითვალისწინებს და ის ძველი ხოჯების მოგონილიაო, ამიტომაც გადაწყვიტა „ლექტორობა: – აგიტაცია ჩადრის ტარების წინააღმდეგ“. რასიყ ბერიძე ანგარიშს უწევს დროის მოთხოვნებს და ცდილობს რეალობასთან ადაპტაციას. ამიტომაც ყოფს ხოჯებს „ძველებად“ და „ახლებად“ და ცდილობს „მორწმუნეებში შეგნების შეტანას“. სწორედ ამიტომ ზოგიერთი ფანატიკოსი ხოჯა თუ მოლა განუდგა რასიყ ბერიძეს და იგი „უღმერთოს სახელით მონათლეს“, ზოგიერთი მოლა რამდენადაც გაართულებდა რელიგიური რიტუალების შესრულებას, ეგონათ, რომ მეტი სახელი ექნებოდათ საზოგადოებაში. მათ საკმარ რელიგიური განათლება არ ჰქონდათ, რასიყ ბერიძეს კი საკმაოდ დიდი განათლება ჰქონდა მიღებული.

რასიყ ბერიძე სავალდებულოდ არ მიიჩნევს წინდაცვეთას. იგი მორწმუნეებს განუმარტავდა, რომ „ბავშვის დასუნთქვა სავალდებულო არ არის“, არც მუსლიმანური სახელის ქართული სახელით შეცვლას მიიჩნევს ცოდვად. რასიყ ბერიძე ყველაფერს აკეთებდა ქართული ცნობიერების გაძლიერებისათვის.

ამ ფაქტების გამო იზრდებოდა ბათუმის მეჩეთში წინააღმდეგობა რასიყ ბერიძესა და დანარჩენ რელიგიის მსახურთა შორის. წინააღმდეგობა იქამდე მივიდა, რომ რასიყ ბერიძეს ხელფასი 350 მანეთიდან 100 მანეთამდე შეუმცირეს. ისინი რასიყს ბრალს სდებდნენ „მუსლიმანობის გაადვილებაში“. მათი სურვილი იყო ურწმუნო ხოჯის რასიყ ბერიძის თავიდან მოცილება, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე დიასამიძე, რომელიც მეჩეთის მოლად მუშაობდა, 1948 წლიდან გადაიყვანეს სხვაგან სამუშაოდ.

რასიყ ბერიძე სასულიერო საქმიანობას მოხერხებულად უხამებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. მას მრავალი წერილი გამოუქვეყნებია გაზეთებში აქტიური ცხოვრების საკითხებზე. ის აქვეყნებდა წერილებს თურქეთში

მცხოვრები ქართველების ტრადიციებსა და ყოფა-ცხოვრებაზე, ახალი წლის რიტუალებზე (მჭადზე ჯვრის დასმა, კვერცხის წითლად შეღებვა), ქართული ენის შენარჩუნების, ქართული მინების დაბრუნების საკითხებზე. შვილიშვილის ნოდარი ბერიძის გადმოცემით, მისი ნაწერები სტალინსაც კი გამოუყენებია. რასიყს მეორე მსოფლიო ომის დროს იოსებ სტალინისგან მიუღია წერილი „ილოცეთ ჩვენი გამარჯვებისათვის“-ო.

რასიყ ბერიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქვეყნოდ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან ზაქარია ჭიჭინაძესთან, აკადემიკოსებთან სიმონ ჯანაშიასთან და ნიკო ბერძენიშვილთან.

საოჯახო ჩანაწერების მიხედვით, ნოდარ ბერიძის გადმოცემით, იოსებ სტალინს თურქი მწერლის ნაზიმ ჰიქმეთისათვის შეუთავაზებია ომის შემდგომი დემოკრატიული თურქეთის პრეზიდენტობა იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის ქართველებს მიეცემოდათ ავტონომია და რეფერენდუმის საფუძველზე ისტორიული ქართული მიწები დაუბრუნდებოდა დედა – სამშობლოს. ასეთი პოლიტიკა უნდა გატარებულიყო აზერბაიჯანშიც საინგილოს დაბრუნების მიზნით. ჩანაწერების მიხედვით, რასიყ ბერიძე წყევლით მოიხსენებდა ნ. ხრუშჩოვს, რომელმაც ოფიციალურად თქვა უარი თურქეთთან ტერიტორიულ პრეტენზიებზე. იგი ხრუშჩოვს „უზნეობის ზენიტს“ უწოდებდა.

შვილიშვილების გადმოცემით, რასიყ ბერიძე იყო მეტად მკაცრი, მაგრამ კაცთმოყვარე და სამართლიანი. რასიყ ბერიძე ყოველთვის იყო სამართლიანობის მომხრე და ეჯავრებოდა ბოროტი, ტყუილის მთქმელი. ის ყოველთვის ეხმარებოდა ქვრივ-ობლებს და ღარიბებს. მან ითავა სოფლის ობოლ ბავშვთა მეურვეობა. სოფელ დანდალოში ხოჯის მოვალეობის შესრულებისას შეამცირა შესაწირავის რაოდენობა სოფლის მეჩეთისათვის. სოფლის ბეგებს და ხოჯებს არ მოსწონდათ რასიყ ბერიძის ასეთი ჰუმანური დამოკიდებულება მოსახლეობის-

ადმი. ამის გამო იყო, რომ ერთ საღამოს, როცა სამუშაოდან სახლში ბრუნდებოდა, სასიკვდილოდ გაიმეტეს და ესროლეს, მაგრამ იგი ღმერთმა არ გასწირა – ფეხში დაიჭრა და გადარჩა.

რასიყ ბერიძე 1974 წელს გარდაიცვალა 106 წლის ასაკში, ათი წლის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლე. მათ დარჩათ დიდი შთამომავლობა.

რასიყ ბერიძეს არ აუსრულდა მისი სანატრელი ოცნება ქართული მინების დაბრუნების თაობაზე, რის შესახებაც 1945 წლის 28 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა წერილი „თურქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი“. მკითხველს ვთავაზობთ აღნიშნულ წერილს:

წერილი რედაქციის მიმართ

თურქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი

მსოფლიო მშვიდობიანობის მოსურვე ხალხებმა, დიდი ალაჰის ნებითა და სურვილით, იხსნეს ქვეყნიერება შავზნელი ფაშიზმისაგან, კაცობრიობის ამ წყეული მტრისა და ბნელეთის მოციქულისაგან. დამყარდა დიდი ხნის ნანატრი საყოველთაო მშვიდობა. საბჭოების ქვეყანა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავისუფლების მოყვარე ხალხებს გაემარჯვნათ.

აჭარის ქართველი მუსლიმანები, სიხარულით აღვსილნი, უდიდეს კმაყოფილებას გამოსთქვამენ ჩვენი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის ხალხების ისტორიული გამარჯვების გამო. ქართველ ხალხს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ დიადი გამარჯვების მიღწევის საქმეში. მან უდიდესი წვლილი შეიტანა სინდისის, პატიოსნებისა და სამშობლოს კეთილდღეობის დასაცავად.

ქართველი ხალხი თავისი ისტორიის დიდ მანძილზე მამაცურად იგერიებდა ყველა სა-

ხის უცხოელ ურჩხულთ, ანადგურებდა მათ სამართლიანობისათვის ბრძოლაში, არ ზოგავდა თავის ძალ-ღონეს, რათა უზრუნველყო თავისი ქვეყნის ერთობა, მაგრამ ჩვენი სამშობლოს — საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მე-15 საუკუნეში. ეს იყო დრო, როდესაც საქართველოს მებობლად შექმნილმა თურქეთის სახელმწიფომ თავისი დამპყრობლური სურვილების განხორციელების მიზნით უშუალოდ დაიწყო ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა.

ოსმალეთურქებმა ბიზანტიის დაპყრობისა და მისი დედაქალაქის კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ იერიში მოიტანეს სამხრეთ საქართველოზე და ქართველთა ტომებს ლაზ-ჭანებს და სხვებს შეუქმნეს სასიკვდილო საფრთხე. 1462 წელს თურქებმა აიღეს ლაზთა ქალაქი ტრაპიზონი და ისწრაფოდნენ ხელში ჩაეგდოთ მთელი სამხრეთი საქართველო. ქართველები თურქების წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდნენ თავისი საკუთარი მიწა-წყლისთვის, მაგრამ რიცხვით მეტ ძალებს ვერ გაუძლავდნენ. თურქებმა დიდი მსხვერპლის ფასად ჩვენი მხარე საქართველოს მოსწყვიტეს და დაამყარეს აქ თავიანთი სახელმწიფო ადათები. მაგრამ ჩვენი ხალხი ამ უცხო წესებს ვერ ურიგდებოდა და მუდამ იყო სისხლისღვრა და ბრძოლა. ამას ადასტურებს ისტორია.

ბაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც ფეხით შემოიარა მთელი სამხრეთი საქართველო, თავის წიგნში მოჰყავს მუფთი ხოჯის ახმედ ეფენდი ხალილაშვილის ნაამბობი: „ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა, რომ ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენ. დანდალომ ზეგანს მიბაძა და ამიტომ გაწყდნენ ისინიც ბრძოლაში. დანდალოს აჭარამ მიჰბაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიღვარა“.

ოსმალების მიერ ჩვენი ტერიტორიისა და ქართველი ხალხის ნაწილის დაპყრობის შემ-

დეგ გავრცელებულ მუსლიმანურ სარწმუნოებას — ისლამს არ გამოუწვევია ქართული სისხლის შეცვლა და ეროვნული განადგურება.

ქართველი მუსლიმანნი და ქართველი ქრისტიანები ძმები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებენ.

დიდ საბჭოთა ქვეყანაში მრავალ სხვა სარწმუნოების ხალხებთან ერთად არიან ისლამის სარწმუნოების მიმდევრებიც, რომელნიც თავისუფლად ასრულებენ მუსლიმანურ წესებს ყურანის შესაბამისად. ჩვენთან, აჭარაში არსებულ ჯამეებში მორწმუნენი ასრულებენ თავიანთ ღოვებებს და კითხვებს. ჩვენ არ ვგრძნობთ არავითარ შევიწროებას. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, თავის სარწმუნოების წესების შესრულება ყველას შეუძლია. ჩვენ ჩავატარეთ მუსლიმანთა ყრილობა და კრებები, მოვუწოდეთ ყველა მუსლიმანს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ქართველი მუსლიმანები მხურვალედ ეხმარებოდნენ ფრონტს საერთო მტრის გასანადგურებლად. ქართველმა მუსლიმანებმა ყველგან იციან, რომ ისინი ნამდვილი ქართველები არიან და ეროვნებით ერთ ერს — ქართველ ერს ეკუთვნიან, რომ სარწმუნოებით განსხვავება მათ ეროვნულ გათიშვას ვერ გამოიწვევდა და ვერც ვერასოდეს გამოიწვევს. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მუსლიმანები ჩვენი სისხლი და ხორცი არიან. მათთვის კარგად ცნობილია, რომ ქართული ეროვნების ეს მოსახლეობა თურქებმა მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს.

ქართველებმა საკუთარი სამშობლოს დაცვისათვის დაღვრილი სისხლის შედეგად შეინარჩუნეს თავისი არსებობა, კულტურა და სახელმწიფოებრიობა. ამჟამად ქართველი ხალხის დიდი ნაწილი მზიურ საბჭოთა ქვეყანაში თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობს.

მე და მთელი ქართველი მუსლიმანები დიდად ვეძაღლით ღმერთს, რომ მოვხდით

საბჭოთა ქვეყანაში, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც სარწმუნოებრივ თავისუფლებასთან ერთად მოგვეპოვება კულტურული და ეკონომიკური აღორძინების ყოველგვარი საშუალებები.

ქართველი მუსლიმანების საგრძნობი ნაწილი, რომელსაც ცხოვრება უხდება თურქეთის მიერ საქართველოსაგან ძალით მოწყვეტილ ტერიტორიაზე, სრულიად მოკლებულია ამ დიად უფლებებს, კერძოდ, მშობლიურ ენაზე ლაპარაკსაც კი. ეს ქართველი მუსლიმანები დიდი ხანია გულის ფანჯრალით მოელიან საკუთარი სამშობლოს მთლიანობის აღდგენას, რადგან, როგორც გვიწერია პედისში, „სამშობლოს სიყვარული ყველა მუსლიმანის აუცილებელი მოვალეობაა“. ქართველი მუსლიმანები, რომელნიც მოქცეულნი არიან თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს ტერიტორიაზე, დიდი სიხარულით შეხვდებიან მათი სამშობლო ადგილების საქართველოსთვის დაბრუნებას.

ყველასათვის და თვით თურქეთისათვის ცნობილია, რომ საქართველოს მიწა-წყალი სცილდება ტრაპიზონს, გიუმშიხანეს, ბასიანის მიდამოებს, ჭოროხ-ტრაპიზონის კოლხეთს, რომელსაც შერჩენილი აქვს დასავლეთ კოლხეთის სახელწოდება. თვით კონსტანტინოპოლის თურქებიც კი ტრაპიზონს „ლაბთა საბრძანებლოს“ უწოდებდნენ.

ქარველ მუსლიმანთა ეროვნული ნიშნების მოსპობის მიზნით თურქეთის ხელისუფალთა მიერ გატარებული მრავალი ღონისძიების მიუხედავად, უკანასკნელ წლებში ქართველი მოსახლეობის თურქეთის შორეულ რაიონებში გადასახლების, ეროვნული დამცირებისა და ამ ადგილებში ქართულ სახელწოდებათა შეცვლის მიუხედავად, აქ მაინც შერჩენილია უამრავი ქართული სახელწოდება. მაგალითად, ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ჯანიქ-სანჯაყი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადგილები ჭანებისა, ე. ი. ლაზებისაა. იმერხევი, მიქელეთი, ნოღეთი, მარიმ სკირიმ

ოფუტე, ოხგამე და სხვა მრავალი ქართული სახელწოდება ახლაც არის ხმარებაში. აღსანიშნავია აგრეთვე ქართული ქრისტიანული ჩვევების არსებობა, როგორიცაა: ახალი წლის შეხვედრა, კვერცხის შეღებვა და სხვა.


ამგვარად, სამხრეთმა საქართველომ, მიუხედავად თურქეთის ბატონობისა, უკანასკნელ ხანებამდე ქართულ — გეოგრაფიულ სახელწოდებებთან ერთად შეინარჩუნა ქართული ენა და ადათ-ჩვევებიც.

ქართველ ხალხს, პირველ რიგში, ქართველ მუსლიმანებს, არასოდეს არ დაავიწყდებათ თურქეთის ვერაგული თავდასხმა საქართველოზე 1920-21 წლებში, როცა მათ მოახდინეს არტაანის, ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქის ნაწილის ოკუპაცია. მრავალი მუსლიმანი ქართველი გაქლიტეს მაშინ თურქებმა, მრავალი მათგანი აყარეს და შორეულ რაიონებში გადაასახლეს.

ქართველი ხალხის, მათ შორის ქართველი მუსლიმანების ნება-სურვილია გამოთქმული ჩვენი მეცნიერების სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის წერილში, რომელიც საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა, თურქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი: არტაანის, ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმშიხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი ტრაპიზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით.

ქართველო მუსლიმანებო! ვთხოვთ დიდ ღმერთს, რომ ჩვენი საუკუნოებრივი სურვილი შესრულდეს და სამუსლიმანო საქართველო მთლიანად შეუერთდეს თავის დედა-სამშობლოს – საქართველოს და გახდეს მონაწილე თავისი ძმების ერთიანი ოჯახისა, ამინ!

რასიყ სულეიმანის ძე ბერიძე,
ამიერკავკასიის მუსლიმანთა
სასულიერო სამმართველოს წევრი,
აჭარის ყადი.
„კომუნისტი“, 28/XII, 1945 წ.



უზა ოქროპირიძე

პარტიული მღვდელმთავრები და აჭარა

დღიდან სამშობლოსაგან ჩამოშორებისა აჭარა ყოველთვის იყო სამეფო-სამთავროებ-ად დაქუცმაცებული, მაგრამ ერთიანი ქართუ-ლი სახელმწიფოებრიობის იდეა შენარჩუნე-ბული ქართველი მოღვაწეების ყურადღების ცენტრში. მასზე განსაკუთრებით დიდ მზრუნ-ველობას იჩენდა ქართული ეკლესია და რო-დესაც მოძალადე მტერმა XVIII საუკუნეში ქე-დაში, დანდალოში, ჩაქეში, ხულოში, ჭახათში, გონიოში სახრჩობელები და თავსაკვეთლები აღმართა ღვთის მოშიში ქრისტიანების წინა-აღმდეგ¹, საქართველოს ამ რეგიონის ტერი-ტორიაზე ქრისტიანული საეპისკოპოსოები თანდათანობით გაუქმდა, ხოლო ეკლესია-მო-ნასტრები განადგურდა; ქართულ ეკლესიას ერთი ნუთითაც არ შეუწყვეტია მცდელობა, როგორმე ისტორიულ მეხსიერებაში მაინც შეენარჩუნებინა აჭარაში მოქმედი ქრისტი-ანული ცენტრები და მათ ასაღორძინებლად საჭირო დროს დალოდებოდა. სწორედ ამიტ-ომაც 1804 წელს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის მოვალეობის შემსრულებელმა მიტროპოლიტმა დოსითეოს ქუთათელმა აღ-ადგინა ხინონმინდის საეპისკოპოსო, რომლის ნომინალურ მმართველად დანიშნა იმერეთის

სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის ვაჟი და-ვითი,² თუმცა იგი მისთვის განკუთვნილ სამ-წყსოში არასდროს ჩასულა.

აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნე-ბისთანავე რუსეთის ცარიზმმა თავისი კოლ-ონიური პოლიტიკით ადგილობრივი მოსახ-ლეობის დიდი ნაწილი მუჰაჯირად აქცია და სამშობლოდან გადახვეწა. ამიტომაც უდიდ-ესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი თანა-მოძმეების მიერ მათდამი, და განსაკუთრებით მათი სარწმუნოებრივი გრძნობებისადმი გა-მოვლენილ პოზიციას. 1878 წლის ნოემბერში თბილისში ჩასულ ქართველ მაჰმადიანთა 12 კაციან დელეგაციას დიდი სითბოთი და სიყ-ვარულით შეხვდა ქართული საზოგადოება, რომელთა წარმომადგენლები „ფიცით პასუხს აძლევდა ქართველ მაჰმადიანებს, რომ მათ სჯულსა და საოჯახო წესებს და ადათებს არ-ასდროს არავინ შეეხებოდა“³.

აჭარის დელეგაციას საგანგებოდ შეხვდა მაშინ გორის ეპისკოპოსი, წმიდა მღვდელმთა-ვარი ალექსანდრე ოქროპირიძე, რომელმაც მისალმებისა და დიდი სიყვარულით მოკით-ხვის შემდეგ მათ მიმართა მეტად მოზომილი და შორსგამიზნული სიტყვით: „ღმერთმა აკ-ურთხოს თქვენი სამშობლო ქვეყანა, ღმერთმა გააძლიეროს თქვენი ოჯახი და თქვენი სარწმუ-ნოება ისლამი... ჩვენ ქართველი ქრისტიანები ყოველთვის ვიქნებით თქვენი სარწმუნოების მფარველნი და მადლობელნი. იქონიეთ იმედი, რომ არცერთი ჩვენთაგანი თქვენს სჯულსა და ადათ-წესებს და ჩვეულებებს არავინ შეეხე-ბა ავად... ღმერთმა აკურთხოს თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლშვილი, შინ მშვიდობით დაბრუნ-ლით და თქვენს სჯულზედაც იყავით ფრთხი-

¹ ბუბულაშვილი ე., აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდე-ლოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, V, თბ., 2001, გვ. 198-209); (თვენი, ქართველ წმინდანთა ცხოვრება, ზუგდიდი, 1997, გვ. 395).

² თავამაიშვილი გ., ხინონმინდა, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №1, 1998, გვ. 97.

³ ჭიჭინაძე ზ., ქართველი მაჰმადიანები, გაზ. „მინა“, №10, 1920).

ლად და ამსრულებელი ისევე, როგორც თქვენი ისლამის წესია და ვალდებულებანი“.⁴ ეს იყო ქართველი მღვდელმთავრის მომენტის სრული შეგნებითა და უდიდესი პასუხისმგებლობით წარმოთქმული სიტყვა, რომელმაც კმაყოფილების გრძნობით აღავსო და თანაც დაამშვიდა მაჰმადიანი ქართველები, რომელთა ადაპტირება ქართულ გარემოში მხოლოდ იწყებოდა.

თბილისიდან უკან დაბრუნებულ ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია ქუთაისსაც ესტუმრა, სადაც სტუმრებს სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ, რომელშიც აღნიშნა: „...თქვენ არ იფიქროთ, რომ თქვენს სჯულს ვინმე ჩვენთაგანი შეეხოს და ავად ახსენოს, არა, ეს არასდროს არ იქნება, რადგან ქართველ ერს ამის სურვილი და ნადილი არა აქვს. აი, მე მღვდელმთავარი ვარ და არა ვარ ამის მოსურვე... შეგიძლიათ შინ მშვიდობით წაბრძანდეთ და დაარწმუნოთ თქვენი ძმებიც, ნათესავები და მეზობლები, რომ მათი სჯულის შემხებელს ერთ კაცსაც ვერ ნახავენ“, რაზედაც აჭარის დეპუტაციის მეთაურმა შერიფ ხიმშიაშვილმა უპასუხა: „მადლობა ღმერთს, ჩვენი ხალხის ნატვრაც ეს გახლავთ და ჩვენ სულ ამის დარდში ვიყავით, ახლა ამის დარდი გაგვიქრაო“.⁵

მეტად შთამბეჭდავი და გულის შემძვრელი ამ ახლად შემოერთებულ მხარეში ახალგაზრდა ლონგინოზ ოქროპირიძის, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლეონიდეს ქობულეთში მოგზაურობისას, წარმოქმნილი შთაბეჭდილებანი, რომელსაც იგი თავის ბიძას, ეპისკოპოს ალექსანდრეს წერილში შემდეგნაირად უზიარებს: „ღვთის განგება და არა უბრალო შემთხვევა იყო, რომ მე თქვენთან ერთად ვიყავი ქობულეთში... ვნახე ძველი ეკლესიის ნანგრევები „თეთროსანი“!!! ის დრო ჩემთვის დაუვინყარი იქნება და არის კიდევ. იმ დროსვე შემიყვარდა ქობულეთი, მაშინვე ვიგრძენი ქობულეთლების სიახლოვე

და გეფიცებით ღმერთსა, მასუკან ჩემი გული და სული იქ დარჩა, – ამბობს ახალგაზრდა ბერმონაზონი და განაგრძობს, – თანახმად თქვენი რჩევისა ჩემი სურვილიც ისაა, რომ საინგილო და ქობულეთში მოვყვე. პირველად იმიტომ, რომ... ხელი უფლისა პირველად ვცან ქობულეთში და ჩემი გული მას უკან იქ არის; მეორეთ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ქართული ენაა და ქართულად შეიძლება სწავლა-განათლება.⁶ აქ უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ბერმონაზონის გრძნობის სიღრმე და სინრფელე, ამასთან ისიც, რომ თუ რა უკეთილშობილესი მისწრაფებების აღძვრა შეუძლია კეთილმორწმუნე პიროვნებაში წინაპართა სალოცავების ნანგრევთა ნახვასაც კი, რაც მათ მიერ უდიდესი ღვთიური მადლის მატარებლობის უტყუარი ნიშანია და ამიტომაც დღესაც თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიებზე შემორჩენილ ამ ქართულ, უდიდეს სულიერების საყრდენ რელიქვიებს.

ასეთი გულისხმიერი და სიყვარულით სავსე დამოკიდებულების შედეგად თანდათან აჭარაშიც მომძლავრდა ეროვნული თვითშეგნება, ქართული სულიერების აღორძინების საფუძვლები და მალე ის თვითონაც ახერხებდა აჭარის გულითად მოამაგებზე მადლიერების გრძნობის უშურველ გამოხატვას, რისი ერთ-ერთი დასტურიცაა წმ. მღვდელმთავარ ალექსანდრეს გარდაცვალების გამო ბათუმის ქალაქის სათათბიროს 1907 წლის 26 ნოემბრის სხდომის გამოხმაურება, რომელშიც აღნიშნულია: „ქართულმა ეკლესიამ განიცადა მძიმე დანაკლისი სულიერი მწყემსის, ეპისკოპოს ალექსანდრეს გარდაცვალების გამო. ეპისკოპოსი ალექსანდრე იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, გულუხვი, ასევე მოკრძალებული ქველმოქმედი, განსაკუთრებით როცა საქმე ეხებოდა საქართველოს მატერიალური

⁴ ჭიჭინაძე ზ., იქვე.

⁵ იქვე.

⁶ ვარდოსანიძე ს., სრულად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921), თბ., 2014, გვ. 13-15.

კულტურის ძეგლების და კონკრეტულად ქართული ეკლესია-მონასტრების დაცვას...⁷

უნდა ითქვას, რომ ბათუმში პირველი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აშენებასა და მასში ღვთისმსახურების აღსრულების დაწყებისათვის დიდი ღვაწლი დაუდვიათ ეპისკოპოსებს ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეებს...

1912 წელს დასრულებული ახალშენის ფერისცვალების ეკლესიის კურთხევის შესახებ ერთ-ერთ იმდროინდელ გაზეთში ვკითხულობთ: „გუშინ დილით მატარებლით ბათუმში ჩამოვიდა ყოვლადსამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე. ოთხშაბათს 7 მაისს ეპისკოპოსი ლეონიდე აკურთხებს ახალშენში ბერძნების ეკლესიას.“⁸

ქართველი მაჰმადიანებისადმი ეპისკოპოს ლეონიდეს უგულითადესი დამოკიდებულების მაგალითია მისი წერილი ალექსი ჭიჭინაძისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „...ამ ბართის მომრთმევი გახლავთ ქობულეთელი მაჰმადიანი ისმაილ კაიკაციშვილი. ეს კაცი წარმოგიდგენთ თქვენ ორ ბავშვს, რომლებიც, როგორც ბ. ყაზბეგმა მაცნობა მიღებულეები არიან თქვენს გიმნაზიაში. გთხოვთ გულით და სულით, ამათ, როგორც ხამებს, გამოუცდელებსა და ყველასგან დაშინებულეებს, მოეფეროთ, დაუყვავოთ და გაამხნევოთ, რომ პირველსავე ნაბიჯზე არ იგრძნონ სულიერი ობლობა. მე ვგრძნობ, ამ ბავშვების მიღებით თქვენს სასწავლებელში საძირკველი ედგმის დიდს ეროვნულ საკითხს და ამ საქმეს სწორედ თქვენისთანა მამა სჭირია... თქვენთვის როგორც ნამდვილი ქართველისათვის დიდად საჭიროა სწორი ცნობა გქონდეს ქობულეთელებზე. თუ ჩვენ გვსურს ჩვენი თანამოძმე ქართველი მაჰმადიანების პოვნა და შეძენა... ეს უნდა დავიწყოთ ქობულეთიდან. ქობულეთში უნდა მოვიკიდოთ ფეხი, იქ უნდა ავან-

თოთ ქართული მნიგნობრობის ლამპარი, იქ უნდა გაიხსნას წერა-კითხვის საზოგადოების ხელმძღვანელობით და მეთაურობით პირველი სასწავლებელი.

კარგს იზამთ, თუ ამ წერილის მომტანს გაეცნობით და საფუძვლიანად გამოჰკითხავთ ქართველი მაჰმადიანების ავსა და კარგსა.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი ეპისკოპოსი ლეონიდე. 15.X, 1914.“⁹

ასევე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე იყო სწორედ პირველი, რომელმაც 1918 წლის 4 ივნისის საქართველო-თურქეთის ხელშეკრულება გააპროტესტა და ბათუმისა თუ სხვა ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული რეგიონების ძველი ყოფილი მართლმადიდებლური ეპარქიების ქართული ეკლესიის იურისდიქციაში გადაცემა მოითხოვა. ხოლო ჯერ ოსმალების და გერმანელების, შემდეგ კი ინგლისური ოკუპაციისაგან განთავისუფლების აღსანიშნავად, საქართველოს საეკლესიო კრების სხდომის ბოლოს მისმა უწმინდესობამ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ „ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოზე დაბრუნების შესახებ“. წარმოთქვა სიტყვა, რომელსაც კრება დიდი სიამოვნებით შეხვდა. კათალიკოს-პატრიარქის წინადადებით გადაწყდა მეორე დღეს, თბილისში თავისუფლების მოედანზე დღის 12 საათზე ამ სასიხარულო ფაქტთან დაკავშირებით პარაკლისი გადაეხადათ და შემდგომ პანაშვიდიც აღესრულებინათ ფრონტზე დაღუპულ გმირთა სულების მოსახსენებლად.¹⁰ მეორე დღეს სამღვდელოებას დიდძალი ხალხი მიყვებოდა... გადახდილ იქნა საქართველოს მთლიანობისათვის და სხვა ბრძოლებში დაღუპულ მამულიშვილთა სულთა საოხი პანაშვიდი და ბათუმისა და ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნებისადმი სამადლობელო პარაკლისი.

⁷ აცსა, ფ.ი. 7, აღ. 1, საქმე 443, ფურც. 4,5.

⁸ ნაირა ტაბატაძე-მიქანაძე, საიდან იწყება სამშობლო..., გამომც. „ალიონი“, ბათუმი, 2005, გვ. 129.

⁹ კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები, ს. 9662.

¹⁰ ვარდოსანიძე ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

უნმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდე მთავისუფლების მოედანზე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც იგი აღნიშნავდა იმ დიდ სიხარულს, რაც ბათუმისა და საერთოდ აჭარის დაბრუნებით იყო გამოწვეული. თავისი სიტყვა უნმინდესმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „... სამღვდელოება ესე, როგორც წარსულში და აწმყოში, ისე მომავალშიდაც თავდადებული თანამშრომელია მთელი ქართველი ერისა და ღვთის წინაშე მავედრებელი მისი სამშობლო ქვეყნისა და ერის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის“.¹¹ აქ, ეჭვს გარეშეა, უნმინდესი და უნეტარესი მაშინდელი აჭარის ქართველ მაჰმადიანურ მოსახლეობასაც გულისხმობს, რითაც აგრძელებს ქართველ მღვდელმთავართა იმ შორსმჭვრეტელურ და ტოლერანტულ ტრადიციას, რომელსაც აჭარის შემოერთების პირველ ხანებში წმინდა მღვდელმთავრებმა ალექსანდრე ოქროპირიძემ და გაბრიელ ქიქოძემ ჩაუყარეს საფუძველი.

ქართულ ეკლესიასა და ქართველ მღვდელმთავრებს ყოველთვის ანუხებდათ სამუსლიმანო საქართველოს და კერძოდ აჭარის გარშემო შექმნილი პრობლემები და მათი შორსმჭვრეტელური, დროისა და ისტორიული

მომენტის ღრმა გაგებით წარმოებული ქმედებებით თავიანთი წვლილი შეჰქონდათ არა მარტო ამ ქართულ ისტორიულ მხარეში ეროვნული თვითშეგნების აღორძინებაში, არამედ დიდად ზრუნავდნენ მათი ზოგადქართული საქმისათვის მხარში ამოყენებაზეც.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ბუბულაშვილი ე., აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, V, თბ., 2001;
2. თავამაიშვილი გ., ხინონმინდა, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №1, 1998;
3. ჭიჭინაძე ზ., ქართველი მაჰმადიანები გაზ. „მინა“, №10, 1920;
4. ვარდოსანიძე ს., სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უნმინდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921), თბ., 2014;
5. აცსა, ფ.ი.-7, აღ. 1, საქმე 443, ფურც. 4,5;
6. ტაბატაძე-მიქანაძე ნ., საიდან იწყება სამშობლო..., გამომც. „ალიონი“, ბათუმი, 2005;
7. კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ს. 9662;
8. თთვენი, ქართველ წმინდანთა ცხოვრება, ზუგდიდი, 1997.

¹¹ იქვე, გვ. 133 (საქართველოს II საეკლესიო კრება (სტენოგრაფია), 1920 წ. 27 ივნისი).



ნაფი მიქაელაძე

ენის სახელმწიფო პროგრამა — ჩვენი თვითმყოფობის საფუძველი

ქართულ ენას, როგორც საქართველოს მოსახლეობის საერთო-სახალხო ენას, მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი კულტურული წარსული აქვს. იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე (მე-3 საუკუნიდან) ასრულებდა სახელმწიფო მმართველობითი სისტემის, განათლების, კულტურისა და რელიგიის ენის ფუნქციას არამხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის ხალხთა მრავალი ეროვნული უმცირესობისათვის. არსებობს ისტორიული ცნობაც იმის შესახებ, რომ ის ერთადერთი სახელმწიფო ენა იყო საქართველოში – „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართული-სა“ (აქ „ქართლში“ მთლიანად საქართველო იგულისხმებოდა).

ვინ მოთვლის რამდენჯერ აუწიოკებიან, დაუპყრიან და დაუმონებიათ მსოფლიო ცივილიზაციის შემქმნელი ქართველი ერი უცხოტომელებს, მაგრამ ვერ გაუტეხავთ, ვერ ამოუძირკვავთ მისი ენა და ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი. როდესაც გასული საუკუნის 70-იან წლებში (1978 წ.) საბჭოთა ხელისუფლებამ გადანყვიტა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გაუქმება, მთელი საქართველო ფეხზე დადგა. ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციისა და განსაკუთრებით კი სტუდენტი-ახალგაზრ-

დობის ძალისხმევით კონსტიტუციაში აღადგინეს მისი სტატუსი, მაგრამ დღეს ეს ენა უფლებაყრილი, დაკნინებული, ათასგვარი სარეველებით გაჯერებული და უცხო ენობრივი პლასტებით აჭრელებული, ფაქტიურად, ფუნქციადაკარგულია, თუმცა, სახელმწიფო ენის სტატუსის მქონედ, ფორმალურად, რჩება.

ახლა, როცა კომპაქტურად დასახლებულ რამდენიმე უცხო ტომს უჭირავს ჩვენი ტერიტორია, ითხოვს ავტონომიას და თავისი ენის სტატუსს, დიდი სიფრთხილე და გონიერება გვმართებს, რათა არ დავეშვათ გამოუსწორებელი შეცდომა. თუ მტკიცედ ჩამოყალიბებული და მკაცრად რეგლამენტირებული სახელმწიფო პროგრამა არ იქნა შემუშავებული, დავიღუპებით. ჩვენ არ უნდა დაგვაგონყდეს ისიც, რომ 2004 წელს, წინა ხელისუფლებამ ენის სახელმწიფო პალატა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი პატრიოტი და მრავალმხრივ განათლებული პიროვნება ლევან ღვინჯილია, გააუქმა. ეს იყო ანტისახელმწიფოებრივი აქტი, რამაც დიდი დაბრკოლება შეუქმნა ქართულ სალიტერატურო ენას და მისი შემდგომი განვითარება-დახვეწის საქმეს.

ჩვენი მეცნიერების დიდი ავტორიტეტის – ივანე ჯავახიშვილის აზრით, „იმ ერს, რომელიც თავის მწერლობაში ენას შესაფერისად არ განავითარებს, არც შეუძლია გონივრული განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს“.

ქართველი ერის სულიერი მოძღვარი, ქართული ენის დიდი რეფორმატორი და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესაჭე – ილია ჭავჭავაძე კაცობრიობის ცივილიზაციის ყველაზე უტყუარ მონმედ, საღმრთო ქმნილებად და ხელშეუხებელ ფენომენად დედაენას აღიქვამდა: „ენა საღმრთო რამ არის... მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ილიას შემოქმედებას წითელ ზოლივით

გასდევს თავდაუზოგავი ბრძოლა დედაენის თავის უფლებებში აღდგენისა და მისი შემდგომი გამდიდრება-განვითარებისათვის. ასევე, გრიგოლ ორბელიანის მთელი არსება მოცული იყო ქართული ენის გამდიდრებისა და მისი მოვლა-პატრონობის იდეით. არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ცნობილი თეზა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. დღეს ჩვენ, ყველა, ამკარად ვგრძნობთ და ვხედავთ, რა სავალალო მდგომარეობაშია ქართული სალიტერატურო ენა. ყოველდღიურ სასაუბრო, თუ სალიტერატურო ენაში თანდათან ფეხს იკიდებს ჩვენი ენისათვის სრულიად მიუღებელი ფორმები, უცხო ენობრივი ერთეულები, არაბუნებრივი გამოთქმები. არადა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენს ქვეყანაში არსებობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია, რომელიც ათეული წლების მანძილზე მუშაობდა სალიტერატურო ენის სინმინდის დაცვისა და მისი შემდგომი დახვეწა-გამდიდრების საკითხებზე, რის საფუძველზეც გამოიცა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კრებული.

ენის გაუფასურება-დაკარგვასთან ერთად ვკარგავთ მამაპაპისეულ, სისხლით მორწყულ ქართულ მიწებსაც. დღემდე ჩვენ ნაწილ-ნაწილ, მისხალ-მისხალ ვყიდით და ვაქუცმაცებთ საქართველოს, ფეხქვეშ ვთელავთ და ვანადგურებთ მის ეროვნულ სიმდიდრეებს.

ჩვენ, ყველა ერთიანად, ვალში ვართ საკუთარი ქვეყნისა და ერის წინაშე! ენა ჩვენი თავისთავადობისა და ეროვნულობის ყველაზე მძლავრი იარაღია. მხოლოდ მან შეძლო მრავალტანჯულ აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში შეენარჩუნებინა ეროვნული მეობა და გაედვიძებინა პატრიოტული გრძნობები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოში ამჟამად არსებულ ხუთი ათასამდე ენას

შორის მხოლოდ თოთხმეტს მოეპოვება საკუთარი დამწერლობა (შრიფტი) და მათ შორისაა ქართული. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ჩვენი ენის სიდიადეს და უძველეს ცივილიზაციას. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოში ცნობილი ლინგვისტები დიდი ინტერესით ეცნობიან ქართულ ენას, სწავლობენ მას და მისი ამოუწურავი ენობრივი შესაძლებლობის შესახებ აქვეყნებენ საყურადღებო ნაშრომებს.

ამჟამად დღის წესრიგში დგას ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფო აქტებით დაცვისა და მისი შემდგომი დახვეწა-განვითარების საკითხი, რაც ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებთან არის დაკავშირებული.

ენის სინმინდის დაცვა და მისი მოვლა-პატრონობა თითოეული ქართველის უწმინდესი და უპირველესი მოვალეობაა! დარბაისლური მეტყველება და მისი გამომსახველობითი საშუალებების ფლობა ადამიანის მაღალი კულტურის ნიშანია. ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურის დაუფლებას საფუძველი ძირითადად დანყებითსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ეყრება, გადამწყვეტი როლი აქ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ეკისრებათ.

ენის სინმინდის დაცვის თვალსაზრისით, დღეს სცოდავენ არა მხოლოდ მხატვრული სიტყვის მიმდევრები, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: ჟურნალ-გაზეთები, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები. მათ ლექსიკაში ხშირად ვხვდებით სტილურად გაუმართავ ფრაზებს, უცხოენოვან კალკებს, უხამს გამოთქმებს; ამას არ უნდა შევეგუოთ. ამიტომაც აუცილებლად უნდა დაჩქარდეს ახალი სახელმწიფო პროგრამის მიღება. ეს აამაღლებს როგორც ქართული ენის, ისე სახელმწიფოს ფუნქციას ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში.



ნანი პუპუნაძე

ჩემი დედა

„ნანინას ნამი აკვანზე ელაფს,
როგორც რტოებზე ღიმილი ფესვთა...
თუ სივრცეებში შევძელი ფრენა,
პირველად დედას აიყვან მზესთან“.
ვაჟა ხორნაული „პირველად“

ამ ქვეყნად ყოველ ბავშვს თავისი დედა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ჰგონია. ეს გამონათქვამიც რომ არ არსებობდეს, მე მაინც ვიტყვოდი – ჩემი დედა მართლაც ყველაზე უმშვენიერესი, ულამაზესი, უკეთილშობილესი, ოჯახსა და შვილებზე თავგადადებული დედა იყო.

1937 წლის მასობრივი რეპრესიების სუსხმა არც ჩვენი ოჯახი დატოვა უყურადღებოდ.

მამის დაპატიმრებას რეპრესირებული ოჯახის ბინიდან გამოსახლება და ქონების კონფისკაცია მოჰყვა.

ახალგაზრდა დედაჩემი იძულებული გახდა ორი მცირეწლოვანი შვილით (მე მაშინ სამი თვის ვყოფილვარ, ჩემი ძმა კი ორი წლის) ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კაპრეშუმისთვის შეეფარებინა თავი. ეს ბებიაჩემის, ფატი კორძაიას სოფელი იყო და ახლობლებმა გასაჭირში ჩავარდნილი ოჯახის სატკივარი გულთან მიიტანეს.

უმძიმესი იყო დედის ტვირთი და პასუხისმგებლობა ოჯახის, მტერ-მოყვარისა და საგვარეულო ტრადიციების წინაშე. ამ ტვირთის შესამსუბუქებლად მას მამიდაჩემი ამოუდგა მხარში – გოგუცა გუგუნავა, რომელმაც რძალ-

თან ერთად თანაბრად გაინანილა ძმისშვილების აღზრდის მთელი სიმძიმე. მან არ მისცა თავს უფლება მარტოდმარტო დაეტოვებინა მკაცრი ცხოვრების პირისპირ ორი მცირეწლოვანი შვილების დედა. ულამაზესი და უსათნოესი ქალიშვილისაგან ეს იყო მკაცრი, პრინციპული უარი პირად ბედნიერებაზე. მან შეგნებულად, უანგაროდ გადაგვინანილა სიყვარულით სავსე გულის სითბო, მთლიანად მიუძღვნა იგი ძმის ოჯახს, ამ ოჯახში აღსაზრდელ პატარებს.

მხოლოდ ქართული გენის მატარებელი თუ შეძლებს აილოს მსგავსი ვალდებულება გვარისა და ქართული საზოგადოების წინაშე. ვწერ ამ წერილს და თითქოს თავზე მადგას ჩემი უმშვენიერესი მამიდა – გოგუცა გუგუნავა, ტანკენარი, სანდომიანი იერსახით, უბინოებით, ნათელით მოსილი. აი, კიდევ ერთი თავისებური მსხვერპლი 37-ის რეპრესიებისა, ანუ რეპრესირებული სილამაზე...

გხედავ ანგელოზებრივ გასხვივოსნებულს და როგორ არ მოგეფერო ჩვენო დამფრთიანებლო მამიდაჩემო – დედავ ბატონო!

მართალია, რეპრესირებულს, ცალუღლად დარჩენილ დედაჩემს მამიდა ედგა გვერდით, მაგრამ დედის ტვირთი მაინც მძიმე იყო. ამ ორმა საოცარმა ქალბატონმა ყველაფერი იღონა ჩემი და ჩემი ძმის აღსაზრდელად.

ჩემი დედა – აიშე ბაკურიძე, ბაკურიძეთა დიდი გვარის შთამომავალი იყო. შესანიშნავ გარეგნობასთან ერთად, გონიერებითა და გამჭრიახობით გამორჩეული. იგი იყო მეტად ნიჭიერი და სხარტი აზროვნების მქონე. ნიჭიერების წყალობით გასიგრძეგანებული ჰქონდა ნუთისოფლის ავ-კარგი, ადამიანად მოსვლის ფილოსოფიაც და სწორედ ამ თვისებებით შემკულს, მძიმე მდგომარეობაში მყოფსაც კი არასოდეს გაჭირვებია ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

სამამულო ომი მძვინვარებდა. დედა ყოველნაირად ცდილობდა შვილებისათვის არაფერი მოეკლო. ოქრო-ვერცხლი და სხვა ძვირფასი საგვარეულო რელიქვიები, რაც კონფისკაციას გადაურჩა, ნელ-ნელა იყიდებოდა და შვილების განათლებას ხმარდებოდა.

ჩემი ძმა – რესან გუგუნავა ჩემზე ორი წლით უფროსი იყო. ის, რომ სკოლაში შეიყვანეს, მე სახლში ვეღარ გამაჩერეს, ტირილით ავიკელი ყველაფერი. დედა იძულებული გახდა სკოლაში დირექტორთან მისულიყო თხოვნით, რომ მეც ჩემი ძმის გვერდით დავესვი. მაგრამ ხუთი წლის გოგონას სკოლაში მიღება ვერავინ გაბედა. დედაჩემი აღარ შეჩერდა, „რკინის ქალამნები“ ჩაიცვა და აჭარის განათლების სამინისტროს კარებს მიადგა. მინისტრი ვლადიმერ შარაშიძე ოჯახის ახლობელი იყო. დედის განცხადებაზე დადებითი რეზოლუცია გაჩნდა.

ამ გადასახედიდან რომ ვაფასებ, დედაჩემი ხასიათის სიძლიერითაც გამოირჩეოდა.

დედავ, ძვირფასო, შენი ამაგის გადახდას შვილები როგორ შევძლებდით, მაგრამ ვფიქრობ, გაცილებით მეტი უნდა გაგვეკეთებინა. ნარჩინებული სწავლითა და ყოფაქცევით ხომ გაგახარე? სხვას ხომ ისედაც არაფერს ითხოვდი შვილებისაგან? ჩემი დედისა და მამიდას უდიდესი ძალისხმევით, იმ ურთულესსა და მძიმე პერიოდში ჩემმა ძმამ მოსკოვში მიიღო უმაღლესი განათლება.

ისე გაგვეპარე წუთისოფლიდან, უბრალო სათხოვართაც არასოდეს შეგინუხებივართ. წუთუ არაფერი გჭირდებოდა? რატომ დედა?!

ჩემი ულამაზესი დედა სულით ღვთაებრივ ნათელს დაატარებდა. მკაცრი ცხოვრების პირობებმა ვერ შეძლეს მისი სულის გაუხეშება. ამიტომაც სწავლა-განათლებისკენ ჩვენი სწრაფვა მისი შთაგონების შედეგი იყო.

დედის დამსახურება იყო ისიც, რომ ოჯახში კარგა მოზრდილი ბიბლიოთეკა გვექონდა და წიგნის კითხვაც დედამ შეგვაყვარა.

თამამად შემძლია ვთქვა, რომ დედები (დედაჩემი და მამიდაჩემი) წუთისოფლის

ხვედრისაგან დაღლილ-დაქანცულნი, ლამპარით ხელში, წინ მიგვიძლოდნენ განათლების ტაძრისაკენ. ამ გზაზე ერთხელაც არ წაფორბილებულან და ნამითაც არ შეუსვენიათ...

მიუხედავად იმისა, რომ მონატრებით ვიხსენებ ბათუმის №1 ქართულ სკოლაში გატარებულ წლებს, დიდი მადლიერების გრძნობას გამოვხატავ სკოლის დირექტორის, დიდი პედაგოგის ნადია მაჭუტაძისა და სკოლის მასწავლებლების მიმართ, ცხოვრების დიდი სკოლა მაინც ოჯახში გავიარე. სწორედ დედა გვასწავლიდა უფროსებისადმი პატივისცემას, მოყვასის სიყვარულს, სიკეთის ქმნას... ზნეობრივი აღზრდის უძლიერესი კერა ჩემი ოჯახი იყო.

...ჩემი ძვირფასი დედა და მამიდა ჩემს შვილებსაც მზრუნველობდნენ და აღზარდეს ისინი კეთილშობილური, ზნემაღალი იდეალებით. მათი დამსახურებაა, რომ მომეცა შესაძლებლობა, ჩემი ცხოვრების აბსოლუტურად უდიდესი დრო სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობისათვის დამეთმო.

მეუღლე სრულიად ახალგაზრდას გარდამეცვალა. მამიდამ იგი ცხარე ცრემლებით დაიტირა და ასე გამოეთხოვა: „მერაბ, გასაღები დამიტოვე, შენს ოჯახს მარტო ვერ დავტოვებო“.


დედამ და მამიდამ, ხატივით წმინდა ქალბატონებმა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, საოცარი საღბუნით უმკურნალეს ჩემს ტკივილს. მათ მარტოობა არ მაგრძნობინეს, ისინი ჩემთან ცხოვრობდნენ და ჩემში დარჩნენ სამარადისოდ.

ვთვლი, რომ დედა-შვილობა ჩვენს მიწიერ საუფლოში განუმეორებელი და ულამაზესი სინონიმებია.

არა მგონია, ვინმე შემედაოს თუ ვიტყვი, რომ ამ ქვეყნად დედის სიყვარულზე უფრო ფაქიზი, სპეტაკი და აღმატებული გრძნობა არსებობდეს. მამშვიდებს შეგრძნება იმისა, რომ დედაჩემი ზეციურ სასუფეველში უფლის სიახლოვეს იმყოფება, საიდანაც ზოგჯერ ლოცვის „ნეტარ სიმხურვალეს“ ვგრძნობ. წუთუ ზეციდანაც მიფარავს დედა?!

ჭორღობი 3 2015

ჭორღობი



ბათუმი

3 2015

ISSN 0134-3459



15003



9770134345001

მალხაზ ფალავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა

2015

malkhaz.pagava@mail.ru